

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

20 იანვარი 2006 №2



ინტერვიუ გურამ დოჩანაშვილთან
ეთერ თათარაიძის ახალი ლექსები
ვარლამ შალამოვის ჩანანერები
დიალოგი ოთარ ჩხეიძესთან
ჯონ სტაინბეკის ნოველა
ამერიკული პამფლეტები
ქართული დეტექტივი
კულუარები
ნაკვესები

შინაარსი

არჩევანი	2	ვინ იყო ყველაზე პოპულარული პოეტი გალაკტიონის ეპოქაში?
ალიონიდან ალიონამდე	3	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ
კულუარები	7, 9, 21	ხუმრობა – სამყაროსავით ძველი
ექსპრეს-ინტერვიუ	8	უპრალოდ გადამწერი ვარ (საუბარი გურამ დოჩანაშვილთან)
ღებუბები	10	ლაშა იმედაშვილი ვუძღვნი ქალებს, ჩემთან მწყრალბას
პოეზია	17	ეთერ თათარაიძე ახალი ლექსები
პირველი შთაბეჭდილება	20	გიორგი ლობჯანიძე „ერთხელ და სამუდამოდ...“
დოკუმენტური პროზა	22	ვარლამ შალამოვი ორი ამბავი
დრამატურგია	26	მაია სარიშვილი ჭიამანიძის ოჯახი
უხსოვთის ხსოვრებიდან	29	ჟერარ დე კორტანზი ქან მარი გუსტავ ლე კლეზიო, „მამაჩემი – აფრიკელი“
	30	ინტერვიუ ლე კლეზიოსთან
	32	შორენა ლებანიძე „შავთვალა როსსიატ“ (გზა პეტერბურგის სასახლეებიდან მარტოსული მემუარისტის ემიგრაციამდე)
ღიაღობი	37	ოთარ ჩხეიძე გზაგასაყარზე (სოცრეალიზმი და გლობრეალიზმი)
გამოსაუბრება	43	კურტ ვონეგუტი ნიგნიდან „უსამშოგლო კაცი“
	43	საბა სულხანიშვილი კალეს მოქალაქენი... თბილისში
რეპორტაჟი	45	სტანდარტიზაციის მოულოდნელი სიგლი (ლევან ბრეგაძის საჯარო ლექცია)
პოეზიის მერიდიანები	49	ნინო დოლიძე თბილისური მასაჟი
კრიტიკა	51	მაია ჯალიაშვილი როცა დასასრული დასაწყისია (ფიქრები ნესტან კვინიკაძის „ისპაჰანის ბულბულეზე“)
უხსოვარი ნოველა	54	ჯონ სტაინბეკი ხალხის ღიღერი
ნაკვეთები	60	მავნილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	62	ოქროს გოლი

დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩუბინაშვილის №41
 რედაქცია – (995 32) 94-39-63
 რეკლამა – (995 77) 48-12-24
 გავრცელება – (995 99) 93-18-52
 ფაქსი: (995 32) 95-23-24
 E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაბაში "ომეგა თეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
 სააპოთეკო, თბილისი, საჯაროებო 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
 აბაქოფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
 დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია
 კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
 ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე
 გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ოგიუსტ როდენი – კალეს მოქალაქენი

ფრანს ქსავერ ვინტერჰალტერი – ალექსანდრა როსეტის პორტრეტი

ვინ იყო ყველაზე პოპულარული პოეტი გალაკტიონის ეპოქაში?

თუ დაფიქრებულხართ, სასხვათა-შორისოდ მაინც, ვინ შეიძლება ყოფილიყო ასეთი პოეტი?

თუ არა, რა გვიანია – ახლა დაფიქრდეთ.

ვითომ რა მნიშვნელობა აქვს?

მნიშვნელობა როგორ არ გააჩნია, ვის წაეჭარბებინა ყველასათვის პოპულარობით, როდესაც პოეტთა მეფის ტიტული გალაკტიონ ტაბიძეს მოეხვეჭა?

იქნებ ტყუილუბრალოდ ვეძიებთ და ყველაზე პოპულარულიც სწორედ „მეფე და მგოსანი“ გახლდათ, მითუმეტეს, ხელისუფლების კარზეც მოეპოვებინა პატივი და არც ჩინი და ტემლაკები ჰკლებია?

თანდათან თავის ზეგავლენაში რომ მოაქცევდა მთელს ქართულ პოეზიას და ათასგვარ ნაკადებად განიტოტებოდა მიმდევართა ხელში მისი მხატვრული წარმოსახვანი, დღესდღეობით კი გადაფარავს ჩვენს თვალში მაშინდელ სახელებს, თვით ყველაზე გამორჩეულთაც, მაგრამ მაინც დაფუკვირდეთ, ვინმეს ხომ არ რგებოდა უფრო მეტი ტაში – სხვის გამოჩენაზე უფრო ხომ არ ინგრეოდა დარბაზები ოვაციებით და სხვისი დანახვისას ხომ არ ეამაყებოდათ უფრო მეტად, რომ იმ პიროვნების თანამედროვენი იყვნენ?

მაინც ვინ?

იქნებ იოსებ გრიშაშვილი?

გალაკტიონის სიჭაბუკის წლებსაც შერეოდა მისი გავლენა, ხალხიც აღფრთოვანებული ხდებოდა სატრფიალო ლირიკისათვის და ხელისუფლებაც უმადლიდა კომუნიზმისა და ბელადების მადიდებელ ლექსებს.

იქნებ სანდრო შანშიაშვილი?

ცისფერყანწელები კი პოეზიის გრიგალად აღიარებდნენ და მის გავლენას ვერც გალაკტიონი გადარჩენოდა.

იქნებ გიორგი ლეონიძე?

გრიშაშვილივით არტისტულად ვერ კითხულობდა პოეტურ ქმნილებებს, მაგრამ თავისი ხიბლი ჰქონდა მის დეკლამაციასაც და სტალინის ბავშვობისა და ყრმობის



დითირამბული შესხმისათვის არც ხელოვნური გახმაურება აკლდა.

იქნებ ტერენტი გრანელი?

დრამატული ბიოგრაფიაც უხვეჭდა ხალხის თანაგრძობას, ტრაგიკული აღსასრულიც, და ისიც ხშირად მომხდარა, რომ მიმდევარი უფრო დაფასებული ყოფილა, ვიდრე ის შემოქმედი, ვინც ასე უხვად ასაზრდოებდა ეპიგონთა ლაშქარს.

იქნებ ტიცვიან ტაბიძე?

პოეტის ლეგენდას ქმნიდა მიზანდასახულად, ახალ მითოსს უყრიდა საფუძველს და თვითონვე სიმბოლოვდებოდა პოეზიის ცოცხალ ხატად. ტრაგიკული აღსასრული და ხელახალი დაბრუნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში იდუმალებით შემოსავდა მის სახელს ხალხის ცნობიერებაში და სულ სხვა განცდით ამიტომაც აჰყვებოდა მკითხველი მისი პოეზიის დრამატიზმსაც და მოდერნულ ძიებებსაც.

იქნებ პაოლო იაშვილი?

განუმეორებელი ეფექტი აქვს მოხდენილ ექსპრომტებს, სახელდახელოდ, სცენაზევე შექმნილ პოეტურ მინიატურებს, რაც უშეღავათოდაც კი შეიძლება მოექცეს რჩეულ კრებულებში. თანაც ეს ტრაგიკული აღსასრული და ხელახალი დაბრუნება საზოგადოებრივ სინამდვილეში მის სახელსაც განსხვავებული შარავანდით შემოსავდა.

იქნებ სიმონ ჩიქოვანი?

ხელისუფლებაც სწყალობდა და უქმნიდა სახელს და აშკარად გამორჩეულ ლირიკულ ნაკადსაც ქმნიდა – მედიტაციურს, „ცისკრელებსა“ და ვერლიბრისტებს თავის გავლენაში რომ მოიქცევდა.

იქნებ ირაკლი აბაშიძე?

თავისი პოპულარობის ზენიტს 60-იან წლებში მიაღწევდა, მაგრამ იქნებ მანამდეც წაეჭარბებინა გალაკტიონისათვის, ისე განდიდებული გახლდათ ხელისუფლებისაგან?!

იქნებ გრიგოლ აბაშიძე?

ფაქიზ ლირიკაზე მეტად ისტორიული პოემებით გაეთქვა სახელი და ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილ პოეტურ

ციკლს ხელისუფლება გამორჩეულად დაუფასებდა მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო.

იქნებ იოსებ ნონეშვილი?

ერთბაშად გახმაურდებოდა მისი სახელი – სტუდენტებს მისი სატრფიალო ლირიკა ხიბლავდათ, ხელისუფლებას – პანეგირიკული ლექსები, და წაკითხვითაც ისეთი არტისტიზმით კითხულობდა, თითქოს იოსებ გრიშაშვილის ახალგაზრდობა განმეორებულყოფს.

იქნებ ლადო ასათიანი?

მისი პატრიოტული ლირიკა ისე ძალუმად მოესალბუნებოდა ხალხის გულსთქმასა თუ ეროვნულ თავმოყვარეობას, და ტრაგიკული აღსასრულიც სხვაგვარად გაანათებდა მის სახელს.

იქნებ ანა კალანდაძე?

მისი პირველი საჯარო გამოსვლის ფურორი წლებს კი არა, ათწლეულებს გადაწვდებოდა; ისიც იმ ლიტერატურული საღამოს გავლენით იყო, გერონტი ქიქოძე ვაჟაფშაველას შემდგომი ხანის საუკეთესო (გალაკტიონზეც აღმატებულ!) პოეტად რომ მოიხსენიებდა, და თუმც ხელისუფლება დაუბრკოლებდა პირველი წიგნის გამოცემას, ახალგაზრდობა დაექებდა მის სტრიქონებს და ალბომებსა და რვეულებში საგულდაგულოდ იწერდნენ – და ასე ვრცელდებოდა ხელნაწერ კრებულებად.

იქნებ...

იქნებ სულაც სხვა ვინმე გახლდათ, ვის განსაკუთრებულ გავლენაზეც ხალხში დღესდღეობით წარმოდგენა არ გაგვაჩნია და არც დავიჯეროთ, თუ შეიძლება მასაც რაიმე სახელი ჰქონოდა, არამცთუ ყველაზე და თვით გალაკტიონზეც აღმატებული?

გამორიცხული არაფერია.

მასკულტურას ისეთი კაპრიზები და უცნაურობანი ახასიათებს, ყველაფერს შეიძლება მოელოდე.

და იქნებ...

მაგრამ იქნებ არც არაფერი ამის მსგავსი და მემუარებისა თუ პირადი მიმოწერის გადაჩხრეკვამ, ზეპირგადმოცემებზე ამ თვალთ დაკვირვებამ ბოლოს მაინც გალაკტიონთან მიგვიყვანოს ან... ან რომელიმე ამათგანთან?

საგულისხმო კი იქნება, რომელი მათგანი ჩრდილავდა გალაკტიონს.

იქნებ არც არავინ?

და იქნებ „ის ვილაც“ – სრულიად უსახელოდ არის გამქრალი?

წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალი ხან რას ამოისვრის ზემოთ და ხან რას და გაოცებით მაინცდამაინც წურაფერს გავიოცებთ – ვალიართ ყოველივე ისე, როგორც სინამდვილეშია.

არა, მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო ყველაზე პოპულარული პოეტი გალაკტიონის ეპოქაში?

სოციოლოგიური გამოკითხვა გვაქვს განზრახული და საამისოდ დიდი მნიშვნელობა ექნება მკითხველი საზოგადოების აქტიურობას.

გამოგვეხმაურეთ. ოღონდ თუ შედეგი სენსაციური აღმოჩნდა, შესაძლოა ჩვენი გამოკითხვა თავისებურ კონკურსადაც გავიზაროთ და საგანგებოდაც გამოვაცხადოთ ის პიროვნება, როგორც ყველაზე ღრმად ჩახედული გალაკტიონის ეპოქის ლიტერატურულ კულისებშიც, თორემ ავანსცენაზე ხომ ასე თუ ისე ყველას გვაქვს გარკვეული წარმოდგენა.

ალიონიდან ალიონამდე

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

რატომ იცვლიან სადგურში ცხენებს?

– ნახე, ბესიკი პროზაზე გადასულა! – მეგობარი წიგნს მიწვდის, – ჟანრი ცოტა გაურკვეველიაო, წინასწარვე გამაფრთხილეს; რომანია? მემუარებია?... მაგრამ პროზა კი არის და მის პროზაიკოსობას ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი.

წიგნს გადავშლი, გადმოვშლი, თვალს ჩავკრავ.

„ეპიგრაფები დავინყებულ სიზმრებისათვის“ – ასე დაუსათაურებია თავისი ბელეტრისტული დებიუტი და სათაურშივე გაპარული ენობრივი შეცდომა ლიცენცია პოეტიკას უნდა გადავებრალოთ.

– ვიცოდი, რომ გადავიდოდა. მათხოვებ?

ნოდარ დუმბაძის რომანში „ნუ გეშინია დედა!“ – თუ მიგიქცევიათ ყურადღება – საკმაოდ გაქილიკებულნი არიან

ვერლიბრისტები. 1969 წლისათვის ეს რომანი როდესაც დაინერა, თითქოს ახლა აღმოაჩინეს ეს პოეტური ფორმაო, ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდა ჩვენს სალიტერატურო წრეებში; ბესიკ ხარანაული სულაც ამ მიმდინარეობის მეთაურობაზე სდებდა თავს – სალიტერატურო კრიტიკა მის გვერდით ლია სტურუასაც ყოველთვის მოიხსენიებდა – ნოდარ დუმბაძე კი რომანში ჩართული პასაჟებით გამოეხმაურებოდა ამ მითქმა-მოთქმას.

ერთ ოჯახში სალიტერატურო სალონით შეკრებაა და მთავარ გმირს ერთ ლამაზ, მოკლედ თმაშეკრეჭილსა და ბოხხმთან ბიჭზე მიანიშნებენ: ჩვენი იმედიო.

– ვისი თქვენი? – იკითხავს ავთანდილ ჯაყელი.

და პასუხი ლაკონურია:

– საქართველოსი.

ამასობაში „საქართველოს იმედი“ ახალ, ჯერ დაუმუშავებელ ლექსს გაცნობს მსმენელებს, ვერლიბრის თავისებურ პაროდიად რომ წარმოგვიდგება ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი და ბუნდოვანი ასოციაციებით („წარმართულ ნისლში გახვეული მძიმე ლოდებით მოდის ანწყოს და მომავლის თეთრი ზმანება... ყანჩას უპყრია ცალი ფეხით მსოფლიოს სფერო... ბავშვები გვანან ყაყაჩოებს ველად დაფანტულთ, და მესმის კვნესა ნაქცეული ბაობაბების... თეთრი სხეულით ზეციური მომაქვს სიმღერა, მახლავს ვარსკვლავთა ვნებიანი თვალთა ბრიალი“), ისეთით, დაუსრულებლად რომ შეიძლება იდინოს და სადღაც რატომ წყდება, ვერ ავიხსნია.

– ბრიალი და ბზრიალი, კარგი რითმია, რატომ არ რით-
მავს ეს ბითური? – ფიქრობს მთავარი გმირი და ლექსის
გაგრძელებას ელოდება, მაგრამ გაგრძელება არა ჩანს, ამ
ფრაზაში კი აშკარად მოგვესმის თვითონ მწერლის ხმა.

ნოდარ დუმბაძე არ კმარობს ამ ირონიულ, პოლემიკურ
ჩანართს და რომანის ფინალში ერთხელ კიდევ გადაჰკრავს
ვერლიბრისტებს, ეს მაშინ, როდესაც სხვა ოჯახშიც იმარ-
თება ლიტერატურული სალონივით შეკრება და ჯარიდან
შვებულებით დაბრუნებული ავთანდილ ჯაყელი გელა ვე-
შაპიძის სარკასტული სიტყვების – „ვიეტნამში რა ამბებია,
გენერალო?“ – პასუხად სტუმრებს მიმართავს: ბატონ გე-
ლას ვთხოვთ, ლექსი წაგვიკითხოსო.

- ალარ ვნერ ლექსებს! – განუცხადებთ იგი.
 - რატომ? – არ მოეშვება ჯაყელი.
 - პროზაზე გადავვიდი! – მიუგებს ის ნიშნის მოგებით.
- მთავარი ახლა იწყება:
- ვიცოდი, რომ გადახვიდოდით!
 - რაზე შემატყვევთ?
 - ლექსებზე!

მერე ის უნდა ადგეს. ადგეს ესეც. ვითარება საკმაოდ
იძაბება. და კიდევ ერთი სტუმარი უნდა ჩაერიოს, რათა მო-
პაეკრენი ხელდახელ არ შეებან: ე, ჰემინგუეი, დაჯექი!
შენც დაჯექი, სუვოროვ! – და ორივე მიხვდება, ნებით თუ
არ დაჯვდება, ძალით დამსვამსო.

* * *

აქ კი, ამჟამად, მხატვრული ლიტერატურის ამ თავისე-
ბურ გაგრძელებაში, რომელსაც რატომღაც გარემომცველ
რეალობას ეძახიან, მეგობარი უწყყმანოდ მთანხმდება:

- ნაილე, რა სათქმელია, რამდენ ხანსაც გინდა, გქონ-
დეს. მე მერეც წავიკითხავ. უანის მაინც დამიზუსტებ, შენი
ხელობა ეგ არის. მოიცა, რაო? ვიცოდი, რომ პროზაზე გა-
დავიდოდაო? რაზე შეატყვევ?
- ლექსებზე!

ისეთი გრილი მაისია, ვერც იფიქრებ, მცხუნვარე ივლი-
სი და აგვისტო რომ გველოდება და ორმოც გრადუსს კი-
დეც წააჭარბებს. ორმოცდაათსაცო, მოჰყვებიან მტკიცე-
ბას. ეს ალარ ვიცო, მაგრამ ლამის რომ ამოვიგუდებით სიც-
ხისაგან, ყველა საკუთარ თავზე გამოვცდით, ვინც ვერ გა-
ვეცლებით უზარმაზარ თონედ გადაქცეულ თბილისს.

ირანი დასავლური დემოკრატიის წინაშე

რას ნიშნავს ირანელობა?

ზოგადადაც, მაგრამ განსაკუთრებით იმ ორი-სამი თა-
ობისათვის, რომელთაც, ძველებისაგან განსხვავებით, და-
სავლური კულტურის ტალღასთან შეჯახება მოუხდათ და
ამ შეჯახებამ შეძრათ.

იქნებ არც ღირდა ამ ტალღისათვის განსაკუთრებული
მნიშვნელობის მინიჭება და ირანს მისი არიდება ეცადა კა-
რის გამოკეცივითა და ცხოვრების გაგრძელებით შემოგარ-
სულ სივრცეში?

მაგრამ მოჰამადალი ესლამი ნოდუშანი ასეთ მცდელო-
ბას ფუჭად და ამოდ მიიჩნევდა, ხელოვნურ და ზიანისმომ-
ტან გადავადებდა იმისა, რაც გარდუვალია და კარის დახ-
შობა მხოლოდ დროებითი გაფართხალება და თავის მოტ-
ყუება უფრო იქნება.

კარგია თუ ცუდი, ჩვენ
განახლების ტყვეები ვართ,
მას ვერსაით გავექცევითო,
– ირანმუნებოდა ნოდუშანი
და თანამოდმეთ შეაგონებ-
და:

„მოდერნიზაცია მეცნიე-
რებაში იჩენს თავს, მეცნიე-
რება კი იქცევა პურად ჩვენი
არსობისა. ამდენად, ვინმეს-
თვის იმის თქმა, მოდერნი-
ზაციას ნუ გამოეკიდებო,
ნიშნავს – პურის ჭამა აუკ-
რძალო. აი, სადამდე მივიდა
მსოფლიოს საქმე! სხვაგვა-
რად რომ ყოფილიყო, მეტი
სიმშვიდე იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეორე მხრივ,
მოდერნიზაციას ვერ გაემიჯნები – შეუძლებელია მისი მემ-
კეობით სარჩო მოიპოვო, შინ კი არ შეუშვა.“

მშობლიურ ქვეყანას მსოფლიო-ისტორიული თვალსა-
ნიერიდან თუ გადახედე, ისეთი ეპოქა დამდგარა, საკუთარ
ნაჭუჭში გამოკეტილი გაცილებით უფრო დაზარალები,
ვიდრე ეს ადრე იყო მოსალოდნელი.

მაგრამ არანაკლებ დაზარალებები, თუკი მოდერნიზა-
ციას კარს ისე გადაუხსნი, ალარ ჩაუფიქრებები კიდევ ერ-
თხელ შენს რაობას, ვინაობას, თვითმყოფადობის იმ ნიშ-
ნებს, რომელთა არსებობაც გინარჩუნებდა ეროვნულ სა-
ხეს, და შენს რეალობას გულბრყვილოდ მიანდობ ბედის
ყინიან თამაშს, ბედისა, რომლისთვისაც არაფრად ღირს
ერები და სახელმწიფოები.

მაინც რას ნიშნავს ირანელობა?

რთულია და ბუნდოვანი მისი ზუსტი განსაზღვრების
ძიება?

სამიათასწლოვანი ისტორიის მიუხედავად არც არაჩვე-
ულებრივია და არც უცნაური?

და ეს ის რეალობაა, რომელსაც ვერ მოშლი?

ანკი რატომ უნდა მოშალო, როდესაც შველა შესაძლე-
ბელია – იმ ხესავით, გამხმარ ტოტებს რომ შეაჭრი.

ირანელობა კი:


„... ამ მინა-წყლის გეოგრაფიული მდებარეობისა და ის-
ტორიული მოვლენების პირმოა. უფრო რაღაც კულტურ-
რაა, ვიდრე რომელიმე ეთნოსი.“

ნოდუშანი ათასგვარი ფიქრისა და თავისმტვრევის შემ-
დეგ თავის სამშობლოს კულტურად უფრო განსაზღვრავს,
ვიდრე ეთნოსად, რადგანაც მოვლენები წარმავალია თავ-
თავისი დასაწყისითა და დასასრულით, კულტურა კი ცდი-
ლობს სამუდამოდ დარჩეს.

ეს განსაზღვრება ეთიკურ ფორმულადაც გამოდგება.

მწერლისათვის ირანი ორკულტუროვანი ქვეყანაა, რა-
კილა ჯერაც ცოცხალია ფესვები ძველი კულტურისა, რომ-
ლის ნაშთებიც ისლამურ მოძღვრებასთან თანაარსებობს.
და დარწმუნებულია: ხალხის გონების ნაწილი იმაზე ფიქრს
ხმარდება, ეს ორი ერთმანეთს როგორ შეუთავსოს. ამგვარი
მცდელობის კვალი ნათლად იკვეთება ამ ათასი წლის ლი-
ტერატურულ, ხელოვნებისა და ისტორიულ ძეგლებში. ეს
ორი რამ ყოველთვის ერთმანეთის გვერდიგვერდაა, ხალხი
კი გაფაციცებულია – ღმერთმა ნუ ჰქნას, ნონასწორობა
დაირღვესო.

მართლა ხალხის ფიქრი და განცდა ამოაქვს ზედაპირზე
თუ თავის შეხედულებას მიანერს მათ და იმ ორიენტრის



უსახავს, საითაც სჯობს სვლა? ბოლოსდაბოლოს, ადამიანთა გაუცხოებისებულ შეგრძნებათა გაცხადებაა მწერლის უპირველესი მოვალეობა, ზუსტი სახელის დარქმევა იმისათვის, რაც ისედაც თვლემს ამა თუ იმ ერის სიღრმეში და განსაზღვრასა და იდეალად დასახვას ელოდება. მითუმეტეს, კრიზისულ ჟამს, როდესაც ისტორიული არჩევანის წინაშე დგები, არჩევანისა, რომელმაც შენი ქვეყნის ბედისწერა უნდა განსაზღვროს იქნებ საუკუნეობითაც კი; არჩევანისა, რომლის წინაშეც ერთხელ უკვე წარსდგა ირანი, როდესაც მის წიაღში ისლამის მოძღვრება შეიჭრა.

ნუ ავხსნით ამ გარდამტეხ მოვლენას მხოლოდ არაბთა ძალმომრეობით, ეს მხოლოდ გამარტივება და გაიოლება იქნება მეტად რთული, ათასგვარი დანაშრევით აღსავსე რეალობისა, რომელმაც საბოლოოდ ირანის ორკულტურისობა შვა – საკუთარი კულტურის ფესვებს მუჰამედის მოძღვრება ისე რომ მოარგო, ფესვების სიცოცხლისუნარიანობა არ ჩაშრეტილა და ისტორიულ დეკორაციადაც არ ქცეულა.

ამჟამადაც ასეთივე გარდამტეხი ჟამია და მესამე კულტურა მოინვეს ირანისაკენ, რათა ან შთანთქმას და ან ისე შეუზავდეს და მოერგოს, ის ძველთაძველი ფესვები კვლავაც სულიერების მაცოცხლებლად დაუნარჩუნოს.

მოინვეს დასავლეთი თავისი მიღწევებითა და უარსაყოფი თვისებებით, რაც თვითონ კი გადაუხარშავს, მაგრამ ვაითუ ირანს სწორედ ეს ზერეულ და დასაგმობი მოეჩვენოს დასავლეთის ნამდვილ სახედ და ან მას დაემორჩილოს და გადაგვარების გზას დაადგეს, ანდა, მისით შეშინებულმა თუ შეფიქრიანებულმა, ჭეშმარიტ სულიერ ფასეულობებსაც გადაუკეტოს ყოველგვარი შემოსასვლელი და თავი სამუდამოდ განიროს საკაცობრიო ცხოვრებიდან ამოსავარდნად.

ეს ფიქრი აფორიაქებს ნოდუშანს და რა პრობლემასა და მოვლენასაც უნდა უტრიალებდეს ამოსახსნელად თუ უფრო ცხადად დანახვისათვის – ირანელთა თვითმყოფადობას ისლამისშემდგომ ხანაში, თეირანის საზოგადოებრივსა და ზნეობრივ იერს, თაობათა მოწყენილობას, თანამდებობის ძიებას, აღმოსავლურ დემოკრატიას, ირანელთა და ბერძენთა ყოფასა და რაობას „შაჰნამესა“ და „ილიადას“ მიხედვით თუ თავისუფლებასა და თავისუფლების არარსებობას – ისევე და ისევე დასავლურ ტალღათა აბოპოქრებას მიადგება, ირანის თავზე შემართულს, და უკვირდება ამ შეჯახებით გამოწვეულ განწყობილებებს ირანელთა ყველა ფენაში, უკვირდება ანალიტიკოსის, წინასწარმეტყველის მზერითაც და მოურიდებელი სარკაზმითაც.

ვთქვათ:

თეირანი ქალს რომ აგონებს, ფეხი ფეხზე გადადებულს, „კენტის“ გამბოლებელს, მზის სათვალთ მოკოპნიავესა და არყის მყლურწავს („ბიკინებს იცვამს და მზის აბაზანებს იღებს, მაგრამ სალაპარაკოდ თუ ჩამოუჯდება, გულს შეგილონებს მისი უნიგნურობა, ჭკუათხელობა, სიბრიყვე, პრეტენზიულობა, ფეთხულობა, უტიფრობა და ყბედობა“);

ანდა – საზოგადოებრივი აზრის დაკნინების ნიმუშად იმ განწყობილებას რომ გამოიტანს საამჟამაოზე, განსაკუთრებული მონინებით რომ ეპყრობიან იმ ადამიანებს, ვისაც სახელმწიფო გობიდან ლუკმა შეხვდებათ, მთავრობაში რაიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა უგდიათ ხელთ და სახელმწიფო ხარჯით ამერიკასა და ევროპაში უმოგზაურიანთ, თანაც არა სიბერისას, არამედ ადრეულ ასაკში. და გულს უკლავს ნოდუშანს ბედნიერებისა და ღირსების შემოფარგვლა ამ ერთი საზომით, თანაც ყველაზე არამდგრად-

დითა და არასაიმედოთი, რაც მიმინიშნებელია, რომ სიცოცხლის არსი და ადამიანური ღირებულებანი დამცირებული და უარყოფილია.

ნუთუ ამიტომ დაშვრა ყველა ერის ფილოსოფიური, მეცნიერული და რელიგიური წიგნები, ნუთუ ამიტომ შეაგონებდა ადამიანებს – „მიზანი უნდა იყოს უზენაესისაკენ სწრაფვა, ჰუმანურობის გამოუმუშავება საკუთარ თავში და წინ – ნათლისაკენ სვლაო“ – და ნუთუ ამიტომ გადაეგებოდნენ ზნეობრივი მონამენი, რომ ამალღებულ იდეალი ასე დაბეჩავებულიყო და დახურდავებულიყო და ქვეყანა მხოლოდ ამგვარ ციებ-ცხელებას მოეცვა?

და ასეთ დროს საკუთარი ვინაობის შეცნობაც უმაქნის, არაფრისმთქმელ ფრაზებად რჩება, გაახუნებულ გირლიანდებად, რომელიც აღარავის არა სჭრის თვალს. და მზერა გულგრილად ჩაათვალეირებს თვით ისეთ საჭირობორტო და გულისშემძვრელ მსჯელობას, თუ რას ნიშნავს ირანელობა და როგორ უნდა შეეგებოს ეს ქვეყანაც და მთელი აღმოსავლეთიც ევროპულ დემოკრატიას.

გამბედაობა და სითამამე უნდა გამოვიჩინოთ, – შეაგონებთ ნოდუშანი იმის იმედად, რომ შეუძლებელია მისმა წრფელმა, უანგარო, გონივრულმა შეხედულებებმა გამოძახილი არა ჰპოვოს თვისტომთა შორისაც და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც: თავი ავარიდოთ გაუმართლებელ მიბაძვას და არ შევუშინდეთ ევროპული დემოკრატიის ნათხოვარი იერის დაკარგვას. თავდაპირველად დემოკრატიის საფუძველი უნდა განვამტკიცოთ და როგორც გზის ან კაშხლის მშენებლობას აპროექტებენ, ისევე შეიქმნას ქვეყანაში დემოკრატიის გეგმა და შემდეგ ეტაპობრივად განხორციელდეს.

და კიდევ:

აღმოსავლეთმა დღეს საფუძველი უნდა ჩაუყაროს განსაკუთრებულ დემოკრატიას, რომელიც მის უნარსა და ინტერესებს შეესაბამება.

რაკილა ამ გარდატეხის ჟამსაც დიდი სიმამაცე, გონიერება და თავდადება აუცილებელი, ჰუმანურ და ბრძენ წინამძღოლთა გარეშე დარჩენილ ქვეყნებს რა ბედი მოეწივთ? ნოდუშანი ნუთითაც არა ცდილობს რაიმე შელამაზებასა და სიმართლისათვის თვალის არიდებას:

ისინი უნდა დასხდნენ და დაელოდონ, სანამ ჟამთა სვლა წინ უბიძგებდეთ და ამ იძულებითი გადაადგილების დროს, ჰოი, რამდენჯერ წაიტეხენ კისერსო.

ამ ფრაზაში მკაფიოდ გამოსჭვივის თვალსაზრისი, რომ ევროპული დემოკრატიის წინაშე მდგარმა ქვეყნებმა უნდა იგრძნონ დროისა და ისტორიული რეალობის განსაკუთრებულობა და სახელმწიფოს მართვა იოლად არ ჩაუგდონ ხელთ იმ ადამიანებს, რომელთა ერთადერთი მიზანი და ბედნიერების მწვერვალი ქვეყნის ბიუჯეტში ორივე ხელის ჩაყოფა და მოხვეტა და მოხვეტაა...

იოლად ითქმის, არ ჩაუგდონო!..

ნოდუშანი თავის გზასა და ბედისწერას მიჰყვება მხატვრული სიტყვის იმ შეგრძნებით, რომ ის მშვიდი მომხიბლაობით უნდა გვიპყრობდეს და ჟუჟუნა წვიმას ჰგავდეს, თავსხმას კი არა.

თუმც რეალობა გაცილებით მკაცრია და ნოდუშანის კალმოდანაც ამიტომ მოსჩქევს ხან თავსხმაც, რათა საბედისწერო ჟამის ჭეშმარიტი მესიტყვე იყოს, გარდატეხის სიძნელის საკუთარ მხრებზეც შემდგები – და არა მარტო ირანისათვის.

„ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული მისი რამდენიმე ესეი და ამონარიდი პუბლიცისტური

სტატიებიდან არანაკლებ ახლობელია ჩვენთვისაც – და არა მხოლოდ ესთეტიკური თუ შემეცნებითი თვალსაზრისით.

ეს მცირე წიგნი, ერთ-ერთი ესეის სახელწოდებით დასათაურებული („ადამიანობა და თანამდებობა“) უშუალო მონაწილე ხდება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისაც და თეა შურლია, ვისი ღვაწლიც სულ უფრო თვალნათლივ იკვეთება ჩვენს მთარგმნელობით ხელოვნებაში, უთუოდ ამიტომაც მოუძლოდა ასე მიზანდასახულად თვალსაჩინო ირანელ მწერალს ქართულ სამყაროში.

... ჩემი ძირითადი მკითხველები მეტწილად მიუკერძოებელი ადამიანები გახლავან, – იტყვის ერთხელაც მოჰამადალი ესლამი ნოდუშანი, – რომელთაც არც რაიმე „იზმის“ სენი შეჰყრიათ და არც რაიმე ჩარჩოში არიან მოქცეულნი. მათ შორის ყველა ფენისა თუ ჯგუფის ადამიანებს შეხვდებით: ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას, მეცნიერსა და მწიორი განათლების მქონეს, მემარჯვენესა თუ მემარცხენეს. მათ ერთი რამ აერთიანებთ – ყველას რაღაც სატკივარი ანუხებს.

და საბოლოოდ ყველა სატკივარი ერთ დიდ ფიქრად ერთიანდება:

რას ნიშნავს ირანელობა, ყოველთვისაც და განსაკუთრებით საბედისწერო და გარდამტეხ ჟამს?..

და რაოდენ სიმხნვესა და თვითრწმენას გამატებს იმის შეგნება, რომ სულიერ ძიებათა და თვითდადგინების ამ გზაზე სანდო, საიმედო მეგზურები მოგეპოვება, რომელთა შორისაც მოჰამადალი ესლამი ნოდუშანი ერთი გამორჩეული სახელთაგანია.

ასი სტატია სამ წელიწადში

ჟურნალ „ალიტერნატივას“ ფურცლებზე (2005, №2) ერთ ორიგინალურ პროექტსაც გაეცნობა მკითხველი – რისი ცოდნაც ჩვენთვის აუცილებელია და ცალკეული ცდებით არ უნდა იფარგლებოდეს: თანამედროვე აზერბაიჯანის ლიტერატურა – საჭაშნიკოდ წარმოდგენილია ლექსიც, ნოველაც, კრიტიკული სტატიაც, ესეიც.

ამ ლიტერატურულ რკალს უძღვის პროექტის თაოსანის შოთა იათაშვილის შესავალი წერილი, რომელიც ნოველას უფრო ჩამოჰგავს.

ორიოდე წლის წინათ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორმა ალექსანდრე ებანოიძემ ლიტერატურული სემინარი რომ გამართა პერედელკინოში და ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ტაჯიკი, უზბეკი და ყირგიზი მწერლები მიიწვია, სტატიის ავტორს იქ გაუცვინია აზერბაიჯანელი პოეტი სალიმ ბაბულაოლი, რომელიც გაცნობისთანავე ჩაეძიება: ხომ არ დაკვირვებხარ, მზე საიდან ამოდის, მე ცუდი ორიენტაცია მაქვსო.

ეს გაოგნებული დაუზუსტებს აღმოსავლეთს, თუმც ვერ აუხსნია თანამოსაუბრის ეს უცნაური სურვილი. საიდუმლო კი მეორე დღეს უნდა ამოიხსნას: თურმე რამაზანი დაწყებული და სალიმი მთელს ღამეს ლოცულობდა აღმოსავლეთისაკენ პირშექცეული.

შესავალი სტატია სწორედ ამ შეკითხვითა დასათაურებული: „მზე საიდან ამოდის?“ – და განზოგადებულია ორი ქვეყნის სამწერლო ცხოვრების დაახლოების გზების ძიებით.

იმ ვრცელი, მძაფრი დრამატული განცდებით აღსავსე ლექსის მიხედვით – „მეცხრე წაწილი“ – რომლის თარგმანითაც იხსნება აზერბაიჯანული ლიტერატურის ეს საჭაშნიკო რკალი, სალიმ ბაბულაოლი საგულისხმო პოეტი მოჩანს, საერთოდ კი, ამ მასალების მიხედვით, პოეტები უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე პროზაიკოსები, თუმც ამის ირგვლივ მსჯელობა რეცენზენტს უფრო შეეფერება, მე კი ერთადერთ დეტალს გამოვარჩევ, რომელმაც განსაკუთრებით ამაფორიაქა და გამახარა.

თეირან ალიშანი იმ ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიის („ხარაბათის ეპოქის პროზა“) შთაბეჭდილებით საკმაოდ დაკვირვებულ, უდავოდ პროფესიონალ მკვლევარად და ესთეტიკად წარმოგვიდგება, თვალის ერთი გადავლევით რომ შეუძლია მშობლიური პროზის თავისებურებანი შეგავარძნობინოს. ხარაბათის ხანა, სხვათა შორის, იდიომური გამოთქმისა და გულისხმობის გარდასულის, ძველის დაცემისა და სიახლის მოლოდინის, და ხასიათდება დაცემის ეპოქის ყველა ნიშნით.

სწორედ ხარაბათის ხანას დაუკავშირებდა არეულ-დარეულობას აზერბაიჯანულ მწერლობაში, როდესაც ირგვლივ ყოველივე საზოგადოებრივი, სულიერი თუ პიროვნული თავზე ჩამოექცათ, რაც მანამდე გააჩნდათ, გაცამტვერდა, ისინი კი მანაც ხარობდნენ და აღტაცებულნი შეჰყურებდნენ მომავალს, ახალ პერსპექტივებსა და მოსალოდნელ ცვლილებებს.

ამ მხატვრულ-საზოგადოებრივ მოვლენას ანალიტიკურად შეისწავლიდა და გაიაზრებდა იმ ას წერილში, რომელთაც თანმიმდევრობით გამოაქვეყნებდა 90-იანი წლების პრესაში: ვახეთი „პრეს-ფაქტი“, 1995-97 წლები, კრიტიკული ციკლის საერთო სახელწოდებაა „ლიტერატურული საუბრები“.

შეუძლებელია არ გაგაოცოს ამ სასხვათაშორისოდ აღნიშნულმა დეტალმა:

სამ წელიწადში ასი სტატია.

გაგაოცოს არა იმდენად ხელხვაიანობით, არამედ სამწერლო ატმოსფეროს უჩვეულო შემწყნარებლობით – ამისათვის თეირან ალიშანის წინააღმდეგ არ წამოწყებულა ჯგეროსხული ლაშქრობა და არ განუდევნიათ სალიტერატურო ცხოვრებიდან. თავისი საქმე გაუგრძელებია, ზედიზედ გამოუცია რამდენიმე წიგნი და სადოქტორო დისერტაციაც გაუმზადებია XX საუკუნის აზერბაიჯანული პროზის პოეტიკის შესახებ.

სამ წელიწადში იმის ნახევარსაც ვერ ვაქვეყნებ, რაც ჩემი თაობის აზერბაიჯანელ კრიტიკოსს და ლიტერატურის მკვლევარს მოუხერხებია, და იმ მოკრძალებულ პუბლიკაციებსაც კინაღამ გადამაყოლეს, სულაც დანაშაულად შემოიფასეს და პოლიტიკური სარჩულიც კი გამოუძებნეს, რათა როგორმე ალექვეთათ ჩემი კრიტიკული თუ ესეისტური გამოსვლები პრესის ფურცლებზე.

სამ წელიწადში ასი სტატია რომ დამებეჭდა, ჩვენს ცნობილ მწერალთა რისხვას უკვე ნამდვილად ვეღარ გადავურჩებოდი.

და როგორ არ გამახაროს და ამაფორიაქოს ალიშანის წერილის ამ პასაჟმა.

ბოლოსდაბოლოს, სადღაც კი არა, ქვეყნიერების დასალიერში, აგერ ამიერკავკასიაშიც არსებობს ქალაქი, სადაც ლიტერატურული პროცესების კვლევისათვის ყველა ერთსულოვნად არ შეიკვრის შენს წინააღმდეგ და ჩაქოლვას არ მოგიწოდებ. ამზადებ ახალ-ახალ ლიტერატურულ ნარკვევებს და... აგრძელებ არსებობას, სუნთქვას, წერას...

არა ოცნებაში, არამედ რეალობაში. თურმე არსებობს ასეთი ქალაქიც, მაინც არსებობს, თუნდ ხარაბათის ეპოქაც ედგათ, დაცემის ხანის ყველა ნიშნით აღბეჭდილი.

„ჩვენს ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ“

გიორგი ლობჯინიძის მცირე სტატია „როცა ზაჰრა ტირის“ („ჩვენი მწერლობა“, 2006, №1) აგებულია იმ ერთ ფრაზაზე, რომელიც თანამედროვე ირანელი მწერალი ქალის ფათანე ჰაჯ სეიდ ჯავადის რომანში „ნაბახუსევის განთიადი“ გაიქცა და ჩვენს თავმოყვარეობას ელამუნება: პატარძლის მამის ბებია საქართველოდან ყოფილა, ქართველების სილამაზე კიდევ, მოგეხსენებათ, საყოველთაოდ ცნობილია, მათ ხომ მომწვანო თვალები აქვთო.

სტატიის ავტორისათვის მხოლოდ ის კი არ არის სასიამოვნო, რომ მწერალი ასე აფასებს ჩვენი ერის გარეგნულ ღირსებას, არამედ ისიც, რომ წიგნი მეტად პოპულარულია ირანში, 26-ჯერ არის გამოცემული, და ეს თითქოსდა უჩინარი ფრაზა უამრავ მკითხველს მოხვდებოდა თვალში.

ამ ფონზე ძალდაუტანებლად გახსენდება თანამედროვე თურქი მწერლის ჰალდუნ თანერის რჩეული ნოველებისა და პიესის კრებული „ანვიმდა სტამბოლს“, ლია ჩლაიძის მიერ ჩინებულად ამეტიყველებული ქართულად და „კავკასიური სახლის“ მიერ გამოტანილი მკითხველის სამსჯავროზე. ეს წიგნი 1971 წლის გამოცემის განმეორებაა საკმაოდ შევსებული სახით, და მოკლე წინათქმამი მწერალი მაშინაც და ახლაც ასე მიმართავს ჩვენს მკითხველს:

„ჩემი მოთხრობების ქართულ ენაზე თარგმნას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს – ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენ. ჩვენს ოჯახში უფროსები ქართულად ლაპარაკობდნენ, ხშირად აწვდენდნენ ხმას საქართველოს, იცავდნენ ქართულ ადათ-წესებს“.

და კიდევ:

„შარჰან, როცა პირველად ჩამოვედი საქართველოში, უცნაური გრძნობა დამეუფლა: თითქოს ადრეც ვყოფილიყავი აქ. ქართველი ერი, ქართული ყოფა, ქართული მუსიკა ახლობლად ვცანი. საქართველოს ბუნება, მისი ჰავა ძალიან მშობლიური მეჩვენა“.

იქვე თავმდაბლურად (და არა ეჭვით) აღნიშნავდა: არ ვიცი, ქართველები ახლოს მიიტანენ თუ არა ჩემს ნაწარმოებებსო, და გულითად მადლობას უძღვნიდა თავის პირველ მეკვლეს ლია ჩლაიძეს დაკარგულ სამშობლოსთან ხელახალი შეხვედრისათვის.

წინათქმას ამ ფრაზით აბოლოვებდა: ქართულ ენაზე გამოსული ჩემი პირველი წიგნი ყოფილიყო ქართველი მკითხველებისადმი პირველი მეგობრული წერილი, რომლითაც თვითეულ მათგანს კეთილ სურვილებს ვუთვლით.

შესავალ სტატიაში მთარგმნელი გვიზუსტებს, რომ თანერის წინაპრები თავდგირიძეები ყოფილან – ქობულეთელი ბეგები. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გადასულან თურქეთში და იქაც მაღალი მდგომარეობისათვის მიუღწევიათო.

თან კვლავ ქართულად რომ ლაპარაკობდნენ ოჯახში და ქართულად ადათ-წესებსაც იცავდნენ?!

ამიტომაც იყო, რომ მოსკოვში მიწვევით მყოფი ჰალდუნ თანერი ხელიდან არ გაუშვებდა შემთხვევას და ორი დღით თბილისსაც ესტუმრებოდა.

თანაც ხუმრობდა თურმე:

– ჩემი წინაპრების მამულების დასაბრუნებლად ჩამოვედიო.

სხვაგვარი შეხვედრა გემართებდა ევროპული რანგის მწერალთან, რომელიც ასე მონდომებულიყო განწყვეტილი ძაფების გამრთელებას, თუმც დრო გახლდათ ისეთი, რომ ძაფები ასე იოლად ველარ შეიკვროდა.

მისმა წიგნმაც ამიტომაც ჩაიარა უღიმღამოდ.

დღეს მაინც ნუ გამოგვრჩება ამ კრებულის გამორჩეული მნიშვნელობა და მიეუჩინოთ ის ადგილი ჩვენს ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რისი ღირსიცაა ჰალდუნ თანერის ღმილითა და სევდით გაჟღენთილი ნოველები და კომედია „ქემანელი ალის დესთანო“, რომელიც იქნებ ქართულ სცენასაც დაშვენდეს.

ასე მაინც დავაბრუნებინოთ ისტორიული მამულები ქობულეთელ თავდგირიძეთა შთამომავალს.



კულუარები

ხშირად გვსმენია: წვერებიანი ანეკდოტით.

ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, მაინც რომელი ხუმრობა შეიძლება იყოს ქვეყნად ყველაზე უძველესი?

როგორც ჩანს, თანამედროვე მეცნიერება მზადაა გვაზიაროს ამ ამოუხსნელ საიდუმლოს!

ასე რომ, ავეცოთ ფარდის კალთა.

ყველაზე მეტად გამოქვაბულის ადამიანს ამხიარულებდა ის თანატომელი, რომელიც ქვას ფეხს წამოკრავდა! ანუ – ყველა ის სასაირო დაცემა, კომედიებსა თუ სხვა გასართობ წარ-

ხუმრობა – სამყაროსაპირ კველი

მოდგენებში რომ ვხედავთ, სხვა არაფერია, თუ არა დაუსრულებელი განმეორება ხუმრობისა, რომელიც... 4 მილიონი წლისაა.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ არქეოლოგები, რომელთაც გამოქვაბულებსა თუ უძველეს ადამიანთა სადგომებში არაერთხელ აღმოუჩინიათ ეს სახალისო გამოსახულება.

იმასაც დავძენთ, რომ 4 მილიონი წლის წინათ ჩვეულებრივი სიცილი ჯერ ბუნებაში არ არსებობდა. ჩვენს წინაპართა ხარხარი ბურღულუნსა თუ ხრიალ-ხრიალს უფრო მოგაგონებდათ.

უბრალოდ გადამწერი პარ

*

საუბარი
გუბრა მორჩანაშვილთან



ნებიან მკითხველს, თქვენიანად და თანამდგომად რომ გეგულებათ. ანუ, იცით, ვისთვის წერთ, ვინ არის თქვენი მკითხველი. მომავალში კი არ იგულებთ იდეალურ მკითხველს, არამედ ის აქვეა, თქვენს გვერდით დგას. გამხსნევეთ, გითანაგრძნობთ და კვალში ჩამდგარი მოგყვებათ. იქნებ ეს თემა უფრო გავშალოთ. ვინ არის მწერლისთვის მკითხველი?

- ბატონო გურამ, თქვენი ახალი რომანი „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა პოლივუდი“ ქართულ მწერლობაში თავისებური და უცნაური ნოვაცი-აა. თვითონ მუდამ სტილურ სიახლეთა მაძიებელი შემოქმედი - პოეტი ვახტანგ ჯავახიძე „თავისუფალი პროზის“ წარმატებას სწორედ თქვენს სახელს და, კერძოდ, ბოლო რომანებს უკავშირებს. ჩვენც ამით დავინწყით. ვისაუბროთ ახალ სტილზე, უჩვეულო ფორმებზე, უკიდურესობამდე მისულ თხრობის მანერაზე, რომელსაც, ალბათ, ექსპერიმენტულად შეიძლება ვუწოდოთ. რამ განაპირობა თხრობის ასეთი უცნაურობა?

- მგონი, ზოგი გავანაწყენე კიდევ, ერთხელ ავანგარდზე რომ ჩამოვარდა სიტყვა. ხელოვნების ყველა დარგში, განა მხოლოდ ლიტერატურაში, დაუჩემებიათ: ავანგარდისტი ვართო. ესე იგი, მონინავეები არიან!.. მაშ, მაგათი თქმით, ვაჟა და დანტე ყოფილან ჩამორჩენილები?!

მე არაფერს ვიჩემებ. ჩემთვის აღმოვიჩინე და გადავწყვიტე, კუთხური სიტყვებით ამეგო თხრობა. აქ დიალექტი-მეთქი, არ ვიტყვი!.. დიალექტი და დიალექტიზმი ჰქონდეს მატერიალიზმს; იმიტომ, რომ არ არსებობს სიტყვა, ქართული შესატყვისი არ მოედებნებოდეს, თუ არ ჩავთვლით: ტროლეიბუსს, ავტობუსს, ენგელსსა და მისთანებს. . . ჰოდა, ეს ჩვენი მშობლიური კუთხურობა მოვიშველიე, რომ თხრობა ყალბი არ გამოსულიყო. როგორ შეიძლება ზესტაფონელმა, იმერელმა ისე არ ილაპარაკოს, როგორც ლაპარაკობს.

როგორ არა აქვთ, აქვთ, დავით კლდიაშვილს, ეგნატე ნინოშვილს, ბევრი აქვთ კუთხური სიტყვა, ჩაურთავენ იმერულ და გურულ მეტყველებას... განსაკუთრებით დავით კლდიაშვილს შესაშური სიტყვათქმნადობა ახასიათებს, მაგრამ მე ჩემთვის აღმოვიჩინე და მთელი წიგნი, თავიდან ბოლო ასოც გვერდამდე, ასე ავაგე. ჩემი გივია და ომარა გატაცებულები არიან მდარე ამერიკული ფილმების ყურებით. იმით, რაც ჩვენ ასე უბოდიშოდ თავზე გადაგვავარეს და ყოვლად მიუღებელია. ამ ორი ზესტაფონელის ამბის მოთხრობით მინდოდა მეჩვენებინა, როგორ მივლენ ისინი იქამდე, რომ სწორ გზას დაადგინენ.

თხრობა გადახუნძლულია ხუმრობებით, მაგრამ ბოლომდე თუ ჩავა კაცი, ნახავს, სწორ გზას როგორ იპოვის ადამიანი; როგორ შეიძლება იქამდე მისვლა.

ჩვენდა სამწუხაროდ და სავეალალოდ, როგორც ჩანს, ეს გზა უნდა გავვეკო.

ჩვენი პოეზიისა და საგალობლების პატრონებს, ჩვენი წინაპრების შთამომავლებს, ეს ყველაფერი რაში გვჭირდება?!

ეტყობა, სახადივით უნდა მოვიხადოთ...

- მწერალში შემოქმედებით მუხტს მკითხველი აღვივებს, ძალას მატებს. ამას ადასტურებს თქვენი მიძღვნა, რომელიც რომანისთვის მიგიწერიათ. კონკრეტულად ბატონ კახა ჯამბურას მიმართავთ, ჩინებულ ლიტერატორს და გემო-

- ყველაფერი იქიდან

ინწყება, რომ საკუთარ თავს მე თვითონ ჯერ მკითხველად მივიჩნევ და მერე გადამწერად. არასოდეს არ მითქვამს, მწერალი ვარ-მეთქი. მე ვარ გადამწერი. ისევე, როგორც კომპოზიტორი არის გადამმღერებელი და მხატვარი -გადამხატვავი. ერთადერთი შემოქმედი არის სულიწმინდა. სიტყვა იყო პირველითგან და სიტყვიდან გამომდინარეა ყოველგვარი შემოქმედება.

კახა ჯამბურია ჩემთვის ის ადამიანი, რომელსაც ვენდობი. ვენდობი კიდევ ცოტა სიტყვაა. მშობლიურ ნიადაგზე ვინც დგას და მყარად დგას, ის არის სანდო კაცი. მას ხშირად მივმართავ თხრობისას. იცით, მე თვითონ მჭირდებოდა თანამდგომი ადამიანი, რომ შემეჩვილა, გამეზიარებინა, რაც მანუხებდა.

ძალიან ძნელი იყო ჩემთვის წერა. კუთხურობა შეიძლება მარილივით გაურთო, მაგრამ აქ ხომ გადახუნძლულია თხრობა და ამ გზაზე კახა მედგა გვერდში და მეხმარებოდა. ძალიან მიჭირდა, თუმცა ვიცოდი, კონკრეტულად ეს ამბავი როგორ დამთავრდებოდა.

ისე არ გამომივიდეს, რომ თავს ვიქებ. კიდევ ერთხელ ვამბობ, მე უბრალოდ გადამწერი ვარ. და თუ რამე კარგად გამოვიდა, ეს იმის წყალობით, რომ შევეცადე, ჩვენი ერისთვის მიმეწოდებინა და მეთქვა ის, რაშიც დარწმუნებული ვარ.

რომანში უცხო პერსონაჟიც ბევრი ურევია. ათქვეფილები არიან ამ ქართველებში. რა ვიცი, ვინ აღარ არის აქ: ეხნატონი და რობინ ჰუდი, ნეფერტიტი და ათასი უცხოელი. სწორი საქციელისკენ შემოსაბრუნებლად დამჭირდა მთელი ეს ჩახლართვები და პუნქტუაციისა თუ ორთოგრაფიის შეცვლაც კი.

- მკითხველთან უშუალო შეხვედრებიც ხშირად გინევთ: ამ ბოლოს ხაშურში იყავით, მანამდე აჭარაში, გურიაში, თბილისზე აღარაფერს ვამბობ. რომ არა ორმხრივი სიყვარული, ამას ვერც მკითხველს აიძულებს ვინმე და ვერც - მწერალს. რითი არის ეს შეხვედრები თქვენთვის მნიშვნელოვანი?

- არ დაგიმალავთ და ძალიან გახარებული ვარ, როგორც გადამწერი. ამაში, დამიჯერეთ, პატივმოყვარეობის ნამცეცი არ ურევია. გახარებული ვარ ადამიანი, რომ ტყუილად არ მიშრომი.

„ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა პოლივუდის“ ნაწყვეტი, ალბათ გახსოვთ, პირველად „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა და, კაცს ეგონებოდა, გადაცდა ჭკუიდანო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნაიკითხეს და მიიღეს.

აქვე მინდა ვთქვა, როგორი გახარებული ვარ, „ჩვენი მწერლობა“ ისევე რომ გამოდის. ეს ჩემი სიამაყე ჟურნალია, რომელშიც ხელოვნების ყველა დარგი შედის და ისეა ყველაფერი გაშუქებული, გვზრდის.

ისე არ მინდა გამომივიდეს, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ-მეთქი, მაგრამ რომელიმე ერს აქვს ასეთი მაგალითი და სადმე მომხდარა, ისეთი რამ, რაც ოდესღაც ჩვენთან მოხდა?! ასი ათასი ქართველი ერთ დღეს დახოცეს იმიტომ, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენა ღვთისმშობლის ხატს? ხომ შეიძლება, რომ იმ ასი ათასიდან ერთი-ორს სხვანაირად ეფიქრა ან მოქცეულიყო, მაგრამ არა! არ არის ეს სიამაყე?! მეჩვენება რამე?! ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, არსად სხვაგან ასე არ მოქცეულან.

არ შეიძლება ეს დაიკარგოს.

თუ რამე ცუდი გვჭირს, სახადივით გვჭირს.

ერთხელ უწმინდესმა მითხრა, სამოცდაათწლიანი შეგუება არ შეიძლება გვეპატიოსო. ეს მითხრა ღრმა მწუხარებით. კანის ცოდვაც კი აწვეს კაცობრიობას და ეს სამოცდაათი წელი იმასთან შედარებით გუშინდელი დღეა.

ვინმე გვაძალბებდა, ერთი-ორი გამოწვევის გარდა, თითქმის ყველა ოჯახში 7 ნომბერს სადღესასწაულო სუფრები რომ იშლებოდა?! სხვას კი არ ვსაყვედურობ! ჩვენი კურსი და ჩვენი კლასი ცხოვრობდა ასე სხვათა მსგავსად.

აუცილებლად გაიხადეს შვილების რუსულ სკოლაში შეყვანა. გვაძალბებდა ვინმე შვილების ფსიქიკის დამახინჯებას? ძალიან კარგი ხალხი ვიცი რუსულსკოლადამთავრებულები და რაღაც მუხრუჭები უჭერენ. არ იყო ეს შეგუება? ცუდის შეგუება დიდი ცოდვაა. ნებისმიერი ადამიანი და მითუმეტეს შემოქმედი შეუგუებელი უნდა იყოს. უკეთესისკენ უნდა მიიღტვოდეს. იმიტომ კი არა, რომ წუწია და ყველაფერს ზევიდან უყურებს! საერთოდ არ მიყვარს ნიჰილისტები და ცინიკოსები. მაგათ ალტრუსიტი და სენტიმენტალური ადამიანი მირჩვენია. სენტიმენტალიზმი გულის ძვრია. ნიჰილისტები და ცინიკოსები ხელმოცარული ხალხია და თავი იმით გამოაქვთ, სხვას რომ გააკრიტიკებენ.

გული კი გაცილებით მეტია, ვიდრე ცივი გონება.

გონება როგორ არ ურევია შესწავლაში, მაგრამ გული არის სანყისი. სხვა ყველაფერი დამხმარე საშუალებაა ღვთისა და სამყაროს შესამეცნებლად.

– ბატონო გურამ, „ლოდი ნასაყდრალში“ განსაკუთრებით იგრძნობა თქვენი რელიგიური სულისკვეთება, სარ-

წმუნობისადმი თქვენი ღრმა დამოკიდებულება. მგონი, რელიგიურსა და სარწმუნოებრივ თემას გამუდმებით უტრიალებთ. ამ კუთხით რაზე მუშაობთ?

– ატლანტიდაზე მინდოდა დამენერა. მაშინ ბიბლიაში წაკითხული არ მქონდა წარღვნაზე და ახლა მივადექი ნოეს კიდობანს. რატომ არ გადარჩნენ სხვები და რამ გადარჩინა ნოე?

იცით, რომ სასწაულები ხდებოდა და კიდობანის სანახავად ექსპედიციებს რაღაც ძალა არ უშვებდა არარატზე. არადა, ევერესტზე ადიან და იქ ვერ ადიოდნენ. ახლა მთაში ჩაჭედული ისევ გამოაჩინა ღმერთმა. ყველაფერი ბიბლიური ზღაპრები ეგონათ, არადა, ბიბლიაში ყოველი მისხალი ზუსტად არის ნათქვამი, სინამდვილის შესატყვისია.

ჩემი ოცნებაა, უდიდესი მოკრძალებით „გადმოვინერო“ ამდენი ხნის ნაფიქრი. ჯერ კიდევ თვრამეტი წლისა რომ ვიყავი, იქიდან მომყვება ეს სურვილი.

რამდენიმე თავიც რომ მოვასწრო, იქ ნოეს უკვე შეეტყო, რამ დააყენა სწორ გზაზე და ამას მერე უკვე კარგი მკითხველი გაიგებს და შეაფასებს. მკითხველი, რომელიც მართლა მგონია, რომ „გადამწერზე“, ანუ ჩემზე მეტია. ამას თავმდაბლობით არ ვამბობ.

ძმები კეჟერაძეები რომ არიან, იმათ გაგახსენებთ. ლიტერატურა რომელსაც უყვარს, იმას ეუბნება სხვა ძმა, რა გააჭირე საქმე, შენ თუ მკითხველი ხარ, ხარ კატაო და მწერალმა რაღა თქვას, ის ვეფხვიაო. ეს ძმა გახედავს და პასუხობს, კი ბატონო, ვიყო მე კატა და მწერალი ვეფხვი. სამაგიეროდ, ვეფხვზე ამბობენ, კატის ოჯახიდან არის და კატაზე არავის არ უთქვამს, ვეფხვის ოჯახისაა.

ისე, ხელოვანი თუ ჩათვლის, რომ რაღაცას მიაღწია, იმის საქმე დამთავრებულია.

ყოველი ნაწარმოების დაწყებისას ასე მგონია, რომ პირველად ვწერ.

ესაუბრა
თამარ ღონდაძე

კულუარები

სამი ქალის
ერთობლივი
რომანი

ამერიკისა და ევროპის საინფორმაციო სააგენტოთა ცნობით, სამმა ამერიკელმა ქალბატონმა – დანიელა კუპერმა, მაშა ჰამილტონმა და ჯუდი რაიან ჰენდრიქსმა ერთმანეთი ერთი წლის წინ მწერალთა ერთ-ერთ შეკრებაზე შემთხვევით გაიცნეს და ერთობლივი რომანის დაწერა გადაწყვიტეს. სამივე ქალბატონი ორმოცდაათს გადაცილებულია და მანამდე სხვა პროფესიისა ბრძანდებოდა: დანიელა – პურის საცობში მუშაობდა, ჯუდი რაიანი – სამხედრო კორესპონდენტი, ხოლო მაშა ჰამილტონი ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელი იყო.

რომანის წერა მათ შარშან შემოდგომაზე დაიწყეს და წინასაახალწლოდ წიგნდაც გამოცემეს.

დანიელა კუპერის თქმით, როგორც წესი, მწერლები ერთობლივად არასდროს მუშაობენ და ინდივიდუალურ შრომას ამჯობინებენ. ჩვენი აქციით კი გვინდოდა მათთვის პროფესიული სოლიდარობის მაგალითი მიგვეცაო.

ჯუდი რაიან ჰენდრიქსი დასძენს: სავლელ კორესპონდენტი პროფესიული ვალდებულებიდან გამომდინარე, მოვლენების გულგრილ დამკვირვებლად რჩება, რომანში კი ის გამოცდილება, რაც ჟურნალისტის ამპლუაში დავაგროვე, თითქოს საკუთარ თავზე განვიცადე და სხვანაირად გავისიგრძეგანე. ახლა, ახლო აღმოსავლეთში რომ დავბრუნდები, სამხედრო ოპერაციათა მიმდინარეობის დეტალებზე მეტად, იქაური ადამიანების ბედისწერით დავინტერესდებიო.

სააგენტოთა ცნობით, თუ წიგნის გაყიდვის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამი აქტიური ქალბატონის მცდელობას ამაოდ არ ჩაუვლია და რომანი შესაძლოა ამ წლის ბესტსელერადაც იქცეს.

ჩვენი აზრით კი მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ სამხედრო ჟურნალისტი თავის გვერდით ადამიანებს დაინახავს.

ლიტერატურასაც აბა სხვა რა მისია აკისრია ამ ცოდვამაღლიან წუთისოფელში?

ლაშა იმედაშვილი

პუკლვნი ქალეხს, ჩემთან მწყრალეხს

ეს ამბავი იმ დროის შვილია, როდესაც ჩვენი სამშობლო, ჯერ კიდევ არ იყო უნარ-ჩვევების ქვეყანა და ავად თუ კარგად, ტრადიციების ერთგული გახლდათ.

პრისტავი იოსებ წინამძღვაროვი, ახლო წარსულსა და შორეულ მომავალში წინამძღვრიშვილი, ამ ბოლო დროს სამსახურში სიარულს გულს ვეღარ უდებდა. ერთი საათით თუ არა, ორმოცი წუთით მაინც აგვიანებდა პოლიციაში მისვლას. ამის გამო რამდენჯერმე საყვედურიც კი შეხვდა უფროსისგან, ალექსანდრე ბელიკისგან, რომელიც, როგორც ადვილი მისახვედრია, რუსი გახლდათ და უხემ სლავურ სიტყვებს მთელი სიგრძე სიგანითა და სიზუსტით ხმარობდა. ერთი – ორჯერ საქმეც კი წახდა. დაგვიანების გამო რამდენიმე დამნაშავე გაიქცა, რამაც უფროსების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია და ახალიცა და ძველიც, სწორედ რომ იოსებ წინამძღვაროვს დაბრალდა. თავად პრისტავს ამგვარი საყვედური უსამართლოდ მიაჩნდა, რადგან თვლიდა, რომ სამსახურში, ანუ პოლიციაში, ბევრი საქმე არც არაფერი ჰქონდა. რამდენიმე წერილმანი ქურდობა, ძირითადად სურსათ – სანოვაგისა, ერთი – ორი მუშტიკრივი და სამეზობლო დავა, ეგ იყო და ეგ. ქურდს მალევე პოულობდნენ, მეზობლებსა თუ მოჩხუბრებს არიგებდნენ და ყველაფერი ძველებურად მიედინებოდა, ესე რომ, თბილისი, სხვაზე მეტად, წყნარ ქალაქად რჩებოდა, რითაც სამართლიანად ამაყობდა კიდევ. ამ სიამაყის საფუძველს ისიც ამყარებდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქალაქში მხოლოდ ერთი მკვლელობა მოხდა და ისიც მალევე გაიხსნა აგენტურისა და თავად მკვლელის დახმარებით.

საქმე ასე ყოფილა: შეგირდ გიორგი მეთეფშიშვილს, თავისი მასწავლებლისთვის, ხარაზ მიხეილ ველიაშვილისთვის, სასამართლოში უჩივლია, ექსპლუატაციას მიწევსო, ანუ უზომოდ ბევრ რამეს მავალეხსო. თავიდანვე გასაკვირი გახლდათ შეგირდის საქციელი, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მას სხვებზე კარგად უნდა სცოდნოდ რა გზაც უნდა გაევილო, რათა ოსტატის სახელი მოეპოვებინა, მშობლებმაც ხომ ამისთვის მიაბარეს სასწავლებლად. ჯერ შეგირდი იქნებოდა, მერე ქარგალი გახდებოდა. შეგირდობის დროს სხვა ბევრი წვრილმანი დავალების შესრულებაც უწევდა, ოსტატს ხელზე ემსახურებოდა, სადილს ეზიდებოდა, სამუშაო ადგილსა თუ დუქანს ჰკვიდა და არც ჯამაგირი ეძლეოდა. ასე გრძელდებოდა ხუთი წლის მანძილზე. მერე დადგებოდა ქარგლობის დრო. ხელოსანი კაცს აფრენდა და დამკვირვებლებს მოიწვევდა: უსტაბაშს, ალსაკალს, აგითაშს და ამქრის რამდენიმე წევრს. ისინიც შეგირდის ნახელავს შეამონებდნენ და საკუთარ დასკვნას

სახალხოდ გამოაცხადებდნენ, აქედან ერთი ნაბიჯილა რჩებოდა სილის გარტყამამდე, ანუ ოსტატობამდე. ამ შემორტყამასაც, როგორც სხვა ყველაფერს, თავისი წესი ჰქონდა. უსტაბაში დასალოცად გამზადებულ მომავალ ხელოსანს ორივე ხელის ცერს დაუჭერდა და სამჯერ მაგრად შემოულანუნებდა. ჭირვარამ გამოვლილი



ქარგლები ამ გამოცდასაც მედგრად იტანდნენ, რათა დარჩენილი ცხოვრება თავის ჭკუაზე ევლოთ და ვერცხლის ქამარი წელზე შემოერთყათ.

რისი ბრალი იყო მეთეფშიშვილის ახირება პრისტავისთვის ძნელი ამოსაცნობი გახლდათ, მაგრამ ამ გზის გავლაზე შეგირდმა უარი განაცხადა და სასამართლოს მიმართა იმ მიზეზთა გამო, რომელიც ერთხელ უკვე ითქვა. მართალია განსახილველი საქმე მარტივი გახლდათ, მაგრამ მსაჯულებს ერთი – ორი დღე მაინც მოუწოდებიათ განაჩენის გამოტანისთვის. გიორგი ველიაშვილს თავის შეგირდისთვის გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა. ოსტატს სამარხი კასის, იგივე ვერცხლის ქამრის გარდა, არაფერი გააჩნდა და იმის გაყიდვა მოუწია. ამის მერე სულ აღრენილი დაიარებოდა და ხელსაყრელ დროს ელოდა. ერთ დღესაც ყოფილ შეგირდს გიორგი მეთეფშიშვილს ჩაუსაფრდა და მამაპაპისეული ბებუთით სამოცდახუთი ჭრილობა მიაყენა. ახირებული შეგირდი ადგილზე გარდაიცვალა, ანუ მოკვდა, ანუ ჩაძალდა, როგორც ველიაშვილი დაკითხვაზე ხშირად იმეორებდა.

მართლაც მაგიური ძალა ჰქონია ამ ქამარს, თითქმის ჯადოსნური, მიუხედავად მისი წონისა, ოსტატები წამითაც არ იცილებდნენ წელიდან სამარხ კასას. მისი დაკარგვა ცუდის ნიშანი იყო, გაყიდვა – უკანასკნელი საქმე. იოსებ წინამძღვაროვს ბევრი ზარტული მოთამაშე უნახავს, ყომარის გამგორებელი, რომელსაც ყველაფერი ნაუგია დანინკლულ ძვალ – კამათელთან: ფული, ქუდი, ქურქი, ახალუხი, ჩექმები, გასაკვირია, მაგრამ შარვალიც კი, თუმცა ვერცხლის ქამრისთვის ხელი არ უხლია და საცვლებზე შემოჭერილი სამარხი კასით დაბრუნებულა შინ, ამიტომაც წინამძღვაროვი, გულის სიღრმეში ამართლებდა კიდევ მიხეილ ველიაშვილს, რომელსაც სათაყვანებელი ნივთი, რომელიც მკვლელობის მიზეზი შეიქნა, ძალით გააყიდინეს. ასეა თუ ისე, პრისტავმა ეს რთული საქმე მაინც გამოიძია და, როგორც უკვე ითქვა, აგენტურისა და თავად მკვლელის

დახმარებით მალევე გახსნა. თუმცა უფროსებისგან, მადლობის მაგივრად, კვლავ საყვედური მიიღო დაგვიანებისთვის, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ რუსულ ენაზე.

ვისაც სამსახურში ერთხელ მაინც დაუგვიანია, ისიც კარგად იცის, რომ დამგვიანებელს მიზეზი არ დაუღწევია: დალილობა, დარდი, ავადმყოფობა, უძილობა, სხვა საქმე, მოულოდნელი შეფერხება და ბევრი სხვა, თუმცა არც ერთი მათგანი არ იქნება სწორი და არც სხვა დანარჩენი მართალი. პრისტავს საკუთარი და ყველასგან განსხვავებული მიზეზი ჰქონდა: წინამძღვაროვი შვილს ათხოვებდა, საყვარელ ტასიკოს, რომელიც უდებოდ გაზარდა და, ბევრი წვალების მიუხედავად მაინც გზაზე დააყენა. მართალია, ტასიკოს მთლად ახალგაზრდას ვერ დაარქმევდა ადამიანი და მახინჯი თუ არა, შეუხედავი მაინც ეთქმოდა, მაგრამ ხეირიანი მზითვის დახმარებით ამ საქმესაც მოეგვებოდა. გამორჩეულად კიდეც დალხინებული ცხოვრების მოყვარული, პოლონელი ებრაელი, ვლადისლავ ემერიხი, ქართულის უზადო მცოდნე, შეიძლება ითქვას, თითქმის გაქართველებული, რომელსაც პოლონური მხოლოდ სახელია შემორჩენოდა და პრისტავი სიხარულითა და მოფერებით, როგორც მომავალ სიძესა და შვილს, ვალიკოს ეძახდა. ვლადისლავის, იგივე ვალიკოს ოჯახი, ერთ დროს, დაახლოებით ოციოდე წლის წინათ, მდიდარი, გავლენიანი და შეძლებული გახლდათ. თავიდან ქვის მთლები ყოფილან, მერე საქმე აუნყვიათ, რუსეთიდანაც დაუნყიათ ხარისხიანი ქვის შემოტანა და მალე თბილისის საფლავთა უმრავლესობას მათ მიერ გამოჭრილი ქვა და წარწერა ამშვენებდა. მოგვიანებით ვალიკოს მამას კომპანიონი შემოკვდომია ეჭვიანობის ნიადაგზე, ხალხში გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ეს ჭორები მთლად უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო. ვალიკო მაშინ ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობდა, თუმცა ამ შემთხვევის გამო განათლების მიღება ვეღარ შეძლო, მაგრამ ქართული ლექსისა და ზოგადად ლიტერატურის სიყვარული ბოლო დრომდე შემორჩა. მამა გააციმბირეს და მოგვიანებით კატორღაში ტანჯვა წამებით ამოხდა სული. დედა დარდმა გაახმო და ისიც მეუღლის კვალს გაჰყვა. ვლადისლავი მარტო დარჩა, ასაკის გამო საქმეს ვეღარ გაუძღვა, დაქირავებული მუშები თუ კეთილის მსურველები გამუდმებით ატყუებდნენ და თავი მაშინლა დაანებეს, როდესაც სახსრები ამოეწურა და ერთი ნესტიანი ოთახი შემორჩა ხიდის ქუჩაზე, მშრალ ხიდთან, სასტუმრო „ევროპის“ სიახლოვეს.

ასეთმა კაცმა ამოირჩია პრისტავის ქალიშვილი, რომელიც, როგორც ცნობილია, არც წარმომავლობითა და არც გარეგნობით არ გამოირჩეოდა, მხოლოდ ეგაა, ბევრ სხვაზე მეტი მზითვის პატრონი გახლდათ.

რადგან პრისტავის ჯამაგირი, თავის გამოკვების გარდა, სხვა რამის საშუალებას არ იძლეოდა, იოსებ წინამძღვაროვი ყველაფერს იკლებდა, კაპიკს კაპიკზე ადებდა, რათა ქალიშვილის მზითვისთვის რამე წაემატებინა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, სისხამ დილით, ბაირალის დაშვებამდე სანოვავის საყიდლად თავად დაიარებოდა, რათა მოგვიანებით იმავეში ორმაგი თუ სამმაგი არ გადაეხადა.

სავაჭრო ცენტრად თათრის მოედანი ითვლებოდა. რას არ ნახავდა აქ ადამიანი, რას არ წააწყდებოდა, რას არ გასინჯავდა.

შორგალოდან, მარნეულიდან, დურნიკიდან: ფქვილი და ხორბალი.

ყარაიაზიდან: ბრინჯი.

ზაქათალადან: ლეკური მსხალი.

შხოილდან: ყველი.

თუშეთიდან, ყარაბაღიდან: ცხვარი, მატყლი, ერბო.

ჰამამლიდან: კვერცხი.

ჯალალოლიდან, მანგლისიდან: კარტოფილი.

ლამბალუდან: კარაქი.

ყულფიდან, ალზევანიდან: მარილი.

ბორჩალოდან: ბოსტნეულობა.

მოედნის შუაგულში ყაფანი იყო გამართული, იგივე დიდი სასწორი. ჩამოტანილი საქონელი ჯერ ქალაქის მაცხოვრებლებს უნდა შეეძინათ, ხოლო ბაირალის დაშვების შემდეგ ალბე – მიცემობაში ქორვაჭრები ერთვებოდნენ. დაკვირვებული თბილისელის თვალი ხშირად წააწყდებოდა იოსებ წინამძღვაროვს, რომელიც ვაჭრობას არ თაკილობდა და რამდენიმე კაპიკის გამო არც კამათს ერიდებოდა, თუმცა, იმავდროულად, არც პროფესიას ივინყებდა, ცალი ყური მაინც ხალხისკენ ჰქონდა და თბილისურ ენას ხარბად ისრუტავდა.

ეს იყო ქალაქური ენა გაზავებული არაბულ – სპარსულით, რუსულით, სომხურითა და ქართულით, ვერც ერთი ერი ვეღარ მიიჩნევდა ამ ენას თავის საკუთრებად. პრისტავს უყვარდა ეს ჯიშინი სიტყვები, თბილისური გამოთქმა და ბგერათა ხმოვანება, თუმცა გული კი სწყდებოდა, რომ ნელ – ნელ ესეც მახინჯდებოდა და დავინყების ხავსით იბურებოდა.

ყარაჩოლელი მის შენარჩუნებას უიმედოდ ცდილობდა.

კინტოს მისი სამარადჟამო დამარხვა ედო გულში.

კინტო დროს შეგუებული ადამიანია, გაქსუებული, თახსირი, ვაჟკაცობა არ შეხებია, ხმაც ხმელი აქვს, სიარული დამტვრეული და ოკრო – ბოკრო. აცვია ჩითის პერანგი, რომელსაც შესაკრავი გვერდით აქვს, მარცხენა მხარეს, საყელოზე ოთხი ლილი აკერია, მაგრამ საკინძე მუდამ გაღეღილი აქვს, წვრილ ფეხებს უმოსავს განიერი შარვალი, იმდენად განიერი, რომ მის ტოტებს ფოთლებივით შრიალი გააქვთ, თავს უმშვენებს კაზიროკიანი შლაპა, კანჭებს უქუსლო ჩუსტები, გულზე ძენკვიანი საათი ჰკიდია, ნელზე წვრილი ვერცხლის ქამარი აქვს შემორტყმული, რომელშიც ჩვეულებრივი ხელსახოცი უფრიალებს.

ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს, რომ პრისტავ იოსებ წინამძღვაროვს კინტო არ უყვარდა და, აქედან გამომდინარე, არც პატივს სცემდა, მეტიც, ეზიზღებოდა კიდეც, მაგრამ საქმის გამო თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა მათთან, რადგან კინტოები, ქალური ბუნებისა თუ მიხვრა – მოხვრიდან გამომდინარე, შეუცვლელი მსმენელი იყვნენ სხვისი საუბრისა და ასევე შეუცვლელი ენის მიმტან – მომტანები გახლდნენ.

სულ სხვაა ყარაჩოლელი.

დარბაისელი, გულმართალი, პატიოსანი, წარმოსადეჟი, მხარბეჭიანი, ბრგე, ეს სხვაობა სამოსშიც აისახა. ყარაჩოღელს შავი შალის ჩოხა ჰმოსავს, გრძელი კალთით, მოკლე ნაოჭით, ჩოხის ნაპირებზე მოვლებულია ბუზმენტის ბრტყელი ზოლი, შიგნიდან აცვია წითელი, აბრეშუმის, გულამოჭრილი პერანგი, შავი ატლასის ახალუხი, შარვალი მასაც განიერი აქვს, ფეხებს უმშვენებს ყაფალიანი ნალები, სამკაულიც ჰქონდათ, ვერცხლის ქამარი, ქამარში მწვანე ბაღდადი, გალიბანდის ქუდი, წელში ვერცხლი ჩიბუხი და ქისა წეკოთი.

ყარაჩოღელის მუსიკა დუდუკია.
კინტოსი არღანი.

ყარაჩოღელი მღეროდა: გამიფრინდა სიხარულის ფრინველი . . .

კინტო მღერის: არღანჩიკო დაუკარ, ფაიტონჩიკო გარეკე . . .

ყარაჩოღელი შეჰღალადებს თავის სატრფოს: შენ არზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა, მანათობლად აღმომხდარი, გულნარა . . .

კინტო საკუთარ ოჯახსაც არ ეპუება: ჩემი ცოლი ანანა, ხან მწყალობს და ხან არა . . .

მოკლედ დრო წინ მიჰქროდა და თბილისის ნამუსს უკან სწევდა. ძალიანაც რომ მოენდომებინა პრისტავს მაინც ვერაფერს გახდებოდა ამ უთანასწორო ბრძოლაში, ისევ სჯობდა საკუთარი ქალიშვილის მზითვისთვის მიეხედა.

აი, ისიც: ქათიბი ხავერდისა, კაბა ყვავილოვანი ატლასისა, გულისპირი ოქრომკედით ნაკერი, ოქროს ბეჭედი ზურმუხტისა, შალი, ბოხჩა დარაიასი, ნახევარი დუჟინი ბაღდადის ხელსახოცი, სამი იუპუკა, ერთი მერდინის პერანგი თავისი ალერსით, აბანოს პერანგი თავისივე ხელსახოცით, ჩულქი, ბაშმაკი, წყვილი კალოში, წინ დასადგმელი სარკე, პოდნოსის სკივრი,, აბანოს შიფანერკა, კარაკოშკის ოთხი ფარდა, მდივანოვის ქართული კალენდარი, აბანოს ფეხის აგური, ოთხი გასამთლული შიბაქი, მურაბის ტაშტი, ქარვის დიდი კრიალოსანი, ყვითელი ცოცხი ქუთაისისა, ორი ხელი ლოგინი, ორი ხალიჩა თავისი დასაბერტყი კეტებით, სარეცხის თოკი თავისი შპილკებით.

მართლაც შთამბეჭდავი სია გამოვიდა, თუმცა წინამძღვაროვს, როგორც მოსიყვარულე მშობელს, ქალიშვილისთვის მეტი უნდოდა და, რადგან ქორწილამდე რამდენიმე თვე კიდევ ჰქონდა დარჩენილი, მზითვის შეესებასაც აპირებდა.

თუნდაც ასე: სათამაშო ჭადრაკი, ნარდი, განჯაფა და სხვა წვრილ – წვრილი სათამაშოები.

ანდა ასე: ვეფხისტყაოსანი დახატული, ლეილმიჯნუნიანი, უსუფზილიხანიანი, საამიანი.

ეს კი ნამდვილად სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა: პირსახოცი, ვერცხლის საბანოვე დიდი ჯამი, საბანოვე ტაშტი, სათბობი თუნგი, ქვაბი.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ ყველაფრის წყნარად თუ მალულად გადაკითხვას, ანგარიშს, ანონ – დაწონვასა და ფიქრს გვარიათი დრო ესაჭიროებოდა, რის გამოც პრისტავი წინამძღვაროვს გამუდმებით უწევდა სამსახურში დათქმულ საათზე გვიან გამოცხადება.

დღესაც ასე იქნება.

მაგრამ დღეს აბანოს დღეა და მკაცრი უფროსი საყვედურისგან თავს შეიკავებს, რადგან ისიც ამ ქალაქის შვილია და აბანოში სიარულს ისევე ეტრფის, როგორც სხვა ყველა. თუმცა წინამძღვაროვი მოგვიანებით მაინც შეივლის სამსახურში, სადაც საქალაქდემი სათუთად გადამალული აგენტურული შეტყობინება ელოდება.

ეს აგენტი, ივან აკლადსკი, რკინიგზის დეპოში ზენკლად მუშაობდა, თუმცა უმეტესწილად სხვა საქმით იყო დაკავებული და ჭორსა თუ მართალს პოლიციაში გოდრით ეზიდებოდა.

„რაც შეეხება მუშებს, მე ვალდებულად ვთვლი გაცნობით, რომ უმეტესი ნაწილი განვითარებული არიან და დიდ ყურადღებას აქცევენ იმპერიის პოლიტიკურ განწყობილებას, იმ გაზეთის ნომრებს, სადაც პოლიტიკურ პროცესებზე წერილებია მოთავებული, პირდაპირ იტაცებენ და არც ფული ენანებათ მათ შესაძენათ“.

ამას მოჰყვებოდა საკმაოდ გრძელი სია:

- ი. დავითაშვილი – დურგალი, მეჩუქურთმე.
- მ. გორდელაძე – საპნის ქარხნის მომუშავე.
- გ. ხეჩუაშვილი – სტამბის მუშა.
- გ. შინატეხილი – მეჩექმე.
- შ. ნავთლულელი – ლითონის ხარატი.
- ნ. ნოშრევანიძე – თერძი.
- ა. ბიჭიაშვილი – მეპაპიროსე.
- დ. ნინოწმინდელი – მჭედელი.
- ე. კირვალიძე – ხელზე მოსამსახურე.
- ს. მაისაშვილი – მზარეული.
- ნ. განჯისკარელი – თუნუქით სახურავების მხურავი.

მართალია, პრისტავი წინამძღვაროვი პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ, რადგან მუშათა ამგვარი ინტერესი მომავალ დანაშაულად ითვლებოდა, ისიც იძულებული იყო, ეს სია ცალკე საქალაქდემი მოეთავსებინა და ყველაფერი, როგორც პოლიციაში ამბობენ, კონტროლზე აეყვანა.

მაგრამ ჯერ აბანო.

აბანო თითქმის ყველას უნახავს, ერთი ჩვეულებრივი რამეა, სადაც ბანაობენ, ტანს ისუფთავებენ და სხეულს ირბილებენ, მაგრამ თბილისში აბანო უფრო მეტი იყო, ვიდრე წყლის უბრალო გადავლება.

რადგან აბანო სასტუმროდაც გამოდგებოდა და ყოველთვის ღია იყო, ათასი ჯურის ხალხი იყრიდა თავს და ბანაობის დროს ამდენივე ამბავი იხლართებოდა, ასე რომ, პრისტავი მუდმივად საქმის კურსში იყო და ბევრი ჩახლართული დანაშაულის გახსნა სწორედ აქედან იღებდა სათავეს.

ყველა ქეიფი ბალებში დანყებული, უეჭველად აბანოში მთავრდებოდა. მოქეიფეს ზურნა მიაცილებდა, მექისენი ძმაბიჭურად ეგებებოდნენ და წინასწარ დაბარებული დალაქი წვერს პარსავდა. ამის მერე იშლებოდა ახალი სუფრა, იწყებოდა ახალი ქეიფი და ითქმებოდა ახალი სადღეგრძელო.

დაახლოებით ასეთი:

ეს გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც ეხლა ჩვენს წინ ჩავლით, ჩვენს ავს ნახავს, ნავა და კარგს ილაპარაკებს.

თუნდაც ასეთი:

ესეც ღმერთმა აცოცხლოს ის მთვარე, რომელიც ძალიან კაშკაშებს, ჩვენისთანა ბოლინო ხალხს გზას უჩვენებს და ეუბნება, მუდრეგ, აქეთ გაიარე, იქით ხრამია და არ ჩავარდეთ.

ამგვარი კი საერთო მხიარულებასა და ჟრიამულს იწვევდა ხოლმე, რომელსაც დიდხანს არ ენერა დასრულებდა.

ბიჭებო, შეითნებო, ვთქვათ, ორი მტრედია და ეს ორი მტრედი ორ ხეზე ზის, უნდათ ერთმანეთთან გადაფრენა, ალერსი, მაგრამ ვერ ახერხებენ, ამ დროს ამოვარდება ქარი, ხის ტოტებს ერთმანეთს მიახეთქებს და მტრედებსაც შეახვედრებს, გაუმარჯოს ჩვენს ძმას ფირუზას და იმის დანიშნულს სალომეს.

ამას მოჰყვებოდა ლაზათიანი სიმღერა.

ტიტლიკანა მოქიფეებს უცნაური პირის გემო ჰქონდათ, არაფერი ზედმეტი, არაფერი დამამძიმებელი: გამხმარი ქართული პური, ყველი, გოგირდის წყალგადავლებული და, რა თქმა უნდა, ღვინო.

პრისტავ ნინამძღვაროვს არც ამგვარი ქეიფი მოსწონდა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქართული ადათ-წესით, მუშტი – კრივით მთავრდებოდა, და არც ასეთი სადღეგრძელოები იტაცებდა, რადგან მათში ბავშვურ მიაშიტიობას ხედავდა და პრიმიტიულ სიბრძნეს გრძნობდა. იოსებ ნინამძღვაროვი, სამსახურის საქმეებს თუ არ ჩავთვლით, აბანოში ქისის ხათრით, უფრო კი სიყვარულით დაიარებოდა. მას მოსწონდა თეთრი ქაფისა და ცივი ქვის სამყარო, წყლის მოყვარულთა თავყრილობა და მექისე, უცხვირო ალის ღონიერი შეძახილი, რომელსაც უცხვირობა ხელს არ უშლიდა, რათა საკუთარი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა. მოკლედ, ნინამძღვაროვი, როგორც ბევრი მისნაირი, დარწმუნებული გახლდათ, რომ აბანო, ქისის გარეშე, იგივე იყო, რაც პირველი საქორწინლო ღამე უპატაროდლოდ.

პრისტავის ამ ფიქრსა და იმავდროულად ოცნებაში ის ადგილიც გამოჩნდა, სადაც კრივი უნდა გამართულიყო. დრო იყო, პრისტავსაც ეხერხებოდა მარჯვედ ხელის მოქნევა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, ნინამძღვაროვიც ახალგაზრდა გახლდათ და მტკვარიც მოკრივეთა თაბუნს ორ ნაწილად ჰყოფდა.

კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრით იწყებოდა, შემდეგ ჭაბუკნი ერთვებოდნენ, ბოლოს კი ეშხში შესული და გამოცდილი ფალავნები ნამდვილ კრივს მართავდნენ. თხუთმეტ წუთში ყველაფერი მთავრდებოდა და კრივის ბედიც გადაწყვეტილი იყო. მაგრამ დამარცხებულს უჭირდა სირცხვილთან შეგუება, ამიტომაც იშველიებდნენ მოზრდილ ქვებს, აგურის ნატეხებს, ხის ნაჭრებს და ჩხუბში გამოსადეგ სხვა ათასგვარ ნივთს. ამის გამო ხშირად იმსხვრეოდა იქვე განლაგებული სახლების ფანჯრები, აივნები თუ შუშაბანდები, ბევრჯერ უდანაშაულო მაყურებელიც დაზარალებულა, რომელთა შორის მაღალი თანამდებობის პირებიც გამოერეოდნენ ხოლმე.

თუ თბილისელებს დაეჯერებათ, ამის გამო და ალბათ უფრო იმის გამო, რომ ბოლო კრივი სამასი კაცი დაჭრილა, ხოლო ხუთი დაღუპულა, იმპერატორს კრივი აუკრძალავს და სხვა ორი, მუშტი – კრივი და ხრიდოლი, გვარიანად შეუზღუდავს.

„კრივს ნება მიეცეს ქალაქის გარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტის გარდა სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს. კრივს თვალყური უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ნება ეძლევა შეაჩეროს კრივი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი გახურდებიან“.

რა თქმა უნდა, ეს ბრძანება პრისტავ ნინამძღვაროვსაც წაკითხული ჰქონდა, ახლა სწორედ მისი აღსრულებისათვის მიემართებოდა აბას – აბადის მოედნისკენ, საიდანაც უკვე ისმოდა აივნებზე შეფენილი ხალხის ყიჟინა, რაც კრივის დაწყების მაუწყებელი გახლდათ.

მოკრივენი უქუდოდ, მკერდ – გალელინი, ჩოხის კალთებ – აკეცილინი და ხშირად ფეხშიშველნი იბრძოდნენ. ჯერ ერთი მოკრივე შემოჰკრავდა მუშტს, თუ მონინალმდევე ისეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, რომ ამ ერთი მოქნეულით ნაბარბაცდებოდა, მაშინ მეორე მუშტსაც შემოჰკრავდნენ მისაშველებლად, რათა ნონასწორობა დაეცვა და ფეხზე წამომდგარიყო.

იოსებ ნინამძღვაროვს, ასაკიდან გამომდინარე, უფრო მეტად კი თბილისს, იმავე მიზეზით, ბევრი სახელოვანი მოკრივე ახსოვდა. მაგალითად, დანგარ სოლომონა, რომელიც თურმე დაჩოქილი კრივობდა და, როგორც ამბობდნენ, ცხენის ნალს შიშველი ხელით ჰღუნავდა. ანდა, ქაჩალი სტეფანე, რომელიც აივნიდან ჩამოგდებულ აგურს თავს ახვედრებდა და ნატეხებად შლიდა. ამათ გარდა სხვებიც ყოფილან: ლორკოლა, გამხდარი სიმონა, მეჩანგლე ლოპიანა, მთანმინდელი კომშუა, დაბალი ლოხოშა, სხვები და სხვები, თუმცა ისეთებიც მრავლად იყვნენ, რომლებსაც გულზე შავი ქვა ესვენათ და ამ ქვაზე ამოტვიფრული ლექსით სალდათსკი კრივის მანკიერ მხარეებს ახსენებდნენ ჩხუბით გახალისებულ საზოგადოებას.

გულში ქვა მომხვდა, მეცა ზარები, თავს დამეხვივნენ ტოლნი ჯარები, ჩამომატარეს ციხის კარები, საწყალ დედაჩემს შერჩეს გონება, ყველამ მაღირსეთ თითო ცხონება.

ამგვარ ლექსებს და კიდევ უფრო გულსაკლავსაც, მრავალს ნახავდა თბილისელი და ქალაქის სტუმარი კრწანისისა თუ სხვა სასაფლაოზე.

საფლავები დროზე ადრე რომ არ მომრავლებულიყო, ამაზე იოსებ ნინამძღვაროვს უნდა ეზრუნა. მოკრივეები პრისტავისა და მისი ქვეშევრდომების მკაცრ მზერას გრძნობდნენ და ქვებს ძველებური მონდომებით ველარ ხმარობდნენ. რჩებოდა მხოლოდ მცირე ტრავმები: დაბეჭილი გვერდები, დაღურჯებული თვალები, დასისხლიანებული ცხვირები და აქა – იქ ჩამოყრილი კბილები, რაც ამგვარი შერკინების დროს ბუნებრივი და დასაშვებიც კი გახლდათ. ამის გამო, კრივი ძველზე უფრო ადრე მთავრდებოდა, დამარცხებული ზემო უბნე-

ლები მტკვარზე ჩადიდნენ, რათა სისხლი ჩამოებანათ და იარები მოეშუშებინათ.

პრისტავი წინამძღვაროვი მაყურებლებთან შორიახლოს იდგა და მტკვრისკენ მიმავალ მოკრივეებს თვალს ადევნებდა, რომლებსაც საკუთარი დაბეგვილი მეგობრები წყლისკენ მიჰყავდათ და თან, მათ გასამხნევებლად, იმედიან შეძახილებსაც არ იშურებდნენ. ყველასთვის მოულოდნელად გამარჯვების ყიჟინა სწრაფადვე გადაიზარდა გაკვირვებისა თუ სინანულის ვაი – ვიშა და მითქმა – მოთქმაში.

იოსებ წინამძღვაროვმა გზა გაიკვლია, წრე გაარღვია და ჩაჩოქილ მოკრივეებს თავზე წამოადგა. გაცეცხის მიზეზი მალევე გაირკვა. საბანაოდ ჩასულ ფიდუა მენაბდიშვილსა და ესტატიე ჭიბეროვს მიცვალებული აღმოეჩინათ. დამხრჩვალნი ერთ – ერთ მათგანს ფეხზე გასდებია და თავისი ადგილსამყოფელი ასე გაუთქვამს. მართალია, ვაჟკაც მოკრივეებს სიმხდალეს ვერავინ დასწამებდა, მაგრამ ადამიანურ ბუნებას გადაუძალავს და ორივენი ხმაურითა და ხელების ქნევით ამოვარდნილან ნაპირზე. ამის მერე წყალში ივანე არუთინოვი და გიგოლა კარაკაზოვი ჩასულან, მიცვალებულისთვის ხელი ჩაუვლიათ და მშრალზე ამოუთრევიათ. იოსებ წინამძღვაროვი სწორედ ამ დროს გამოეჩინა. წყალსა და ქვეშ პირნათლად მოეხადათ საკუთარი ვალი, რის გამოც მიცვალებულს სახის ნაკვთები თითქმის აღარ ეტყობოდა, ასე რომ, მისი ამოცნობის იმედი პოლიციას თავიდანვე გადაეწურა, მაგრამ გარდაცვლილი რომ ქალი გახლდათ, ამის მტკიცება იმთავითვე შესაძლებელი იყო, რადგან მიცვალებულს საცვლების მეტი აღარაფერი შერჩენოდა.

შეკრებილებმა გარდაცვლილს რალაც მიაფარეს და შემდგომი მითითების მისაღებად პრისტავს მიაჩერდნენ. თავის მხრივ წინამძღვაროვი თვალების ცეცებით გარდაცვლილის ასაკის დადგენას ცდილობდა და თითქმის შიშველ ქალს თვალს არ აცილებდა. დამხრჩვალს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი აკლდა, შეხორცების ხარისხით თუ ვიშაჯელებთ, თითი ათიოდე წლის წინათ უნდა დაეკარგა, მერე ხელის ნეკა თითზე ძვირფასი ბეჭედი შერჩენოდა, ოქროს არშიაში ჩასმული მოზრდილი, ცისფერი ქვით. თმაში ჭალარა არ ერია, აქედან გამომდინარე, გარდაცვლილი ოცდაათს გადაცილებული უნდა ყოფილიყო, თუმცა ორმოცამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, და რაც მთავარია, ქალი ქართველი არ უნდა ყოფილიყო, უფრო სწორად თბილისის მაცხოვრებელი. ეს ბოლო დასკვნა მხოლოდ პრისტავის პირად გამოცდილებასა და თვალის სიზუსტეს ეყრდნობოდა, რაც, რა თქმა უნდა, დადასტურებულ ფაქტს არ წარმოადგენდა და შემდგომი კვლევის საგანი გახლდათ.

ზედმეტი მითქმა – მოთქმისა და ჭორების თავიდან ასაცილებლად წინამძღვაროვმა ორი, დაბალი ჩინის პოლიციელი იხმო და მიცვალებულის გადატანა უბრძანა. საბრალო ქალი დალაქ შაჰნეზიდოვის სახელოსნოში დაასვენეს და ექიმი იხმეს.

ექიმმა, ნათან შტოლცმა, პრისტავის პირადი თხოვნით, დრო არ დაზოგა და ქალის გვამი ყურადღებით და-

ათვალიერა. მიცვალებულს ზურგსა და ბეჭებზე კანი გადამძვრალი ჰქონდა, წყალში დახრჩობის ნიშნები არ ეტყობოდა, არ არსებობდა არც კიდურების მოტეხილობები, არც მონამვლის ნიშნები ჩანდა, თუმცა აღმოჩენილ იქნა რამდენიმე სისხლჩაქცევის კვალი, მაგრამ ეს სილურჯე არ შეიძლება ყოფილიყო მიღებული შემთხვევითი დარტყმების შედეგად, გამოცდილ სპეციალისტს ისინი არც გვამურ ლაქებში აერეოდა, რადგან სრულიად სხვა თვისებებს ატარებდნენ, აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრი იყო, რომ გარდაცვალების მიზეზი ასფიქსია გახლდათ, იგივე გაგუდვა, თანაც ძალდატანებითი. მოკლედ, ამ დასკვნით ისე გამოდიოდა, რომ უცნობი ქალი ჯერ დაეხრჩოთ და შემდეგ გადაეგდოთ მტკვარში, და რადგან გარდაცვლილს გაუპატიურების კვალი არ ეტყობოდა, სავარაუდოდ, ამ მკვლელობის მიზეზი ქურდობა უნდა ყოფილიყო. ძვირფასი ბეჭდის ამბავიც მალე გაირკვა, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერც ექიმმა და ვერც პრისტავმა მიცვალებულს თითიდან ბეჭედი ვერ წააძვრეს, ეს ალბათ ვერც ყაჩაღმა თუ ყაჩაღებმა მოახერხეს და სწორედ ამას უნდა დაბრალდეს ამ ნივთის შემთხვევითი გადარჩენა. პრისტავს, როგორც ყველა სხვა გამომძიებელს, ერჩივნა, რომ უცნობი ქალი ბანაობის დროს დამხრჩვალყო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ ჰქონდა და ახლა იმაზე უნდა ეზრუნა, რომ როგორმე გარდაცვლილის წარმომავლობა თუ ვინაობა დაედგინა, ამის შემდეგ კი იქნებ მკვლელისთვისაც მიეგნო, რა თქმა უნდა, თუ ღმერთიც გადამხნედავდა მონყალე თვალთ.

იოსებ წინამძღვაროვის დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ შემთხვევამ თბილისში ბევრი მითქმა – მოთქმა, მეტიც, პანიკური შიშიც კი გამოიწვია. ეს ამბავი გაზეთებმაც აიტაცეს და, როგორც ხდება ხოლმე, ტყუილ – მართალი ერთმანეთში ისე აირია, თვით ეშმაკსაც გაუჭირდებოდა აზრის გამოტანა, უფრო თამამები კი, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიციას უმოქმედებაშიც ადანაშაულებდნენ.

გაზეთი „ჩვენი კვალი“ – „გვატყობინებენ, რომ ადიდებულმა მტკვარმა უცნობი ქალის გვამი გამოიჩინა. მეტად გასაკვირია ასეთი შემთხვევა, რადგან იმ ადგილას მდინარე იმდენად მცირეა, რომ ბავშვებსაც კი მუხლამდე სწვდება“.

გაზეთი „სახალხო საქმე“ – „პოლიციის უმოქმედობა მოქალაქეებში შიშსა ჰბადებს. ამ ბოლო დროს ხეირიანად ვერც ერთი საქმე ვერ გამოიძიეს“.

გაზეთი „მოგზაური“ – „პრისტავ წინამძღვაროვს პირში წყალი ისე ჩაუგუბებია, თითქოს იმ მდინარის თევზი იყოს, რომელშიც ამას წინათ დამხრჩვალნი ეპოვნათ საბანაოდ ჩასულ მოკრივეებს“.

ასეთი და სხვა ამგვარი სათაური პოლიციის ხელმძღვანელებთან ერთად, პრისტავსაც მოსვენებას უკარგავდა, თუმცა საზოგადოების ასეთ გამოხმაურებასა ცუდთან ერთად, კარგიც ახლდა თან: ცუდი ის იყო, რომ ხმაური დამნაშავეს გვარიანად დააფრთხობდა, ამის გამო შეიძლება თბილისიც მიეტოვებინა და დასამალად საქართველოდან შორს გადახვენილიყო. კარგი ის გახლდათ, რომ თვითმხილველი თუ არა, იქნებ გარდაც-

ვლილის ნაცნობი მაინც გამოჩენილიყო, რომელიც გვამს ამოიცნობდა და ამ ჩახლართულ საქმესაც შემდგომი მსვლელობა მიეცემოდა.

ტრაგიკულად დაღუპული პოლკოვნიკის ყოფილმა ცოლმა, ამჟამად კი ქვრივმა, ვარვარა ანდრეევსკაიამ, პრისტავის კაბინეტის კარი შეაღო და ყოველგვარი მორიდების გარეშე, პირდაპირ განაცხადა, რომ გარდაცვლილი, გაზეთებში მოყვანილი აღწერილობით, მის ნაცნობს ჩამოჰგავდა, რომელიც აგერ უკვე მეხუთე დღეა არსად გამოჩენილა. სადალაქოში მისული ვარვარა საკმაოდ მძიმე გუნებაზე დადგა, წაიტირა კიდეც, მაგრამ მაინც უშეცდომოდ ამოიცნო თავისი ნაცნობი, ნორვეგიის მოქალაქე დაგნიუ უელი, რომელიც, როგორც ვარვარას მონათხრობიდან ჩანდა, საქართველოში ორიოდე თვის ჩამოსული გახლდათ და სასტუმრო „ვეროპაში“ ცხოვრობდა, ვარვარა ანდრეევსკაიას მეზობლად. თავად ვარვარამ, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, საკუთარი სახლის არქონის გამო, ბინა იმავე სასტუმროში დაიდო, რომლის ქირასაც სამხედრო უწყება ფარავდა პოლკოვნიკის საქვეყნო დამსახურების გამო. პრისტავ წინამძღვაროვს ქვრივის სიტყვებში ეჭვის შეტანის საბაზი არ გააჩნდა, რადგან მან საკმაო სიზუსტით აღწერა მიცვალებულის გარეგნობა და ისიც დაამატა, რომ შეცდომა გამორიცხული იყო იმის გამო, რომ ნორვეგიელი ქალბატონი შიშველიც არაერთხელ უნახავს თბილისის აბანოში, რომლის ყველა სიკეთე თავადვე აზიარა საქართველოში ჩამოსულ უცხოელ სტუმარს.

ქალებს კვირაში რამდენიმე დღე ჰქონდათ გამოყოფილი, ისინიც ცდილობდნენ, რომ მათი გამგზავრება კაცის თვალს არ დაენახა, ამიტომაც სისხამზე მიდიოდნენ და შებინდებისას ბრუნდებოდნენ უკან. გასარეცხად სარეცხი მიჰქონდათ, შეჰკრავდნენ ყველაფერს ბოლჩაში, აჰკიდებდნენ დუქნის ბიჭს, გაიგდებდნენ წინ და ასეთი ქარავნით მიდიოდნენ აბანოში.

დღე ისე არ ჩაივლიდა, აბანოში შეხლა – შემოხლა არ მომხდარიყო. ჩხუბობდნენ ადგილისთვის, დაუნდობლად ერკინებოდნენ ერთმანეთს ტოლჩებით, ქობინებით, თმებს აგლეჯდნენ, ინყევლებოდნენ, მკვდრებსაც საფლავიდან თხრიდნენ და ცოცხლებსაც ქოქოლას აყრიდნენ. მიუხედავად ამისა, აბანოში მაინც მთელი დღე რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ კიდეც. მზრუნველი ქმარი თავის ცოლს სადილს აბანოში უგზავნიდა, სახელდახელოდ დამზადებულ ბუღლამას, თუმცა ისეთებიც მრავლად იყვნენ, რომლებიც აბაზანის ფილაქანზე ჩამომსხდარნი გემრიელად შეეცქეოდნენ ყველსა და პურს.

მოგვიანებით ჩაის სმა ინყებოდა. ტანთგასახდელ დერეფანში უზარმაზარი სამოვარი იდგა, ჭიქებით, ლამბაქებით და კოვზებით გარშემოწობილი, დედიშობილა დედაკაცები ისხდნენ ამ სამოვრის გარშემო და მთელი დღე ჩაით ლოთობდნენ. მათ თავიანთი აშული ჰყავდათ, გერგეძიშანთ უსინათლო მათა, რომელიც თავისი სიმღერითა თუ ლექსით ართობდა გასაპნულ და ინადადებულ ქალთა მარაქას, დაახლოებით ამის მსგავსად:

**ჩემსავით მწარე ბედი არავის არ რგებია,
ნუ დამძრახავთ, ტოლებო, თავი მომბეზრებია,
აბანოში გამყიდეს, მე არც კი გამგებია,
თურმე ახლა გავიგე ქვეყნის კანონებია.**

ამ და ამდაგვარ ლექსებს, რა თქმა უნდა, თავისი საფუძველი ჰქონდა. ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში. აბანოში საპატარძლოს გასინჯვა წესად იყო, ქალს ყურადღებით ამონმებდნენ, უსინჯავდნენ ჯირკვლებს ილლიის ქვეშ და ჩანასთან, რათა მოგვიანებით, ქმრის ხელში მჭამელად არ გადაქცეულიყო. ხშირად ქალს განზრახ აცინებდნენ, რომ კბილების ოდენობა დაეთვალათ და მოყვანილობა დაენახათ, ლაპარაკის დროს ახლოს მიდიოდნენ იმის გასაგებად, საპატარძლოს პირში სუნი ხომ არ ჰქონდა, ტუჩების ნაპობსაც კი უზომავდნენ და საკუთარი, უტყუარი საზომიც გააჩნდათ: პატარა და ტანმორჩილი ქალი არ ითვლებოდა სარფიან საპატარძლოდ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფერს თავისი ქცევით თავად ქალებიც უწყობდნენ ხელს. ახალი ტანსაცმელი ქალს უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა, საშუალება ეძლეოდა გამოეფინა თავისი ტუალეტი და სამკაულები, სხვებისთვის ეჩვენებინა და ეკეკლუცა. მოკლედ, თბილისის აბანო ცალკე სამყარო იყო, თავისი კანონებითა და განერილი ცხოვრების წესით. ამ რომანტიულ სამფლობელოს ისე მოეხიბლა ჩვენი ნორვეგიელი სტუმარი, რომ ვარვარასთან ერთად, აბანოს ხშირი სტუმარი გამხდარა, რაც აღუნიშნავს კიდეც საკუთარ დღიურებში, ყოველშემთხვევაში, ამას დაჟინებით ამტკიცებდა ვარვარა ანდრეევსკაია, რუსი პოლკოვნიკის ყოფილი ცოლი, ამჟამად კი გულგაპობილი ქვრივი.

დაგნიუ უელის თბილისში ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი პოლკოვნიკის ქვრივისთვის უცნობი გახლდათ, თუმცა ეჭვად ჰქონდა, რომ მისი დაინტერესება ჩვენი ქვეყნით დროებითი ფინანსური პრობლემებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რაც სახელმწიფოს კუთვნილი თანხების, კერძოდ კი ნორვეგიული კრონების, დამალვასა და არამიზნობრივ ხარჯვაში გამოიხატებოდა. ამ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ დაგნიუს მსგავსი მანდილოსნები ვეროპის საზღვრებს იშვიათად ტოვებდნენ და, თუ მაინც ემშვიდობებოდნენ ბებერ კონტინენტს, ამისთვის მათ საფუძვლიანი მიზეზი გააჩნდათ.

ნორვეგიელ ქალბატონს მიაჩნდა, რომ ქალს ღმერთისგან ნაბოძები სიძლიერე გამოუდმებით თან სდევს, ამიტომაც მამაკაცის გვერდით ყოფნა სრულებითაც არ გახლავთ საჭირო, ქალები ისედაც ძლიერნი არიან. თუმცა, ფემინისტური იდეების მიუხედავად, როგორც ყველა, ისიც გამუდმებით ცდილობდა, რომ მამაკაცთა ყურადღება მიექცია. მან პირველმა მოსწია ღიად საზოგადოებაში პაპიროსი, იცვამდა გრძელყელიან, წითელ წინდებს, მოკლე, მწვანე ქვედატანს და ლამაზი ტუჩებით სიგარის ბოლოს გულმოდგინედ ღეჭავდა. მას ეტრფოდა ავგუსტ სტრინდბერგი, ხატავდა ედვარდ მუნკი და პიესებს უდგამდა მორის მეტერლინგი. თუმცა მან ცხოვრების თანამგზავრად ყველას პოლონელი დრამატურგი, სტაჰაუ პრეშპიშევესკი არჩია,

მისთხოვდა კიდევ და შვილებიც გაუჩინა: ზენონი და ევა. პრესპიშევსკი, მხოლოდ მისთვის ნაცნობი ხერხებით, ფულს გვარიანად შოულობდა, მაგრამ სასმელს ეტანებოდა და ასევე გვარიანად ფლანგავდა. ამის გამო, თუ იმ მიზეზის, რომელიც უკვე ითქვა, დაგნიუ თბილისში ჩამოდის და, თუ პოლკოვნიკის ქვრივს დაეჯერება, სახლის შექმნასაც აპირებს ოცდაორ ათას მანეთად, სიონის ეკლესიის მახლობლად. ამ ვერსიას ისიც ამყარებდა, რომ დაგნიუ კვირაში რამდენჯერმე გადიოდა რკინიგზის სადგურზე მატარებლის დასახვედრად, თითქოსდა მეუღლისა და შვილების სახანავად და მათი განზრახვის დასტურად რამდენიმე ათეულ დეპეშას იშველიებდა, სადაც, როგორც წესი, ჩამოსვლის თარიღი ეწერა ხოლმე, რომელიც ასევე ხშირად იცვლებოდა ახალი თარიღით, ოჯახის ჩამობრძანებას კი საშველი არ ეწერა.

მწერალთა თუ მხატვართა ჩამოთვლილი გვარ – სახელი პრისტავ ნინამძღვაროვს მხოლოდ იმას ეუბნებოდა, რომ მკვლელის დაპატიმრებამდე, უფროსების გადამკიდე, წყნარი ძილი არ ეწერა და ტასიკოს ქორნილიც გაურკვეველი ვადით გადაინევდა, რაც იოსებ ნინამძღვაროვს, როგორც მოსიყვარულე მამას, ყველაზე მეტად სტკენდა გულს.

პრისტავმა ხელქვეითებს დაგნიუს ქმართან დეპეშის გაგზავნა დაავალა, თავად კი სასტუმროსკენ გაემართა, რათა გარდაცვლილის ნომერი დაეთვალიერებინა, რადგან, მხოლოდ მისთვის ნაცნობი მიზეზით თუ ინტუიციით, დანაშაულის ადგილად სწორედ სასტუმროს ამ ნომერს თვლიდა, მეტიც, დარწმუნებულიც კი გახლდათ ამაში.

სასტუმროს ნომერში ძალადობის კვალი არ შეიმჩნეოდა, თუმცა დანამდვილებით ვერავინ იტყოდა, ყველა ნივთი ადგილზე იყო თუ არა. ამას ვერც ვარვარა ანდრეევსკიამ მოჰფინა ნათელი და, მისი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა დაგნიუს ქონების შესახებ, რადგან მასთან სტუმრად არასოდეს ყოფილა, სხვისი ფულის თვლა კი არ უყვარდა და ცუდ ტონად მიაჩნდა. მოკლედ, ოთახში თითქოსდა ყველაფერს თავის ადგილი ჰქონდა მიჩენილი, დიასახლისის მზრუნველი ხელიც ეტყობოდა, რაც მოულოდნელ სტუმარს მოჩვენებით შთაბეჭდილებას უქმნიდა: დაგნიუ უელი საცაა აბანოდან დაბრუნდებოდა და საკუთარ დღიურში, რომელიც სანოლის გვერდით ჩვეულებისამებრ ელოდა პატრონს, ახალ შთაბეჭდილებებს შეიტანდა. მხოლოდ ერთი რამ იყო ყველასთვის ნათელი, სახლის შესაძენად გადადებული ოცდაორი ათასი მანეთი არსად ჩანდა.

ნორვეგიელი სტუმრის ადგილსამყოფელის შესწავლა – დათვალიერება ბოლომდე არც კი იყო დასრულებული, რომ პრისტავმა ახალი შეტყობინება მიიღო. მტკვარზე ჩასულ, სასტუმროს მზარეულ გაბისონიას დაგნიუ უელის ტანსაცმელი აღმოეჩინა, რომელიც გულმოდგინედ დაკეცილი იდო ქვიშიან ნაპირზე და ადამიანს იმაზე მიანიშნებდა, რომ ტანსაცმლის პატრონი წყალში საბანაოდ იყო შესული. ნათლად ჩანდა, რომ ტანსაცმელი მკვლელის დალაგებული უნდა ყოფილიყო,

რათა გამოძიება მცდარ კვალზე დაეყენებინა, თუმცა პრისტავისთვის უკვე ცნობილი გახლდათ, რომ უელის გარდაცვალებაში მტკვრის ამღვრეულ წყალსა და შემთხვევითობას, ბედისწერას რომ ეძახიან, ბრალი არ მიუძღოდათ.

იმჟამად, ანუ როგორც ადგილობრივი სომხები ამბობდნენ, იმჟამობით, თბილისისთვის დამახასიათებელი აუტანელი სიცხეების გამო სასტუმროში თითქმის აღარავინ ცხოვრობდა, ხოლო რამდენიმე სიზარმაცით თუ შემთხვევით შემორჩენილმა სტუმარმა მკვლელის შესახებ არაფერი იცოდა. სასტუმროს დათვალიერებამ შედეგი გამოიღო, პრისტავმა სამზარეულოში დასისხლიანებული ჯოხი აღმოაჩინა, რომელსაც სისხლში აზელილი თმებიც ჰქონდა შერჩენილი და რომელიც ძალიან გავდა ნაჯახის ტარს. ამ ფაქტს ერთი შეხედვით მარტივი ახსნა მოუძებნა სასტუმროს მებაღემ. ასე გამოდიოდა, რომ მებაღე მგელაძემ, სასტუმროს მმართველის, დავით ჩხოტუას დავალებით მოუკლავს გაცოფებული ძაღლი, რომელიც ღამით სასტუმროში შემოჭრას და სტუმრებისა თუ მაცხოვრებლების დაკბენას ღამობდა. მგელაძემ ძაღლის საფლავიც მიუთითა, რომელშიც მართლაც აღმოჩნდა საშიში შესახედაობის ქოფაკი, თუმცა დანამდვილებით ვერავინ იტყოდა, ძაღლი ნორვეგიელი ქალბატონის მკვლელობამდე გამოასალმეს სიცოცხლეს თუ მკვლელის შემდეგ.

მართალია, თითქოსდა ყველაფერი გაირკვა, მაგრამ პრისტავმა გადანყვიტა, შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად, დროებით მაინც დაეკავებინა მზარეული გაბისონია, დარაჯი ქორიძე, მებაღე მგელაძე, სასტუმროს მმართველი დავით ჩხოტუა და მათი ალიბი შეემონებინა. ხანმოკლე ძიების შემდეგ დადგინდა, რომ დავით ჩხოტუას ალიბი არ გააჩნდა, თუმცა თავად სასტუმროს მმართველი საქმის ამგვარ შემობრუნებას არ ეთანხმებოდა და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ნორვეგიელი ქალბატონის გაუჩინარების თუ მკვლელობის დროს სრულიად სხვა ადგილას იმყოფებოდა. კერძოდ: დღის მეორე ნახევარში, ანუ საღამოს, პროვიზორ კანდელაკის აფთიაქში უყიდია წამალი, მოგვიანებით გარკვეული ნივთების შესაძენად შეუვლია ჩარუხჩიანცის მაღაზიაში, შემდეგ უსადილია თუ უფახშმია ტრაქტირ „ტიხი გავანში“ და სასტუმროში თერთმეტი საათისთვის დაბრუნებულა. მართალია, ჯერ კიდევ ეჭვმიტანილი დავით ჩხოტუა საკუთარ მონათხრობს დილის ლოცვასავით მონდომებით და დაუზარლად იმეორებდა, მის ნაამბობი მაინც ნაკლებად სანდო ჩანდა, რადგან პროვიზორის თანაშემწემ, მამო ბებუთოვამ ჩხოტუას მისვლა ვერ გაიხსენა, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად იცნობდა, იმის გამო, რომ სასტუმროს მმართველს ჯერ კიდევ სამხედროში შექმნილი ხშირი ხველა ანუხებდა და წამალსაც ასევე ხშირად ყიდულობდა აღნიშნულ აფთიაქში, რა თქმა უნდა, კანონიერად და რეცეპტის შემდეგობით.



ეთერ
თათარაიძე

ქორწილ არვის დარეულ,
უბე-ფარაგაიან –
ზალოე, მზეს ნადარეულ...
ხალხ ნამდვილ არსს დანაბრუნ,
ერთია დღე მტკნარეულ...
ფეფე მაწსონს აფოფორილ,
ძველ ადათით მჭკნარეულ.

* * *

შენ ავად ხარ,
მეაც – სულ
უკუბრუნელად გადამექც...

* * *

კონინ-კონინ-კონინით,
ლოდინ-ლოდინ-ლოდინით,
თმენა-თმენა-თმენით

მომაქვ ჩემ წუთისოფელ
ქანცვა-ჯაფა-ჯაჯანით
თრევა-თრევა-თრევეით...

* * *

დანადუმარ ჭალაებთ,
დაჩუმებულ სოფლებმად
განარინდალ ჯვარისკრებმ
უნდ მიხეთქონ გულ...

ჩქარა გედ, გძელ ზამთაროდ
ჩქარა მოდ, გაზაფხულო,
ჩემ თუშეთის ცოცხლებად
ლონიერ ჩიდგ სულ.

* * *

ქალო, ამინდ გვეცვლების,
აქარდ-გაგვიწვიმდებ,
მზეს ღონე აქვის ნალებ,
მკრთალდებ, დაგვიბინდდებ.
გზას ნაპირებ ერღვევის,
თანთან გზაბანრ-წვრილდებ,
ხო გითხარ, ამინდ ირევ,
ქარ დგებ, გაგვიწვიმდებ,
რამდენ კომკად ნაშენ ფიქრ
ჭყრუმად გაგვიწვიმდებ.

* * *

აი, ჩამონამქრული-დ
ზამთრისწინა მთებ,
ლურბლის განამქრალ ფარდაჲ,
აქა-იქ რო წყდებ...
აი, ცხვა გაზახულამდ
მომლოდინე გზებ.

* * *

წვიმა მე მგავ,
მე იმას,
დარდით ღლილებ
ვტირივართ.

* * *

ხან ბენვის ჯიდს გამკიდებ,
ხან გზა-ბანრებს ამახვევ,
თავს ხან მქრქალ სხივთ მაფევად
ხან ჭექე-ელვ-დელგმთ დამახვევ.

მაჩქანჩქალებ, მაცხროებ,
უცბად ფითრ კვართს გამახვევ,
შენ ზნე-ხასიეთს ნატარს
ბოლოს მინას ჩამახვევ.

* * *

ჭექევა-ელვით განახაზ,
გულგანაფიტ ცაჲ,
ქარებ გულში ჩანახვევ,
ანაზვირთალ ზღვაჲ,
კდე-წვიმების დანარეცხ,
განაჯავრალ ფხაჲ,
სიდამ განავარდნალა
პირცოფ მეხის ხმაჲ,
ეხიზდ შენაფარალა
ძერა-ყორანთ ფთაჲ.

* * *

ფეფე მაწსონს აფოფორილ,
დადიოდის მთვარეულ,
ძველის-ძველის მიმდევარ,
ახალ იმიზდ მხალეულ.
„– პატარზალ შინ ვერ შემოვ,
ადათ ანაცხავეულ,
უბიანებ უნ ეცვას,
პირს ჩადრ ანაფარეულ“.
თქვაად ასრულ დანაქადნ,

* * *

ფიქრზე ერთგულ არაფერ
არ გუჩენავ უფალს,
ფიქრით ცა-მყარს შემოფრენ,
იმედს მიხვევ მფუთავს,
ფიქრით სამზეოს გავლევ,
ვისთანაც გულს უხარს,
ვისთანაც გინდ, ჭერს იჭერ,
გიჟიკუიკებ ბუხარს,
ვისთანაც გინდ, ლამაზად
სოფელს გავლევ, უქარს...
ფიქრზე ერთგულ არაფერ
არ გუჩენავ უფალს.

* * *

ხელუხლებლად ვაბარებ
შენდ ოცნებას, იცოდ,
ამ ხნის ნად-ნადენაში
ხან იდარ, ხან ითოვ.

სულბერვაში ვაბერებ
შენდ ოცნებას, იცოდ.

* * *

მანდილიან ქალა ზის
ანაპერწკლარ წყაროსთან,
ჟანტ კართობლის თეფა ხერი
პირდაღებულ ხაროსთან.
ფლოქვის ნაჯაბრ ხმა ღრიავ
ლამესთან, უმთვაროსთან,
მზის მშვიდ არილ ხვიავის
ყვავილს, მდგარს, უმქავროს თან.

მანდილიან ქალა ზის
ანაჩქეფარ წყაროსთან.

* * *

გწყალობდეს თავ, – მომედინ
წყაროგორის გორითაჲ,
თეფად დადგმულს ხუმფელ ახჯდ
საალუდე ფორითაჲ.
ერთ მნიფესაც თვალნ ვხკიდენ
შენაჭვრეთალ ჟოლითაჲ,
პურის სურნელ ჭკვას აღრევს
ხმიადიან ხონითაჲ.
უღალოდ ღლილ ჩამოლოდ
ჯიანჭველა სტომითაჲ,
წყალობა ნუ გემულებათ, –
ხმაჲ უმტეროს სწორითაჲ...

ანაჟრიალ მთა-წვერით
დახილ ველეებ-გორითაჲ.

* * *

ამინდ ცალკედ, ტკივილ ცალკ,
ორივ არევ-დარეულ,
ხვალიზდ ნანატრალ ამბებ
ნათქვეფ, შიგში გარეულ
გულ დუმცხრალად ნაკანკალ,
გადალეულ-მთვარეულ,
ზოგიზდ რაიდ ზოგიზდ რა
ნუთისოფელ მთავრეულ.

* * *

შენდაც თვალუნვდენელი-დ
ჩემდ უფრ შორად დამრჩალ,
შენდ მზე დანანატრალიდ
ჩემდ მთვარე ნისლთ დამხრჩვალ.
შენდ ცხენ-ბილიკ ნანატრიდ
ჩემდ ჯეგ სურათ გამცვდარ,
ერთისიც ვერ ჳმალებაჲ,
გმინ არცერთის დამცდარ...
უდმალაად ღიმშლილთაჲ
ორთივ გულეებ გამსქდარ.

* * *

ამაფრინა-დ დამაფრინ,
კავკასია გადავლილ
ჩემ თუშეთამ ჩამაფრინ,
ხან მქრქალ ნისლი-დ
ხან ჟინჟლი-დ
ხან თბილ სხივად გამაფინ.
სათოვარ ამინდ მიყვან,
მე მთელ ზამთარ იქ რჩომად
თეთრ ფანტელად დამაფინ.
გაზაფხულ სურნელმბნევეარ
ფერად ბუბუნაებად
სერებს ამაფ-ჩამაფინ.

* * *

მეაც ამინდს ველოდებ,
რაგვერც იის ფესვებ,
ანად საგაზაფხულოდ
ყანებ გძლად ნათესებ...

გაზაფხულის ლოდინში
მწყვეტი თვალეებ-მყესებ...

* * *

სისვ გუმბათ ჩინს კლდისუბნის
წმინდა გიორგისაჲ,
გულსაც ათასფერ ფიქრი,
ხან რა, ხან რაისაჲ.

ბეთლემ, სიონ, ანჩისხატ,
ჯვრისმამა, დიდ ხნისაჲ.
სამებაჲ, ნარიყალა, მეტეხ-
გვირგვინ მტკვრისაჲ.
გახედულ მამადავით,
ქაშვეთ, ფუძერვლისაჲ,

ხმანმიდად მღვრელ ზარები,
სულს სიმშვიდის შლისაჲ...

* * *

მოლით მოსილ ბექ-ბუქებ,
ბუბუნაებ მცქერეულ,
ლურჯ კაბადონს მინაკემს
თხელ ნისლ ანანქრეულ.
ყორეს მინაგდებარ ჯოხ,
უდარდელად ჭკდეულ,
შუას ნაქუჩ სტუმრების
მღერა ანაზდეულ.
შორს განახაზ ბილიკზე
თეთრ ცხენ გამოქცეულ,
მზე მოცინარ ლურჯ ცითაჲ,
პირთავქე ჩამონცხრეულ.

* * *

წვიმამ შენაც გისველა
ნასვისარა ტაფეებ,
წკაპა-წკუპით აგიმსო
ნატერფალა ხვაფეებ.
თავს თავგზა ანარევეალნ
ყვავნ გიყევა ხაფეებ.

* * *

ჩამოსწკანწკარებალა
საჩხატაის ღარაო?
ჩამოხფარფარებალა
კაბანითელ ქალაო?
ჩამოსწილიკობალა
ტანნამძიმარ ფარაო?
ჩამოსთავთუხდებილა
ოქრორეულ ყანაო?
ჩამოაფტაფდებილა
ჩანაჩუმარ ჭალაო?
მიღრ-მოღრაჩხუნდებილა
აკლდამასთან ქალაო?
მისწრ-მოსწრიალდებილა
ნანვიმარზე ქამაო?
მიშქმოშქრიალებალა
ყუნწმოცვეთილ კარაო?
შეფარფთიალდებილა
თავწილაო, მწკალაო?
დაშქმოშქრიჭინებალა
თვალჭყეც ქილტა-კალაო?

ტანს სწრეხსწვართიაღვა
ფერცრეც ფოთოლ მწვანაო?
ჩამოსჩქლამუნებალა
ლიგმოტ, ვეძა-წყალაო?

* * *

იცი, ხანთხან შემეყრებ
ლექსის მოსვლის საცხროა,
იმ ლექსებისკ წამდინარ,
იმათ მწვერვალს სახდომა.
ხანთხან შარა მყარია-დ
ხან ბილიკებ საცქრომა
ხან ბურჯიან ხიდებ მიძ,
ხან დაკიდულნ საწყდომა.
ხან იმედით ნაცოცხლებ,
ხან ნალამ-ლამ, საკვდომა,
ხანთხან, როცა შემეყრებ
ლექსთდ შეხვედრის საცხროა.

* * *

ბოლო ფოთოლ მოსწყედბოდ
ხვეის პირის არყს,
ნესტ გადახმევდ განაშემ,
დანაფიტარ ყარტს.
ჭერხოთ ჩამონასისინ
ნიაგ მოშლიდ მჭვარტლს,
მძიმედ ცის ქიმს ნახვევარ
ნისლ მზეს დიფენდ ბლანტს.
ვა ჩემ თავსად ქვა ჩემ თავს
უშენოდ ღლილს, მწყრალს.

* * *

გარეე ამოდის მთვარეჲ
გარეე ჯდების უმტეროს,
საგონს გარეე საგონ მაქე
ხელუხლებელ, უმტვეროჲ.

გწყდებოდეს გულ, ეთერო,
არაფერ ხჯდებ უმწერლოდ.

* * *

შენაც შორს გადაეკარგე-დ
მეაც ძალით გავშორდ,
შენაც სიზმრად სუ იქ ხარ,
მეაც ერთ იქ გავფონდ.

ვნახ, შენ წვიმად გადიქცი-დ
მე ფანტელად გავთოვდ,
ორნივ ზედ ჩაველღვიენტ,
ორნივ ვექცენტ სარჩოდ.
წვიმა-თოვლს ერთად რეულს
მთებ მესალტნეს ჩარჩოდ.

პოეზია

* * *

არაფერ მაქვ დასამალ, –
ტრიალ მინდორს ვლგევეარ,
ალაგ ხე-ყვავილ ნაშალს,
ალაგ გუბედ ვდგევეარ.
ალაგ ალა-ბულა შლილ,
ალაგ ყანად ვლეღავ,
ალაგ ჩირთ მონაძალად
ალაგ ბილიკ ვფევეარ.
ალაგ ჳშირ ხილ-ტკმილაი-დ
ალაგ ხრილ ხედ-მხმევეარ,
ზედ ჳშირ წვიმა ჩამოღვერილ,
ტანშრობად მზის მკვლევეარ.

არაფერ მაქვ დასამალ, –
ტრიალ მინდორს ვლგევეარ.

* * *

შენ წახვალ-დ
ზამთარ მოვ-
ავმჭყალიან, ცივ,

ათასჯურა საგონის
გულის სიღრმით
მჭვივ,

ეჭვისაი-დ ბალღამის
უჩერებლად
მღვივ...

შენ რო წახვალ,
ზამთარ მოვ,
უბოლოო, ცივ...

* * *

სუ ვამბობდ, ზამთარ მოავ,
სწუნუნებავ, – ზჯავრდებოდ.
სუ გთხოვდ, არსი წახვიდევ,
მეკარგებოდ – მჯავრდებოდ.

სუ ლულუნა ცეცხლს გინთებდ,
ხყინულდებოდ, მწყრალდებოდ,
ჩაგძახოდ,
ზამთარ მოავ...

პირველი შთაბეჭდილება

გიორგი ლობჯანიძე

„ერთხელ და სამუდგოდ...“

ეთერ თათარაიძის შემოსვლას ქართულ პოეზიაში ლე-
გენდასავით მიყვებოდნენ ჩემი უფროსი მეგობრები. 1978
წელს ფილარმონიაში გამართული ხალხური პოეზიის საღა-
მოს ნამდვილი აღმოჩენა – ახალგაზრდა თუში ქალი მალე
ცნობილი და პოპულარული პოეტი გახდა.

მისი სახელი თავიდან მისმავე დამ – თუშური მელოდიე-
ბის უბადლო შემსრულებელმა და თვითონაც მშვენიერმა
კომპოზიტორმა ლელა თათარაიძემ გაახშიანა. თუმცა მალე
ეთერ თათარაიძის პოპულარობამ იმდენად იმძლავრა, რომ
ვეღარ გარკვევდი, ვინ ვისი და იყო: ლელა ეთეროსი თუ ლე-
ლასი ეთერო. ანუ ხალხმა ეთერ თათარაიძის ლექსებიც ისევე
აიტაცა, როგორც ლელას მელოდიები და, ამ ლექსებში თავი-
სი უკეთესი მისწრაფებები, სურვილები და ვნებანი დაინახა.

როგორ არა, სწობები არც მაშინ დაგვკლებია. ბევრი
ეთერ თათარაიძის ლექსებს მხოლოდ იმიტომ კითხულობ-
და, რომ ფეხი გამოეყო, „მეც ნახირ-ნახირაო“, თორემ ისე,
ჩვეულებრივი სალიტერატურო ქართულით დაწერილისა
რომ ვერაფერი გაეგოთ, თუშურ კილოკავზე შექმნილ ამ
უსათუთეს პოეზიას რაღას გაუგებდნენ?

თუმცა, რასაკვირველია, უფრო მეტი იყო ის ხალხი,
ვინც ადეკვატურად აფასებდა ეთერ თათარაიძის პოეზიას,
ვისთვისაც მისი „თუშური“ ისეთივე ახლობელი და გასაგე-
ბი გახლდათ, როგორც დედაქართულის ნებისმიერი მძლავ-
რი კილოკავი.

ოდნავ უტრირებულად თუ ვიტყვით, ალბათ ცდებიან
ისინი, ვისაც ჰგონია, რომ პოეზიაში მთავარი რომელიმე
ენის გრამატიკული ფორმებია. რაღა თქმა უნდა, ხელოვნე-
ბის „მუნჯი“ დარგებისაგან განსხვავებით, ლექსის აღსაქ-
მელად კონკრეტული ენის ცოდნა აუცილებელი პირობაა,
მაგრამ ენის ცოდნა, ან ენის მატარებლობა სულაც არ იძ-
ლევა იმის გარანტიას, რომ ყველა, ვინც რომელიმე ენაზე
ლაპარაკობს, „უდანაკარგოდ“, სწორად და ძირისძირობამ-
დე გაიგებს ამ ენაზევე შექმნილ პოეზიას. სამაგიეროდ, ვი-
საც ლექსის წვდომის ნიჭი და უნარი აქვს, ვთქვათ, ფრან-
გულის უცოდინრადაც რაღაცნაირად – კანით თუ ალლოთი
– მიხვდება პოლ ელუარის, ვერლენისა თუ ბოდლერის სი-
დიადეს.

ვიცი, ძალიან სახიფათო თემას შევეხე და ჩემმა ოპონენ-
ტებმა შეიძლება წარმატებით დაამკიცონ იმის საპირისპირო,
რასაც მოგახსენებთ, მაგრამ უფრო ნათლად რომ ჩამოვყა-
ლიბო, რისი თქმაც მინდოდა, ჯობს, ბარათაშვილის ერთი სა-
ოცარი სტრიქონი მოვიშველიო: „არსებობს ენა რამ საიდუმ-
ლო უასაკოთაც და უსრულთ შორის და უწინარეს სხვათა
ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“. აი, სწორედ ეს არის
პოეზიის ენა – უასაკოთა ენა, სადაც ყველაფერი ისეთი ახა-
ლია, თითქოს საგნებსა და მოვლენებს სახელი აგერ, ჩვენ
თვალწინ ერქმევა. ბარათაშვილის ამ სტრიქონში სიტყვა
„უასაკოს“ ალბათ ჩვილის, ძუძუთა ბალღის მნიშვნელობა
აქვს, მაგრამ სიტყვაში „ასაკის“ განზიანება და მისი უარყოფა

პირველი შთაბეჭდილება

(უასაკო) ერთ ძალზე არსებით პლასტზედაც მიუთითებს: კერძოდ იმაზე, რომ ამ საიდუმლო ენაზე მოლაპარაკეთა ასაკი განუსაზღვრელია. შეიძლება ადამიანი ოთხმოცდაათი წლის იყოს, მაგრამ უასაკო ყრმასავით სიხარულით, ნდობითა და გულწრფელობით აღიქვამდეს გარემომცველ საგნებსა და მოვლენებს. შეჭყურებდეს და იგემოვნებდეს სამყაროს, რომელიც მარად ახალია, რადგან ყოველდღე ხელახლა იქმნება და იბადება.

ასეთი უასაკონი არიან პოეტები, რომელთაც თითქოს არ ჰყოფნიდეთ იმის ცოდნა, რომ მთვარეს მთვარე ჰქვია, მიწას – მიწა და სიცოცხლეს – სიცოცხლე. სიტყვათა არსში შეღწევას ლამობენ, და ყველა ნამდვილ პოეტს მსჭვალავს თუ ტანჯავს იმისი შეგნება, რომ თვითონ რომ არა, ეს ამოდენა ქვეყნიერება სამუდამოდ სახელმწიფოქმეველი, ანუ გაუგებარი, შეუცნობელი და აღმოუჩენელი დარჩებოდა.

მაინცდამაინც ნუ შეგვაშფოთებს, თუ მითოსის სამანს გადავედით. მითოლოგიის გარეშე ვერაფრით მიგვხვდებით ეთერ თათარაიდის პოეზიას. აქ სიტყვებში, როგორც ნაცარში, ისე შეუნახავს პოეტს თავისი გრძნობების, თავისი მითური ნუხილის ნაღვერდალი. ეს ნუხილიც ტრადიციულია, და გრძნობებიც შეჩვეული. ვის არ ჰყვარებია, ვის არ დაჰკარგვია, ვის არ ამოღამებია თვალები ერთის მოლოდინში. ვინ არ გაუბზარავს სანუთროს უხანობისა და უნდობის განცდას, მაგრამ ფანდურის ყველა სიმი სხვადასხვაგვარად ირხევა და ეთერომ – ეთერ თათარაიდემ თავისი სიმის საკუთრივ მისეული რხევა მოიხელთა. სწორედ ამ რხევის გაშინაგანებით მოაქვს ჩვენამდე ის ნაღველი, რაც იქნებ სხვათაგან თქმული ბანალურ ნუნუნად მოგვეჩვენებოდა, ეთეროსაგან კი მითოსურ გოდებდად მოგვეცემის და იქნებ იმიტომაც, რომ ნელ-ნელა, სხვა ყველაფერთან ერთად, თითებშუა გაცერილი ქვიშასავით მიგვისხლტის და მიგვემქრევა თუშური კილოკავიც...

ნელან ფრანგული პოეზია ვახსენეთ და აქვე აღბათ უპრინაია, მწერალ ნაირა გელაშვილის თვალსაზრისიც დავიმონმო. მას ჩემთან პირად საუბარში სწორედ ეთერ თათარაიდისთან დაკავშირებით არაერთხელ აღუნიშნავს, რომ თავის დროზე გაბრეილა მისტრალს ნობელის პრემია საკუთარ კილოკავზე წერისათვის, ამ კილოკავის გაცოცხლება-შენარჩუნებისათვის მიანიჭეს.

ჩვენ კი ან სნობურად უნდა აღგვიტაცოს ლიტერატურულმა მოდამ ანდა უნდა მოვდგეთ და ქვა ქვაზე არ დავგოვოთ იმისაგან, რასაც გუშინ ლამის ვაღმერთებდით.

ხომ უთქვამს გულქან რაზიკაშვილს თვითონ ეთეროსთვის, ახლა შენ დაგესვიან, ახლა შენ არ მოგასვენებენო. უწინდელში კი თავის მადლიან, სათაყვანო მამას გულისხმობდა.

აღბათ, არ დაჰკლებია ეთერ თათარაიდეს არც მოშურნეთა ქილიკ-ლავავი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მეშურნებმა მას ვერაფერი დააკლეს. დღემდე თავისი სიმის, თავისი კილოკავის ერთგულია და მოთმინებითა თუ თუშური სიჯიუტით არქმევს სახელს სამყაროს, რომელიც უმისოდ სახელმწიფოქმეველი, ანუ აღმოუჩენელი, ანუ უხილავ-დაუფასებელი დარჩებოდა.

თითქოს მოვამთავრე ეს მცირე წინათქმა, მაგრამ კიდევ ერთი ნამცეცი ამომყვა, რისმა უთქმელობაც მერე მოსვენება უნდა დამიკარგოს.

ბარემ აქვე გავიხსენებ:

ამასწინათ, ტელევიზიით ეთერ თათარაიდის გამოსვლა მოვისმინე. რომელიღაც საერთაშორისო კონკურსზე ლელა თათარაიდის სიმღერა კომპოზიტორის დაუსახელებლად, უფრო სწორად, როგორც ხალხური ჰანგი, ისე უმღერიათ. ეთერო ბრაზობდა და სამართლიანადაც: კარგი ბატონო, გგონიათ ხალხური, მაგრამ თუ მღერით, ეგება ჯერ ფოლკლორისა და საავტორო სიმღერის გარჩევა ისწავლოთ და ადამიანის ასეთ დაუფასებლობაზეც ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოთო. ერთხელ და სამუდამოდო კი არა, ზუსტად ასე თქვა – „ერთხელ და სამუდამოდ“. ამ უცნაურად შეკუმშული სიტყვიდან, მისი ამ საოცარი კონფულსიიდან კი ჩემთვის იქვე დაიბადა ახალი სამყარო. სამყარო ეთერ თათარაიდისა, სადაც თუ ვინმე ოდესმე მოხვდება, იქაურობას სწორედ „ერთხელ და სამუდამოდ“ შეიყვარებს...

კულუარები

ფამუქის პროცესი

თითქმის ერთი წლის წინათ, 2005 წლის 6 თებერვალს, შვეიცარული გაზეთის „თეგესანცაიგერისათვის“ მიცემული ინტერვიუ თანამედროვეობის ყველაზე ცნობილ თურქ მწერალს ორჰან ფამუქს ლამის თავისუფლების დაკარგვად დაუჯდა. ჟურნალისტის შეკითხვებზე პასუხისას, ფამუქმა სხვათა შორის აღნიშნა: „თავის დროზე თურქეთში 30 000 ქურთი და 1 მილიონი სომეხი მოკლეს. ამის აღიარება კი დღემდე ვერავის გაუბედავს, მაგრამ მე ახლა ამას ხმამაღლა ვაცხადებ და თურქი ნაციონალისტები ამიტომაც ვერ მიტანენო.“

ორჰან ფამუქის ამ სიტყვებს თურქეთში მძაფრი რეაქცია მოჰყვა და მწერალი, რომელიც შარშან იაშარ ქემალის გვერდით, ნობელის პრემიის ერთ-ერთ კანდიდატად ჰყავდათ წარდგენილი, ამ ქვეყნის გაზეთთა სამიზნედ იქცა. პრესამ ფამუქი გამცემლობასა და სამშობლოს ლალატში დაადანაშაულა. მაგალითად, გაზეთ „ვათანის“ 2005 წლის 11 თებერვლის ნომერში ამ ინციდენტთან დაკავშირებით ასეთი შეკითხვა იყო

დასმული: „განა სიტყვის თავისუფლება გამცემლობის თავისუფლებას ნიშნავს?“

ინციდენტი იმდენად გაღრმავდა, რომ ფამუქს შარშან, 16 სექტემბერს სტამბოლის

სასამართლოს წინაშე წარდგენამ მოუწია. მას, როგორც უპასუხისმგებლო განცხადებათა ავტორსა და სამშობლოს ლალატში შემჩნეულ მოქალაქეს, 6 თვიდან 3 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. თუმცა, საბოლოოდ, თურქეთმა ამჯობინა, მწერალი ასე სამაგალითოდ არ დაესაჯა და მისთვის მხოლოდ საერთო-ეროვნული წყევლა-კრულვა ეკმარებინა.

სააგენტოები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რა კონკრეტული პასუხები გასცა ორჰან ფამუქმა პროკურატურისა და სამართალდამცავთა კონკრეტულ შეკითხვებს. ეს აღბათ, არცაა საინტერესო, უფრო საინტერესოა, რა პასუხს გასცემს მწერალი ორჰან ფამუქი თავის მომავალ წიგნებში სამყაროსავით უძველეს შეკითხვას: რა უფრო მეტია – ერი თუ ჭეშმარიტება და პატიოსანმა ადამიანმა ამ ორიდან რომლის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი...

ვარლამ შალამოვი

ორი ამბავი

ვარლამ შალამოვიმ ჩვიდმეტი წელი გაატარა „არქიპელაგ გულაგის“ ყველაზე სასტიკო კუნძულზე, კოლიმის ნახევარკუნძული რომ ჰქვია. მწერალმა იქაური ცხოვრების ჯოჯოხეთური შთაბეჭდილებანი აქცია დიდ ლიტერატურად.

მაგრამ შალამოვი ისე მოკვდა, რომ ვერ ეღივრა სამშობლოში თავისი მოთხრობების გამოქვეყნებას. გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევსა აინთო მწვანე შუქი შალამოვის პროზისათვის, რომელსაც ავტორი „ახალ პროზას“ უწოდებდა.

დღეს მას რუსული ლიტერატურის მშვენიერად მიიჩნევენ და სიცოცხლეშივე განებივრებული სოლჟენიცინის გვერდით აყენებენ.

შალამოვი თავგამოდებული მედროშეა დოკუმენტური პროზისა. იგი ემტერება მრავალსიტყვიან აღწერილობას, პერსონაჟის გარეგნულ პორტრეტს, პეიზაჟის დანვრილებით ხატვას, „ხასიათის განვითარებას“ (სხვათა შორის, დოკუმენტური პროზა უფრო და უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში).

შალამოვის სიტყვით, დღიურები, მოგზაურის ჩანაწერები, მოგონებანი, სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები ყოველთვის სარგებლობდნენ წარმატებით, მაგრამ ჩვენს დროში მათ მიმართ ინტერესი გაათკეცდა.

შალამოვი წერს: „რომანი მოკვდა და ამქვეყნად ვერავითარი ძალა მკვდრებით ვერ აღადგენს ამ ლიტერატურულ ფორმას. ადამიანებს, რომლებმაც გამოიარეს რევოლუციები, ომები და კონცლაგერები, არაფერი ესაქმებათ რომანთან. გამოგონილი ცხოვრების აღწერა, ხელოვნური კოლიზიები და კონფლიქტები აღიზიანებს მკითხველს“.

შალამოვის მტკიცებით, შეთხზულსა და გამოგონილ ამბავს ადგილი არ უნდა ჰქონდეს პროზაში. მწერალი გვაუწყებს: ჩემს „კოლიმურ მოთხრობებში“ ნებისმიერი ფაქტი სიმართლე არისო.

მაგრამ ზოგჯერ შალამოვის სულში ბელეტრისტი სძლევს სიტყვაძუნ მემატანეს. თვითონ ამბავი, არნახული და გაუგონარი, აიძულებს მწერალს, რომ გასცდეს დოკუმენტურობის ჩარჩოებს. ამ უნებური ცდომილების ჩინებულ ნიმუშად გამოდგება მისი მოთხრობა „უკანასკნელი ბრძოლა მაიორ პუგაჩოვისა“ (ამ მოთხრობის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე – 2003 წ. №20).

საქმე ის გახლავთ, რომ იგივე სიუჟეტი მწერალს უფრო დანურული სახით გამოუყენებია თავის ვრცელ ნარკვევებში „მწვანე პროკურორი“, სადაც გადმოცემულია საბჭოთა კონცლაგერებიდან ილბიანი თუ უილბლო გაქცევების ისტორია. ნარკვევის აღნიშნულ ეპიზოდში, ისევე როგორც ზემონსენებულ მოთხრობაში, აღწერილია უპრეცედენტო მოვლენა – თორმეტი ტუსადის კოლექტიური გაქცევა კოლიმის კონცლაგერიდან, რომელიც, რასაკვირველია, გაქცეულთა დალუპვით მთავრდება.

ამ გაქცევის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი მოთხრობაში გახლავთ მაიორი პუგაჩოვი, დასახელებულ ნარკვევში – პოდპოლკოვნიკი იანოვსკი (ალბათ, ნარკვევს უფრო

უნდა ვენდოთ). გაქცევის მონაწილეთა შორის ვხედავთ ქართველ ტუსადსაც. ნარკვევში ეს არის მფრინავი კობერიძე, მოთხრობაში – ტანკისტი გიორგაძე.

გაქცეულ ტუსადთაგან ათი კაცი წითელი არმიის ნაწილებთან უთანასწორო ბრძოლაში იღუპება, მეთერთმეტე გადაარჩება, მძიმედ დაჭრილს გულმოდგინედ უმკურნალებენ, რათა ფეხზე დააყენონ და... დახვრიტონ.

მეთორმეტეს რაღა დაემართა? სად გაქრა პოდპოლკოვნიკი იანოვსკი ანუ მაიორი პუგაჩოვი?

შალამოვი მთელ ამბავს სწორედ იმ დაჭრილისგან შეიტყობდა, მაგრამ ნარკვევში აღნიშნავს, გაქცევის თავკაცის – პოდპოლკოვნიკ იანოვსკის ბედი სამუდამოდ უცნობი დარჩაო. რამდენიმე თვის განმავლობაში ბეჯითად უძებნიათ. იქაურობას ვერაფრით ვერ გააღწევდა – ყველა გზა და ბილიკი საიმედოდ იყო ბლოკირებული. ნარკვევის ავტორი ასკვნის, ეტყობა, რომელიმე ღრმა გამოქვაბულსა თუ დათვის ბუნაგში დამალულმა თავი მოიკლა და მისი გვამი ტაიგის მხეცებმა შეჭამესო.

და აი, მოთხრობაში მწერალი (მწერალი და არა მემატანე!) აღწერს მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელ წუთებს, რომელთაც კაციშვილი არა ჰყოლია მონმედ. ეს მხოლოდ მწერალს უნდა წარმოედგინა და სასიკვდილოდ განწირული კაცის უკანასკნელ ფიქრებს ჩასწვდომოდა. და შალამოვი იმდენად დამაჯერებლად გადმოგვცემს გაქცეული ტუსადის ნაფიქრალს, რომ ეჭვი შეგუპარება, უჩინარ თვითმხილველად ხომ არ მიყოფებოდა იმ დათვის ბუნაგში და სასწაულებრივი შთაგონებით ხომ არ ესმოდა მაიორ პუგაჩოვის შინაგანი მონოლოგი?

არავითარი ფანტასტიკა, ყოველივე ამას უბრალოდ მწერალური ოსტატობა ჰქვია, რაც უხვად მოსდგამს დოკუმენტური პროზის მედროშესა და პროზაგანდისტს.

აი, ეს საუცხოო ტექსტიც:

„ჩნა გამოქვაბულში და თავისი ცხოვრება აგონდებოდა – ძნელი, მამაკაცური ცხოვრება, ახლა დათვის ბუნაგში რომ მთავრდებოდა. გაიხსენა ადამიანები, ყველანი გაიხსენა, ვისაც პატივს სცემდა და ვინც უყვარდა – დაწყებული მშობელი დედიდან. გაიხსენა თავისი სკოლის მასწავლებელი მარია ივანოვნა, რომელსაც გახუნებული და გაცვეთილი შავი ხავერდით დაფარული ბამბის კოფთა ეცვა ხოლმე. და კიდევ მრავალი, მრავალი ადამიანი გაიხსენა, ვინც ბედმა შეახვედრა ცხოვრების გზაზე.“

მაგრამ ყველაზე უკეთესნი, ყველაზე ღირსეულნი იყვნენ ესენი – მისი თერთმეტი დალუპული ამხანაგი. არავის იმათგან, ვისაც კი იცნობდა, არავის არ გადაუტანია ამდენი გულგატეხილობა, ამდენი მოტყუება, ამდენი სიცრუე და ამ ჩრდილოეთის ჯოჯოხეთში მათ იპოვეს ძალა თავის თავში, რომ მინდობოდნენ პუგაჩოვს და ხელები გაეწვდინათ თავისუფლებისაკენ; და ბრძოლაში დახოცილიყვნენ. ჰო, ესენი იყვნენ საუკეთესონი იმ ადამიანთაგან, თავის ცხოვრებაში რომ უნახავს... მაიორმა პუგაჩოვმა ყველანი გაიხსენა – ერთიმეორის მიყოლებით თერთმეტივე გაიხსენა – და ყოველ მათგანს გაუღიმა. მერე პირში ჩაიდო პისტოლეტის ლულა და თავის სიცოცხლეში უკანასკნელად გაისროლა“.

... ამჯერად ვბეჭდავთ ვარლამ შალამოვის ორ პატარა მოთხრობას. პირველი მათგანი გადმოგვცემს საზოგადოებისგან სამუდამოდ გარიყული კაცისა და ქალის ხანმოკლე სიყვარულს, ხოლო მეორე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ეს უთვალავჯერ თქმული და ხოტბაშესხმული გრძნობა არა მარტო ადამიანებს ამშვენებს, არამედ ჩვენს უმცროს ძმებსაც – ცხოველებსა თუ პირუტყვებს რომ ვეძახით.

მთარგმნელი

კეთროვნები

ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა საავადმყოფოში ჩემს თვალწინ კიდევ ერთი დრამა გათამაშდა; უფრო სწორად – დრამის კვანძი გაიხსნა.

ომმა ცხოვრების ფსკერიდან ამოათრია და დღის სინათლეზე გამოიტანა ისეთი შრეები, ცხოვრების ისეთი ნაფლეთები, რომლებიც ყოველთვის და ყველგან ემალებოდნენ კაშკაშა მზის შუქს. არა, სისხლის სამართლის საქმეებსა თუ იატაკქვეშა წრეებს არ ვგულისხმობ. ეს – სრულიად სხვა რამ არის.

საომარ მოქმედებათა დროს ლეპროზორიუმების დაგმანვა ვიღას ახსოვდა და კეთროვნები შეერივნენ მოსახლეობას. იდუმალი თუ აშკარა ომი გაჩაღდა? ქიმიურს და არქიმედი თუ ბაქტერიოლოგიურს?

კეთრით დასნეულებულნი იოლად ასაღებდნენ თავს ომში დაჭრილებად, ხეიბრებად. ისინი შეერივნენ აღმოსავლეთისკენ გაქცეულთ, დაბრუნდნენ ნამდვილ, თუმცა საშინელ ცხოვრებაში, სადაც მათ ომის მსხვერპლებად, შესაძლოა – გმირებადაც კი მიიჩნევდნენ.

კეთროვნები ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ, ჩვეულებრივად შრომობდნენ. საჭირო იყო ომის დამთავრება, რათა ექიმებს გახსენებოდათ ისინი და ლეპროზორიუმებში არსებული საზარელი კარტოთეკები ხელახლა შეეცხოვრათ.

კეთროვნები ცხოვრობდნენ ადამიანთა შორის, საერთო ჭირსა და ღვინის, უკანდახვევის სიმწარესა თუ გამარჯვების სიხარულს იზიარებდნენ. კეთროვნები მუშაობდნენ ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში. ზოგი მათგანი უფროსის თანამდებობას შოულობდა, ზოგიც – ხელქვეითისას. მხოლოდ ჯარში ვერ ხვდებოდნენ; აბრკოლებდათ თითის ტაკები, რომლებიც ისე ჰგავდა სამხედრო ტრავმებს, რომ ვერც განასხვავებდი. ჰოდა, კეთროვნები თავს ასაღებდნენ ომის ხეიბრებად – ერთეულები მილიონთა შორის.

სერგეი ფედორენკო სანყობის გამგე იყო. ომის ინვალიდად შერაცხული, თავისი ურჩი ნათითარებით მარჯვედ ართმევდა თავს დაკისრებულ საქმეს. ელოდა კარიერა, პარტიბილეთი, მაგრამ ბლომად ფული რომ იგდო ხელთ, სმისა და დროსტარების მორევში გადაეშვა. დააპატიმრეს, გაასამართლეს, საყოფაცხოვრებო სტატიის მიხედვით, ათი წელი მიუსაჯეს და კოლიმის გემთა ერთ-ერთ რეისით ჩამოვიდა მაგადანში.

ფედორენკომ თავისი დიაგნოზი მაშინვე შეცვალა. თუმცა აქაც საკმარისად იყვნენ ხეიბრები ანდა ისინი, საკუთარი ხელით რომ ისახიჩრებდნენ სხეულს, მაგრამ უფრო ხელსაყრელი და მოდური იყო – ფჩინრად შეზავებოდა ხელ-ფეხ მოყინულთა ზღვას.

აი, სწორედ ამ კატეგორიის ავადმყოფად გავიცანი ფედორენკო საავადმყოფოში – შედეგები მესამე-მეოთხე ხარისხის მოყინულობისა, მოუშუშებელი ქრილობა, ტერფის ტაკვი, ორივე ხელის მტევანზე თითის ტაკები.

ფედორენკო მკურნალობდა, მაგრამ უნაყოფოდ, რადგანაც ყოველი ავადმყოფი ხომ ებრძოდა მკურნალობას, როგორც შეეძლო და როგორც ახერხებდა. ფედორენკო მრავალთვიანი ტროფიკული წყლულების შემდეგ გაენერა საავადმყოფოდან და იქ დარჩინის ნადილით სანიტრად

დაინყო მუშაობა. მერე სამასადგილიან ქირურგიულ განყოფილებაში უფროს სანიტრად დანიშნეს. ეს იყო კოლიმის ტუსაღთა ცენტრალური საავადმყოფო – ათასსაწლიანი. ერთ-ერთ სართულზე მინაშენში მოეთავსებინათ საავადმყოფო დაქირავებულ მუშაკთათვის.

ერთხელაც ექიმი, რომელიც ფედორენკოს უვლიდა, ავად გახდა და მის მაგივრად ავადმყოფთა შემოვლა ჩაატარა ძველმა სამხედრო

ექიმმა კრასინსკიმ, ჟიულ ვერნის მოყვარულმა (ნეტავი რატომ?); ეს იყო კაცი, რომელსაც კოლიმის ნახევარკუნძულზე ცხოვრებამ საუბრის, ყბედობისა და მსჯელობის სურვილი ვერ გაუწეა.

ფედორენკოს რომ სინჯავდა, კრასინსკი რალაცამ შეაძრწუნა – ოღონდ თვითონაც ვერ ხვდებოდა, რამ შეაძრწუნა. განგაში სტუდენტურ წლებში იღებდა დასაბამს.


ფედორენკოს აკვირდებოდა და ფიქრობდა: არა, ეს ტროფიკული წყლული არ არის, არც აფეთქებისა თუ ნაჯახის დარტყმის შედეგია. მერე დაასკვნა: ესაა ქსოვილი, რომელიც თანდათან იშლებაო. კრასინსკის გული აუძგერდა. ფედორენკო კიდევ ერთხელ გამოიძახა და ფანჯარასთან ახლოს მიიყვანა, შუქქვეშ რომ დაკვირვებოდა. მის პირისახეს ხარბად მიაჩერდა და თავადაც ვერ დაეჯერებინა დიაგნოზი. ეს – ლეპრია! ეს „ლომის ნილაბი“ არისო – ასე ეძახიან, რადგანაც კეთრით დასნეულებული ადამიანის სახე ლომის დრუნჩს მოგვაგონებს.

კრასინსკი გამალებით ფურცლავდა სახელმძღვანელოებს. დიდი ნემსი აიღო ხელში და რამდენჯერმე უჩხვლიტა ერთ პანანკინტელა თეთრ ლაქას, ფედორენკოს უხვად რომ ჰქონდა დაყრილი ტანზე. არავითარი ტკივილი! კრასინსკის აღელვებისგან ოფლმა დაასახა და სასწრაფოდ დაწერა პატაკი უფროსობის სახელზე.

ავადმყოფი ფედორენკო იზოლირებულ იქნა ცალკე პალატაში. მისი კანის მომცრო ნაკვთები ბიოფსიის ჩასატარებლად გაგზავნეს მაგადანში, იქიდან კი – მოსკოვში. ორი კვირის შემდეგ პასუხიც მოვიდა. ლეპრია!

კრასინსკი ამაყად გაფხორილი დადიოდა. საავადმყოფოს უფროსობამ მიმონერა გააჩაღა მთლად უფროსობასთან, რათა გამოენერათ განწესი კოლიმის ლეპროზორიუმში, რომელიც კუნძულზე მდებარეობდა და მდინარის ორივე ნაპირას გადასასვლელისკენ დამიზნებული ტყვიამფრქვევები იყო განლაგებული. ლეპროზორიუმში ფედორენკოს ნასაყვანად აუცილებელი იყო განწესი.

ფედორენკომ გულახდილად აღიარა: დიახაც, ომამდე ლეპროზორიუმში ვიყავიო. ომის დაწყებისას უპატრონოდ მიტოვებული კეთროვნები გაქცეულან იქიდან. ერთი – უკანდახელთა დასანევად, სხვები – ჰიტლერელთა დასახვედრად. ახლა კი ფედორენკო, როგორც სჩვეოდა, მშვიდად ელოდა გაძევებას.



მაგრამ ბოხოქრობდა საავადმყოფო. მთელი საავადმყოფო აწრიალებულიყო. ისინიც კი შფოთავდნენ, ვისი სულიც, დაკითხვებზე დაუნდობელი ცემა-ტყეპის წყალობით, გადაქცეულიყო ათასი დაკითხვის ნეშტად, ხოლო სხეული დამსხვრეოდათ, გატანჯოდათ უკიდურესად გაუსაძლისი მუშაობით. ისინიც კი შფოთავდნენ, ვისაც ოცდახუთი წელი ჰქონდათ მისჯილი და ამ ვადის დასასრულამდე ცოცხლებში დარჩენა შეუძლებელი იყო... ყველანი ძრწოდნენ, ღრიალებდნენ, წყევლიდნენ ფედორენკოს, კეთრის შიშით ცახცახებდნენ.

რა არის ადამიანისათვის სირცხვილის გრძნობა? სადაა მისი საზღვრები და ზომა? ტუსალები, რომელთაც გაუნადგურეს ცხოვრება, ფენქვემ გაუქელეს წარსულიც და მომავალიც, უეცრად მოხვდნენ რალაც წვრილმანი ცრურწმენის ტყვეობაში, დაემორჩილნენ რალაც მონაჩმასხს, რომლის გადაბიჯება ან უკუგდება ადამიანებს არ ძალუძთ. და ეს მოულოდნელი გამოვლენა სირცხვილისა წარმოიქმნება როგორც დახვეწილი ადამიანური გრძნობა და მთელი სიცოცხლე გაჰყვება მეხსიერებას რალაც ნამდვილისა და უსასრულოდ ძვირფასის მსგავსად.

ერთხელ საავადმყოფოში ასეთი რამ მოხდა: ფერშალს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი ფერშალი, არამედ „დამხმარედ“ მუშაობდა, დაავალეს ქალთა ეტაპის გაპარსვა. უფროსობამ, თავმესაქცევად, ქალებს უბრძანა, რომ გაეპარსათ მამაკაცები, ხოლო მამაკაცებს – ქალები. ყველა იმით ირთობს თავს, რაზეც ხელი მიუწვდება. მაგრამ მამაკაცი პარიკმახერი ევედრებოდა თავის ნაცნობ ქალს, ეს „სანიტარული დამუშავების“ წესი შენ შეასრულებ და იმას როდილა ფიქრობდა, რომ ცხოვრება ჩაოხრებული ჰქონდა; რომ ლაგერის უფროსობის მთელი ეს გართობანი – მხოლოდ ჭუჭყიანი ქაფი იყო ამ საზარელ ქვაბში, სადაც მისი საკუთარი სიცოცხლე სასიკვდილოდ იხარშებოდა.

ეს ადამიანური გრძნობა, ერთდროულად სასაცილოცა და ნაზიც, განწირულბეშიც კი მოულოდნელად იფეთქებს ხოლმე.

საავადმყოფოში პანიკა მძვინვარებდა. ფედორენკო ხომ რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა იქ. ვაგლახ, სნეულების „პროდრიმალური პერიოდი“, გარეგანი ნიშნების გამოჩენამდე, კეთრს უგრძელდება რამდენიმე წელიწადი. ეჭვიანებს წილად ერგოთ ხვედრი, რომ თავიანთ სულში სამარადისოდ დაეგუბებინათ შიში, ტუსალებიც და დაქირავებული მუშაკებიც ერთ ბედქვემ იყვნენ.

პანიკა მძვინვარებდა საავადმყოფოში. აღზნებული ექიმები გამალებით ეძებდნენ ამ თეთრ, უგრძნობელ პანანკინტელა ლაქებს ავადმყოფებშიც და საავადმყოფოს პერსონალშიც. ნემსი, ფონენდოსკოპსა და ჩაქურთან ერთად, გადაიქცა ექიმის განუყრელ იარაღად პირველადი გასინჯვისათვის.

სწეული ფედორენკო მოჰყავდათ და ფერშლების, ექიმების წინაშე აშიშვლებდნენ. პისტოლეტით შეიარაღებული ზედამხედველი სწეულის შორიახლოს იმყოფებოდა. ექიმი კრასინსკი, აღჭურვილი ვეება საჩვენებელი ჯოხით, ჰყვებოდა ლეპრას შესახებ და ჯოხს იშვერდა ხან ყოფილი სანიტრის ლომისებური სახისკენ, ხან მოსაწყვეტად გამზადებული თითებისკენ, ხანაც მის ზურგზე აკრიალებული თეთრი ლაქებისკენ.

საავადმყოფოს ყოველი ბინადარი, დაქირავებულნიც და ტუსალებიც, სათითაოდ შეამომნეს. და უცებ, პანანკინტელა თეთრი ლაქა, უგრძნობელი თეთრი ლაქა ზურგზე აღმოაჩნდა შურა ლეშჩინსკიას, ყოფილ ფრონტელ მედდას – ამჟამად ქალთა განყოფილებაში მორიგე ექთნად რომ მუშაობდა. ლეშჩინსკია ახლად იყო მოსული საავადმყოფოში – სულ რალაც რამდენიმე თვის წინ. არავითარი „ლომის ნილაბი“ არ ემჩნეოდა. ლეშჩინსკია არც სხვებზე მიუკარება და არც სხვებზე გულმონყაღე არა ყოფილა. სხვა ტუსალებზე მეტს არც ხმაურობდა და არც სხვებზე უტიფრად ეჭირა თავი.

ლეშჩინსკია ქალთა განყოფილების ერთ-ერთ პალატაში ჩაკეტეს, ხოლო მისი კანის ნაკვეთი ანალიზისათვის გაგზავნეს მაგადანს, იქიდან – მოსკოვში და პასუხსაც არ დაუგვიანებია: ლეპრა!

დეზინფექცია კეთრის შემდეგ იოლი საქმე როდი გახლავთ. უნდა დაინვას სახლი, სადაც კეთროვანი ცხოვრობდა. სახელმძღვანელოები ასე გვეკარნახობენ. მაგრამ როგორ უნდა ამოწვა უზარმაზარი ორსართულიანი საავადმყოფოს, გიგანტური სახლის ერთ-ერთი პალატა?! ამას ვერავინ ბედავდა. როცა ძვირფასი ბენვეულის დეზინფექციის დროს რისკავენ და გადამდები სენის ბაცილებს ტოვებენ, ოლონდ კი მდიდრული ბენვეულობა შეინარჩუნონ – სადეზინფექციო ხსნარს მხოლოდ სიმბოლურად მოასხურებენ ძვირფას ბენვეულზე, ვინაიდან მხურვალეებისგან, მაღალი ტემპერატურისგან დაილუპებიან არა მარტო მიკრობები, არამედ თავად ნივთებიც. უფროსობა გაჩუმდებოდა თუნდაც შავი ჭირის ან ქოლერის შემთხვევაში.

ვილაცამ პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და ის პალატა, სადაც ჩაკეტილი იყო ფედორენკო, ლეპროზორიუმში გასტუმრებას რომ ელოდა, არ გადაუნვიათ. უბრალოდ მოასხურეს იქ ფენოლი, კარბოლმჟავა; მრავალგზის მოასხურეს. მაშინვე ახალი, მნიშვნელოვანი განგამი ატყდა. ფედორენკოსა და ლეშჩინსკიას ხომ სათითაოდ ეჭირათ დიდრონი პალატები, რამდენიმე საწოლს რომ იტყვდა.

პასუხი და განწესი ორ ადამიანზე, ბადრაგი ორ ადამიანზე არა და არ მოდიოდა მიუხედავად იმისა, რომ უფროსობა დღედაღამ გზავნიდა ტელეფონოგრამებს მაგადანში და დაჟინებით შეახსენებდა შექმნილ ვითარებას.

ქვევით, სარდაფში, გამოლობილი იყო სათავსი, სადაც ააგეს ორი პატარა კამერა კეთროვანი ტუსალებისთვის. ფედორენკო და ლეშჩინსკია იქ გადაიყვანეს. კარი მძიმე ბოქლომით ჩაკეტეს, ბადრაგი დააყენეს და კეთროვანი დატოვდა, რომ დალოდებოდნენ ბრძანებას, ლეპროზორიუმში გასაგზავნად განწესსა და ბადრაგს.

ფედორენკომ და ლეშჩინსკიამ თავიანთ კამერებში ერთი დღე-ღამე გაატარეს, მერე კი გუშაგთა ცვლას კამერები დაცარიელებული დახვდა.

საავადმყოფოში ისევ ატყდა პანიკა. კეთროვანთა კამერებში ყველაფერი ადგილზე იყო – კარიც და ფანჯრებიც.

ყველაზე ადრე კრასინსკი მიხვდა მომხდარს. კეთროვანები იატაკქვეშეთიდან წავიდოდნენ.

როგორც გამოირკვა, ჯანლონიანმა ფედორენკომ მიშალ-მოშალა მორები, გავიდა ტალანში, დააყარა პურის

საჭრელი სათავსი, მერე – ქირურგიული განყოფილების საოპერაციო ოთახი, მოაქუჩა მთელი სპირტი და ყველა „კოდეინიკი“, რასაც კი კარადაში ნაანყდა და მიწისქვეშა სოროში წარიტაცა ნადავლი.

კეთროვნებმა ამოარჩიეს ადგილი, გამოლობეს სარეცელი, დაყარეს ზედ ლეიბები და საბნები, მორებით გამოეყვინნ მთელ სამყაროს, ბადრავს, საავადმყოფოს, ლეპროზორიუმს და როგორც ცოლ-ქმარმა რამდენიმე დღე, ვგონებ, სამი ერთად გაატარეს.

მესამე დღეს დაცვის მეძებარმა კაცებმა და ძალებმა საერთო ძალისხმევით მიაგნეს კეთროვნებს. ამ ჯგუფში მეც ვიმყოფებოდი, ოდნავ წელში მოხრილი მივაბიჯებდი საავადმყოფოს მალალსადირკვლიან სარდაფში.

მორები დაშალეს. ორივე კეთროვანი სათავსის სიღრმეში იწვა. ფედორენკოს დასახიჩრებული ხელები შემოეხვია ლემჩინსკაიას თეთრი, კრიალა სხეულისათვის. ორივე მთვრალი იყო.

საბნები გადააფარეს და ერთ-ერთ კამერაში გადაიყვანეს. ერთიმეორისათვის აღარ დაუშორებიათ.

ვინ გადააფარა საბნები, ვინ შეეხო ამ საზარელ სხეულებს? ვინა და საგანგებო სანიტარი, რომელიც მუშაობდა მომსახურე პერსონალისათვის განკუთვნილ საავადმყოფოში და რომელსაც (უმაღლესი უფროსობის განკარგულებით) ერთი სამუშაო დღე ჩაუთვალეს შვიდ დღედ. მასამადამე, უფრო ძვირად უფასებდნენ შრომას, ვიდრე ვოლფრამის, კალისა თუ ურანის საბადოებში მომუშავეებს. შვიდი დღე – ერთ სამუშაო დღეში. სტატიას, ამჯერად, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს იყო ფრონტელი, რომელიც იჯდა სამშობლოს ღალატისათვის, ოცდახუთი წელი ჰქონდა მისჯილი და გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ თავისი გმირობით ვადას შეიმცირებდა და თავისუფლების მოხვეჭის დღე მოახლოვდებოდა.

ტუსალი კოროლკოვი – ომში ლეიტენანტის ჩინით რომ იბრძოდა – კამერასთან სადღელამისოდ მორიგეობდა. კამერის კართანვე ეძინა. როცა „კუნძულიდან“ ბადრავი მოვიდა, ტუსალი კოროლკოვი წაიყვანეს კეთროვნებთან ერთად, როგორც მათი „მომსახურე“.

არც კოროლკოვზე, არც ფედორენკოზე და არც ლემჩინსკაიასზე აღარასოდეს აღარაფერი გამიგია.

დათვაობი

ტახტქვეშ მოკალათებული კატის კნუტი გარეთ გამოძვრა და ძლივს მოასწრო უკან შეხტომა – გეოლოგმა ფილატოვმა ჩექმა ესროლა.

– რამ გაგაცოფა ადამიანო? – ვუთხარი და „მონტიკრისტოს“ გაზინზლული ტომი განზე გადავდე.

– არ მიყვარს კატები. აი, ეს კი სულ სხვა საქმეა, – ფილატოვმა მიიხუტა რუხი, ბანჯგვლიანი ლეკვი და კისერზე ხელი მოუთათუნა. – ნაღდი ნაგაზია. ეცი მაგას, კაზბეკ, ეცი. – გეოლოგი ძაღლის ლეკვს უქსევდა კატის კნუტს. მაგრამ ლეკვს დრუნჩზე აღბეჭდოდა ორი ახალთახალი ნაფხაჭნი კნუტის ბრჭყალთაგან და კაზბეკი მხოლოდ იღრინებოდა ყრუდ, ადგილიდან კი არ იძვროდა.

კნუტს ცხოვრება ჰქონდა გამწარებული ჩვენთან. ხუთი კაცი მასზე იყრიდა ჯავრს, უსაქმურობით გაჩენილ

მონყენილობას რომ გამოეწვია, – მდინარის ადიდებად დააყონა ჩვენი გასვლა. იუჟიკოვი და კოჩუბი, დურგლები, უკვე მეორე კვირა იქნებოდა, რაც „სამოცდაექვსის“ თამაშით ირთობდნენ თავს, ასალები ხელფასის ანგარიშში. ბედი ხან ერთს უმართლებდა, ხანაც – მეორეს.

უეცრად მზარეულმა შემოაღო კარი და იყვირა:

– დათვები! – ყველანი თავქუდმოგლეჯით გავარდნენ კარისკენ.

ხუთნი ვიყავით და ხუთ კაცს ერთადერთი შაშხანა გაგვანდა – გეოლოგ ფილატოვისა. ნაჯახებიც არ გვეყოფნიდა და მზარეულმა ხელი სტაცა სამზარეულო დანას, სამართებლივით ბასრი რომ იყო.

დათვები მიჰყვებოდნენ ნაკადულს გაღმა მდებარე ფერდობს – ხვადი და ძუ დათვი. ისინი ანჯღრევდნენ, ამტკრევდნენ, ძირფესვიანად გლეჯდნენ მიწიდან ლარიქსის ნერგებს და ნაკადულში ისროდნენ. ამ ამისებულ ტაიგაში ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამინა ქალამნად. ქარზურგა მხრიდან მივადექით საკმაოდ ახლოს – ორასი ოდე ნაბიჯზე. მურა დათვს მწითური ელფერი დაჰკრავდა. ლამის ორჯერ დიდრონი იყო ძუზე. ბებერი იქნებოდა – ყვითელი, მსხვილი ეშვები კარგად მოჩანდა.

ფილატოვი ჩინებული მსროლელი გახლდათ. ჩაიმუხლა და შაშხანა დადო ნაქცეული ლარიქსის ღეროზე, საყრდენით რომ ესროლა და ნაღდად მოერტყა. ლულას აქეთ-იქით ამოძრავებდა, ტყვიისათვის ყველაზე ზუსტ ჭუჭურუტანას ეძებდა შეყვითლებული ბუჩქნარის ფოთლებში.

– ესროლე, – ღრინავდა მზარეული, სანადირო აზარტისაგან ფერ-ფური ნასვლოდა, – ესროლე!

დათვებს მოესმათ ფაჩუნი. მათი რეაქცია მეყსეული იყო, როგორც ფეხბურთელისა მატჩის დროს. ძუ დათვი ზევით გაქანდა მთის ფერდობით, რათა უღელტეხილი გადაელახა. ბებერი ხვადი არ გაქცეულა. დინგი მიაბრუნა იქით, საიდანაც საფრთხე ემოქრებოდა და ეშვები დააღრჭიალა. მერე ნელა გაუდგა გზას – ქონდარა ფიჭვნარისაკენ. აშკარად იზიდავდა საფრთხეს თავის თავზე, სიკვდილი რომ აეცდინა რაყიფისაგან. ხვადი თავს სწირავდა ძუ დათვის გადასარჩენად, მის გაქცევას იცავდა.

ფილატოვმა ისროლა. იგი, როგორცა ვთქვი, ჩინებული მსროლელი გახლდათ და თვალმა არც ახლა უმტყუნა – დათვი დაეცა და დაგორდა ფერდობზე ხეობისაკენ, ვიდრე ლარიქსის ბუჩქნარმა, რომელიც გასართობად მიეღწენ-მოეღწენა აგერ ნახევარი საათის წინათ, არ შეაჩერა მძიმე სხეულის ვარდნა. ძუ დათვი კარგა ხანია გაუჩინარდა.

ყველაფერი ისეთი უზარმაზარი იყო – ცა, კლდეები, რომ დათვი ბავშვის სათამაშო დათუნისა ნააგავდა. ერთბაშად გათავებულყო. თათები ერთმანეთზე გავუყოჭეთ და შუაში ჭოკი გავუყარეთ. წამოვიკიდეთ. ვეება ტვირთის სიმძიმე გვაბარბაცებდა. დავვვით ხეობის ძირში ორმეტრიან სრიალა ყინულამდე, რომელსაც გადნობა ვერ მოესწრო. ძლიძლივობით მივათრიეთ მოკლული დათვი ჩვენი ქოხის ზღურბლამდე.

ორთვიან ლეკვს, თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, თვალის არასოდეს მოეკრა დათვებისათვის, დაფრთხა და შიშით თავზარდაცემული ტახტქვეშ შეიძურნა. კნუტი კი სულ სხვაგვარად მოიქცა. გააფთრებუ-

დოკუმენტური პროზა

ლი დაეტაკა დათვის სხეულს, რომელსაც ხუთნი ვატყავებდით. კნუტი გლეჯდა ჯერ კიდევ თბილი ხორცის ნაჭრებს, პირს ავლებდა შედედებული სისხლის ნამცეცებს, ხტუნაობდა მხეცის დაკვანძულ, მოწითალო ფერის კუნთებზე...

ტყავი გამოვიდა ოთხი კვადრატული მეტრი.

– ხორცი კი თორმეტ ფუთზე ნაკლები არ იქნება, – ნამდაუნუმ იმეორებდა მზარეული.

ნანადირევი ძალზე მდიდრული იყო, მაგრამ მისი წაღება და გაყიდვა გვეკრძალებოდა. მაშინვე თანაბრად გავინანოვით. გეოლოგ ფილატოვის ქვაბუნები და ტაფები დუღდა დღისითაც და ღამითაც, ვიდრე კუჭი არ ასტკივდა. იუჟიკოვი და კოჩუბეი მიხვდნენ, რომ კარტში ანგარიშის გასასწორებლად დათვის ხორცი არ გამოდგებოდა,

ამიტომაც თავთავისი წილი დაამარილეს ქვით ამონყობილ ორმოებში და ყოველდღე ამონებდნენ, ვინმე ხომ არ მოიპარაო. მზარეულმა ხორცი სადღაც გადამალა – მან იცოდა დამარილების რალაც საიდუმლო წესი, მაგრამ არავისთვის გაუმხელია. მე კი დათვის ხორცს ვაჭმევდი კატის კნუტსა და ძაღლის ლეკვს. ვგონებ, ჩვენ სამმა ყველაზე მარჯვედ გამოვიყენეთ ნანადირევი.

მოგონებებმა და ბაასმა იღბლიანი ნადირობის შესახებ ორი დღე გასტანა. მხოლოდ მესამე დღეს, საღამოხანს, უსაქმურობამ და მოწყენილობამ კვლავ კინკლაობაში ჩაგვითრია.

რუსულიდან თარგმნა
თამაზ ნატროშვილი

დრამატურგია

მაია სარიშვილი

ჭიამაიების ოჯახი

მოქმედი პირები:
მოსხუცი ალექსანდრე
მისი ცოლი
მძღოლი

ცოლი: სად მიდიხარ, ალექსანდრე, ამ შუალამისას?

ალექსანდრე: გოგო კვდება.

ცოლი: ვინ გოგო?

ალექსანდრე: სახელი არ ვიცი.

ცოლი: შენ რატომ დაგირეკეს?

ალექსანდრე: ძალიანა გთხოვ, ახლა ნურაფერს მკითხავ.

ცოლი: შეგცივდება, ესეც გადაიცივი.

ალექსანდრე: მეჩქარება, არ მინდა.

ცოლი: იცოდე, მეც მოვდივარ.

ალექსანდრე: ისედაც ცუდადა ვარ და შემეშვი.

ცოლი: ცუდად თუ ხარ, ნუ წახვალ, გვედრები, ან მეც წამოგყვები.

ალექსანდრე: მორჩა! (კარს იჯახუნებს)

ალექსანდრე: რესპუბლიკურამდე ორ ლარად წამიყვანე, რა...

მკითხველი ინტერესით ეცნობა მაია სარიშვილის პოეტურ პუბლიკაციებს. წარმატება მოიპოვა მისმა რადიოპიესებმაც. ორივე ნიმუში – „სამი ვედრო თოვლი“ და „ძალიან ცუდი კაცი...“ – დაიდგა საქართველოს რადიოში (რეჟისორი ზურაბ კანდელაკი). მეორე რადიოპიესა გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებზე გამოცხადებული იყო 2004 წლის საუკეთესო დრამატურგიულ ნიმუშად.



მძღოლი: რას მაშაყირებ, ამ შუალამისას ტყუილა რას მაჩერებ.

ალექსანდრე: ადამიანი არა ხარ? გოგო კვდება.

მძღოლი: ოოჰ! მოდი!

ალექსანდრე: ძალიან გთხოვ, რაც შეიძლება ჩქარა ნადი.

მძღოლი: ვინ გოგოა?

ალექსანდრე: ბატონო?

მძღოლი: ვინ კვდება?

ალექსანდრე: პატარა გოგო.

მძღოლი: ნათესავია?

ალექსანდრე: არა, უბრალოდ გოგო.

მძღოლი: ვააა... გათოვდა, კაცო...!

ალექსანდრე: გათოვდა? ვერ ვხედავ.

მძღოლი: ამას ვერ ხედავ?

ალექსანდრე: ვერა.

მძღოლი: უშველებელი ფანტილებია, როგორ ვერ ხედავ?

ალექსანდრე: რა ვიცი, ვნერვიულობ.

მძღოლი: ისე რა თხლად ჩაცმული გამოსულხარ. გაიყინები.

ალექსანდრე: ხომ მალე მივალთ?

მძღოლი: მაინც ვერ გავიგე ვინ კვდება.

ალექსანდრე: გისმენთ, რა ხდება-მეთქი! ბოდიში, შუალამეა, მაგრამ რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმღებიდან გირეკავთ, ალექსანდრე ბრძანდებითო? ხმა დამეკარგა! ერთი საათის წინ აქ ახალგაზრდა გოგო მოგვიყვანა სასწრაფომ. მანქანას გაუტანია და უგონოდააო. ვინ უნდა ყოფილიყო? ჩვენც არაფერი ვიცით, ბატონო, მხოლოდ წიგნის ყდაზე მინერილ თქვენს ტელეფონის ნომერს მივაგენით და ამიტომ გირეკავთ, მძიმედაა ძალიანო... არ ვიცნობ მე არავითარ გოგოს, ხომ არ შეიშაღეთ-მეთქი და მოითმინეთ, ექიმს დაგალაპარაკებთო. რად მინდოდა ექიმი. რა სისულელეა... ძალიან გთხოვთ, რა, ბატონო ალექსანდრე, მეც საშინელი დაღლილი ვარო, – ექიმმა. უცებ შევშოთდი: მოლეკულური ფიზიკაა-მეთქი? შევეკითხე. დაიბნა. მაგ გოგოს წიგნი მოლეკულური ფიზიკაა-მეთქი? ერთი წუთით შეყოვნდა და დიახო! რა თქმა უნდა, ყველაფერს მივხვდი... და წავედი.

მძლოლი: ან გიჟია, ან აფერისტი. ვილაც უკვდება კი არა... შეიძლება, ის ორი ლარიც არა აქვს და მაშინ ნახე... გაგონილა, ასეთი თარსი ცხოვრება? რა ჯადო სცხია ამ მანქანას ისეთი, რომ ყველა წყალნაღებული მე უნდა ამეკიდოს. ვინ ჩაისვამდა ამ გიჟს მანქანაში ჩემს გარდა?!

ალექსანდრე: ჯერ ის ვუთხარი, რატომ კითხულობ ტრანსპორტში წიგნს, საშინელებაა თვალებისთვის-მეთქი და მერე მოუყევი, რომ მეც ფიზიკოსი ვარ, ოღონდ გადამდგარი, ანუ პენსიონერი. რომ ველარაფერს ვაკეთებ და ჩემს წიგნებს რომ ვუყურებ, მიცვალებულებს გვანან, მზარავს მათკენ გახედვა-მეთქი. მიეცით მერე ვინმესო – გაელიმა. მართალი იყო. შევპირდი, შემეხმიანე და შენ მოგცემ, კურსელებსაც დაურიგებ-მეთქი. ტელეფონის ნომერი წიგნის ყდაზევე მივუწერე.

მძლოლი: როგორ ცივა და კოსტუმიც არ აცვია. შეხედე, კაცო, როგორ კანკალებს. ერთი ცუდად არ გახდებოდეს და შარში არ გავეხვეოდე, ყველაფერ სიკეთესთან ერთად. ვინ იცის, სკლეროზი აქვს და პატრონი ეძებს. ეს კი დასეირნობს ქალაქში... აჰა, მოვედით და გადავრჩი. მგონი, ცოცხალია. (ხმამაღლა) მოვედით, ბაბუა, აღარ ჩახვალ?

ალექსანდრე: სად მოვედით?

მძლოლი: სადაც მითხარი, კაცო, საავადმყოფოსთან.

ალექსანდრე: ასე მალე მოვედით?

მძლოლი: მომეცი, ბაბუა, ის ორი ლარი თუ გაქვს და ჩადი, რა.

ალექსანდრე: კი, ჩავალ, ჩავალ. აი, აილე და ღმერთმა დაგლოცოს.

მძლოლი: ჭკუით იყავი, ბაბუა, ჭკუით...

ცოლი: უნდა წავყოლოდი. როგორ შეშლილივით გაიქცა. ხომ არ მიმაღავეს და ჩვენებს ხომ არ შეემთხვათ ნეტა

რამე? ღმერთო, შენ გადმოგვხედე. გაიყინება ის უბედური. გათოვებულია კიდევ... რამხელა ფანტელებია...

ალექსანდრე: უფრო ვერცხლის ციყვი მახსოვს – მუქი პალტოს საყელოზე. ქუდის ქვეშ თმის ფერი არ უჩანდა. სხვა რა? სახე ჰქონდა ჩვეულებრივი, ხმა ჩვეულებრივი და მგონი, დამცინავად მიყურებდა... მე რომ ავტობუსში ავედი, ის უკვე იჯდა და კითხულობდა. შენიშვნა მივეცი, წიგნები შევთავაზე, ნომერი დავუწერე და მორჩა!.. რა უნდოდა შუალამისას ქუჩაში? რა დაეღენა ნეტა?.. სახე?.. ნიკნები?.. მკლავები?.. როგორ მცია. არ მეგონა, თუ ასე ციოდა გარეთ... გათოვდაო! ფანტელებს ისევ ვერ ვხედავ... ნეტა, უფრო შორს ყოფილიყო ეს საავადმყოფო. ნეტა, გზა ამრეოდა და ვერ მომეგნო. ნეტა, ავარია მომხდარიყო და ვერ მომელნია აქამდე... როგორ მცია. ძალიან საშიში ღამეა...

ცოლი: შენც გაგელვიდა, ხომ სულელო? იგრძენი ხომ, რომ უჭირს შენს პატრონს რაღაც... ნუ ყფვ, საყვარელო, ამომახტი აგერ კალთაზე და ჩავიხუტებ... რა გააკეთა ეს? რად წავიდა? რა ვქნათ ახლა ჩვენ?.. ისე, ცოდოა ალექსანდრე. შვილი რომ გვყოლოდა, მგონი... ჩუ, ძაღლო, დამშვიდდი ახლა... ღმერთო, ფულიც არ ჰქონდა იმ გაჭირვებულს. სად წავიდა და რითი...

ალექსანდრე: ვიცი, რასაც ილაპარაკებდნენ ის გამყიდველი გოგოები, მე რომ გამოვედი მარკეტიდან. გრძელცხვირა ეტყოდა – რატომ მიეცი ის ორი ლარი. აგერ ნახავ, შენი დასადები გახდებაო. ბევრბექდებიანი უპასუხებდა: არა, ვიცნობ, კარგი კაცია, ამავე კორპუსში ცხოვრობს მერვეზეო. გრძელცხვირა დაიჯლანებოდა: რა ვიცი, მე არასდროს მინახავსო. ბევრბექდებიანი გაიცი-ნებდა: იცი, რა საყვარელი ვინმეა? ჯერ შერცხვენილი დაბოდილობს დახლებთან და მერე საცოდავად დაბნეული გასასვლელ კარსაც ძლივს პოულობსო... რატომ არ მოვწონვარ იმ გრძელცხვირას? სახლიდან გამოგდებულს ჰგავდაო, – ჩემზე იტყოდა. ბევრბექდებიანი კი შემიცოდებდა – ისე მართლა რა შეშლილივით შემოვარდა უპალტოოდ. მომერიდა, თორემ, საინტერესოა, რად უნდოდა ის ორი ლარი ამ შუალამისასო. მერე გრძელცხვირა დაამთქნარებდა – მეძინებო. ბევრბექდებიანი იტყოდა: რა მაგრა თოვსო და გრძელცხვირა ისევ დაამთქნარებდა: ზღაპარიო...

მძლოლი: რა დარჩენია, ეს იმ უბედურს? კიდევ სათვალის დაკარგვა უნდოდა ახლა მაგას? სკლეროზიანი იყო ნამდვილად. გამოვლენ ასე დაუკითხავად სახლიდან, დაბორილობენ ქალაქში და ეძებენ მერე სანყალი პატრონები ქუჩა-ქუჩა. რა ვუყო ახლა ამ სათვალეს?

ალექსანდრე: უფრო ვერცხლის ციყვი მახსოვს... რამ დამამახსოვრა ეს ციყვი. თვალების ფერი მაინც

დამემასხვრებინა, ან სახელი მეკითხა, არ ჯობდა?.. ღმერთო, რა ცოტა ხანს ვიცნობდი. შენიშვნა მივეცი, წიგნები შევთავაზე, ნომერი ჩავუწერე და მორჩა... მგონი, სულ სამი წუთი ვილაპარაკეთ. ეს იყო და ეს. ახლა კი კვდება... ან – უკვე!.. არა, მე ამ საავადმყოფოში შემსვლელი არა ვარ. სიგიჟეა. მხოლოდ სამი წუთი ვიცნობდი და რატომ უნდა... ფულიც აღარ დამრჩა, მაგრამ არა უშავს, ფეხით გავუყვები სახლისაკენ. ოდესმე ხომ მივალ...

მძღოლი: ბებიჩემიც მასე არ დაიკარგა ერთხელ?! აჩვენებს მერე ტელევიზიით, მოაკითხეთ პატრონებო. წაუღია თურმე თავისი ახალგაზრდობის ფოტო სახლიდან და ყველას ეკითხებოდა – ეს ქალი ხომ არ გინახავთო. სახლში რომ მივიყვანეთ, კაი დღე გვაყარა – სკლეროზი კი არა მაქვს, ვიცოდი, რომ დავიკარგე, ამიტომაც, ფოტოთი ვეძებდი საკუთარ თავს და რატომ მომაკითხეთ, რატომ დამასწავრით ჩემი თავის პოვნაო... რა უნდა უთხრა! ეს სანყალი ბაბუაც მასეა დაკარგული. ღმერთმა უწყის, რა უნდოდა საავადმყოფოსთან...

ალექსანდრე: უი, მობრძანდითო? – გაიკვირვა ექთანმა. ასაკოვანი ბრძანებულხართო... როგორ გიჭიროთ, ალბათო, მაგრამ რადგან მობრძანდით, იქნებ შეიხედოთ რეანიმაციაში და გვითხრათ ერთი, ვინ არის და ვინა ჰყავს პატრონიო. გავიფიქრე: ესე იგი, ჯერ ცოცხალია-მეთქი!.. გამიხარდა, რომ მოვუსწარი...

ცოლი: რატომ აიძვრა ასე ეს კაცი? ღმერთო, შენ გადმომხედე. ხომ არ მიმაღავს და ჩვენებს ხომ არ შეემთხვათ ნეტა რამე? ან იქნებ, რაღაც მოეჩვენა ახალგაღვიძებულზე. ვინ იცის, სხვაგან მოხვდნენ და ამის ტვინმა კი რაღაც შეთხზა და სადღაც გაიქცა. ვინ გოგო კვდება? რა დღემი ჩავვარდი! სად უნდა წავიდე!..

ალექსანდრე: ექთანს ვეკითხები: ცოტა ხანში რომ შევიხედო, არ შეიძლება-მეთქი?.. შენუხდა – ცუდად ხომ არა ხართო? მცივა-მეთქი. რაღაც მომაფარა. ასე შიშველი მოხვედითო? არ მახსოვდა. მითხარით, ვინ არის გოგონაო? ახლო ნათესავიაო?.. გამელიმა... სამი წუთი ვიცნობდი-მეთქი. როგორო?! ექიმი მოვიკითხე. თავზე ადგას, ჯერ ვერ დატოვებსო. ხუთ წუთში შევიხედავ-მეთქი. მშობლებს იცნობთო? არავისაც არ ვიცნობ! მე მგონი, ტყუილად შეგანუხეთ, ძალიან ასაკოვანი ბრძანე-

ბულხართო... პირიქით, ძალიან კარგია, რომ დამირეკეს. წამოწეითო...

მძღოლი: რამხელაზე ბლავიან ამ შუალამისას ეს გარეწრები. თან შუა ქუჩაში დადიან თავხედურად. ერთი უნდა გაჰკრა ფერდი და ხორცი აათალო. რას აკეთებენ? რას იქელებიან ამ თოვლში?



ალექსანდრე: მთვრალი ბიჭები თოვლს გადაქეპავენ და ვერცხლის ციყვს იპოვნიან. ნეტა რომელი საათია? – იკითხავს ერთ-ერთი. უპასუხებენ, რომ გათენებამდე ჯერ ადრეა. რა მაგრა თოვსო – ცას ახედავს ვინმე. თოვს კი არა, აქ ავარია მომხდარა, – ეტყობაო. სადო? – გაიოცებენ. აგერ, ბიჭო, თოვლქვეშ სულ შუშის წამსხვრევები ყრიაო... მერე – ვა!-ო გაიკვირვებს ყველაზე კარგი ბიჭი. რა იპოვე ამ სიბნელეშიო – შემოეხვევიან. ციყვიაო! – რა ციყვიო? – გულზე დასაბნევიო, – აჩვენებს ბიჭი. რანაირად შეამჩნიე, ბიჭო, ამ შუალამისასო, – გაეცინებათ. რა ვიცი, შუქი ეცემოდა და ბრჭყვინავდაო. ურჩევენ – ხვალ ნინოს აჩუქე, გაუხარდებაო, მაგრამ არაო! ნინოს კი არა, ჩემს დას ვაჩუქებო, – იტყვის ბიჭი და ციყვს თავის მძინარე დას დაუბნევს ბალიშზე, როცა სახლში დაბრუნდება...

ცოლი: ისე მინდოდა ორსულად ვყოფილიყავი, რამდენჯერმე თავშალი შევიკეცე ჯემპრის ქვეშ და ისე გავედი ქუჩაში. მეგონა, ყველა მე მიყურებდა აღფრთოვანებული, მეგონა, ყველა მე შემომნატროდა. ექსპრესში ადგილი დამითმეს, ტალახიან დაღმართზე ხელი შემამშველეს. რა ბედნიერი ვიყავი ბედნიერების თამაშით... მერე შემთხვევით ალექსანდრე შემეფეთა ქუჩაში. არაფერი უთქვამს. თავშალი ფრთხილად ამომაცალა ჯემპრიდან, რამდენჯერმე აკოცა და გულზე მიიხუტა. აი, ამ დღის მერე, ერთხელაც არ გვილაპარაკია უკვე შვილზე. მხოლოდ გუშინ აღმოვაჩინე, რომ ტელეფონების ბლოკნოტში ჩვენ ჩავუსატივართ – მე და თვითონ გვერდივერდ ვსხედვართ ავტობუსში და წინ მოღიმარი გოგონა გვიზის რაღაც წიგნით ხელში... „ჩვენ“-ო ქვეშ აწერია...

ალექსანდრე: სადა ვარ? ტანსაცმლიანა ვწევარ. საავადმყოფოა? ეტყობა, ქუჩაში გავხდი ცუდად. მგონი, მან-

ქანა დამეჯახა. მტკიცეა ნეტა, რამე? ძალიან არეული ვარ. რატომ არაფერი მახსოვს? 1897 წელს ელექტრონი აღმოაჩინეს, 1932 წელს – ნეიტრონი, 1916 წელს ფარდობითობის თეორია შეიქმნა, 1912 წელს რენტგენის სხივების... რატომ ვარ საავადმყოფოში? საშინლად მცირეა... გარეთ ვერ ვიხედები, მაგრამ საიდანღაც ვიცი, რომ თოვს. დიდი ფანტელები რომ ცვივა, ისიც ვიცი. ვინ მითხრა? კაცის ხმა იყო – დიდი ფანტელებიაო... გვერდით ვეჯექი. ხო, მძლოლი იყო. მეჩქარებოდა სადღაც. და რაღაცის მეშინოდა... სულ ასე ვწვალვობ, ვიდრე რაიმეს გავიხსენებდე...

ცოლი: ღმერთო, რას ჰგავხარ-მეთქი! შეენო? – გაუკვირდა. როგორ მომაგენიო? ამიხსენი ერთი, რა ხდება-მეთქი. მაგრამ ექთანმა – ჯობია, თავი დაანებოთ, ნემსი აქვს გაკეთებული და სანახევროდ სძინავს ახლა მაგასო. მე მგონი, ფერს კარგავს-მეთქი. ნუ ღელავთ, ახლავე ექიმს დავუძახებო. რა ემართება, როგორ სუნთქავს-მეთქი!.. გაბრძანდით, ქალბატონო, ხელს ნუ გვიშლითო.

ალექსანდრე: სათვალე, მგონი, ტაქსში დამრჩა, მაგრამ არა უშავს. მიუტანს მძლოლი თავის შვილებს და გაერთობიან ბავშვები.

ცოლი: ქუჩაში გამოვედი. არ მიტირია. ისევ თოვდა. გოგო უკეთ გახდა. ალექსანდრე აღარ არის. საწყალმა რეანიმაციამდე ვერც კი მიაღწია. ხუთ წუთში შევალ თუ შეიძლებაო – ექიმს ეხვეწებოდა თურმე... ძალიან მშვიდი მწუხარება მოვიდა. ნახიც კი. დიდხანს დავდიოდი თოვლში, ვიდრე ვილაცხვებო არ დამიძახეს.

მძლოლი: ვხედავ, ჩემი ბიჭები რაღაცას ჩასცქერიან ეზოში. გაზაფხულია. ეზო ბიბინებს. რას უყურებთ ასე გულმოდგინედ-მეთქი, მივუახლოვდი და ვიდრე მეც არ დავიჩოქე, ვერ დავინახე... უჭირავთ ხელში თითო-თითო შუშა და ჭიამაიებს დასცქერიან. რა არის-მეთქი. არ გახსოვს? შენ რომ ზამთარში სათვალე გვაჩუქე, იმის შუშებია, ყველაფერს ადიდებენო. შეხედე, ჭიამაიების ოჯახი მიღის სადღაც – დედა, მამა და შვილიო...

უსწოეთის ცხოვრებიდან

ჟერარ დე კორტანზი

ჟან მარი
გუსტავ
ლე კლეზიო,
„მამაჩემი –
აფრიკელი“

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მემოგზაუროს.“ – გამანდო ერთ დღეს ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიომ. რომელ მოგზაურობაზეა საუბარი? სწორედ იმაზე, რომელიც მან 1948 წელს განახორციელა და რომელმაც მრავალთვიანი მგზავრობის შემდეგ ნიგერიის სანაპიროსთან მიიყვანა. „აფრიკელი“, ნიგნით, რომელიც ორ თვეში დაინერა, მაგრამ მთელი ცხოვრებითაა ნასაზრდოები, იგი ხელახლა უბრუნდება ამ დამფუძნებელ ზღვაზე მოგზაურობას. მამასთან გამგზავრებული აფრიკას აღმოაჩენს.

ოგოიაში, ერთ დროს ბიაფრად წოდებული ტერიტორიის შუაგულში მდებარე ქალაქში, პატარა ნიცელი თეთრკანიანი გაეცნო ისეთ კოკისპირულ წვიმებს, როგორც აქამდე

დე სიზმრადაც არ ენახა, ისეთ მძლავრ ქარებს, რომლებიც გიგანტურ ხეებს ხრიდნენ, იდუმალ ძალადობას: „შეგრძნებათა, მადათა, წელიწადის დროთა“. ყველაფრისგან გამოკეტილ დასავლეთ აფრიკაში ის აღმოაჩენს აქამდე უცნობ, სხეულთა, ხმაურთა და სურნელებათა აღმტაცურ ცხვობას, გადაჭარბებულ და ამავდროულად გიჟურ თავისუფლებას. „აფრიკაში ჩამოსვლა ჩემთვის ზრდასრულთა



სამყაროს მოსაცდელ ოთახში შესვლას ნიშნავდა“, – წერს იგი და კიდევ: „სწორედ აფრიკას მსურს მივუბრუნდე ისევ და ისევ, ჩემს ბავშვურ მეხსიერებას. ჩემი გრძნობებისა და გამბედაობის წყაროს“. ერთი სიტყვით, ასკენის რომ: „ამიერიდან ჩემთვის იქნება აფრიკამდე და აფრიკის შემდგომ.“

ამ პირველ დარტყმას მეორეც ემატება: შეხვედრა მამასთან, რომელიც არასდროს უნახავს. ჩამოსვლა ხდება პორტ ჰარკურში, კოკისპირულ წვიმაში. პირველი, რამაც შეძრა ამ ლაბადიანი კაცის დანახვისას, იყო „მისი პენსნე, რომლის შუშებიც წვიმაში ბრწყინავს, და ვინც ძლიერი კრეოლური აქცენტით საუბრობს“. ყმანვილი მას იმთავითვე აღიქვამს, როგორც ვიღაც უცხო, შესაძლოა სამომს, რომლის მბრძანებლური ხასიათი მაშინვე პრობლემად იქცევა.

ამ კაცს ბევრი ტანჯვა უნახავს. მას შემდეგ, რაც მისი ოჯახი მშობლიური სახლიდან გამოაძევეს, იძულებული გახდა 1919 წელს, 30 წლისას დაეტოვებინა მორისი. აქედან მოყოლებული, იგი არასოდეს ყოფილა სხვებივით, „ალარც სამშობლო გააჩნდა, ალარც სახლი.“ ჯერ ინგლისურ გვინეაში ატარებს 2 წელს, 1926-სა და 1928 წლებს შორის, როგორც მდინარეებზე მიმოსვლელი ექიმი; შემდეგ აფრიკაში მსახურობს, ამბობს, ყველაფერს ვაკეთებ „მოლოგინეზიდან დაწყებული და გვამის გაკვეთით დამთავრებული“. სამოც წელს მიღწეული უკვე მოტეხილი, ნაადრევად დაბერებული, გაღიზიანებული, სამყაროს მონყვეტილი, გულგატეხილი კაცია, სამუდამოდ განდევნილი მორისიდან, მიუნვდომელი ქვეყნიდან; კაცი, რომელიც ხანდახან თავისი ძველი (გარმონიკიანი) „ლეიკათი“ უღებს შავ-თეთრ ფოტოსურათებს იმას, რაც სურს შეინარჩუნოს თავისი ადგილსამყოფელის მოსაგონებლად. სხვათაშორის, ამ ინტიმური და ამავდროულად ამაღელვებელი დღიურის ნაწილი ნიგნშია აღბეჭდილი.

მამის სახე გასდევს ჟ.მ.გ. ლე კლეზიოს მთელს შემოქმედებას „ონიჩადან“ მოყოლებული „ოქროს მაძიებლებამდე“, გაივლის რა „რევიოლუციებსა“ და „ნრესა“ და სხვა მოვლენათა ქრონიკას. თითქოსდა იმით, რომ მწერლობის საშუალებით აორკეცებდა მის მიერვე ნამოწყებულ ძიებას (როდესაც 1968 წელს გაემგზავრა ინდიელთა ქვეყანაში, რათა იქ ეძებნა მამის მიერ გვინეაში განცდილი გრძნობები), იგი ლამობდა შეუძლებელ მიახლოებას, გამუდმებით

გადავაძებულ აღიარებას. 1948 წელს შვილი არ ხვდება მამას. არ შეუძლია გაუგოს მას. იგი ზედმეტად განსხვავდება იმათგან, ვინც ქმნის მის ინტიმურ ნრეს, ოჯახს. მოკლედ, უცხოა „და უფრო მეტიც, აღიარებს ავტორი, თითქმის მტერი“.

მთელი ამ ტანჯვის მიუხედავად, ოგოია მწერლისთვის იმ საიდუმლო განძად, იმ ნათელ წარსულად რჩება, რომლის დაკარგვაც არ სურს და ეს სულის შემძვრელი ნიგნიც სწორედ მამასთან ხელახლა შეხვედრას ეხება. ორივეს, მამასაც და შვილსაც, შეუყვარდა აფრიკა, რადგან იგი მორისს ჰგავს: ისეთივე ნითელი მინა, ზღვიდან მონაქროლი ქარი, იგივე სახეები, სიცილი, უზრუნველობა. ჰემინგუეი კუბაში გაემგზავრა, რათა გაეხსენებინა ბავშვობის შთაბეჭდილებანი, მამასთან ერთად მიჩიგანის ტბის პირას სეირნობა. ოგოია კლეზიოსთვის იგივეა რაც სან-ფრანცისკო და პოლა – ჰემინგუეისთვის: ბავშვობა, რომელსაც ველარასდროს მოიძიებ, დროის მანქანა იმ შეცდომათა და ღალატის გამოსასწორებლად, რომლებმაც ეს გადასახლება გამოიწვიეს. „აფრიკელის“ დაწერით კლეზიომ შექმნა სინანულის დიადი ნიგნი – „რალაც მომეცა, რალაც წამერთვა. რაც ჩემს ბავშვობას ამკარად აკლდა, ესაა მამის ყოლა, მის გვერდით, ოჯახური კერის სიმყუდროვეში გაზრდა“. „აფრიკელი“ ამავდროულად ნაწარმოების უმთავრეს საიდუმლოებასაც გვანდობს: აღიარებს რა საბოლოოდ ამ ღონდონიდან ჩამოსულ მორისელ მამას, ჟ.მ.გ. ლე კლეზიო კრავს ნრეს: აფრიკელი თვითონ იგია.

ინტერვიუ ლე კლეზიოსთან

– თქვენს რომანში „ონიჩა“ ბავშვი საუბრობს „უცნობზე, რომელიც წერილებს წერს“. „აფრიკელში“ თქვენ ბოლოსდაბოლოს ასახელებთ ამ მამას?

– „ონიჩაში“ მეხსიერებას მივდევდი, მაგრამ რადგან მამის სახება ჯერ საბოლოოდ არ მქონდა მოგვარებული, აღვწერე, ცოტა არ იყოს, უფერული კაცი, საქმოსანი, რომელიც, მართალია, თავაზიანია, მაგრამ ფრიად მბრძანებლური. იგი რომანის გმირია. „აფრიკელში“, რომელიც არა ავტობიოგრაფიული, არამედ ბიოგრაფიული თხზულებაა, საქმე სხვაგვარადაა. ვამბობ მამაჩემი-მეთქი, მაგრამ მის სახელს მაინც არ ვწერ.

– საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ეს მამა მოგიტხრობდათ ამ აფრიკაზე?

– არა. ისეთი კაცი იყო, რომელიც ბევრს არ საუბრობს, და მით უფრო, თავის ცხოვრებაზე. ყველაფერს, რასაც ამ ნიგნში ვყვები, იგი, უპირველეს ყოვლისა, უარყოფდა, და საფიქრებელია, რომ არ მოიწონებდა. მე მხოლოდ იმიტომ შევძელი „აფრიკელის“ დაწერა, რომ ის აღარაა ცოცხალი. ამ კაცს მარტო ერთი ვნება ამოძრავებდა: აფრიკა. მისი ოჯახი და ბავშვები მეორე პლანზე გადადიოდნენ. ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ აფრიკაზე იყო შეყვარე-

ბული, საკმაოდ აბსტრაქტულს ხდიდა ადამიანურ დამოკიდებულებას საკუთარი შვილებისადმი.

– მამაზე ამბობთ, რომ იგი იყო „თავისი ცხოვრებისა და გატაცებისგან გადასახლებული, წარსულის ცოცხალი გადმონაშთი.“ ეს გადასახლება თქვენც შეგეხოთ?

– ეს მან შექმნა ასეთი ცხოვრების მოდელი: ჩვენ წარმოშობით ვართ დედამიწის ყოველი კუთხიდან, არ მივეკუთვნებით რაიმე ალაგს. ერთ დღესაც სადმე გავჩერდებით, მაგრამ არ ვიცით – სად. მისი ოჯახის დაქსაქსვის შემდეგ შვილები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაემგზავრნენ: ტრინიდადში, ტობაგოში, ინგლისში, საფრანგეთში, რეუნიონში, სამხრეთ აფრიკაში. მთელი მსოფლიო გახდა მათი ადგილსამყოფელი. ისინი უკვე აღარსაიდან იყვნენ, თუ არ ჩავთვლით იმ კავშირ-ადგილს, რომელსაც მიმონერის მეშვეობით ინარჩუნებდნენ. მამას აღარ გააჩნდა სამშობლო და აღარ შეეძლო მორისში დაბრუნება, ბეზიარებისგან განსხვავებით, რომელიც წარმოშობით აღმოსავლეთ საფრანგეთიდან იყო, მეჭარხლეთა ოჯახიდან, დროსა და სივრცეში აღბეჭდილი. მამაჩემის წვლილი იმ მოდელთა დამსხვრევაში მდგომარეობს, რომლებსაც ფრანგული ტიპის აღზრდა გვახვევს თავს: სოფელში დაიბადები, ჩადიხარ ქალაქში, იქ ქმნი ოჯახს და სხვა. თვითონ იგი მინარეთებითა და ქოქოსის პალმებით სავსე ეგზოტიკური ქვეყნიდან იყო წარმოშობით. მაშინ აბსურდული ქვეყანა ახლა საკურორტო ადგილად იქცა.

– თუ გავითვალისწინებთ, რომ მწერალი ხართ, გადასახლებით გამოწვეული უიღბლობა იღბლად შეიძლება ჩავთვალოთ?

– უნდა ვაღიარო, რომ „არსაიდან ყოფნამ“ საკმაოდ დიდი ხნით ძალზე უბედური გამხდა. მწერლობა კი პირიქით, ადგილის პოვნის, ენის მეშვეობით კავშირის დამყარების, მკითხველის ყოლის, პარიზში ჩასვლისა და ხალხთან შეხვედრის საშუალებას მაძლევდა. წერა მანიჭებდა ვარდნის წერტილს, ერთგვარ იდენტურობას. დროთა განმავლობაში ეს თვალსაზრისი ოდნავადაც არ შეცვლილა. დღესაც კი ძლიერ მიჭირს სადმე გაჩერება. ყველაზე დიდ ტკივილს ის მანიჭებს, რომ უკან ვიხედები და ვრწმუნდები, რომ კვალს არსად ვტოვებ. მე არ შემოიძლია, დავუბრუნდე არსებულ ნაკვალევს, ისიც კი არ შემოიძლია, რომ მაალუფივით საკუთარ „სანყისებზე“ ვილაპარაკო. ეს შეუძლებელია. ხშირად ჩავდივარ მორისში, რადგან გული იქით მიმიწევს, მაგრამ ის მორისი, რომელსაც მე ვიცნობდი, აღარ არსებობს. ეს ერთგვარი გამონაგონია (ფიქციაა), რომელიც ეყრდნობა უაღრესად ზუსტ ელემენტებს, მე მათი ადგილის განსაზღვრა შემოიძლია. მაგრამ ეს ადგილები ცარიელი ადგილებია, ცარიელი ნიჟარები.

– თქვენ წერთ, რომ ეს დანაკლისი აინაზღაურეთ?

– უმთავრესად იმიტომ ვწერ, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ესაა ამ წიგნის შექმნის მიზეზი, რომ ვცდილობ გავიგო, რატომ ხდება, რომ ჩემთვის ეს დანაკლისი ასეთი მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სხვებისთვის თითქოს სრულიად უმნიშვნელოა. ჩემი ჯილდო ისაა, რომ ჩემს ნაწერს კითხვობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს იმავეს ეკითხებიან, რასაც მე, ნამოჭრიან კითხვებს მატერიალური წარმოშობის არარსებობის, მეხსიერების თითქმის ფანტასტიკური სიმსუბუქის გამო. არ ვიცი, ეს დანაკლისი რომ არაა, იარსებებდა კი ჩემი შემოქმედება, ყოველ შემთხვევაში, ის ნამდვილად სხვაგვარი იქნებოდა. ჩემში ყოველთვის შურს იწვევდნენ, და ეს არ არის გადაჭარბებით ნათქვამი, ჩემი ამხანაგების მამები, ამხანაგებისა, რომლებსაც შედარებით ნორმალური ცხოვრება ჰქონდათ. ჰყავდათ მამა, რომელიც მათ ეხმარებოდა გაკვეთილების მომზადებაში, ესაუბრებოდა, კინოში დაჰყავდა, უმონმბედა დღიურს. მამაჩემი არასოდეს შეამონმბედა დღიურს. ყოველივე ამას დედაჩემი კისრულობდა. მაგრამ ის ვერ ანაზღაურებდა იმ ამხანაგურ ურთიერთობას, რომელიც შეიძლება მამასთან გაკავშირებდეს. დღეს გული მწყდება, რომ მამაჩემს არ აღმოაჩნდა ადაპტაციის უნარი, რამაც ჩემი მხრიდან მისი უკუგდება გამოიწვია. მე ვერ დავინახე ის, რაც ამ ადამიანს არაჩვეულებრივს ხდიდა. მაგრამ „აფრიკელი“ ფსიქოანალიტიკური წიგნი როდია.

– ამბობთ, რომ თქვენი გაოგნება აფრიკამ კი არა, ამ უცნობი მამის აღმოჩენამ გამოიწვია. და მაინც, ეს ორი დარტყმა ერთდროულად განხორციელდა.

– ისე მოხდა, რომ ერთიცა და მეორეც ერთმანეთს საუცხოოდ შეენწყნენ, რათა ევროპიდან ჩამოსული ბავშვისათვის თავზარი დაეცათ. იგი რომ ჩვეულებრივი მამაკაცი ყოფილიყო, როგორც ის პერსონაჟი, მე რომ „ონიჩაში“ გამომყავს, კაცი, რომელიც ისეთ ადგილას ცხოვრობს, უფრო მეტად რომ ჰგავს ევროპას, აქვს ურთიერთობა სხვა ევროპელებთან, არის კლუბის წევრი და სვამს სპირტიან სასმელებს მეგობართა წრეში მოწყობილ საღამოებზე, ვაღიარებ, რომ ყველაფერი სრულიად სხვაგვარად იქნებოდა. ეს კაცი, ასეთი ძლიერი, ასეთი სასტიკი უკვე მეტისმეტი იყო. კოლონიური სამყაროც საკმაოდ დაუნდობელი

გახლდათ. მე მაგონდება ისეთი სცენები, როგორიცაა ჯაჭვით გადაბმულ კატორღელთა რიგები და ცხენზე ამხედრებული ჯარისკაცები, რომლებიც მათ თვალყურს ადევნებენ მაშინ, როდესაც მე სანაოსნო ზოლში საბანაოდ მივდივარ სატივით მანქანის საბურავით. სანაოსნო ზოლი შეიძლება დაივიწყო, მაგრამ ჯარისკაცებს ვერ დაივინყებ.

– ამ წიგნში იგრძნობა ერთგვარი სინანული, რომ ვერ შეძელით მამის გვერდით ბავშვობის გატარება, მამისა, რომელიც ხელს გამოგიწვდიდა.

– მე შემეძლო, მე უნდა დამესვა კითხვები. ასეთი გრძნობა მაშინ გიჩნდება, როდესაც შენ გვერდით არის საკმაოდ ასაკოვანი პიროვნება და შემდეგ უეცრად ამჩნევ, რომ დრო ხელიდან გაუშვი. მე არ დავსვი კითხვები, რადგან ზედმეტად ვიყავი დაკავებული თავდაცვით. მინდოდა თავი დამეღწია ავტორიტეტისათვის, გადამელახა წინააღმდეგობანი, ამცვდინა სასჯელი. ვაკეთებდი ყველაფერ იმას, რასაც აკეთებს ბავშვი, რათა გადარჩეს მტრულ გარემოცვაში. ამან შემოიშალა ხელი, დამენახა ის, რაც ამ ადამიანს გამოარჩევდა და მისთვის ის კითხვები დამესვა, რომელთა დასმის სურვილიც მქონდა. ეს დიდხანს დარჩა სადავო საკითხად, რადგან მაშინაც კი, როდესაც ეს წიგნი დავეწერე, ისევ დავეკითხე საკუთარ თავს, ხომ არ გავთქვამდი ამით მის საიდუმლოს.

– ჰქონდათ ცდუნება, არ გამოგეჭყეყნებინათ ეს წიგნი?

– არა, ძირითადად ფოტოების არჩევის დროს შეეცოყმანდი. მათი რიცხვი 500-ზე მეტია. მე გამოვრიცხე ყველა ის ფოტო, რომელზეც იგი იყო აღბეჭდილი და რომელთა შორის ზოგიერთი მართლაც შთამბეჭდავია. შემეძლო არც ერთი არ გამოგეყენებინა, მაგრამ ხომ სწორედ ამ ფოტოებმა მომცა საშუალება მეხსიერებისთვის მიმემართა და მისთვის ხორცი შემესხა. როდესაც „ონიჩას“ ვწერდი, ჯერ კიდევ მაშინ გამოვიყენე ზოგიერთი მათგანი, რათა აღმედგინა მეხსიერება და, შეძლებისდაგვარად, პროუსის არ იყოს, წარმოსახვისთვის შემენაცვლებინა. „აფრიკელისთვის“ ერთგვარი ქრონოლოგია მჭირდებოდა. გარდა ამისა, ყველა ეს ფოტო დახარისხებული და დათარიღებული იყო, ზოგჯერ კომენტარიც ერთვოდა. ვაღიარებ, რომ წარსულის განსახილველად და მასთან, ანდა საკუთარ მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად რომანის წერა საუკეთესო საშუალებაა. ამავე დროს მქონდა ალტაცებისა თუ პატივისცემის, რომ არ ვთქვავთ, სიყვარულის გამოხატვის მოთხოვნილება. ვერ წარმომიდგენია, ეს წიგნი უფოტოებოდ. მაშინ სხვაგვარი დამოკიდებულება მექნებოდა, გამიჩნდებოდა აბსტრაქტულობის განცდა. ამასთან ფოტოები, ცოტა არ იყოს, მთავარი მოქმედი გმირის მონანილეობას აღნიშნავს წიგნში, რომელიც მასზე მოგვითხრობს. ეს თითქმის ორივეს მიერ დაწერილი წიგნია, დიალოგი, რომელიც ამჯერად შედგა.

– თქვენ წერთ: „ამრიგად, ოგოიაში გატარებული დღეები ჩემთვის საიდუმლო განძად იქცა, ნათელ წარსულად, რომლის დაკარგვაც არ შემეძლო“. თქვენ, ცოტა არ იყოს, ამხელთ ამ საიდუმლოს.

– მე არ მქონია ის გრძნობა, რომელსაც ხშირად შეაპარებენ ხოლმე ლიტერატურულ ნაწარმოებში და ხანდახან მეც გამომიყენებია, რადგანაც ამ დროს სხვის ტყავში ვიმ-

ყოფებოდი, და რასაც ნოსტალგიის გრძნობა ჰქვია. მე არ ვგრძნობ ნოსტალგიას ამ დროისადმი, რადგან ყოველივე ეს უზომოდ ძლიერი იყო და ეს ძალა ერთგვარად კვლავაც მოქმედებს. არ ვიტანჯები იმით, რომ ის დავკარგე, იგი კვლავ აქაა. აფრიკასთან ამ ურთიერთობის მშვენიერება ჩემში ისევ ცოცხლობს. მეორე მხრივ, ეს ბავშვობა იმდენად უსიხარულო იყო, რომ მის მიმართ არავითარ სინანულს არ განვიცდი.

- როგორ მოხდა თქვენი გამომგზავრება აფრიკის მიწიდან?

- მე ეს ძალიან კარგად მახსოვს. მოულოდნელად დამატყდა თავს. ჩემს მესხიერებაში გამგზავრების ჟამი იმ განცდას უკავშირდება, რომ ოგოიაში აღარასოდეს დავბრუნდებოდი, რომ ეს იყო საბოლოო გადასახლება. ეს განცდა იმითაც იყო გამძაფრებული, რომ აფრიკაში გასამგზავრებლად ჩემი გამზრდელი ბებიის მიტოვება მომიხდა. მაშინ გამიჩნდა გრძნობა, რომ აფრიკელი უნდა

გავმზადრიყავი და, როცა მაცნობებენ, საფრანგეთში უნდა დაბრუნდეთ, უკვე აღარაფერი მესმის, რადგან შევეგუე არდაბრუნების აზრს. ჩვენი დაბრუნება, უეჭველია, სკოლას უკავშირდებოდა. ჩვენი (ჩემი და ჩემი ძმის) მასწავლებელი დედაჩემი იყო და თავს იკლავდა, რომ ჩემთვის არითმეტიკის საწყისები აეხსნა. მე ვიცი, რომ ერთი პირობა ვყოყმანობდით. ნავარაუდევია იყო გამგზავრება სამხრეთ აფრიკაში, დურბანში, სადაც მამიდაჩემი ცხოვრობდა. როცა ბავშვი ხარ, გიჭირს იმის გაცნობიერება, რომ ვილაცა სხვის - და არა შენს მიერ - მიღებული გადაწყვეტილება საკმარისია იმისათვის, რომ შენი ცხოვრება ერთ დღეში შეიცვალოს. გემით დაბრუნებაც ასევე დიდხანს გავგრძელებდი. მე გავაგრძელებ ნერა და მას შემდეგ აღარ შემინწყვეტია.

**ფრანგულიდან თარგმნა
ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძე**

შორენა ლებანიძე

**„შავთვალა
როსსეტი“**

*

**გზა პეტიარბურგის
სასახლავიდან მარტოსული
მეფარისტის ეპიგრაფიამდე**

პეტერბურგელი სმირნოვების ტფილისური ისტორია 1876 წლიდან იწყება, როდესაც განოვის (ახლანდელი ვალაკტიონის) ქუჩაზე მდებარე სახლის ზღურბლს რუსმა დიდგვაროვანმა მიხეილ ნიკოლაევიჩმა გადააბიჯა. მაშინ თალიან-კოლონებიან ფასადს ჯერ კიდევ არ ამშვენებდა აბრა, წარწერით: „პუშკინის მემორიალი“. მაშინ ცისფერი ორნამენტებით მოხატულ მაღალჭერიან ოთახებში ვაჭარ ეგორ თამაშევის ვაჟი ცხოვრობდა ცოლთან და ოთხ შვილთან ერთად. შუათანა - ეკატერინე - ტატო ბარათაშვილის დისშვილზე, ნიკოლოზ ერისთავზე დაინიშნა. უფროსი ელიზავეტა, რომელმაც მზითვეში მამისეული ორსართულიანი სახლი მიიღო, მიხეილ სმირნოვს გაჰყვა ცოლად.

გავა დრო და რუსი დიდებულის ოჯახი პუშკინის ეპოქის პეტერბურგული სალონის ტრადიციებს გააგრძელებს. 1974 წელს დაფუძნებული მთავარი სარედაქციო მთარგმნელობითი კოლეგიის ნაწილი ლიტერატურულ ურთიერთობათა (ანუ კავკასიური) სახლის, „პუშკინის მემორიალის“ წინამორბედად გადაიქცევა. სმირნოვის მიერ შეგროვებული ჰერბარიუმები, დედის, ალექსანდრა როსეტის, ნა-

ქონი სამკაული და ნახატების უნიკალური კოლექცია საქართველოს საცავებს გაამდიდრებს.

კავკასიურ სახლში დარჩება პეტერბურგიდან ჩამოტანილი ანტიკვარული ავეჯი, მდიდარი ბიბლიოთეკა, ფაიფურის, ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭლის ვიტრინები, ფერწერული ტილოები.

ტილოები სასტუმრო დარბაზშია გამოფენილი. ერთ-ერთ მათგანზე სადღესასწაულო კაბაში გამოწყობილი მანდილოსნის პორტრეტი აღბეჭდილა. მოპირდაპირე კედლიდანაც აღმოსავლური მოსასხამით შებურული იგივე სახე იმზირება. მოსასხამი, ორნამენტებიანი გულისპირითა და მაქმანებით შემკული სამოსი, ატლასის ქოშები ქალის არასლავურ გარეგნობას წარმოაჩენს. გრძელი შავი თმა, დიდრონი შავი თვალები უნებურად ლერმონტოვის დაუმთავრებელი ნაწარმოების „ლუგინის“ პერსონაჟის აღწერილობას გვაგონებს:

„მას სასახლის კარის სამგლოვიარო რიტუალის შესაფერისი შავი კაბა ეცვა და მხარს ცისფერ ბაფთაზე მოციმციმე ბრილიანტის ვენზელი უმშვენებდა ... გრძელი შავი თმით დაჩრდილულ ნორჩ, სწორნაკვეთებიან, ფერმკრთალ სახეზე ფიქრის კვალი აღბეჭდვოდა.“

ქალი, რომელიც არა მხოლოდ ლერმონტოვის, არამედ მისი დროის თითქმის ყველა რომანტიკოსის - პუშკინის, ჟუკოვსკის, ვიაზემსკის, მიატლევის, ხომიაკოვის - შთაგონების წყაროდ იქცა, მიხეილ სმირნოვის დედა - ალექსანდრა ოსიპოვნა როსეტი იყო.

მას უძღვნიდნენ ლექსებს, რომლებზეც შემდეგ რუსული რომანსები იწერებოდა.

მას ხატავდნენ იისფერი ხავერდის, თეთრი აბრეშუმის საღამოს კაბებსა თუ საკარნავალო კოსტიუმებში, ჩამავალი მზის სხივებით განათებული პეიზაჟის, ბერლინის ხედისა თუ ალექსანდრე ზღვის ფონზე.

მის ბიუსტს აქანდაკებდნენ მარმარილოსაგან.

მას ეტრფოდნენ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ოჯახის წევრები, დიპლომატები, სახელმწიფო მოხელეები, პოეტები.

მას ფილოსოფიურ, რელიგიურ, ლიტერატურულ, ცხოვრებისეულ საკითხებზე წერილობით ებაასებოდნენ გოგოლი, ტურგენევი.

მისი სალონისაკენ ახალდასრულებული ნაწარმოების წასაკითხად, აზრის გასაზიარებლად, შენიშვნების მოსასმენად მიდიოდნენ პუშკინი, კრილოვი, ტურგენევი.

ოქროსფერფუნჯებიანი თეთრი ფარდებითა და ოვალური სარკეებით მორთულ დარბაზში ფიგურულ პარკეტზე მდგარ თეთრ როიალთან მის გვერდით სხდებოდნენ გლინკა, ლისტი.

რუსული კულტურის ისტორია მას უწოდებს დიდ მემუარისტს.

მისი მოგონებები, რომლებშიც 3 ათასზე მეტი ისტორიული პიროვნებაა ნახსენები, 600 გვერდს მოიცავს.

მემუარები სიცოცხლის ბოლოს, ფიზიკურსა და სულიერ მარტობაში, უცხოეთში იწერებოდა, როდესაც უკვე აღარ არსებობდნენ ავტორიტეტები, მეფის სასახლის ბრწყინვალეობა გაუფერულდა, ბალ-მასკარადები და წვეულებები წარსულში დარჩნენ, ხოლო ერთ მშვენიერ დღეს პარიზული სახლის ზღურბლთან მდგარ ონორე დე ბალზაკს იმპერატრიცას ყოფილმა ფრეილინამ ჩვეული პირდაპირობით შეუთვალა: „დამალავს ცნობილმა პიროვნებებმა. მომშორდით. აღარაფერი მინდა.“

მაშინ 70 წელს გადაცილებული საიდუმლო მრჩევლის ქვრივი, ალექსანდრა ოსიპოვნა პარიზში უფროს ქალიშვილთან, ოლგასთან ერთად ცხოვრობდა და დროის უდიდეს ნაწილს საწერ მაგიდასთან ატარებდა.

„მთელი ახალგაზრდობა მეჯლისებზე გავატარე, მაგრამ დარბაზებს – მყუდრო ოთახი, ძვირფასეულობას – უბრალო ნივთები, დიდ სივრცეს – ჩაკეტილი გარემო, ქალაქს სოფელი მერჩია...“

ალექსანდრა ოსიპოვნა როსეტის ცხოვრებაში მართლაც იყო ელიტური საზოგადოებისაგან გაქცევის, სოფელში ჩაკეტვის მცდელობები, რაც საბოლოოდ კვლავ პეტერბურგის გაჩახჩახებული სასახლეებისაკენ ლტოლვით მთავრდებოდა. იმპერატრიცას უახლოეს გარემოცვაში ტრიალმა ორგზის ფრეილინას სალონების მასპინძლობა და დახვეწილი მანერების დემონსტრირება ლამის სულიერ მოთხოვნილებად უქცია.

თუმცა მისი ცხოვრება „მყუდრო ოთახითა და უბრალო ნივთებით“, პროვინციული ოდესით დაიწყო, სადაც 1809 წელს დაიბადა.

მამა – ოსიპ ივანოვიჩი – ლაკარტების საგვარეულოსთან დაახლოებული იტალიელი როსეტების შთამომავალი იყო. მოსკოვში გენუის საზღვაო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩავიდა და ოზაკოვის, იზმაილის შტურმებში, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომებში ოფიცრის ჩინით იბრძოდა. დიუკ რიშელიესთან მეგობრობდა.



ალექსანდრა როსეტის პორტრეტი (1837)

ოდესის პირველი სტამბის დაარსებაში მონაწილეობდა.

დედა – ნადეჟდა – გერმანელი ლორერისა და ქართველი ეკატერინა ევსეევნა ციციშვილის ქალიშვილი იყო. ეკატერინა – 1724 წელს მოსკოვში გადასახლებული ვახტანგ მეექვსის 1186-კაციანი გარემოცვის წევრის, თავად იასე (ევსეი) ციციშვილის ასული – უკრაინულ სოფელ გრამაკლეაში დაიბადა და აქვე გარდაიცვალა. ეკატერინას ძმა – „რუსი მიუნჰაუზენის“ სახელით ცნობილი დიდი იუმორისტი დიმიტრი კი პეტერბურგში გადაბარგდა, სადაც ძალზე ხელგამ-

ლილი ცხოვრების, ქართული დაუდევრობისა და სტუმარ-მასპინძლობის წყალობით, მამამისის ქონება უმოკლეს დროში გაანიავა.

ალექსანდრა ოსიპოვნას გერმანულ-ქართული-იტალიური წარმომავლობის შესახებ ლიტერატორი შენროკი ამბობს:

„ქალმა როსეტებისაგან მემკვიდრეობით მიიღო ფრანგული სიხალისე, სიცოცხლისმოყვარეობა და მახვილგონიერება, ლორერებისაგან – დახვეწილი მანერები და მუსიკალური გემოვნება, ქართველი წინაპრებისაგან – სიზანტე, ცეცხლოვანი წარმოსახვის უნარი, ღრმა რელიგიურობა და უშუალობა.“

ამ თვისებათა ნაზავი ალექსანდრა ოსიპოვნას მაღალი საზოგადოებისაკენ გზის გაკაფვაში დაეხმარა.

გზა მაღალი საზოგადოებისაკენ პეტერბურგის წმინდა ეკატერინეს სახელობის ინსტიტუტზე გადიოდა. ინსტიტუტში ნიკოლოზ პირველის ძმის, მიხეილ პავლოვიჩის ხელშეწყობით მოხვდა. დიდმა თავადმა ალექსანდრა ოსიპოვნას მამინაცვლის, გენერალ ივან კარლოვიჩ არნოლდის თხოვნა გაითვალისწინა (მამა 1814-ში, ხუთი წლისას გარდაიცვალა).

სასწავლებლის წარმატებით დასრულების შემდეგ, გამორჩეული სილამაზის, ნატიფი მანერებისა და გონიერების წყალობით, იმპერატორის დედის, მარია ფიოდოროვნას ფრეილინა გახდა და საერთო საცხოვრებლიდან ერმიტაჟის მეოთხე სართულზე, პანანინა ოთახში გადაინაცვლა. ოთახში სანოლის გარდა არაფერი ეტეოდა. მარმარილოს ციფ იატაკზე ფარდაგი არ ეფინა, ხოლო მწირი ვარდერობი დედოფლის ნაქონი რამდენიმე კაბისა და ფრეილინას უნიფორმისაგან შედგებოდა. სადა კოსტიუმი – ყოველდღიური საქიროებისათვის, შედარებით საზეიმო ჩაცმულობა და მორთულობა – ოფიციალური შეხვედრებისა და მიღებებისთვის, რომლის განმავლობაშიც დედოფალს გვერდიდან არ უნდა მოშორებოდა, ყოველი სიტყვა და ნაბიჯი მოეზომა, ეტიკეტი დაეცვა.

ალექსანდრამ გამოცდას გაუძლო. „შავთვალა როსეტით“ აღფრთოვანებას თანაბრად გამოხატავდნენ იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნა და იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, რომელმაც ერთხელ საჯაროდ განაცხა-

და: „როსეთი ისე მართავს რუს პოეტებს, როგორც მე – სახელმწიფოს“.

ალექსანდრა ოსიპოვნა იმპერატორის ფავორიტი გახდა. უცხოეთში მოგზაურობისას იგი ნიკოლოზ პირველის ოჯახის სრულყოფილებიანი წევრის სტატუსით სარგებლობდა. თავად ნიკოლოზ პირველი მეუღლის გულის მესაიდუმლეს ბრილიანტებითა და ზურმუხტებით მოჭედილ ოქროს ზარდახშებს უძღვნიდა, ფრეილინასადმი დამოკიდებულებას პირად, ინტიმურ წერილებშიც გამოხატავდა და საქმითაც ამტკიცებდა: ყველამ იცოდა, რომ როსეტის ბიძის, დეკაბრისტ ნიკოლაი ივანოვიჩ ლორერისადმი უჩვეულო შემწყნარებლობა ნიკოლოზ პირველს ალექსანდრას ცრემლებმა გამოაჩენინა. იმპერატორმა ლორერს ჯერ სიცოცხლე აჩუქა, მერე გაციმბირება შედარებით მსუბუქი სასჯელით – ამიერკავკასიაში გადასახლებით შეუწყვალა.

იმპერატორისა და ფრეილინას ზღვარდაუდებელ მეგობრობაზე პეტერბურგში უკვე ღიად საუბრობდნენ. ჭორებს დამაჯერებლობა მოგვიანებით კალუგაში გზადგავლილი ნიკოლოზ პირველისა და იმხანად ქალაქის გუბერნატორმა სმირნოვა-როსეტის იდუმალმა შეხვედრამ შემატა. შეხვედრიდან ცხრა თვის თავზე ქალს ვაჟი – მიხეილი – შეეძინა.

* * *

„შავთვალა როსეტის“ რომანტიკული თავგადასავლები ცხოვრებისეული კარიერის პირველ საფეხურზე ასვლისთანავე იწყება. ერმიტაჟის ახალმა ბინადარმა ელვისებურად მოხიბლა გარშემომყოფნი. მოხიბლულთა შორის იმპერატორის შვილების აღმზრდელი, პოეტი ვასილ ჟუკოვსკიც აღმოჩნდა. 45 წლის რომანტიკოსი 19 წლის ფრეილინას ეგზამეტრით დაწერილ ლექსებს უძღვნიდა. მათ შიშა სითბო და ნაზი გრძნობა, რომელსაც ალექსანდრა სიყვარულითვე პასუხობდა. სიყვარული ქორწინებამდე არ მისულა. „შავთვალა როსეტს“ ასაკობრივზე მეტად მატერიალური ბარიერი აფიქრებდა. ღარიბები იყვნენ. ობოლი, უსახლკარო, ოთხი მცირეწლოვანი ძმის მარჩენალი ოსიპოვნა მარია ფიოდოროვნას შემოწირულობებით საზრდოობდა. ფრეილინებს გასამრჯელო არ ეძლეოდათ.

როსეთი ცხოვრებისაგან გაცილებით მეტს მოელოდა. მას ლურჯ ხიდან ჩარიგებული სასახლეები იზიდავდა. მას ელიტური საზოგადოების წევრობა სურდა. სურვილი ინსტიტუტის დამთავრებისას წამოჭრილმა დილემამ ლამის თვითმიზნად, ამბიციად, მამოძრავებელ ძალად უქცია. დიდი თავადის მეუღლის, ელენას მიერ საეჭვო წარმომავლობის საბაბით თავდაპირველად, საკუთარი კეთილშობილების დასამტკიცებლად და ფრეილინობის უფლების მოსაპოვებლად გენეალოგიური კვლევის წამოწყება დასჭირდა. თუმცა, დედოფლის გუნდის წევრობისათვის გვარის გადაკეთებაც საკმარისი აღმოჩნდა. ერმიტაჟში ფეხის შედგმის შემდეგ იტალიელი ალექსანდრა როსეტის ფრანგ როსსეტს-ად გადაიქცა, ანუ გვარს ბოლო ასო – ი ჩამოშორდა. პრობლემა კი კვლავ პრობლემად დარჩა ოსიპოვნასათვის, რომელსაც, სავარაუდოდ, სწორედ უარყოფით გამოწვეული არასრულფასოვნების კომპლექსი უმძაფრებდა თავდაცვის ინსტინქტს, მატებდა სტიმულს, უყალიბებდა ცხოვრების წესს.

ამიერიდან მისი ყოველდღიურობა აღსავსე იყო შეხვედრებით, მეჯლისებით, წვეულებებით, რაც, წესისამებრ, კარამზინების სალონის სტუმრობით მთავრდებოდა.

სალონის მაღალ საზოგადოებას ქალი სილამაზითა და მრავალმხრივი მისწრაფებებით ხიბლავდა. იგი იცნობდა რუსულ და საზღვარგარეთულ ლიტერატურას, ფილოსოფიას; უკრავდა ფორტეპიანოზე; ერკევოდა მათემატიკაში, პოლიტეკონომიაში, ბოტანიკაში; აგროვებდა უიშვიათესი მცენარეების ჰერბარიუმებს; ფლობდა რუსულს, უკრაინულს, ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს, იტალიურს; წმინდა მამების წერილების ორიგინალში წასაკითხად რამდენიმე თვეში შეისწავლა ძველბერძნული და ძველებრაულის.

ალექსანდრა ოსიპოვნას შესახებ ლეგენდები იქმნებოდა. ლეგენდებმა პუშკინამდეც მიიღწია. პოეტმა ქალის გაცნობა გადაწყვიტა. ნაცნობობა 1828 წლის ზამთარში, ერთ-ერთ მეჯლისზე შედგა. დარბაზის კუთხეში, მოცეკვავე წყვილებისაგან განცალკევებით მდგარ ოსიპოვნას შავ ფრაკში გამოწყობილი თმახუჭუჭა უცნობი წარუდგინეს.

ქალი პუშკინის პოეზიამ, პუშკინი როსეტის რუსულმა მოხიბლა. მაინც ვერ დამეგობრდნენ. „თავქარიან საზოგადოებაში ცვხოვრობდით. არც მე ვაფასებდი მას, არც ის – მე“, – ამბობდა ალექსანდრა.

მაგრამ გაივლის დრო და 1831 წლის ზაფხულში ახალ-შერთულ ნატალისთან ერთად ცარსკოე სელოში ჩასული პუშკინი ალექსანდრა როსეტს ხელახლა აღმოაჩენს. ქალი პოეტის ხშირი სტუმარი გახდება.

„რისი ბრალია, რომ ჩვეულებრივ მოწყენილი და სიტყვაძუნნი პუშკინი თქვენთან ხალისიანი და ენამჭევრი ხდება“, – იტყვის ეჭვებით შეპყრობილი ნატალი, რაზეც ალექსანდრა ხმამაღლა გაიცინებს და მეორე სართულზე, ხელნაწერებში ჩაფლულ პოეტთან ავა, რამდენიმე წუთში კი მათ ვასილ ჟუკოვსკი და პავლოვსკიდან ფეხით ჩამოსული ნიკოლაი გოგოლი შეუერთდება.

* * *

მაგრამ ეს იქნება შემდეგ. ჯერ კი 1828 წელია და იმპერატრიცას ფრეილინა 55 წლის თავად სერგეი მიხაილოვიჩ გალიცინზე დაქორწინებას აპირებს. ქორწინება ჭიანჭურდება. თავადის მეუღლეს, ევდოკია ივანოვნა გალიცინა-იზმაილოვას სერგეი მიხაილოვიჩთან გაყრა არ სურს.

ევდოკია ივანოვნა ქმარზე ბევრად ახალგაზრდა, ლამაზი და საინტერესო ქალი იყო, რელიგიური მოღვაწისათვის დამახასიათებელი ასკეტური გამომეტყველებით, ხორბლისფერ სახეზე აღბეჭდილი სევდით, რაც, სავარაუდოდ, პიროვნული ტრაგედიის კვალი უნდა ყოფილიყო. ლიტერატორები პიროვნული ტრაგედიის მიზეზად მის უიღბლო ქორწინებას მიიჩნევდნენ.

ცოლ-ქმარს ერთმანეთი არ უყვარდა. ცალ-ცალკე დასახლდნენ. ევდოკია ივანოვნას მდიდრული ბინის კარი, გალიცინის გარდა, ნებისმიერი სტუმრისათვის საღამოს ექვს საათზე იღებოდა და გათენებამდე არ იკეტებოდა. დღისით ქალს სტუმრებისათვის არ ეცალა. ეძინა, ისვენებდა. ღამით ცხოვრობდა – სისხლსავსედ, მჩქეფარედ და, ერთი მიზეზის გამო, არაფრის შეცვლას აპირებდა: ახალგაზრდობაში მკითხავმა, თურმე, გააფრთხილა, დღის ნუ გეშინია, სიკვდილი ღამით გეწვევაო.

ალბათ, ამიტომაც შეარქვეს „ღამის პრინცესა“, რომელმაც მრავალთა შორის პუშკინიც მოხიბლა და რომელსაც ერთხელ თვითონაც შეუყვარდადა აცრემლებული ედოკია ივანოვნა გალიცინს მუხლებში ჩაუვარდა. მისი გულგრილობისა და სიამაყისაგან აღარაფერი დარჩენილიყო. მას ქმრისგან ერთადერთი რამ – განქორწინება – სურდა.

გალიცინმა, გაუგებარი ახირების გამო, კატეგორიული უარი განაცხადა. წლების შემდეგ „ღამის პრინცესამ“ სერგეი მიხაილოვიჩზე იმავე მეთოდით იძია შური.

გალიცინისა და როსეტის გზები გაიყარა. ალექსანდრა ოსიპოვნამ საქმროს ნაჩუქარი ძვირფასეულობა, ფული უკლებლად დააბრუნა, ჯარში განწვეული ძმის მიერ დახარჯული 17 ათასის გარდა, რამაც, ფაქტობრივად, ალექსანდრას ბედი გადაწყვიტა. როსეტმა ნიკოლაი მიხაილოვიჩ სმირნოვის წინადადება მიიღო.

თავადი სმირნოვი საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკად მსახურობდა. პეტერბურგში იმპერატორის სასახლის შესაფერისად მოწყობილი ბინა ჰქონდა. ბინა, რამდენიმე მამულთან და 22 ათას დესეტინა მიწასთან ერთად, დედამისის წინაპარმა, პეტრე პირველის ერთგულმა ჯარისკაცმა სერგეი ბუხვოსტოვმა უმემკვიდრეა. ბავშვობაშივე დაობლებული, ბრწყინვალე განათლების მიღების შემდეგ, დიპლომატიური კარიერის უმაღლესი საფეხურისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე იყო, შემდეგ იტალიასა და გერმანიაში გახსნილი რუსეთის საელჩოების თანამშრომელი, კალუგის გუბერნატორი, პეტერბურგის სამოქალაქო გუბერნატორი, სენატორი, საიდუმლო მრჩეველი.....მართალია, როსეტის სამეგობრო წრისაგან განსხვავებით, ინტერესთა მრავალფეროვნებით, ინტელექტუალობით არ გამოირჩეოდა და არც გარეგნულად ბრწყინავდა (პუშკინი მას „წითელთვალა ბაჭიას“ ეძახდა), მაგრამ ძალზე წესიერი, განონასწორებული ადამიანი იყო. ერთადერთი ნაკლი ჰქონდა – კაზინოებში სიარული, აზარტული თამაშები უყვარდა, რაც სმირნოვების უსაზღვრო შემოსავალს თვალსა და ხელს შუა გაქრობით ემუქრებოდა.

ალექსანდრა ოსიპოვნამ დაიჯერა, რომ სმირნოვი მისი ოცნების რაინდი იყო: „მშვენიერი დღეა. ოვალური ფანჯრიდან შემოჭრილი სხივები კაბას უცნაური ფერებით მიმოკობს. მშვიდობით, ძვირფასო და საყვარელო ნიკოლა! გთხოვთ, ეჭვს ნუ შეიტანთ ნაზი და ერთგული მეგობრის გრძნობებში!“ - სწერს ალექსანდრა საქმროს, ხოლო პუშკინის ფრაზას - „რა სისულელეს სჩადისხართ. ის ხომ ვერასდროს შეგიქმნით მდგომარეობას მაღალ

საზოგადოებაში,“ პასუხობს: „ჯანდაბას მდგომარეობა საზოგადოებაში. გულს სიყვარული სწადია, სიყვარული კი არ ჩანს“....

პუშკინის მსგავსად გარშემომყოფთაგან ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ როსეტისა და სმირნოვის ქორწინება ანგარებას ეფუძნებოდა. საპატარძლო მომავალ მეუღლეს ჭკუა-გონების მთელ ბრწყინვალეობას, მომხიბვლელობასა და სილამაზეს მყარი მატერიალური საძირკვლის სანაცვლოდ სთავაზობდა.

ქორწილი 1832 წელს, ზამთრის სასახლეში შედგა. ახალშეუღლებულებმა ჯერ სმირნოვის მოსკოველი ნათესავები მოინახულეს, შემდეგ პეტერბურგს დაუბრუნდნენ. ნიკოლაი მიხაილოვიჩი სამსახურის საქმეებში ჩაეფლო. ალექსანდრა, რომელიც პირველ შვილს ელოდა, შინიდან ფეხს არ დგამდა, არ მოძრაობდა. შედეგად 45-საათიანი მშობიარობა ტრაგიკულად დასრულდა – ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მშობიარობის შემდეგ ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად ქცეული დეპრესია, სპლინი ეწვია. ნერვული სტრესისა და ფიზიკური ტკივილებისაგან დაძაბუნებული ქალი ქმარმა სამკურნალოდ გერმანიაში წაიყვანა.

ბადენ-ბადენში ალექსანდრამ ნიკოლაი კისილიოვი გაიცნო. სმირნოვის კოლეგა, საფრანგეთის საელჩოს ჩინოვნიკი კისილიოვი ნიკოლაი მიხაილოვიჩის ოჯახს ხშირად სტუმრობდა. აქეთ-კენ მას მშვენიერი დიასახლისის საზოგადოებაში მოხვედრისა და

გულითად საუბრებში მონაწილეობის სურვილი – „შავთვალა როსეტის“ მაგიური ხიბლი იზიდავდა, რამაც უწყინარი სტუმარ-მასპინძლობა მგზნებარე სიყვარულში გადაზარდა.

„ბადენის რომანი“ ხანმოკლე აღმოჩნდა – კისილიოვი პარიზში დაბრუნდა, ხოლო სმირნოვი სამოქალაქო უწყებაში გადაიყვანეს და პეტერბურგს გაამგზავრეს.

პეტერბურგში ალექსანდრას კვლავ სპლინი ეწვია. სპლინს ბერლინში წასვლა, ბერლინს – პარიზი, პარიზს – ფლორენცია, დიუსელდორფი, ბადენ-ბადენი და კვლავ პეტერბურგი მოჰყვა: სმირნოვი სასახლის კარის ცერემონიესტრად, მოგვიანებით შინაგან საქმეთა უწყების ჩინოვნიკად დანიშნეს. დანიშნულებულმა ნიკოლაი მიხაილოვიჩმა ახალი სახლი იყიდა მოიკაზუ, წითელ ხიდთან.

ახლა უკვე ყველა სიმაღლე დაპყრობილი, ყველა ოცნება ასრულებული იყო: ნევის პროსპექტი, ფრანგულად მოსაუბრე არისტოკრატია, დიპლომატიური კარიერის მწვერვალზე მდგარი ქმარი, სამი შვილი... არ კმაროდა ერთადერთი რამ – ოჯახური იდილია.



ფოტო ალექსანდრე სვატიკოვისა

„ქმარს ვერ დავემდურები. პატიოსანია და ერთგული, მაგრამ აზრთა უცნაური წყობითა და მანერებით მთრგუნავს, ტკივილს მაყენებს...“

„მიჭირს, ძალიან მიჭირს. სხვადასხვაგვარად ვფიქრობთ და განვიცდით. ის ერთ პოლუსზეა, მე – მეორეზე“, – სწერდა ალექსანდრა გოგოლს.

ალექსანდრას ფანტაზიით შეთხზული სიყვარულის, ცოლ-ქმრული ბედნიერების ილუზია სამუდამოდ გაცამტვერდა. ქალმა მარტოობისაგან თავის დაღწევა ჯერ პეტერბურგის მჩქეფარე ყოველდღიურობისაგან განრიდებით, სპასკოეს მამულში ჩაკეტვით, მერე პირიქით – სალონებში დაბრუნებით, ბოლოს საზღვარგარეთ გაქცევით სცადა. 1842 წელს იგი იტალიაშია. ვენეცია, ფლორენცია, რომი. მუდამ საითკენაც სწრაფვა, მისამართების ცვლა, რალაცის ძიება და დასასრულს საოცარი შვება – გოგოლი, დიდ მწერალთან მეგობრობა, სამასზე მეტი ფილოსოფიური, სიყვარულით გამთბარი წერილი და თანამედროვეთა არცთუ უსაფუძვლო დაქვეება:

„არ ვიცი, რამდენად სერიოზული იყო გოგოლის სწრაფვა სოლოგუბისა და ვიელგორსკაიასადმი, მაგრამ სმირნოვა კი მთელი არსებით უყვარდა. შესაძლოა, მკაცრად მოწაზუნარი ცხოვრების წესის ზეგავლენით, გოგოლი მოიხიბლა ქალით, რომელშიც მონანიე მაგდალინელს ხედავდა, ხოლო საკუთარ თავს მისი სულის მსხნელად წარმოისახავდა“, – წერს აქსაკოვი.

გოგოლისა და როსეტის ნაცნობობა ლიტერატურულ თანამშრომლობასა და ქველმოქმედებაში გადაიზარდა. იტალიაში მყოფი მწერლისათვის ალექსანდრამ მეფის ოჯახს პენსია დაანუშინა. გოგოლს „რევიზორის“ დადგმასა და „მკვდარი სულების“ პირველი ტომის გამოქვეყნებაში დაეხმარა. მეორე ტომის ახალდასრულებულ ქვეთავეებს სპასკოეს მამულში ისმენდა და თავს პერსონაჟ ბარონია ჩაგარანოვას პროტოტიპად მიიჩნევდა.

გოგოლთან მეგობრობა როსეტს ძვირად დაუჯდა. იტალიიდან დაბრუნებულს, იმპერატორის ოჯახი ცივად შეხვდა. ნიკოლოზ პირველის მეუღლე, ალექსანდრა ფიოდოროვნა, რომელსაც მშვენიერ როსეტთან საუბარი, მისთვის გულის გადაშლა სულიერ მოთხოვნილებად ჰქონდა ქცეული, ორი თვის განმავლობაში არ შეხმიანებია. ბოლოს ყინული გალღვა და ქალს, სამეფო ოჯახის წევრებთან ერთად, ყველა დიდგვაროვანმა ფართოდ გაულო სახლის კარი.

ამასობაში 60-იანი წლებიც დადგა. ალექსანდრა ოსიპოვნას ცხოვრებიდან წელ-წელა წავიდნენ ადრეული ახალგაზრდობის მეგობრები: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ჟუკოვსკი. გარდაიცვალა მეუღლე. გაიზარდნენ და თავიანთ გზას დაადგნენ შვილები. უკან დარჩა პროვინციული კალუგის მონოტონური ყოფაც და პეტერბურგის სისხლსავსე ცხოვრებაც. მოვიდა უფერული და მოსაწყენი ხანდაზმულობა, გარდასულ დღეთა ნოსტალგიით, მელანქოლიითა და უსიამოვნო აღმოჩენით: ლეგენდები დაიმსხვრა. ალექსანდრა ოსიპოვნა უკვე აღარ იყო სასურველი ქალი. 60-იანი წლების დამდეგს ბადენ-ბადენში იგი ლევ ტოლსტოის შეხვდა.

ტოლსტოი გერმანიას პედაგოგიური საკითხების კვლევის მიზნით ეწვია, მაგრამ სკოლების ნაცვლად პირველივე დღეს კაზინოსაკენ გაემართა. თამაშის შედეგი ძალიან სამწუხარო აღმოჩნდა: ტოლსტომ ფული წააგო და არამცთუ სასტუმროს ხარჯების დაფარვა, რუსეთისაკენ გასამგზავრებელი ბილეთის შეძენაც ვერ შეძლო. სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ფულის სასესხებლად ნაცნობებს მიმართა. ყველამ უარი უთხრა. უშედეგო აღმოჩნდა პარიზიდან საშველად მოხმობილი მეგობრის – ტურგენევის – მცდელობაც. დახმარების სურვილი მხოლოდ სმირნოვამ გამოთქვა, მაგრამ მის გულისხმიერებას მადლიერება არ გამოუწვევია. ტურგენევი ბოტკინს სწერდა, ფული კი მოგვცა, მაგრამ ძველებურად ერთ ენამწნაო, კაპას ქალად რჩებაო. ოდესლაც რომანტიკოსთა მთელი თაობისათვის სათაყვანებელ როსეტს შთაბეჭდილება არც დამწყებ მწერალ ტოლსტოიზე მოუხდენია. მიზეზი ერთია:

დრონი იცვალენ. რომანტიზმს კრიტიკული რეალიზმი მოჰყვა. ტოლსტოის გმირი ქალები არაფრით ჰგვანან პუშკინის ტატიანას. გადახალისდა გემოვნება, მოთხოვნილებები. შეიცვალა დამოკიდებულება ძველი თაობის წარმომადგენლების, თვით ალექსანდრა ოსიპოვნასადმი, რომლის სილამაზეს წლებმა თავისი კვალი დააჩნია, ხოლო კრიტიკულმა რეალიზმმა მისი რომანტიკული სულისკვეთების მიღმა ყაველგასული სენტიმენტალობა, პათეტიკა დაინახა.

საზოგადოებაზე არანაკლებ მკაცრნი აღმოჩნდნენ შვილები: ოლგა, ნადეჟდა, მიხეილი, მამის გარდაცვალების შემდეგ განიავებული ქონების ნაშთის დაუბრკოლებლად გაყოფის მიზნით, დედის შეურაცხადობის დამტკიცება რომ მოინდომეს და ექსპერტსაც უხმეს. მართალია, ექსპერტიზის დასკვნამ შვილებს იმედი არ გაუმართლა, ოსიპოვნას შემოიღობა არ დაადასტურა, მაგრამ ქალი მაინც დამარცხდა. მას შვილებმა უღალატეს.

ალექსანდრა ოსიპოვნა – ოდესლაც იმპერატორის ფავორიტი, უცხოეთში რუსეთის მეფის ოჯახის წევრის სტატუსით მიღებული მეჯლისების დედოფალი, პოეზიის მუზა, მამაკაცების გულთა მწყობრელი, ცხოვრებამ გარიყა, პარიზის პატარა ბინაში ყველასაგან, თვით შვილებისაგან, უარყოფილი გამოკეტა.

და ამ გარიყულობაში როსეტმა კვლავ მიაგნო შვებას – მემუარებს, მოგონებებს, გარდასულ დღეთა ქრონიკას. ახ, ეს ყველაფერი იყო, იყო.....

სმირნოვა გარდაიცვალა პარიზში, 1882 წლის 7 ივნისს. დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტრის ეზოში.

თითქოს აღარ არსებობს საიდუმლოება. რა ხანია, გაიშფერა როსეტის ცხოვრების თითოეული ფურცელი, მაგრამ ლიტერატორთა ნაწილის დაეჭვება, ნადეჟდას მამა „წითელთვალა ბაჭია“ სმირნოვი იყო, თუ დუელში მოკლული რომანტიკოსი ლერმონტოვი, ფრეილინას გარდაცვალებიდან საუკუნის მერეც კვლავ უპასუხოდ ტოვებს კითხვას: მაინც ვინ იყო ეს უჩვეულო ქალი, ალექსანდრა ოსიპოვნა სმირნოვა-როსეტ?

P.S. რედაქცია დიდ მადლობას უხდის პუშკინის მემორიალის მთავარ მცველს ალექსანდრე სვატიკოვს მასალების მონოდებისათვის.

ოთარ ჩხეიძე

გზაგასაყარზე

*

სოცრეალიზმი და გლოზრეალიზმი

– ბატონო ოთარ, ბედნიერი ვარ, რომ საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საშუალება მეძლევა (ცხადია, როსტომის წყალობით) კვლავ შეგეხმიანოთ და რამდენიმე კითხვის დასმაც კი გავხედო.

ღმერთმა იცოდეს, „გამომკითხველი“ (იმ გაგებით, როგორითაც თქვენ ბრძანებთ) სულაც არა ვარ და საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, არც რაიმე უფლება მომიპოვებია ამგვარი საქმიანობისათვის, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ გასული საუკუნის 50-80-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროცესის ანალიზს თქვენს მსგავსად ბევრი ვერ შესძლებს. ამიტომაც, უშანგის არ იყოს, „პასუხი გმართებთ“. ამჯერად, ლიტერატურული კრიტიკისა და მისი ძირითადი პერსონის – კრიტიკოსის ფუნქციის თქვენეული ახსნა გვიანტიერესებს.

ბატონო ოთარ, 1981 წელს კრებულში „პოეზია“ თქვენ გამოაქვეყნეთ მოთხრობა „საზაფხულო სალონი“, სადაც, ფაქტიურად, კრიტიკა თავისთავად ლიტერატურულ ფენომენად წარმოაჩინეთ, კრიტიკოსის საქმიანობისადმი ფრთხილი დამოკიდებულების აქცენტებით კი მაშინ კალმის ხალისიანად მოწრიბინეთა მთელი არმიის მიმართ „მსუბუქი“ საყვედური გამოთქვით. დღეს რაიმე კორექტივს ხომ არ შეიტანდით ამ მოსაზრებებში?

– არა მგონია...

კრიტიკა ერთერთი დარგია ლიტერატურისა. ისევ ისევე. პროზა-პოეზია-დრამატურგია-კრიტიკა ერთადა და ერთობლივად წარმოგვიდგენს ლიტერატურასა. მხატვრულ ლიტერატურასა. სიტყვაკაზმულ მწერლობასა. ამ ერთობლივობაში ყოველი ამათგანი ხასიათდება თავისებურებებითა. მხატვრულ-სტილური თავისებურებებითა, ოლონდ კრიტიკას ცოტა უპირატესობაც მიჰნიჭებია. ცოტაო – ითქმის. მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული მასზედა. ლიტერატურული მოვლენების შემჩნევა და განზოგადება, ნაწარმოებთა ანალიზი და შეფასება; მწერლის აღმატება თუ დაცემა ბევრადაა იმაზე დამოკიდებული. აღმატებო – რო ვამბობ. დაუმსახურებელ აღმატებასა ვგულისხმობ. დაცემაცა – ამშემთხვევაში – დაუმსახურებელი დაცემა იგულისხმება. თორემ ჭეშმარიტ მოვლენას ლიტერატურაში ვერ დასცემს ვერავინა და ვერაფერი. კრიტიკოსის მცდელობაც ვერა. დროებით მაინც შესძლებს. რო შეიძლება ყველაფერი დროებითა ამ დიდსა და განელილ დროში. აღმატებათა და დაცემათა აურაცხელ დროში. პასუხისმგებლობა მაინც მნიშვნელოვანია კრიტი-

კოსისა – სწორედაც რო დრო არ უნდა შეაცდინოს. დროებითაც არ უნდა შეაცდინოს. დროებითობაცა გრძელდება ზოგჯერა და ცხოვრებას ამღვრევს დიდხნობითა. არღვევს. ამღვრევს. აქუცმაცებს. ანგრიმალებს. აძნელებს. ართულებს. და განაკიდევ გართულება უნდა ისედაც გაუსაძლის არსებობასა!!!..



რაც შეეხება „საზაფხულო სალონსა“ „პოეზიის“ კრებულში რო დაიბეჭდა – დანერილია მკაცრი, მართალი, ნრფელი და პატიოსანი კრიტიკის ნდომითა. სურვილითა. წყურვილითა. ლიტერატურამ რო დაჰკარგა თავისი მიზანი და დანიშნულება. დაუპირისპირდა ხალხსა. ხელი-სუფლების დანამატად იქცა. კრიტიკა იქცა პირველყოფლისა დანამატად. ამგვარადა. იქით ეწეოდა პოეზიასაცა. პროზასაცა. დრამატურგიასაცა. ეწეოდა და სძლია. გადაზიდა. საითაც ეწეოდა. და ჩამოყალიბდა – როგორც იქნა – სოცრეალიზმი. სოციალისტური რეალიზმი მთელი თავისი სრულყოფილებითა. დანამაულებრივი სრულყოფილებითა.

– XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის, მასთან ერთად კი ქართული კრიტიკული აზროვნების ობიექტურად შეფასების სურვილს ამ ბოლო დროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ სიფხიზლეს მატებს რეალური, მაგრამ ადრე ნაკლებად გახმაურებული ფაქტის გათვალისწინება: კერძოდ, პოსტსტალინური პერიოდის რეფორმატორული მოძრაობის არა სტიქიური ან სპონტანური, არამედ გეგმაზომიერი მართვადი ხასიათი. გამოდის, რომ ბევრი რამ, რასაც ერთი მხრივ ლიტერატორები, ხოლო მეორე მხრივ პოლიტიკოსები იჩემებენ, ზემოდან დაშვებულის ზღვარს არ უნდა გასცილებოდან. თქვენი აზრით, სინამდვილეში როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში, როგორ იქნა გამოყენებული ეს შესაძლებლობები და საერთოდ, როგორი იყო ე.წ. „оттепель“-ის ქართული ვარიანტი?

– მე ვერა ვჰხედავ მაგ თქვენი „ოტტეპელის“ ვარიანტსაო თუ რაღაც მაგგვარსა საქართველოში. ვერა ვხედავდი რო ვერც მაშინა, არც აქედან არაფერი არ მეჩვენება... ერთხანს ეგრეც იყო ანყობილი ქართული კრიტიკაი – ყველაფერს რუსულის განმეორებად მიიჩნევადა, მოვლენებსაცა და ნაწარმოებებსაცა ჩვენს ლიტერატურაში. გადასწვდნენ რო კლასიკოსებსაცა, თვითმყოფადი აღარავინ აღარ შეგვარჩინეს. გასაგებია: პურობილობის, მორჩილების საშუალება გახლდათ ესეცა. რაც შეეხება ემაგ თქვენს „ოტტეპელსა“ მაგისი მსგავსი საქართველოში არაფერი არ მაგონდება. ეგ წმინდა რუსული მოვლენა გახლდათ. გერმანულიცა. იქ ჰიტლერიზმის დამარცხების შემდგომა. რუსეთში – სტალინის სიკვდილისა თუ მოკვდინების შემდგომა. რუსეთშიმეთქი. საქართველომდე არც მოუღწე-

ვია. რა „ოტტეპელი“ შეიძლება ლაპარაკი, როცა რო საქართველოს დაატყდა თავსა რუსული შოვინიზმის მთელი მრისხანება სტალინისა და ბერიას შემდგომა?! ისედაც სასტიკი რეჟიმში ჩართულიყო ეს უბედური საქართველო – ორგვარ ჩაგვრას რო განიცდიდა: საბჭოური იმპერიალიზმისა და ადგილობრივი ბოლშევიზმისა. ახლა შოვინიზმმა – რუსულმა, ცხადია, სრულის სილაღით გაშალა ფრთები. ქართულმა ბოლშევიზმმაც აუბა მხარი. მიზეზი საქართველო უცებ გამოცხადდა ბოროტების ქვეყნადა. დამაქცევრად საბჭოური წყობისა. ხალხთა საბჭოური ერთიანობისა. განვითარებული სოციალიზმის მტრად. ზარმაცების. უქნარების. მუქთახორების. მომხვეჭელების. ღრეობის. ლხინისა და თავდავინების ასპარეზადა. ძველი. დამყაყებული. დროგასული ადათნესებისა და კერპთაყვანისმცემლობის მიმდევრად. რაღად აღარაო. ერთიმეორეზე შემადრწუნებელი, ერთიმეორეზე აღმაშფოთებელი მოვლენების ბუდედა ცხადდებოდა და ცხადდებოდა. ან არ დაიჯერებთ მაშინდელ პრესას რო გადაჰხედოთ ან გული გაგისკდებათ. ახლა რადიო – იქა თუ აქაო. მოსკოვსაო თუ თბილისშიო. ხალხმა ვით გაუძლო, ველარც წარმოიდგენ!..

მაგონდება ერთი ფელეტონი „პრავდაში“. ორი სარდაფი ერთიმეორის მიყოლებითა. „პრავდაში“. „პრავდაში“. ლაპარაკია რაღაც უძვირფასეს ქსოვილზე. უცხოეთიდან რო შემოაქვთ. თვით მინისტრთა საბჭო რო ანაწილებს. საბჭოთა კავშირისა. თვით კოსიგინის ხელმონერით რო გაიცემა რესპუბლიკების მოთხოვნილების მიხედვითა. ჩადიან და ჩადიან რესპუბლიკები მოსკოვში. მინისტრთა საბჭოში ვერაფერს ვერ აღწევენ. ხელცარიელნი მაინც არა ბრუნდებიან. საქმე რესტორანში წყდება. საუკეთესო რესტორანში მაშინდელი მოსკოვისა. იქ დიდ დარბაზში – დარბაზის კუთხეში – არცთუ ფარულადა. მაგიდაზე ბორჯომის ბოთლია. ჭიკცა ბორჯომითა. ნახევრობამდე დალეულითა. მეტი არაფერი. არც არაფერს შემოგთავაზებენ, იქ რო მიბრძანდებით. არც თვითონ არაფერს არ მიირთმევს იქ ვინც დაგხვდებათ – სუსტი. ჩია კაცი. თხელი და თეთრყვითელი ფერის სახითა. ის საქმის კაცია. საქმეს ის მოგიგვარებთ. გვართ ნინიაშვილია თუ ნანუაშვილი კარგად არ მახსენდება. მოგიგვარებთ რასაც ინებებთ. მინისტრთა საბჭოში რო ვერ მოაგვარებთ. მრავალს შეჰხვდებით ასეთ პერსონაჟსა რუსულ პრესაში. რუსულ პროზაში. რუსულ ფილმებში. იმდროინდელში. კომიკურსაო თუ დრამატიზირებულსა. სატირულსაო თუ ტრაგიკულობამდის მისულსა. რაც თუ სატირაო თუ კომიზმის ფინი ჩაბუდეულიყო რუსულ სულში – აქ იფრქევაოდა. ახლა იფრქევაოდა შვილისა. ძისა და იას გარშემო. პარტია კრძალავდა სატირასა და კომიზმსა საბჭოთა ლიტერატურაში. თუმცა მოუწოდებდა გოგოლებს და სალტიკოვ-შჩედრინები გვინდაო. მაგრამ ტყუილად მოუწოდებდა. თვით „რევიზორის“ დადგმა აკრძალულიყო და „მკვდარი სულებიც“ აღარ გამოდიოდა. აქ არავის არაფერი არ ეკრძალებოდა. აქა. ამ დევნაში ქართველისა. ოღონდ გვარად რო შვილი ყოფილიყო. ძე ყოფილიყო ია ყოფილიყო. ფილმები მაინც საოცარი გახლდათ ქართულ გარემოშივე. შავი ზღვისპირეთის აგარაკებზე. მშვენიერი ბუნებითა და ეგზოტიკური ველურებით დასახლებულ გარემოში. როგორც გვიხატავდნენ.

ხელი გამოილო პროლეტარულმა ლიტერატურამა. ახალი ალორძინება დაიწყო. აღდგა. სახე სრულყო თავისი სოციალისტურმა რეალიზმმა. სოცრეალიზმმა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა. თეორიული საფუძვლები ჰო ჰქონდა და ჰქონდა მანამდისაცა. თავისი. ფილოსოფიურ განზომილებებში. თავისი. თავისი ესთეტიკაც შეიძინა.

რა თქმა უნდა. ზემოდან იმართებოდა ყველაფერი და ლიტერატურაცა. თვით სახელწოდება – სოციალისტური რეალიზმი თავისთავად არ აღმოცენებულა. ზემოთ დაერქვა. ზემოდან ინერგებოდა. ძალდატანებით ინერგებოდა. ხოლო მერე, მერე და მერე ძალდატანებაც აღარ უნდოდა – მწერლობამ დაიჯერა პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული წამმართველი როლი და აპყვა. აპყვა. და კიდევაც გაასწრო. მოხიბლულმა ჯილდოებითა, ორდენებითა, პრემიებითა, ლაურეატობითა, კარიერითა. კიდევაც გაასწრო და სრულყოფილებაც მოუტანა სოცრეალიზმსა. საქართველოში. საქართველოში. გამოვყოფ. ხოლო ეგ თქვენი „ოტტეპელი“ თუ რაც რო იყოო თუ იყო და ისიც თუ რუსეთში – ერთი რამ ხაზი. ერთი რამ ზოლი გახლდა. ქართულში – თუ მაინცდამაინცა გნებავთ – გამოისახა მახინჯი ფორმითა. საკუთარი ხალხისადმი მტრული ფორმითა. თუმც რო დროებითა. მაგრამ დალი დაამჩნია დიდი. დიდადაც ავნო ქართულ სულიერებასა.

მინელა ჰეროიკულ-პატრიოტული მოტივები ქართულ პოეზიაში – ორმოციანმა წლებმა რო წამოსწია (ლადო ასათიანი); სინმინდის, სინახისა და სილამაზის მოტივებიც მინელა – ლირიკული პატრიოტიზმი (ანა კალანდაძე); მოძველებულად გამოცხადდა რომანტიკული პატრიოტიზმი. მოძველებულადა და ხელისშემშლელადა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობისათვისა. ადრევეც ეს გახლდათ ახალგაზრდობის დევნის საგანი. ციმბირი ჰხეხა ამისთვისა ლევან გოთუამა. ამითი გასძლო იმ ყინვაყიამათში. ამითი დაბრუნდა და ამითივე აღმოჩნდა ზედმეტი სამშობლოს ახალ სალიტერატურო ცხოვრებაში. სალიტერატურო ცხოვრებაშიმეთქი. მკითხველი აქ არაფერ შუაში არ არის. მკითხველი და მწერლობა ერთბაშად დაშორდა ერთიმეორესა. სოცრეალიზმს დაშორდა მკითხველი. მიუხედავად კრიტიკის დიდი მცდელობისა. კრიტიკაც დაშორდა ლიტერატურასა. ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. თუმცა რადაო – პოეზიაც ჰო დაემორჩილა ხელისუფლებასა. პროზაცა. დრამატურგიაცა. ხელოვნებაზე ჰო რაღა უნდა ითქვას. თავის კინოიან-თეატრიანადა!..

პოეზიამ მაინც ყველაფერს წააჭარბა.

დულდა და გადმოდიოდა სალიტერატურო პრესაი ადამიანური სისუსტის, ადამიანური ნაკლის, ადამიანის სიძულვილის გრძელი ლექსებითა. გრძელი და უგრძელესი დაუშთავრებელი ციკლებითა. დულდა და გადმოდიოდა. ნაკლი თუ სისუსტენი საერთო ადამიანური ქართულ თვისებად, ქართულ ხასიათად წარმოიდგინებოდა. და უფრო და უფრო ამძაფრებდა სიძულვილსა პოეზიაში. პოეზიაში. აღარა რჩებოდა ადგილი სიყვარულისათვისა. ანა კალანდაძე რო ანა კალანდაძეა – კარგახანია ლექსი რო აღარ დაეწერა – იმანაც მაშინ გაიხსენა ლენინის ქუდი. ისიც შეძრწუნდა მანკიერებითა ქართველი კაცისა.

იმ ლექსებს მაშინ სამოქალაქო პოეზია ერქვა.

ერთხელ დავითვალე და იმა მოზღვავებულ პოეზიაში. სამოქალაქო პოეზიაში. სიძულვილის პოეზიაში. სამადსა-

მი ლექსი აღმოჩნდა – სიყვარულს რო მოიხსენიებდა. სამადსამი. სამადსამი. ამაზე მაშინ წერილის დაწერას ვაპირებდი. ველარ დავწერე თუ აღარ დავწერე. წერილად არა, აღნიშვნით აღვნიშნე. „პატარა წიგნების“ სერიაში. იქ სამივე ლექსი ერთ პოეტს მივანერე. არა!.. – ორს ეკუთვნის: ერთს ორი. ერთს ერთი.

პროზაზე რაღა ითქვას...

ჩამორჩენილობას უკიჟინებდა კრიტიკაი პროზასა. არადა დაბეჯითებით ითქმის: მთელს ქართულ ლიტერატურასა ვარსკენის მერე განვითარებული სოციალიზმის მიჯნამდე იმდენი უარყოფითი პერსონაჟი არ გამოუხატავს, რამდენიც რო ამ პერიოდმა – განვითარებული სოციალიზმის პერიოდმა გამოჰხატა. ვინ დაითვლის თორემ შეფარდება საარაკო იქნება. ვინ დაითვლისმეთქი – ვისა სცალიან საამისოდა. ისევე მე თუ!.. ან მე რაღაო. იმდენიც რო ვერ მომიცლია – რო მოვკვდეო. კოდელი დედაბერისა არ იყოს. ვერ მომიცლია ამ ახალგაზრდა გლობალისტები-სათვისაცა. მე ერთი წერილით გამოვეხმაურე. რო არა კმარა?! ვინმემ ჰო უნდა გააგებინოს თუ რასა სჩადიან. ლიტერატურაში. რაღა თქმა უნდა. რა უნდათ და რასა სჩადიან...

– როდის დაიწყო კრიტიკის ლიტერატურასთან რეალური დაახლოების პროცესი და რა შინაგანმა და გარეგანმა ფაქტორებმა შეუწყვეს, თქვენი აზრით, ამ პროცესს ხელი?

– ჩემი აზრით რა მოგახსენოთ, ხოლო საერთოდ: კრიტიკა რო ლიტერატურის დარგია, ეს იმასა ნიშნავს – ერთად რო იშვა. ერთად მოდის. ერთად მომდინარეობს. ლიტერატურის ისტორიაც ეს გახლავთ. ოღონდ კრიტიკა რო მაინც კრიტიკაა: ხან დაპირისპირებულიცაა სხვა დარგებთანა, ხან ერთად არიან, ერთად იღვნიან, ერთად აყალიბებენ ამათუიმ მიმდინარეობასა ლიტერატურაში. ზოგჯერ მცდარსა და ზოგჯერ მართებულსა, ანთუ შესაბამისსა ამათუიმ საფეხურზე საზოგადოებრივი განვითარებისა თუ სახელისუფლო მოთხოვნილებისა. პოლიტიკური მოთხოვნილებისა. სოციალიზმი სახელისუფლო-პოლიტიკური მიმდინარეობა გახლდათ ლიტერატურაში და აქ კრიტიკაცა და სხვა დარგებიცა ლიტერატურისა ერთად ჩამოყალიბდა ერთი თეორიის საფუძველზედა. ეგრეთნოდებულ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზედა. ერთად ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა ერთადაცა. რაღა თქმა უნდა. საკავშირო ცეკას დადგენილებათა მიხედვითა. დადგენილებათა შინაარსს კრიტიკა განუმარტავდა პროზასა, პოეზიასა და დრამატურგიასა, კრიტიკავე შეაჯამებდა მიღწევასა თუ მარცხსა ამათუიმ დარგისა, ამათუიმ ავტორისა და მოახსენებდა იგივე ცეკასა. და რატომდაცა ამ მოხსენებების მიხედვითა პროზა ითვლებოდა ჩამორჩენილ დარგადა ყოველთვისა, პოეზია მოწინავედა, დრამატურგია ჰადაჰა – ხან ნააქეზებდნენ, ხან მიაყოლებდნენ იმასაც პროზასა. ახალი ადამიანი უნდოდა სოციალისტურ რეალიზმსა. უბრალო, ჩვეულებრივი, კარგად რო ესმოდა მნიშვნელობაი განვითარებული სოციალიზმისა, რო უპირისპირდებოდა აქაიქა კიდევ შემორჩენილ მანკიერებასა, რო უპირისპირდებოდა გზასაცდენილ ადამიანებსა. რაღატომდაც სრულყოფილი ვერ გამოდიოდა ეს ახალი ადამიანი პროზასა და დრამატურგიაში. პოეზიაში ბადალი არა ჰყავდა. პოეტი თვითონ იყო ახალი ადამიანი. და უკი-

ჟინებდა კრიტიკაი პროზასა და დრამატურგიასა. უკიჟინებდა და უკიჟინებდა. იდეურობას არა, მხატვრულ სრულყოფას უკიჟინებდა. აქეზებდა და აქეზებდა მიახლოებასა – ასეთუ ისე – მხატვრულ ხელოვნებასთანა. აქეზებდა და აქეზებდა, რაც შეიძლებოდა, ყველა მიმართულებითა, ყოველგვარი საშუალებითა. ერთად იყვნენ. ერთად მოდიოდნენ. როდისაო თუ როდიდანაო – თარიღს ვერ დავიგდენთ. მე ეს საკითხი არ მირკვევია. ისე მიახლოებით თუ მოვხაზავთ: პროლეტარული მწერლობის ჩამოყალიბებიდანვე, დასასრულამდე სოცრეალიზმისა. საბჭოთა კავშირის აღსასრულამდე.

სადაც არ უნდა შეგხვედროდათ ლადო ავალიანი, რუსთაველზედა, ჭადრების ქვეშა თუ გზაჯვარედინზე თუ თაკარა მზეშია, გრძელ თითებს თავზე გადაისვამდა მაღიმალა და გეტყოდა უთუოდა იგივესა: ჩვენ რო მოვდიოდით, მოვდიოდით ჩვენ ჩვენი გზითა, მარტოდმარტო მოვდიოდით. მარტოდაცა ვართო. აი ჩვენი მომდევნო თაობაო. რა ჭკვიანი გამოდგა – ყველა თავისი კრიტიკოსით შემოდის... იმას ის მოსდევს, იმას ისა, იმას ისაო. მოდიან და მოიმღერიან. ხელიხელგადახვეულები მოდიანო. ჩვენ ვდგევართ ისევე სათითაოდა. თუ თავსგვესხმიან, ერთად გვესხმიან. მდუმარებთაცა მდუმარებენ ერთადვე ჩვენს მიმართა. თითქოს აღარცა ვარსებობდეთო. გეტყოდა უთუოდა ცოტა ირონიითა. სინანულითაცა. ცოტა. სახელდობრ რო აღარ გავყვები არც რო ავტორებსა, არც საკუთარ კრიტიკოსებსა (დანიშნულთა. რაღა თქმა უნდა). ლადოს შეწყვილებებს მე ვერ გავჰყვები. თუ უნდოდა, თვითონ დანერდა. შემწყნარებლური გახლდათ ჩემი ურთიერთობა იმათთანა. ავტორებთანაცა. კრიტიკოსებთანაცა. გულწრფელი ბრძანდებოდნენ ისინიცა მცირე სუფრასთანა. ზოგნი. ზოგსა სჯეროდა, რო დიდ საქმეს აკეთებდა. მე არც იმათ ვედავებოდი. მე ჩემი საქმე მქონდა. ცალკე ისინი მე არას მიშლიდნენ. ერთადა?!. რა ვუყოთ, რა იმათ ბრალი იყო!.. ადვილად გავურბოდი მწერალთა კავშირსა. გასაქცევიცა მქონდა. ლექციები მშველოდა. გორში. პედაგოგიურ ინსტიტუტშია. მე იქ ჭუმარობდი ლიტერატურაზე ვლაპარაკობდი. ვლაპარაკობდი ცდუნებებზედაცა. რო აღვსებულიყო ამითიცა ისტორიაი ლიტერატურისა. ყველაფერზე ვლაპარაკობდი. ავზეცა. კარგზედაცა. კარგი მამხნევებდა. ცდუნებებს ვამხელდი ნარსულისა. ეგება რო მწვავედაცა. გაგულისებული თანადროული ცდუნებების მიმართა.

– 70-იანი წლების ერთ-ერთი ლიტერატურული პაროდია მახსენდება: „ვეძებ საკუთარ ხმას, გამოძევმელს და კრიტიკოსს“, რაც, ცხადია, როგორც გივი აღსაზიშნელი იტყოდა, „მწერალს“ კი არა „წვერალს“ ეკუთვნის, ეს მისი სანუხარია; მაგრამ, სამწუხაროდ, რეალური, აბსურდამდე დაყვანილი სიტუაციის ანარეკლი. თქვენ სხვებზე მეტად იწვინით ამ აბსურდიზმის სუსხი. საინტერესოა, გრძნობდით თუ არა ვინ აიღებდა საკუთარ თავზე თქვენი ნაწერების შეფასებას და იცოდით თუ არა წინასწარ ამ შეფასების ხარისხი. მინდა გკითხოთ, მწერალმა უნდა „დაიმსახუროს“ თუ არა „თავისი კრიტიკოსი“, როგორ ხორცილდება დროსა და სივრცეში მათი ურთიერთმიახლების პროცესი?

– სივრცისა რა მოგახსენოთ, ხოლო დროში რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, უწყვეტი დი-

ნება და რეალისტი ვერ დარჩება ყურადღების გარეშე, რაკინის ფარდაც არ უნდა ჩამოაფარონ. ეს საერთოდა. არცა ვფიქრობდი მე ამაზე და ასეთ რამეზე. ვაკეთებდი რასაც მოითხოვდა ჩემი შეხედულებანი და როგორც შემეძლო. ჩემს წინაშე იდგა ჩემი მკითხველი და მამოქმედებდა სრული პასუხისმგებლობა იმისადმი. არ შემეძლო მომეტყუებინა. კარგად ვერკვევდი სიმართლესა და სიმრუდემი თავიდანვე და სწორი გზით უნდა წამეყვანა ის საცოდავი. მკითხველი. რა თქმა უნდა. დაბნეული, გზაარეული და გაშმაგებული საბჭოთა პროპაგანდის შედეგადა. დაბრკოლებას თავიდანვე გადავეყარე. თავიდანვე რო აღმოვჩნდი კრიტიკის ქარცეცხლში. სოცრეალიზმის პოზიციებიდანა. რალა თქმა უნდა. და შეიძლება გავრიყულიყავი კიდევაცა ლიტერატურიდანა თუ არა ერთგვარი ტაქტიკური სვლები თვით სალიტერატურო ასპარეზზედა. თვით პარტიის ტაქტიკური სვლები თუ არა. შეიქმნა ისეთი ვითარებაი – უარჰყოფა რო უფრო მეტ სახელს უზვეჭდა მწერალსა, ვიდრე ქებაი და დიდებაი. პარტია რო ქადაგებდა დღენიანადა: პარტია და ხალხი ერთიანო, მთლად ასეც არ იყო. თვით გამსახურდიას პოპულარობა მთავრობის მხრით იმისმა გაუთავებელმა ლანძღვაგინებამ უფრო გაზარდა, ვიდრე თუნდაც „დავით აღმაშენებელმა“. თუნდაც პარადოქსი გეგონოთ. პარტიამ ამჯობინა სულაც მიეყუჩებინა თავისთვის უხერხული ავტორები. მიეყუჩებინა. მიეყრუებინა. უარეყო დუმილითა და წინ წამოენია ახალი, მზარდი კომკავშირული თაობაი. „ცისკრის“ დაარსებაც ამას ემსახურებოდა, მწერლების დანიშნავაცა და კრიტიკოსების მიმაგრებაცა. ეს საუკეთესო დრო გახლდათ ჩემთვისა. ისედაც მეუხერხულებოდა ყურადღების ქვეშ ყოფნაი. სადღეგრძელო რო სადღეგრძელოა სუფრაზედა, ისიც მეუხერხულებოდა. მე აღარავინ აღარ მახსენებდა აღარც ავად აღარც კარგად. რედაქციები თუ დამიბრუნებდნენ ერთ რომანსა, მეორესა ვწერდი. მეორესაც თუ დამიბრუნებდნენ, ვწერდი მესამესა. ალბათ რიდაცისა მჯეროდა. კომუნისტური რეჟიმი რო დაემხოზოდა და თან რო მიჰყვებოდა ის თავისი სოცრეალიზმი ეს ჰო მჯეროდა და მჯეროდა, ოღონდ მე თუ მოვესწრებოდი – ეს არ მეგონა. მართალი გითხრათ – წუთითაც ვერ წარმოვიდგენდი. წამითაც ვერა...

თავისებური უღლილება გამოქვეყნდა ერთხელა „წინანგში“: ჩვენ ვწერთ. თქვენ წერთ. ისინი იბეჭდებიან; ან კიდევ: ჩვენ ვქმნით. თქვენ ქმნით. იმათ აქებენ. **კრიტიკული პათოსის** ლიტერატურით მაინც დიდად გაითქვა სახელი სოცრეალიზმმა. **კრიტიკული პათოსი** ენოდებოდა წერილბურჟუაზიული გადმონაშთებითა და დრომოჭმული ადათნესებით დასნებოვანებული ადამიანების მხილებასა პოეზიაში. პროზაში. დრამატურგიაში. კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში. ამან მაინც ყველას ნააჭარბა – კრიტიკამა და პუბლიცისტიკამა. ლამის პოეზიასაცა. ჰა და ჰა. ჰა და ჰა. ჰა და ჰაა!.. ყველას თავისას მიუზღავდა „ლიტერატურული საქართველო“ თუ „კომუნისტი“. აქებდა. ადიდებდა. ცაში აჰყავდა. „კომუნისტმა“ ერთხელ სრული სიაც დაბეჭდა ამხრით დანიშნურებული მწერლებისა. ყველა მოიხსენიებოდა ამ სიაში. მოქმედ მწერალთა ყველა თაობა მოიხსენიებოდა. განსაკუთრებით სულ ბოლოლა მზარდი კომკავშირული თაობაი. ბოლოში „და სხვაც“ არ მიბეჭდათ, ვინ უწყის ვინმეს რო ჩემი გვარიც არ ეგუ-

ლისხმა. ყველას შეენიშნა, ვინც რო მხედებოდა, ყველა მეუბნებოდა ერთიდაიგივესა: ეგენი სად იყენენ, შენ რო კრიტიკული პათოსი დაიწყეო. მეუბნებოდა ზოგი თანაგრძნობითა. ზოგი ნიშნისმოგებითა. ზოგი დაცინივითა. მე მივეუბნებდი ერთნაირადა. მშვიდადა და აუმიღვრეველადა: „კომუნისტმა“ იცის რასაც რო წერს. მე არაფერი არ მესაქმებოდა?!. კრიტიკული პათოსი ჰო გამოჰხატავდა დამნაშავე ადამიანებსა სოციალისტური კანონმდებლობის მიხედვითა – მე სხვებსა ვხატავდი: დაჩაგრულ, დაბეჩავებულ, უმწეობამდე დატანილ ადამიანებსა – იმავე კანონმდებლობის გამო. სხვაობა გაეგებოდა „კომუნისტსა“. კარგად მოეხსენებოდა. კარგად. ავტორისა იმა წერილისაი. რალა თქმა უნდა. ავტორი მერკვილაძე გახლდათ. გამოჩენილი თეორეტიკოსი სოცრეალიზმისა. ქართული ლიტერატურის დამაქცევარი ერქვა ბესარიონ ჟღენტსა. მაგრამ ნათქვამი როა: მგელს მგლობა დაუვარდა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოო, საქმე იმგვარად აწყობილიყო. არც სხვები გახლდნენ ნაკლებები და მითუმეტეს ის ვაჟბატონი. თავისი დამსახურებაც კარგად მოეხსენებოდა, კრიტიკის როლიცა სოცრეალიზმის აყვავებაში და რა თავშეყრაც არ უნდა გამართულიყო მწერალთა კავშირში, პლენუმიო თუ პარტიული კრებაო, თუნდაც მინიგინი – ცაში პირველი თანამგზავრის გაშვებასთან დაკავშირებითა – ერთიდაიგივეს მოსთქვამდა ისა კატონივითა: ცაში აიჭრა დიდი რუსი ხალხი და ჩვენ აქ, მინაზე, იმდენსაც ვერ მივმხვდარვართ – რო დროა კრიტიკასაც დაეთმოს ადგილი რუსთაველის პრემიერთა შორისაო. მოსთქვამდა და იმეორებდა. იმეორებდა და იმეორებდა. ვაგლახ, ამოდა!.. ისე გარდაეგო სოცრეალიზმი, ის ამას ვერ ენია. მწერალთა კავშირმაც ჰო დაჰკარგა ასპარეზი ლიტერატურაში. მწერალთა კავშირმა – ამა ბასტიონმა სოცრეალიზმისა. ვიდას ახსოვს სოცრეალიზმი. ვიდასა?! ვიდასა?! თუ მაინცა ცოცხლობს და იღვწის მწერალთა კავშირი, ხელოოდ იმიტომდა, ხოშტარისა შენობა რო დაიტოვოს. ხელიდან გამოჰგლიჯოს რო ბენდუქიძისა. სხვა რალა დარჩენია?..

მაინც დროა შემფასებელი შემოქმედებისა. დრო და პოლიტიკა. პოლიტიკა და ხელისუფლება. წინარე ხელისუფლების კრიტიკა დანიშნულბაა ახალი ხელისუფლებისა, ახალი პოლიტიკისა და უთუოდ წამოსწევს დევნილ მიმდინარეობასა ლიტერატურაში. დევნილ მწერლობას წინ წამოსწევს. აქედან იწყება მართებული ანალიზიცა ადრინდელი მოვლენებისა. შედარებით მართებული. კრიტიკაც უფრო თავისუფალია. უფრო მართალი. ხოლო უფრო მართალი მკითხველია. ხელისუფლებას რო არ აჰყვება. მკითხველი ხალხია. ერია მკითხველი. ხელისუფლებას ის არას დაგიდევს. მწერალი ხალხია. ხალხისაა მწერალი. იმისი შეხედულება უცვლელია. ხალხისა. რა ხელისუფლებაც არ უნდა წავიდეს. რა ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს და კრიტიკოსიც ხალხთან თუ არ არის, ნაფშვენებად იქცევა იმისი ნაჯაფი. ნაშრომი. ნაღვანი. აღვსებული მგზნებარებითა. ნაფშვენებად იქცევა. გაცამტვერდება. გაცამტვერდებო და ჰო გაცამტვერდა სოცრეალიზმის მეხოტბეობა აგერ აჰა ჩვენს თვალწინა!.. შემოქმედება ნიჭი გახლავთ პირველყოვლისა. კრიტიკაც თუ შემოქმედებაა და ნიჭია – ნიჭი არ უნდა შეცდეს.

– დღევანდელ ლიტერატურულ პროცესს, მწერლობას, რომელიც ორი საუკუნის მიჯნაზე იქმნება ადეკვატური ახსნა სჭირდება. კრიტიკოსები არ ჩქარობენ მიმდინარე მოვლენების ახსნასა და განზოგადებას. ალბათ, იმიტომ, რომ ეს საკმაოდ რთული ამოცანაა... და მაინც, თუკი ადრე მხატვრულ ტექსტსა და მის შემფასებელს შორის ე.წ. დიალოგური ურთიერთგაგება არსებობდა, დღეს იგივე ტექსტი ღია სტრუქტურად იქცა, კრიტიკოს-ინტერპრეტატორის როლიც საგრძნობლად გაფართოვდა. როგორ კრიტიკას ემხრობა მწერალი ოთარ ჩხეიძე, თუ მისთვის კრიტიკული ანალიზის ფორმა და მიმდინარეობა არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს?

– მე ეგ თქვენი – საგრძნობლად გაფართოვდა – მაფიქრებს. ცოტა მაფიქრებს...

უახლეს პოეტებსაც აუკვიატებიათ ეგვევ გამოთქმა. სულ უახლესსა. ესაა რო ფეხს იდგამენ, ანთუ უკვე ფეხმომამგრებულებსა: საერთო ფასეულობებს ვუახლოვდებითო. საერთო ფასეულობებსა. საერთაშორისო სტანდარტებსაო. გაფართოვდა ქართული ლექსი. გასცდა ფარგლებსა შეზღუდულობისაო. ჩვენი დამსახურებაც ეს არისო. ესენი. ეს უახლესი პოეტები კრიტიკოსებიც თვითონვე ბრძანდებიან. დაწერენ ლექსსა და იქვე აანალიზებენ. ესენი არ დაუნიშნავს არავისა. გრანტებს ამოჰყვენენ. არც კრიტიკოსი არავის არ მიუმაგრებია. თვითონ არიან კრიტიკოსებიცა და უკეთესი კრიტიკოსებიცა ბრძანდებიან ვიდრე პოეტები თუ პროზაიკოსები. განათლება არც რო არ აკლიათ. მწერლური ხელოვნება კიდევ სხვა რამ არის. რალა თქმა უნდა. მოგვხსენებთ. ჩვენი დამსახურებო – ესეიგი – არა?.. ოღონდ აღნიშნავენ იმასაცა. – თავაზიანობის გამო. – ჩვენამდე პოეზია ვერლიბრისტებმა გააფართოვესო. ხარანაულმაო. სტურუამაო. თავაზიანობის გამოო და იმიტომაცა: არ მოვწყვეტივართო: არ მოვწყვეტივართ ტრადიციულ ფესვებსა და ჩვენ ჩვენი თავისებურებით მივინევთ საერთაშორისო ფასეულობებისაკენაო. ვერლიბრისტები ისევე აფართოებენ – თუ აფართოვებდნენ!.. თვით ხარანაული თუ როგორ აფართოებს – იხილეთ ნაირა გელაშვილის წერილი „ალტერნატივაში“ (№ 1. 2005). გაფართოვებას რაც შეეხება, ტრადიციულობა რო უფრო განუმტკიცდეთ ამ უახლეს პოეტებსა, უფრო ადრეცა ცდილობდნენ პოეზიის სფეროების გარღვევასა ქართულ პოეზიაში. გალაკტიონურობის გარღვევასა ცდილობდნენ. არცა მალავდნენ. ლაპარაკობდნენ ჰო აშკარადა. გამოსთქვამდნენ ნაწერებშიცა. ოღონდაც ყრუდა. და-შიფრულადა. ვინც იცოდა, ის მიუხვდებოდა. ერთიმეორესაც ეპაექრებოდნენ. მთლად ზოგადი ლაპარაკი რო არ გამოთივდიდეს, დავასახელებ: შოთა ნიშნიანიძესა და ოთარ ჭელიძესა. ნიშნიანიძეს ისიც უთქვამს: მაგან არ იცის გალაკტიონს როგორ უნდა მოუაროსო. ჭელიძემაო. გაბედულად უთქვამს. ამაყადა ანუ: მე ვიცოო. თუ რა იცოდა – მე ვერ გავჰყვები. ოღონდ გალაკტიონი რო უკვე შორეული ჰგონიათ – ყუბანეიშვილისგანაც გამიგონია. ტელევიზიით გამიგონია. მეტსაც გავიგებდი, უფრო ყურადღებიანი მსმენელი რო ვიყო. ის მაგათი პოეტი როაო – იფშხალებოდა ბატონი ყუბანეიშვილი – რა ჰქვიანო. ჰო. ჰოოო. გალაკტიონიო. ცინიზმიც შეიძლება.

ცხოვრებაა. ყველაფერი მოსავალია. ოღონდ სათანადო სიმალლეზედაც უნდა იდგე. სათანადოზე.

ჰო

გავაფართოვეთ პოეზიაო. მივდივართ საერთო ფასეულობამდე ჩვენ ჩვენი თავისებურებითაო. ერთისიტყვიოთა. ამტკიცებენ და ამტკიცებენ – ჰბაძავენ რო და უღმერთოდა ჰბაძავენ რო. ითქვა. ამტკიცებენ უცხოური ტერმინებითა და აქცენტითა უცხოურიოთა. აქცენტით გამოსთქვამენ თავისებურებასაცა. უთუოდ გამოსთქვამენ. უთუოდა და უთუოდა ავინყდებათ თუ რა არისო – ამდენს აღარ გამოვეკიდები – შევახსენებ იმას მაინცა: გაფართოება საერთო ფასეულობამდე რო გლობალიზმია და მეტი არაფერი, ხოლო გლობალიზმი ის არის და ისა – თავისებურებას რო ვერ მოითმენს. თავისებურება ტყუილ ნუგეშია. ამაოა კეკლუცობა თავისებურებასანა. ახალგაზრდობას შეეფერება კეკლუცობანი. სასაცილოა გლობალიზაციისათვისა. აი ცინიზმი რას შეეფარება. აი ძალონე რას მოუკრებია.

კრიტიკას გაფართოებას მე ვერ ვურჩევდი, როგორც რო პოეზიას ვერ ვურჩევდი. კრიტიკაც რახან ლიტერატურის დარგია – პოეზიაცა. რალა თქმა უნდა – ლიტერატურა ხალხია. ერია და სახელმწიფოა ლიტერატურაი. ლიტერატურა ერია. ერი ლიტერატურაა. სახელმწიფო ერია და ერი ლიტერატურაა. საბჭოთა კავშირის დროსაცა ჰყავდა ხელისუფლები საქართველოს, მაგრამ სახელმწიფო არ იყო. არც სახელმწიფო არ იყო და ერიც აღარ იყო. და არც ის გახლდათ საკვირველი – ენა რო წაუშალეს კონსტიტუციაში საქართველოსა. არა. არა. საერთაშორისო სამართალი ამას უცნაურად არც მიიჩნევდა. არც ძალადობად არ მიიჩნევდა – თუ აღარც ერია, აღარც სახელმწიფოა, ხელი-სუფლება ვისიც რო გახლავთ, ენაც იმისია და კანონმდებლობაცა. სულ მალე კონსტიტუციაც აღარ ექნებოდა თავისი საქართველოსა. ვილამ დააცადა თორემ!!!!.. და რახან შერჩა კონსტიტუციაცა, ერიც არის და სახელმწიფოცა, ლიტერატურასაც თავისი საზღვრები აქვს. თავისი სახელმწიფო საზღვრები. უნდა დაიცვას. მტკიცედ უნდა დაიცვას. სანიმუშო მიიღოს, მაგნე უარჰყოს. სულელებისათვის მაგნეი. დამოუკიდებლობისათვის მაგნეი. დამოუკიდებლობისათვისა. დამოუკიდებლობისათვისა. დამოუკიდებლობა თავისებურებაა. თავისებურებას არ უნდა შეეხოს არაფერი. ერის თავისებურებასა. თვისობრივობასა. თვისობრივობასა. თვისობრივობა ბევრი რამით გამოიხატება. ბევრითა და აურაცხელითა. ერთი შეხედვით თითქოს ისეთი წვრიმალთაცა – მახვილი რო გახლავთ. მახვილი ქართულ მეტყველებაში. მახვილი ჰო თითქმის შეუმჩნეველია და გარდამავალია ქართულ საუბარში. ჰო ასეა?.. თუ ვცდები?.. ახლა დააკვირდით თუ როგორ გამოიჭრა მახვილი. ტელევიზიას დააკვირდით. თუ გნებავთ პარლამენტსა – მახვილი დაერჭო ბოლო მარცვალსა. და-ერჭო და დაემკვიდრა. არ გეგონოთ რო ეს შემთხვევითია. არა. არ გეგონოთ. გლობალიზაციის პროგრამაში შედის უთუოდა – ანუ პროექტებში. და გრანტები იხარჯება ამის დასამკვიდრებლად. მხოლოდ „ამერიკის ხმის“ თანამშრომელნი მეტყველებენ ნესიერი ქართულითა. სხვა დანარჩენი ყურსა გჭრის და გულსგირევს – თუ უკაცრავად არ ვიქნები!.. შენ იტრაბახე: პოეზიას ვაფართოვებ და ჩემს თავისებურებას ვინარჩუნებო. ვერაფერსაც ვერ შეინარ-

ჩუნებ. ვერა ბატონო. ვერა ქალბატონო. მსხვერპლნი იქნებიან თუნდაც მახვილისა. და ახლა რამდენი უარესი მახვილია პროგრამებში გლობალიზაციისა?!?! და ამიტომაც გონივრულად არ მიმანია – არც პოეზიის გაფართოება. არც კრიტიკის გაფართოება. საერთოდ ლიტერატურის გაფართოებაი. ლიტერატურა რო ერია. ერი რო სახელმწიფოა და ამ საცოდავ სახელმწიფოს, ქართულ სახელმწიფოს ისედაც რო არ უნერია გაფართოებაი. უნერია?..

რა გაფართოებაზეა ლაპარაკი. კრიტიკის რა გაფართოებაზე – ჯერ ის გაარკვეით თუ როგორ გადარჩა პატრიოტული რეალიზმი სოცრეალიზმის მძვინვარებაში და როგორ აღმოჩნდა ახალ წნეხში – სოცრეალიზმის მიხედვით თუ შეერქმევა – გლობრეალიზმის წნეხში?.. „არტიტული გადატრიალების“ გარშემო ატეხილი აურზაური უკანასკნელი გაბრძოლება გახლდათ სოცრეალიზმისა. და აღესრულა კიდევაცა. უკმიონ ახლა საკმეველი. უკმიონ!.. როსტომ ჩხეიძის ცალკეული გამონათქვამები მხოლოდ დასაწყისია ან უკვე მომძლავრებული მიმდინარეობისადმი – გლობრეალიზმისადმი – ყურადღების მიქცევისა. თითქოს შეუმჩნევლად მომძლავრებულია. გრანტებითა და პროექტებითა. იზარდა და იზარდა. იზარდა და იზარდა. იელოველობისა არ იყოს. აბა გაუმკლავდით ახლა თუ ძალა შეგნვეთ. გაუმკლავდით ან შეენიეთ, როგორც რო გულმა, გონებამა და პასუხისმგებლობამ გიკარნახოთ. ერისადმი პასუხისმგებლობამა.

ახლა უკვე აღარავის უკვირს დამდაბლები ამალღებულისა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ეს ძირითადი პრინციპია – იტყვიან – გლობალისტური ხელოვნებისაო. ჰხედავთ – ხელოვნების დანიშნულება თავდაყირა აღმოჩნდა: დამდაბლებო – ამალღების ნაცვლად!.. ბინიერება შინაარსად იქცა და ბილნსიტყვაობა გამოხატვის საშუალებადა. ეროვნული სიამაყე – სასაცილოდა. წარსულის ხსოვნა – ჩამორჩენილობადა, ბორკილადა. საკუთარი წმიდანები – შეურაცხყოფის საგნადა. ოჯახი – პოლიგამიის დაბრკოლებადა. მართლმადიდებლობა – რწმენის შეზღუდულობადა. ფართო განათლება – ადამიანის თავისუფლების ხელყოფადა. ან რალა ითქვას. ისიც რო კმარა – ბინიერება რო შინაარსია და ბილნსიტყვაობა გამოხატვის საშუალებაო. არადა ასე რო არ არის თვით ამერიკულ ლიტერატურაში!.. მე რამდენადაც მომეხსენება – იქ ისევ სწორად მიემართება ამერიკული რომანი: დრაიზერისა, სინკლერი-სა, ფოლკნერისა და იმათთავართა გაკაფული გზით მიემართება. ვერცთუ იმდონეზე, მაგრამ რა ვუყოთ, დანიშნულება მაინც იგივეა, პასუხისმგებლობა მომეტებული – რო უფრო გაზრდილა როლი შეერთებული შტატებისა საერთაშორისო წინააღმდეგობათა მოგვარებაში. აბა ეს საიდანაო – თუ იკითხავთ – ეს კონტრატბანდული, ფალსიფიცირებული საქონელი ჩვენს სალიტერატურო ზაზარზეო. მოგიგებთ თუ უკვე არ მოგიგეთ – პროექტებიდანა და გრანტებიდანა განვითარებადი ქვეყნებისათვისა. კმარა რო მართლაცა ახალგაზრდებო!.. გაიხსენეთ რო სამოციქულო ეკლესიის შვილები ბრძანდებით. აკვანი რო ხართ უძველესი ცივილიზაციისა: ხორბლისა. ვაზისა. ცეცხლის ცივილიზაციისა. თუ ამირანისა აღარა გჯერათ, პრომეთე ჰო ისევ აქ გახლავთ – ისევ აქ აბია და ვერ აუშვია თავი!..

– და ბოლოს, „ქართლის მატინის“ ვრცელ პანოდ ქვეული რომანების პარალელურად ბატონი ოთარ ჩხე-

იძე ლიტერატურულ წერილებსაც წერდა, რომელსაც კრიტიკულ პროზას ვუნოდებდი. ყველა წიგნიერმა ქართველმა იცის ამ წერილების მნიშვნელობა. მიგაჩნიათ თუ არა დღესაც მწერალი საუკეთესო კრიტიკოსად ანუ როგორც ტარიელ ჭანტურია იტყოდა, „მცნობად“, თუ წერის უკიდურესად გართულებული ტექნიკის ფონზე აქ ფუნქციათა მკვეთრი გამიჯვნა ან, პირიქით, აღრევა მოხდა.

– ვჩქარობ გიპასუხოთ: ტარიელ ჭანტურია სწორად უნდა განსაზღვრავდეს მწერლის თანამშრომლობასა კრიტიკასთანა...

თქვენ გივი ალხაზიშვილიც ახსენეთ – ისიც სწორია და იმისი განსაზღვრებაცა: „წევრალიო“. – თუმცა მგონი ისევ ტარიელთან მივდივართ – ეს ის წევრებია მწერალთა კავშირისა, საერთო რო არა აქვთ არაფერი მწერლობასთანა. უფრო ის წევრები. თორემ უნიჭობაო თუ მოხალისეობაო თან ახლავს მწერლობასა. მოდის და მოჰყვება დაწყობადებიდანა. ფოლკლორიც საგსეა უნიჭობითა. იქიდანვე მოჰყვება. ბევრიც შემოიკრიბა მწერალთა კავშირმა ამგვარი წევრი. ერთ ასეთთაგანი მეც გამომედო ძეძვივითა და ვიკითხე ათასჯერაცა: რატომ არის ეს კაცი – კაცია თუ რაც არის – მწერალთა კავშირის წევრიმეთქი. არსაიდან ხმა. არსით ძახილი. ეს ის „წევრალი“ და ამგვარები კვლავაც შერჩენიან მწერალთა კავშირსა. მართლა მწერალთაგან ზოგი გავიდა კავშირიდანა. ზოგი გარდაიცვალა. ზოგი გამოიფიტა. ზოგი განზე გადაგა. ის ისევ ისე იქავე მკვიდრობს. ისინი მკვიდრობენ და შეიძლება ითქვას: მწერალთა კავშირის აპოლოგეტები რო იბრძვიან ხომტარიას სახლისა და საბიუჯეტო დაფინანსებისათვისა, იმისთვის იბრძვიან. თორემ განა შეიძლება იმდენიც არ გაეგებოდეთ რო: რახან აღესრულა სოცრეალიზმი, სახელისუფლო სამსახურმაცა, იმისამა დაჰკარგა თავისი დანიშნულებაი????!!

ჰო – ტარიელ ჭანტურიო – მართალი უნდა იყოსმეთქი: ვითომ რატომ უფრო მართებული არ არის პუშკინი გოგოლის მიმართა, ვიდრე ბელინსკი; ბალზაკი უფრო – სტენდალის მიმართა, ვიდრე სენტ-ბევი; მური უფრო – ბაირონის მიმართა, ვიდრე „შოტლანდიელი მიმომხილველნი“; ორბელიანი უფრო – ყაზბეგის მიმართა, ვიდრე ზანდუკელი?!. ისიც არის რო მწერლებიც შემეცდარან. ვთქვათ აკაკი – ვაჟას მიმართა... ხოლო საერთოდა: მწერლური კრიტიკა და საკუთრივ კრიტიკა არ უნდა განიყოფოდეს ერთიმეორესგანა. ერთიმეორეს ავსებს. ერთიმეორის ნაწილია. კრიტიკა კრიტიკაა. შუა არ უდევს არავითარი მზღვარი. არცა რო დიდი. არცა რო მცირეი. კრიტიკას თუ თავისი მტკიცების ფორმა აქვს, ოღონდ მწერალი უფრო ესეისტურად გამოსთქვამს თავის ლიტერატურულ შეხედულებებსა, ეს არც გამიჯვნას არ უნდა ნიშნავდეს, არც აღრევას არ უნდა ნიშნავდეს. კრიტიკა კრიტიკაა. შენ ოღონდ მართალი იყავი ღვთისა და ჯამათის წინაშე. მართალი. მართალი. არც რო შიში არ უნდა გიძლოდეს, არც რო ანგარება. არაფერი. არაფერი. შენი პასუხისმგებლობის გარდა. ეს ჰო ვთქვი თუ რა პასუხისმგებლობა გააჩნია შემოქმედებასა?.. კრიტიკაც შემოქმედებაა და არა სპეცდანიშნულების დანაყოფი...

ესაუბრა
ნონა კუპრიაშვილი

კურტ ვონეგუტი

ნიგნიდან „უსამშობლო კაცი“

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში, კულუარების ციკლში ვიუწყებოდით, რომ ახალ ნიგნიში – „**უსამშობლო კაცი**“ – თვალსაჩინო ამერიკელი მწერალი-სატირიკოსი **კურტ ვონეგუტი** თავისებურად საყვედურობდა ნობელის პრემიების კომიტეტს, რატომ დამივიწყეთო, და არც ირონიულ გადაკვრებს ერიდებოდა. არც იმას ვფარავდით, რომ ეს ჩანაწერი მთლად ვონეგუტისეული მახვილგონივრულობით ვერ გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც გამოიწვია ჩვენი მკითხველის დაინტერესება და მათი თხოვნით შემოგთავაზებთ ამ ანექდოტისებური ამბავის თარგმანს.

ერთ დროს ავტომობილთა გამავრცელებელი ფირმის მფლობელი და ხელმძღვანელი ვიყავი – უესტ ბარნსტებლში, მასაჩუსეტისის შტატში. ფირმას „სააბა ქეიფ ქოდი“ ერქვა. მე და ეს ფირმა ერთმანეთს ოცდაცამეტი წლის წინათ გადაეყარეთ და გავერთიანდით. საბაბი მაშინაც, როგორც ახლა, შვედური მანქანა გახლდათ, და უკვე ვვხვდები, რომ მანქანის გავრცელებაში ნანვნივეი მარცხით თუ აიხსნება, რაც სხვაგვარად საიდუმლოდ დარჩებოდა: თუ რატომ არ მარგვუნეს შვედებმა ნობელის პრემია ლიტერატურაში. ძველი ნორვეგიული ანდაზა გვამცნობს: შვედებს ფიცი მოკლე აქვთ და მეხსიერება გრძელიო.

ყური დამიგდეთ: მაშინ სააბისა მხოლოდ ერთი მოდელი არსებობდა, ფოლკსვაგენის მსგავსი ხოჭო, ორკარიანი სედანი, ოლონდ ძრავი წინა მხარეს ჰქონდა. კარი თავისმკვლელთათვის მისწრება იყო, უკანჩასრიალებით იღებოდა. ყველა სხვა მანქანისაგან განსხვავებით, მაგრამ თქვენი ბალახის საკრეჭისა თუ ძრავიანი ნავისა არ იყოს, ოთხცილინდრიანი კი არა, ორცილინდრიანი ძრავი ჰქონდა. და ყოველთვის, როცა ავზს ბენზინით შეავსებდი, ერთი ქილა ზეთიც აუცილებლად უნდა დაგემატებინა. რალაც მიზეზით ქალები ჯიუტობდნენ და ამას არ აკეთებდნენ.

გასაღების მთავარი წყარო ის იყო, რომ ფოლკსვაგენს მიავაგდა. მაგრამ თუკი შენ თვითონვე ან შენს მეორეს ბენზინის ავზში ზეთის ჩასხმა დაგავიწყდებოდათ, შენ და შენი მანქანა ფოიერვერკად გადაიქცეოდით. სავალი ნაწილი წინა მხარეს ჰქონდა, რათა მოლიპულ ქვაფენილზე ან მოსახვევში თამამად ემოძრავა. კიდევ ის იყო: ერთმა შესაძლო მყიდველმა მითხრა, „საუკეთესო საათებს ამზადებენ და საუკეთესო მანქანებს რატომ არ უნდა უშვებდნენ?“ – და მეც იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი.

ის ძველი სააბი დიდად ჩამორჩებოდა დღევანდელ კრიალა, მძლავრ, ოთხცილინდრიან, ზეთანამედროვე მოდელს. ის იყო, თუ გნებავთ, მთვრალი სიზმარი თვითმფრინავთა ფაბრიკის ინჟინრებისა, რომელთაც ავტომობილი არასოდეს აენცოთ. მთვრალი სიზმარი ვთქვი? ერთი ესეც მიირთვიო:

ცხვირზე რალაც რგოლი გამოჩროდა, ჯაჭვზე შეერთებული, ჯაჭვზე, რომელიც ძრავის განყოფილებაში შედიოდა. გამოსწედი და რალაც საბურველი ჩამოეფარებოდა ძრავს. ეს იმისთვის, ძრავი არ გაციებულებო, ვიდრე მანქანიდან გადასული იყავი. და როცა დაბრუნდებოდი, თუ დიდხანს არ დარჩებოდი სადმე, ძრავი უცებ დაიქოქებოდა.

მაგრამ თუ დიდხანს დარჩებოდი, საბურველი არ უშველიდა, ზეთი ბენზინს გამოსცილდებოდა და ბლანტად დაეფინებოდა ავზის ფსკერს. და როცა დაქოქავდი, ბოლში უნდა გახვეულიყავი საზღვაო ბრძოლაში ჩაბმული სამხედრო გემით. და სწორედ ეგრე გავმურე ქალაქი ვუდს ჰოული ერთ გაგანია შუადღეს, მას შემდეგ, რაც ერთი კვირით დავეტოვე სააბი მანქანების გაჩერებაზე. ამბობენ, ძველ ხალხს ახლაც უყვირს და კითხულობენ, ის იმოდენა კვამლი საიდან გაჩნდაო. ასეა თუ ისე, შვედურ მანქანათმშენებლობას რაკი ვძრახავ, ნობელის პრემიაზეც ხელი უნდა ავიღო.

კალეს მოქალაქენი... თხილისში

გიორგი ციციშვილის მონოგრაფიულ ნაშრომში „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ (ნიგნი 1) არის მონდომებული ცდა – დაიხსნას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის თვალსაჩინო წევრი კალე მისაბიშვილი ჭორისა თუ უსამართლო ბრალდებისაგან, თითქოს მას გაეცეს და მისი მიზეზით დაღუპულიყვნენ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ის ოფიცრები, რომელთაც სამხედრო ცენტრი შექმნეს. არადა, მათმა დახვეწებამ და წინააღმდეგობის ამ კერის განადგურებამ ბევრწილად განსაზღვრა 1924 წლის აჯანყების ტრაგიკული ხვედრი.

მსჯელობისას მკვლევარი გაიხსენებს ერთ პასაჟს გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“.

თხილისის საბჭო ზემოთ აღნიშნავს საქართველოს გასაბჭოების წლისთავს. სოლიდარობის დღეგაცაციაში ხელისუფლებას შეჰყავს ყველაზე გამოჩენილი ქართველი მწერლები. მათ დიდად არ ახარებთ ასეთი „დაფასება“, რადგანაც ეს მოქმედება მათი მხრივ ადასტურებს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მორჩილებასა და საჯარო აღიარებას იმისა, რაც სრულიად არ ეჭაშნიკებათ. ხელისუფლებას კი სწორედ ეს სურს, რომ შიშით აიძულოს ისინი საქვეყნო კომპრომისსა და ქედის მოდრეკას.

„დღეგაცაცია ოპერის თეატრისაკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა. „კალეს მოქალაქენი!“ დაიწყო ჩულა ერთმა. ყველას უსიტყვოდ გადაედო. დადამბლავებულეზივით დგამენ ნაბიჯებს...“

ციტატას რომანიდან ასეთი კომენტარი დაერთვის მონოგრაფიაში:

„როგორც ჩანს, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილმა მწერლებმა კალე მისაბიშვილის როლში იგულის თავი“.

და იქვე კიდევ:

„ეს თუ ასეა, მათ შორის მყოფი მ. ჯავახიშვილიც იგულისხმება. მაგრამ ეს დიდი მწერლის მიმართ განაჩენად მაინც არ ჩაითვლება...“

ამას მოსდევს დასაბუთება იმისა, რომ თუ კალე მისაბიშვილის როლში – გრიგოლ რობაქიძის ნართაული მინიშნებით – მიხილ ჯავახიშვილიც იგულისხმება, რატომ არ შეიძლება გამოიყენოს ვინმემ ეს პასაჟი „ჯაყოს ხიზნების“ შემოქმედის გასამტყუნებლად, მაგრამ...

ნიშნავს ეს შესიტყვება „კალეს მოქალაქე“ კალე მისაბიშვილს?

თუ მხოლოდ იმას გულისხმობს, რასაც ეს გამოთქმა უპირველესად გაახსენებს ყველა ჩვენგანს და თვითონ გრიგოლ რობაქიძე კიდევ განმარტავდა პოლემიკურ სტატიაში „საქართველოს ხერხემალი“:

„ევროპაში ლეგენდათაა გადაქცეული „კალეს მოქალაქეთა“ რაინდობა. როდენმა ქვაც კი აამეტყველა მათი რაინდობით“.

და იქვე შეუპირისპირებს მონუმენტურ სურათს – ცოტნე დადიანის გამირობას, რისი წყალობითაც კოხტისთავის ყველა შეთქმულს ათავისუფლებენ მონღოლები – რათა დასძინოს:

რით არის ეს ამბავი ნაკლები „კალეს მოქალაქეთა“ ამბავთან შედარებით? არაფრით: შესაძლებელია მეტიც იყოსო.

ისტორიულ ეპიზოდს ოგიუსტ როდენის ტალანტმა ახალი სიცოცხლე შთაბერა და ფრუასარის მათიანეში ლაკონურად ჩანურული ამბავი ხელოვნების მწვერვალზეც აზიდა და საკაცობრიო მოვლენადაც ჩაბეჭდა საზოგადოების ცნობიერებაში.

ქართველი მკითხველისათვის ეს გამირობის აქცია ხელმისაწვდომი გახდა დევიდ უეისის ბიოგრაფიული რომანის „შიშველი მოველ ამქვეყნად...“ (მთარგმნელი ვალენტინა ტატიშვილი), და რაინერ მარია რილკეს მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების „ოგიუსტ როდენი“ (მთარგმნელი ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანი) მეოხებით, და მართლაც გულისშემძვრელია ექვსი წარჩინებული კალელი მოქალაქის თავგანწირვა, კისერზე მარყუჟგამობმულნი საკუთარი ნებით რომ ჩაბარებოდნენ ინგლისის მეფეს ედუარდ III-ს, ვისაც ერთი წლის მანძილზე ალყაში მოექცია ეს ფრანგული ქალაქი და სასტიკად დაემშია; ჩაბარებოდნენ, რათა გადაერჩინათ დანარჩენი მოსახლეობა.

როდენი დიდ კონკურსში გაიმარჯვებდა, ქალაქი კალე რომ გამოაცხადებდა თავის გამორჩინებულ ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ამ სიუჟეტმა უჩვეულოდ აღაფრთოვანა როდენი, – დაწერს დევიდ უეისი თავის ბიოგრაფიულ რომანში, – „კალეს მოქალაქეები“ მისი უსაყვარლესი თემა გახდა. მან ფანატიკური გატაცებით დაიწყო მუშაობაო.

როდენისათვის ეს სიუჟეტიც კმაროდაო, – ეს უკვე რაინერ მარია რილკეს შთაბეჭდილებაა, თვითონაც დიდი შემოქმედისა, ვინც არა მხოლოდ დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა, არამედ როდენთან პირადი მეგობრობაც აკავშირებდა და ფრანგი მოქანდაკის სამყარო განსაკუთრებით მახლობელი რომ ყოფილიყო მისთვის, რა გასაკვირია. ამი-

ტომაცაა ასეთი ზუსტი და ექსპრესიული „კალეს მოქალაქეთა“ მისეული აღწერა-ინტერპრეტაციაც:

„მან მყისვე იგრძნო, რომ მატრიანე რალაც დიადის, უბრალოსა და თავისთავადის მაუნყებელ წამს შეიცავდა, რაც არ სცნობს არც სახელს, არც უამთავლას. როდენმა მთელი ყურადღება იმ თავგანწირული გზის დასაწყისისაკენ წარმართა. იგი ხედავდა, როგორ გაუდგნენ გზას ის

აღამიანები, გრძნობდა, ყოველ მათგანში როგორ ერთბაშად შენივთდა მთელი მათი ცხოვრება, როგორ ერთხელ კიდევ განმეორდა ყველაფერი, რითაც იცხოვრეს ამ წუთამდე. და თვითეული, დამძიმებული თავისი წარსულით, იდგა იქ და მზად იყო საკუთარი სიცოცხლე ტვირთითი გაეტანა ძველი ქალაქიდან... თითქოს ასი გამირი იდგა ხელოვანის მესხიერებაში და ყველა მსხვერპლად შეწირვას ითხოვდა. როდენმაც ასივე მიიღო და მათგან ექვსი შექმნა. მან გამოძერწა ექვსი, ერთმანეთისგან განსხვავებული, შიშველი აღამიანი, რომელთა გათოშული სხეულებიც ყველაფერს ამბობდნენ. ეს გახლავთ არაბუნებრივი სიდიდის სხეულები: აღამიანთა არჩევანის ბუნებრივ სიდიადეს რომ გამოხატავენ“.

თავის შთაბეჭდილებას ასე ხელშესახებდა შესაძლოა ყველა ვერ გადმოსცემდეს, მაგრამ განცდა კი „კალეს მოქალაქეთა“ წინაშე ყველა მნახველისა არსებითად ერთიანია – რალაც გრანდიოზულისა და მომწესხველის წინაშე დგომა.

გრიგოლ რობაქიძეც როდენის ამ ქმნილებას მიეყვანა ძველ ფრანგულ ქრონიკამდე და როდესაც საქართველოს გასაბჭოების წლისთავის საზეიმო სხდომაზე სხვა მწერლებთან ერთად მასაც მიიწვევდნენ, დელეგაციაში იძულებით მყოფი თავს იმით ინუგეშებდა, რომ საკუთარ თავსა დაკოლეგებს კალეს მოქალაქეებთან გააიგივებდა: ჩვენც მათსავით ვბარდებით მტერს, რათა თბილისი ვიხსნათ, და არა ანგარებითა თუ პირადი გამორჩენის მიზნით მივაბიჯებთ ოპერის თეატრისკენო.

დაიწურჩულა ერთმაო...
ეს თვითონ მისი ჩურჩულია – რობაქიძის.
ანუხებდა, ძალიან ანუხებდა ის წუთები და ამიტომაც გადაიტანდა იმ სურათს რომანში, რათა უცნობი პერსონაჟის პირით გაეცხადებინა თავისი ნაფიქრი – ჩვენ გამირები ვართ და მსხვერპლად შეწირულნი ჩვენს ქვეყანას და არა მედროვნიო.

„კალეს მოქალაქეთა“ ხსენებას ეს საკმაოდ გამჭვირვალედ უნდა მიეჩინებინა.

... მათ შორის მიხილ ჯავახიშვილიც იგულისხმება, მაგრამ ეს დიდი მწერლის მიმართ განაჩენად მაინც არ ჩაითვლებაო, – გამართლების მოძებნას ცდილობს გიორგი ციციშვილი, თუმც გასამართლებელი რა უნდა იყოს, როდესაც „ჩაკლული სულის“ ეს პასაჟი მასაც გამირად და მსხვერპლად შეწირულად მიიჩნევს.



კალეს მოქალაქენი

ოგიუსტ როდენი

სტანდარტიზაციის მოულოდნელი ხიზლი

*

ლევან ბრეგაძის
საჯარო ლექცია

23 აპრილს „ომეგას“ სალონში ლევან ბრეგაძემ 70-იანი წლების ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტისა და ფელეტონისტის არტ ბუხვალდის შემოქმედებითი თავისებურება გააცნო მსმენელებს.

„ეს არის ამერიკა“ – რომელიც შეადგინა, თარგმნა, შესავალი წერილი დაურთო და 1973 წელს გამოსცა ედუარდ სიხარულიძემ – ამ წიგნში მოიყარა თავი აღიარებული პამფლეტისტის შემოქმედებამ და მასთან მიბრუნება მარტო გახსენება არ იქნება 60-70-იანი წლების ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, – თქვა შესავალ სიტყვაში როსტომ ჩხეიძემ, – ძალიან ბევრი რამით მოგვაგონებს ის პამფლეტები ჩვენს დღევანდელობასაც და, საერთოდ, არაერთი ქვეყნის რეალობასაც. ვინმემ შეიძლება ისიც იფიქროს, ყველაფერი ეს ლევანის მიერ არის დაწერილი და, გარკვეული მოსაზრებით, მოქმედება გადატანილია ამერიკულ გარემოში. ერთი სიტყვით, ამჯერადაც შეიძლება გვეგონოს, რომ ლიტერატურულ მისტიფიკაციასთან გვაქვს საქმე, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა მწერლობაში.

ლევან ბრეგაძეს ჩვენი საზოგადოების წინაშე წარდგენა არა სჭირდება, ვიტყვი მხოლოდ, რომ ძალიან იშვიათია ასეთი მრავალმხრივი ლიტერატორი, ძალზე ფართოა მისი ინტერესების სფერო – ყველაფერი, რასაც იგი ქმნის და რაზედაც წერს – იქნება ეს ქართული ჟარგონის ლექსიკონი თუ საჭადრაკო თემა – არის უაღრესად საგულისხმო, მნიშვნელოვანი და გამორჩეული სტილით შესრულებული, კარგი რომანივით საკითხავი.


ალარაფერს ვიტყვი იმაზეც, რომ ლევან ბრეგაძე, როგორც კრიტიკოსი, არის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებისა და კიდევ ერთხელ და საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლევან ბრეგაძისა და თეიმურაზ დოიბაშვილის გარდა რომ არავინ წერდეს კრიტიკულ წერილებს, მაშინაც კი ქართული კრიტიკის არარსებობაზე საუბარი უსამართლოა და უხერხული.

ლევანის პოეტური თარგმანებიც, განსაკუთრებით მსოფლიოს რჩეული ეპიგრამებისა – ამ ჟანრის მამამთავრიდან, მარციალისიდან, მოყოლებული, შესანიშნავი ციკლია და აუცილებლად წიგნადაც უნდა გამოვიდეს. და კიდევ ერთი:

ღმერთმა ყველა და განსაკუთრებით ახალგაზრდა კრიტიკოსები და ჟურნალისტები შეახვედროს ასეთ შემოქმედსა და პიროვნებას, როგორც გახლავთ ლევან ბრეგაძე. მე ჩემს თავზე მაქვს ეს გამოცდილი და თავის დროზე ვახტანგ ჭელიძისა და თამაზ ბიბილურის სკოლა გავიარე და ლევანის გავლენაც ვადმომწვდა... ახლა ვთხოვთ ლევანს ნაკვიკითხოს არტ ბუხვალდის პამფლეტები და იქნებ თავისიც – ამ სახელსა და გვარს ამოფარებული“.

ლევან ბრეგაძე:

„ის, რაც დღეს მინდა შემოგთავაზოთ, გახლავთ ერთ-ერთი ლექცია ციკლიდან, რომელსაც ვკითხულობ მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში. იქ მთხოვეს ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც ამ საქმიანობას ხელმძღვანელობენ, ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის მოგვეფიქრებინა განსხვავებული ხასიათის ციკლი ლექციებისა. მართლაც, მოვიფიქრე ასეთი ციკლი და დავარქვი სათაურად: „**ჟურნალისტის კლასიკოსები**“. ამ ციკლიდან ერთ-ერთი ლექცია ეძღვნება არტ ბუხვალდს.



ჩემი ასაკის ხალხს უთუოდ ემახსოვრება ეს სახელი და გვარი. 60-70-იან წლებში ეს იყო უპოპულარესი ფელეტონისტი მსოფლიოში. იყო პერიოდი, როცა 450 ჟურნალ-გაზეთში იბეჭდებოდა ერთდროულად, მათ შორის, რუსეთშიაც. დიდი ხალხით ბეჭდავდნენ, აქაოდა, ამერიკას აკრიტიკებო! ოღონდ ჰონორარს არ უხდიდნენ და ამის გამო არტ ბუხვალდი ნაწყენი გახლავდათ რუსებზე. და, სხვათა შორის, ამაზეც აქვს ერთი ფელეტონი დაწერილი.

არტ ბუხვალდი არ არის რეპორტიორი, თუმცა რეპორტიორადაც მუშაობდა ადრე. ტიპური რეპორტიორი ფაქტებზე ნადირობს – არტ ბუხვალდი ავინოებს თავის შემოქმედებით სფეროს და გვევლინება ფელეტონის ოსტატად. ფელეტონის შეფასაც უწოდებდნენ მას და სამართლიანადაც.

საკმაოდ უცნაურ შემოქმედთან გვაქვს საქმე და რა შეიძლება მისგან ვისწავლოთ? ამ ლექციას, რომელსაც მე აქ ვკითხულობ, პირობითად შეიძლება ასეც ვუწოდოთ: „სტანდარტიზაციის მოულოდნელი ხიზლი“.

ბუხვალდი გახლავთ ტიპური ამერიკელი იმ გაგებითაც, რომ მთელი მისი სამუშაო დღე დაპროგრამებულია წინასწარ, ანუ სტანდარტიზებულია.

ამით ბევრს ვერ გააკვირვებ – ვთქვათ, ზუსტად რვის ნახევარზე გაიღვიძებს, ისაუზმებს, ზუსტად ცხრას რომ დააკლდება თხუთმეტი წუთი, გამოიძახებს ტაქსს! ერთადერთი, რაც მასში ამერიკული არ იყო – არ იცოდა მანქანის მართვა და ამაზეც აქვს მას ფელეტონი. სულ ტაქსით დადიოდა, რადგანაც ვერ მართავდა მანქანას და ეს ძალიან იშვიათია ამერიკაში. შემდეგ მიდის რედაქციაში, იქ ყავას სვამს, ამოჭრის ახალი გაზეთებიდან სტატიებს, რაც მას დაინტერესებს, გადახედავს (აქედან აგროვებდა მასალას!), იქვე წერს ფელეტონს, უკითხავს თანამშრომლებს, ოღონდ არაფერს არა ცვლის. ფელეტონი უსათუოდ 600 სიტყვიანია – არც მეტი და არც ნაკლები! – აი, ასეთია მისი სტანდარტიზებული რეჟიმი ცხოვრებისა.

ახლა გადავიდეთ შემოქმედებაზე და რასაც ახლა ვიტყვი, ეს კი უთუოდ გასაკვირია. და მე დღემდე ვერც ამიხსნია ეს მოვლენა და იქნება თქვენ მომეხმაროთ.

სტანდარტიზებულია მისი წერის მანერაც და არა მხოლოდ მანერა, სტანდარტიზებულია მისი შემოქმედება მთლიანად, შემოქმედებითი მიდგომა მოვლენებისადმი.

ოთხმოცდაათი პროცენტზე მისი ნაწერებისა აგებულია ერთადერთი ხერხით!

და ეს გარემოება სრულიად არ ანელებს ინტერესს მათ მიმართ, – უცნაურიც ეს არის. როცა მკითხველის მოლოდინი მართლდება ტექსტის კითხვისას – ეს ყოველთვის ნაკლია ნაწარმოებისა – ესთეტიკური განცდა, მუხტი თან მოსდევს სწორედ მოლოდინის გაცრუებას.

მაშ ბუხვალდის ფელეტონებში ასეთ მოულოდნელობას არ ველოდებით; და ამ ხერხსაც დაგისახელებთ – ის ისეთივე ძველია, როგორც თვით ენა – ერთ-ერთი უპირველესი ტროპ-თაგანია, და ამიტომ მარტივი და პრიმიტიულიც კი.

რა არის? – ჰიპერბოლა, ანუ გაზვიადება. ბუხვალდი იღებს რაიმე უარსაყოფ ტენდენციას, აზვიადებს მას უსაშველოდ, მიჰყავს აბსურდამდე და ამით აცინებს მკითხველს. და ასე ებრძვის ამ ტენდენციას!

60-იანი წლების ამერიკა ბევრად განსხვავდებოდა დღევანდელი ამერიკისგან და, თუ თანდათანობით ემგვანებოდა და ემგვანება სამართლებრივ სახელმწიფოს, ეს ბუხვალდისა და მის მსგავს შემოქმედთა დამსახურებაც არის ბევრწილად.

„მეტისმეტად მოხუცი ბრძანდებით“ – ამ ფელეტონის კითხვისას ალბათ ასაკსაც აქვს მნიშვნელობა, ის ძალიან მოენონათ ჩემს შვილებს და ახალგაზრდებს, – სიცილით იხოცებოდნენ, თუმცა ჩემთვის ასეთი სასაცილოც არ არის.

„ამერიკა კრიზისის განიცდის. ორმოცი წლის ამერიკელი უკვე მოხუცად ითვლება. მე ამის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა, ვიდრე გაზეთ „უორლდ ჯორნელ ტრიბუნის“ დახურვის შემდეგ არ მომიხდა მეგობრისათვის დახმარება სამუშაოზე მოსაწყობად. სადაც კი მივედი, ყველგან მეკითხებოდნენ: რამდენი წლისააო? როდესაც ვუპასუხებდი, ორმოც წელს არის მიღწეული-მეთქი, მხრებს იჩქრდნენ და მიპასუხებდნენ – ჩვენთვის არ გამოდგება, მეტისმეტად ხნიერიაო.

თუ ასეთი ტენდენცია გავრძელდა, ასაკის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად იქცევა. საესეებით შესაძლებელია, რომ ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ კადრების განყოფილებაში გაიმართოს ასეთი საუბარი:

- თქვენ კარგი ანკეტური მონაცემები გაქვთ, მაგრამ... – რა მაგრამ?
- სამუშაოსთვის ძალზე ხნიერი ბრძანდებით...
- როგორ თუ ძალზე ხნიერი, მე ხომ 23 წლისა ვარ!
- სწორია, მაგრამ ჩვენ 21 წლის ზემოთ აღარ ვიღებთ.
- ახლახან დავამთავრე უნივერსიტეტი, როგორ შეიძლება ძალზე ხნიერი ვიყო?
- ჩვენი საპენსიო განყოფილების აზრით, 21 წელზე უხნესი ადამიანები არ გამოგვადგებიან.
- მაშ როგორ მოვიქცევ?
- ნუ ღელავთ. პირადად თქვენს მიმართ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ თქვენი ტოლები მთელი ძალით ვერ მუშაობენ. მართალია, არის გამონაკლისები, მაგრამ გვირჩევნია სამუშაოზე მივიღოთ ახალგაზრდები, რომლებიც კარგად უძლებენ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას.
- მესმის, მაგრამ შემამონმეთ! შემიძლია ყოველგვარი სამუშაოს შესრულება. კვირაში ორჯერ ჩოგბურთს ვთამაშობ, კოლეჯში ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ვიყავი, შესანიშნავი ჯანმრთელობა მაქვს.
- მესმის, მაგრამ არა მაქვს საშუალება, ყოველ მთხოვნელს ინდივიდუალურად მივუდგეთ. სტატისტიკა

გვიჩვენებს, რომ თქვენი ასაკის ადამიანები ხშირად ცივდებიან, ემართებათ რადიკულიტი და იშიასი. ჩვენი დაზღვევის აგენტი უარს იტყვის მიღებაზე, ასეთ რისკზე ვერ წავალთ.

– თუ მე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვერ ვიშოვნო სამსახურს, რა ვქნა მომავალში?

– რატომ არ გინდათ პენსიაზე გასვლა?

– რის პენსია, მე ხომ ჯერ მუშაობაც არ დამიწყია?

– ჩვენ არაფერ შუაში ვართ. მკაცრი კონკურენცია უფლებას არ გვაძლევს თქვენი ასაკის კაცი მივიღოთ სამუშაოზე. როდესაც კლიენტი მოვა და დაინახავს წელში მოხრილ 23 წლის მუშაკს, რა შთაბეჭდილება ექნება ჩვენს კომპანიაზე?

– ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, უკვე მესამედ მითხრეს უარი მოხუცებულობის საბაზით, გამომცადეთ, როგორ ვიმუშავე!

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ დაგეხმარებით. მე ბუნებით კეთილი კაცი ვარ, მაგრამ სინამდვილეს გვერდს ვერ ავუქცევ, თქვენ მეტისმეტად ხანში შესული ბრძანდებით.

– რა გაეწყობა. მიპასუხეთ ერთ კითხვაზე და წავალ, რამდენი წლისა ბრძანდებით თვითონ თქვენ?

– ცამეტისა...“

რაც უფრო აბსურდულია ამბავი ფელეტონისა, მით უფრო ახდენს ის შთაბეჭდილებას, მეტისმეტი აქ არ არსებობს და ეს ამ ფელეტონიდანაც ჩანს: „ალაბამა, ცოდნის შემონამება“, ასე ჰქვია მას.

„თუ ფიქრობთ, რომ არჩევნებზე მოხვედრა ალაბამის შტატის ქალაქ კნუტში ადვილია, ძალიან ცდებით. პირველ რიგში უნდა გაუსხლტეთ ცხენოსან პოლიციას, გადალაზროთ ცრემლსადენი გაზის ფარდა და თუ ამის შემდეგ კიდევ შეგრჩებათ ხმის მიცემის სურვილი, შეგიძლიათ გატარდეთ საარჩევნო რეგისტრაციაში. სარეგისტრაციო ბიურო მუშაობს 23 საათსა და 55 წუთიდან შუალამემდე, თვის ყოველ მეექვსე შაბათს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ როცა სარეგისტრაციო ბიურო იღება, სასამართლოს შენობა იკეტება და იქ მოხვედრა ძნელდება.“

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ზანგმა ჯორჯ აბერნატიმ მოახერხა ბიუროში მისვლა და მოითხოვა რეგისტრაციაში გატარება.

– ჯორჯ! – უთხრა ამ ფაქტით საოცრად განცვიფრებულმა მოხელემ, – სიამოვნებით გაგატარებ რეგისტრაციაში, მაგრამ რამდენსამე შეკითხვას უნდა უპასუხო. პირველ რიგში, განათლება გაქვს?

– ყოველთვის წარჩინებული სტუდენტი ვიყავი. მივიღე ხელოვნებათმცოდნის წოდება კოლუმბიის უნივერსიტეტში, მაგისტრისა – ჰარვარდის, ხოლო დოქტორისა – მასაჩუსეტისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

– შესანიშნავია, შესანიშნავია... ჯორჯ, მითხარი, გეთაყვა, ნერა-კითხვა იცი?

– დანერილი მაქვს სამი წიგნი კიბერნეტიკაზე, ქრისტიანობის ფილოსოფიასა და პოლიტიკაზე.

– წყნარად, ჯორჯ, რა საჭიროა ბაქიბუქი, შენ მაინც მოგიხდება კითხვებზე პასუხის გაცემა. ჩვენ ვერ დაუშ-

ვებზე, რომ გუბერნატორ უოლესის არჩევნებში გაუნათლებელი კაცი მონაწილეობდეს. აბა, წამიკითხე რაიმე ამ გაზეთიდან!

- ეს ხომ ჩინური გაზეთია!
- სწორია!

ჯორჯ აბერნატი კითხულობს ჩინურად. მოხელე გაცეზებულია, მაგრამ არ იმჩნევს.

- ძალიან კარგი... აბა ახლა წამიკითხე ეს ძველგვიპტური იეროგლიფები!

აბერნატი კითხულობს იეროგლიფებსაც. მოხელე დაბნეულია.

- ჯორჯ, აი ფინეთის კონსტიტუცია თარგმნე პირველი 14 მუხლი!

- კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას არჩევნებთან?

- რასაც გუებუნებია, ის გააკეთე!

აბერნატი თარგმნის 14 მუხლს ფინურიდან. მოხელე იძულებულია დარეკოს გუბერნატორთან და მოახსენოს საქმის ვითარება. გუბერნატორი მოითხოვს, რომ ზანგს მოუწყონ კიდევ ერთი გამოცდა. მოხელე სეიფიდან იღებს თიხის ჭურჭელს და მოითხოვს ჯორჯმა წაიკითხოს მასზე ამოკვეთილი ბიბლიური მანუსკრიპტი.

აბერნატი კითხულობს პირველ მანუსკრიპტს, ხოლო შემდეგ ცოტა ხნით ჩაფიქრდება.

- აი, ხომ ხედავ, ჯორჯ! - სიხარულით ამბობს მოხელე. შენ ჯერ არა ხარ ისე განათლებული, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, შემოიარე გაისად...“

ამ თარგმანში ფელეტონს, სამწუხაროდ, ფინალი აკლია, უთუოდ იმის გამო, რომ ინგლისური ორთოგრაფიის თავისებურება გამოყენებული, რისი გადმოტანაც ქართულად ვერ მოხერხებულა: ზანგის გასტუმრების შემდეგ შემოდის რეგისტრაციაში გატარების მსურველი თეთრკანიანი. მოხელე მას განათლების დონის შესამოწმებლად ასეთ დავალებას აძლევს: დამინერე კატა ინგლისურადო. თეთრკანიანი Cat-ის ნაცვლად წერს kat-ს, რაც უხეში შეცდომაა, მაგრამ მოხელე მაინც კმაყოფილია - ყველა მიხვდება, რისი დანერაც გინდოდაო.

ტიპური სურათია მაშინდელი ამერიკული ცხოვრებისა. 60-იან წლებში ჯერ კიდევ ძლიერია რასობრივი დისკრიმინაცია. მწერლები ებრძოდნენ ამ მახინჯ გამოვლინებას და დღეს იგი არათუ ცუდ ტონად ითვლება, კანონითაც აკრძალულია და უკვე თითქმის დაძლეულია.

ამ ფელეტონში დგას არჩევნების პრობლემა. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცენზია საჭირო. ითვლება, რომ გაუნათლებელი კაცი ვერ გააკეთებს სწორ არჩევანს. ვისაც უნდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რეგისტრაცია უნდა გაიაროს და პატარა გამოცდაც ჩააბაროს, ბოლოსდაბოლოს წერა-კითხვა იცოდეს, და იმ პერიოდში ეს კანონი თურმე ზანგებისთვის ყოფილა შემოღებული. ამაზეა აგებული ეს ფელეტონი.

არასასურველი ტენდენციის გაზვიადებისა და აბსურდამდე მიყვანის ხერხი თამამად შეიძლება გამოიყენოს ყველა ჟურნალისტმა ნებისმიერი რაოდენობის ფელეტონში, იმის შიშის გარეშე, რომ ეს ან პლაგიატობად ჩაეთვლება ან მისი ნაწერები ამის შედეგად ერთფეროვანი გახდება.

ამის მკაფიო ნიმუშია მიხეილ ქურდიანის ფელეტონი „მისაღებ გამოცდაზე“ („ბურჯი ეროვნებისა“, 1996, №10), რომელიც ზუსტად იმ პრინციპით არის შესრულებული, რომ-

ლითაც არტ ბუხვალდის ზემოთ დამონებული „ალაბამა. ცოდნის შემონება“, ოღონდ თუ ამერიკელი ჟურნალისტის ფელეტონი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ არის მიმართული, მიხეილ ქურდიანისა ჩვენში გავრცელებულ მანკიერებას - გამოცდების „ჩანყოფით“ ჩაბარებას ებრძვის.

„ხიბლი“ კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ფესვზე თურმე შესაძლოა ესოდენ მრავალფეროვანი „ყვავილნარი“ ამოიზარდოს.

„მისაღებ გამოცდებზე ისტორიის კომისიის თავმჯდომარესთან ორი აბიტურიენტი მივიდა ხუთიანისთვის. ერთი პროტექტორიანი, მეორე - უპროტექტორო.

კომისიის თავმჯდომარემ ჯერ პროტექტორიანის გამოცდა დაინყო:

- დაა! მამ ხუთიანზე გამოგიშვეს, არა? ესე იგი, მოაწონე გამოცდებზე თავი. კარგი, ძალიან კარგი. აბა, ახლა, მე თქვენ რთულ შეკითხვას მოგცემთ და თქვენ კარგად დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ - 1941 წლის 22 ივნისს რომ დაინყო დიდი სამამულო ომი, როდის დაინყო?

- დიდი სამამულო ომი დაინყო 1941 წლის 22 ივნისს.

- ყოჩაღ, სწორია. ახლა, კიდევ უფრო რთულ კითხვას მოგცემთ და თქვენ კარგად დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ - 1945 წლის 9 მაისს რომ დამთავრდა დიდი სამამულო ომი, როდის დამთავრდა?

- დიდი სამამულო ომი დამთავრდა 1945 წლის 9 მაისს.

- ყოჩაღ, სწორია. გილოცავ დამსახურებულ ხუთიანს და იმედი მაქვს არც უნივერსიტეტში სწავლისას შეირცხვენ თავს.

შემდეგ უპროტექტორო აბიტურიენტის გამოცდის დრო დადგა.

- დაა! მამ, ხუთიანის პრეტენზია გაქვთ და გამოცდებზე აიძულეთ ჩემთან გამოუვიტო არა? კარგი, ვნახოთ ერთი, რა ბაგაჟის პატრონიც ბრძანდებით. აბა, მითხარით, როდის და სად ჩამოაგდეს ამერიკელებმა ატომური ბომბი?

- 1945 წელს, იაპონიაში.

- უფრო ზუსტად!

- 1945 წლის 6 აგვისტოს - ხიროსიმაში და 9 აგვისტოს - ნაგასაკეში.

- კარგი, აბა, მითხარით, ვინ გააკეთა ატომური ბომბი?

- ატომური ბომბი გააკეთა ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა რობერტ ოპენჰაიმერის მეთაურობით.

- კარგი, აბა, მითხარით, ვინ დაინყო ატომურ ბომბზე მუშაობა?

- იტალიელმა მეცნიერმა ენრიკო ფერმიმ.

- კარგი, აბა, მითხარით, ვინ იყო ამ დროს ამერიკის პრეზიდენტი?

- ამერიკის პრეზიდენტი ამ დროს იყო ჰარი ტრუმენი.

- კარგი, აბა მითხარით, რითი მიიტანეს ატომური ბომბი ჩამოგდების ადგილამდე?

- ეს იყო ბ-29 ტიპის მძიმე ბომბდამშენი.

- ვინ იყო თვითმფრინავის პილოტი?

- კაპიტანი კლოდ იზერლი.

- ვინ იყო ეკიპაჟის მეთაური?

- პოლკოვნიკი ტიბეტისი.

– რა ერქვა თვითმფრინავს, რომლითაც მიჰქონდათ ატომური ბომბი?

– კლოდ იზერლის დედის სახელი – ენოლა გეი.

– აბა, რა ეხატა ატომურ ბომბს?

– ამერიკელი კინოვარსკვლავის რიტა ჰეივორტის პორტრეტი.

– რას ეძახდნენ ამერიკელები მოფერებით ატომურ ბომბს?

– „ბეიბის“ – ანუ ბიჭუნას.

– რამდენი კაცი იმსხვერპლა ატომური ბომბის აფეთქებამ იაპონიაში?

– დაახლოებით ორასი ათასი.

– აი, თქვენ ქალაქი და ჩამონერეთ გვარები!..“

სტუდენტები ხშირად მეკითხებიან: არ იყო ასეთი სიმაღლის წერა, ასეთი მწვავე კრიტიკა სახიფათო ჟურნალისტებისათვისო! ნამდვილად არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, არ არის ცნობილი ამის გამო იმ დროს ამერიკელ ჟურნალისტთა დევისის ფაქტები. მაგრამ მათთვის, ვინც მართვის მექანიზმში იყო ჩართული, ასეთი რამ არ იქნებოდა უხიფათო. ამის დასტურად კიდევ ერთი ძალიან კარგი ფელეტონი გავიხსენოთ – „მიპატიჟება კოკტეილზე“ – და ვნახოთ, როგორ ხდება ურჩი გენერლის დასჯა.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე შესანიშნავი ის გახლავთ, რომ თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით გამოვიდეს კონგრესის კომისიის სხდომაზე, ილაპარაკოს რაც უნდა, ამისათვის არავინ დასჯის. ახლახან ჩვენ მოწმენი გავხდით, თუ რა ენთუზიზმით გამოდიოდნენ კაპიტოლიუმის ბორცვზე თავშეყრილი გენერლები და ადმირალები, რათა ყირამალა დაეყენებინათ თავდაცვის სამინისტროს გეგმები თვითმფრინავების მშენებლობის, ატომური ბომბების გამოცდისა და სხვა პრობლემების შესახებ. არც ერთ მათგანს შენიშვნაც კი არ მიუღია ხელმძღვანელებისაგან, თუმცა მათი პოზიცია არ შეესაბამებოდა ოფიციალურ კურსს.

მიუხედავად ამისა, უნებურად წარმოიდგენ, რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ გენერლის ან ადმირალის გამოსვლას სენატში, რომელშიც იგი განაცხადებს, არ ვეთანხმები ხელმძღვანელთა აზროს.

ყველაფერი, ალბათ, ასე დაიწყება:

– აა! გენერალო, მიიღეთ ჩვენი მოლოცვა ასეთი შესანიშნავი გამოსვლისათვის. შეიძლება არ გეთანხმებოდეთ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის დავიცავთ სიტყვის თავისუფლებას.

– კი მაგრამ, ჩემი მაგიდა რატომ არის დერეფანში გამოტანილი?

– გადავწყვიტეთ კაბინეტის გადახალისება, არა უშავს რა, ცოტა ხანს დერეფანში იმუშავეთ.

– რატომ ადრე არ შემითანხმეთ?

– გულახდილად რომ გითხრათ, თქვენს კაბინეტში, ალბათ, სხვა იმუშავენ, თქვენთვის კი შესანიშნავი სიურპრიზი გაქვს...

– რა სიურპრიზი?

– ჯერ პრეზიდენტთან არ შეგვითანხმებია, მაგრამ გადავწყვიტეთ ჩრდილო გრენლანდიაში გაგზავნოთ. ჩვენ ძალიან უკმაყოფილო ვართ იქაური ამინდის ბიუ-

როს ცნობებით, ამიტომ გვჭირდება გამოცდილი კაცი, რომელსაც ეცოდინება რა აზრისაა პენტაგონი ამინდის შესახებ.

– კი მაგრამ, განა ასეთი სამუშაო შეეფერება გენერალს?

– იქ უნდა გავაგზავნოთ პასუხისმგებელი პირი, რომელიც ზუსტ ინფორმაციას მოგვანდის.

– რამდენი კაცი მეყოლება?

– ამაჟამად იქ ორი სამხედრო და ხუთი სამოქალაქო პირია, მაგრამ თუ თქვენ წახვალთ, ორჯერ გავზრდით შტატს.

– უარი რომ განვაცხადო?

– მაშინ სხვაგან გაგზავნით, აუცილებლად უნდა მოვანერვიოთ დასაფრენი მოედნები მიდუეიში. გავითვალისწინეთ რა თქვენი გამოცდილება ავიაციაში, მიგვაჩნია, რომ თქვენ იქ შეძლებთ ნებსრიგის დამყარებას.

– ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ გინდათ თავიდან მომიშორეთ დღეს დილით კომისიის სხდომაზე გამოსვლისათვის.

– გეგმინოდა, რომ ასეთ დასკვნებს გააკეთებდით, როდესაც ახალ თანამდებობას შეგთავაზებდით. თქვენს გამოსვლას არაფერი აქვს საერთო თქვენს სურვილთან, განვამტკიცოთ შეიარაღებული ძალები გრენლანდიაში და მიდუეიში.

– არც გრენლანდიაში წავალ და არც მიდუეიში.

– მაშინ რას იტყვით მსროლელთა ნანილის მეთაურობაზე ალექსის კუნძულებზე?

– იქ წასვლას პენსიაზე გავიდე მირჩევნია.

– ამაზე უარს ვერ გეტყვით, მაგრამ თქვენი წასვლით ძალიან დაგწყდება გული.

უფროსმა გენერალს მკერდზე ორდენი მიაბნია.

– მინისტრს უნდოდა პირადად გადმოეცა თქვენთვის ეს ჯილდო, მაგრამ ამაჟამად კონგრესზე თქვენი სიტყვის საპასუხო გამოსვლა აქვს. მან დამავალა გადმოგცეთ, ძალიან სწყინს, პენსიაში რომ გადიხართ, ამასთან ალტაცებულია თქვენი გულახდილობით, რაც ამ დილით გამოიჩინეთ. გარდა ამისა, მინისტრმა დამავალა გადმოგცეთ, რომ პენსიაზე გასვლის წინ აუცილებლად ენვიით მეუღლითურთ კოკტეილზე.“

აი, ესეც ძალზე საინტერესოა: „სტუდენტი-წვევამდე“ – ვიეტნამის ომის დროს შექმნილი.

შეიძლება ეს სწორი არ არის, მაგრამ ბევრი სტუდენტი ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, განაგრძოს სწავლა, რათა თავი აარიდოს ჯარში განწვევას. ამას არავინ ამხელს, მაგრამ სინამდვილეში თანახმაა დაიწყოს ახალი სპეციალობის შესწავლა, ოღონდაც არმიაში განწვევას გადაურჩეს.

ყველაფერი ეს დავაზუსტე ქვეყნის უდიდეს უნივერსიტეტში, როდესაც იქვე, კაფეში ვესაუბრებოდი ერთ სტუდენტს.

– მიმაჩნია, რომ აუცილებელია ამერიკელმა სტუდენტმა კარგი განათლება მიიღოს. მზადა ვარ ჯარში ვიმსახურო, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო გამოვადგები ჩემს ქვეყანას, თუ რაც შეიძლება ფართო განათლებას მივიღებ. – მითხრა მან.

რეპორტაჟი

- რამდენი წლისა ბრძანდებით? - ვკითხე მე.
- ორმოცდათერთმეტისა.
- კი მაგრამ, როდის შეხვედით კოლეჯში?
- 1942 წელს, როგორც კი იაპონელები თავს დაესხნენ პირლ-ჰარბორს. ვგრძნობდი, რომ იაპონელებთან ომი გაგრძელდებოდა და ძალიან დაგვჭირდებოდა განათლებული ადამიანები. სწორედ ამიტომ დავიწყე მედიცინის შესწავლა. ოთხი წლის შემდეგ გადავწყვიტე სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე გადასვლა. ვიფიქრე, ამერიკას ყველაზე მეტად ამჟამად განათლებული ფერმერები სჭირდება-მეთქი. ამ ფაკულტეტზე 3 წელიწადს ვისწავლე, შემდეგ კი იურიდიულზე გადავედი, ვილატამ მითხრა, ჯარში იურისტები აკლიათო. გამოიჩინა, რომ მომაცყუეს და ამიტომ ქიმიას მოვკიდე ხელი.
- და თქვენ ყოველთვის განთავისუფლებდნენ განვევისაგან?
- დიას, ყოველთვის მზად ვიყავი ჯარში წასასვლელად, მაგრამ კომისია ძალიან კეთილი განწყობილებით მომიდგა, განსაკუთრებით, როდესაც ვუთხარი, მასწავლებლობა მინდა-მეთქი. როდესაც ომი დაიწყო კორეაში, მართალი გითხრათ, ჩემი მდგომარეობა გართულდა. ვთხოვე ჩემს მეცნიერ ხელმძღვანელს რჩევა და მან ვეტერინარიის ფაკულტეტზე გამგზავნა. კორეაში ომის დროს ახალ სპეციალობას ვეუფლებოდი, მაგრამ როდესაც გავიგე, რომ ვეტერინარები აღარ სჭირდებოდათ, არქიტექტურას მოვკიდე ხელი.
- მართლაც, ფართო განათლება მიგილიათ, - შეენიშნე მე.
- უნივერსიტეტმა ძალზე ბევრი მომცა. მართალია, მამაჩემი ბუზღუნებს სწავლის ქირის გამო. ჩემი სწავლა

უკანასკნელ 26 წელიწადში მას 67 405 დოლარი დაუფდა სანევრო ანარიცხებისა და ქალიშვილებთან გართობის გარდა, მაგრამ დედაჩემი ამბობს, მიჩვენია სტუდენტი იყო, ვიდრე ჯარისკაციო.

- მართალიც არის, - ვუთხარი მე. - ამჟამად რას სწავლობთ?
- იცით რა, ყველა ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ახლა ისევ თავიდან შევედი სამედიცინოზე.
- დიპლომი თუ გაქვთ?
- როგორ გეკადრებთ? ხშირად მიფიქრია ამაზე, მაგრამ როდესაც დიპლომი გაქვს, სწავლა უინტერესო ხდება, გარდა ამისა, შეიძლება კომისიამ უარი გითხრას სწავლის გაგრძელებაზე.
- არ გქონიათ სურვილი, მუშაობა დაგეწყოთ?
- ზოგჯერ მაქვს ასეთი სურვილი, მაგრამ მერიდება სწავლის მიტოვება. რას იტყვის ხალხი?!
- სწორია, კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ისწავლოთ?
- არ ვიცი, რა გიპასუხობთ. ამ რამდენიმე წლის წინათ ვაპირებდი სწავლის შეწყვეტას, მაგრამ ვიტენამში ომი დაიწყო და დედაჩემმა მიჩნია ვისწავლო, სანამ უმაღლეს განათლებას არ მივიღებ.“

არტ ბუხვალდი დღესაც ცოცხალია და განაგრძობს ჟურნალისტურ მოღვაწეობას, თუმცა ადრინდელი პოპულარობით ვეღარ სარგებლობს. მისი ადრინდელი ფელეტონები დღესაც აცინებს და ახარხარებს მკითხველს. კარგი იქნება, თუ ოცდაათი წლის წინანდელი ქართული გამოცემა ხელახლა განმეორდება გაცილებით შევსებული სახით. ვფიქრობ, ეს ამერიკული გამოცემა ძალიან სასარგებლო იქნება ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

კოჩინის მარილიანები

ნინო დოლიძე

თბილისური მაკამა

აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის თავკაცის გიორგი წერეთლის საპროგრამო ხასიათის ნაშრომში „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“ (ოსუ სამეცნიერო სესიები, მოხსენებათა კრებული. 1947, №1). შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული, თუ რა კუთხით უნდა მოხდეს სემიტური ენების შესწავლა ქართველი მეცნიერების მიერ, რომელთაც ამ საქმეში სპეციფიკური, ადგილობრივი ინტერესები მოეპოვებათ. სტატიაში გიორგი წერეთელი მეტად პოპულარულ არაბულ ძეგლს - ბასრელი ალ-ჰარირის „მაკამებს“ მოიხსენიებს. აბუ მუჰამედ ალ-კასიმ იბნ ალი იბნ მუჰამედ იბნ ოსმან იბნ ალ-ჰარირი ალ-ბასრიმ (1034-1122) XII საუკუნის დასაწყისში შექმნა 50 მაკამა, რამაც სიცოცხლეშივე გაუთქვა

სახელი. იმავე საუკუნის შუა ხანებისთვის ნაწარმოები უკვე ანდალუსიელთა ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში იყო შეტანილი.

მაკამა არაბული სიტყვაკაზმული მწერლობის ჟანრია - მოკლე მოთხრობა, რომელიც გართმული პროზითაა დაწერილი და ჩართული აქვს პოეზიის ნიმუშები. მაკამებს ერთ მთლიან ციკლში ორი მთავარი პერსონაჟი აერთიანებს, რომელთაგან ერთის ამბავს მეორე - მთხრობელი მოგვითხრობს. არაბული პროზის ეს თავისებური, სპეციფიკური ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეთა მუსლიმურ აღმოსავლეთში.

თითოეულ მაკამაში მოქმედების ადგილი სხვადასხვაა, რაც მის სათაურშივეა მითითებული. მაგ.: ბარკა'იდული, ჰულვანური...

ჟანრის საუკეთესო წარმომადგენლის - ალ-ჰარირის ერთ-ერთ, რიგით 33-ე მაკამას „თბილისური მაკამა“ ჰქვია. გიორგი წერეთელი აღნიშნავს: „... ჰარირის იბნ ჰამამის (მთხრობელი) სახელით აღწერილია აბუ ზეიდ ას-სარუჯის თავგადასავალი და მისი ხეტილი იმდროინდელი აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებში, როგორც არის შირაზი, თავრიზი, სამარყანდი, მარავი და სხვ. არ არის დავიწყებული არც თბილისი...“

„თბილისური მაკამა“ ასე იწყება: „გვიამბო ალ-ჰარირის იბნ ჰამამმა:

ალაჰს შეეფიცე, თხოვნი ღმერთი წლის რომ გავხდებოდი, შეძლებისამებრ ლოცვას აღარ დავაყოვნებდი. უქმად ვიდოდი ერთი ხმელა პურის ამარა, მაგრამ ლოცვის დრო არაფრით არ გამომრჩებოდა, შემთხვევით ცოდვებს ვერიდებოდი. დიდ გზას ვადექი თუ ცოტა ხნით დავსახლდებოდი, მუეზინის ხმას სიხარულით ვეგებებოდი, ერთგულ მლოცველებს ვედევნებოდი.

ისე მოხდა, რომ როცა ქალაქ თბილისს ჩავედი, ღარიბ-ღატაკთა მცირე ჯგუფთან მომიხდა ლოცვა. ჩვენ ყველაფერი მოვათავეთ და ვიშლებოდით, მაგრამ უცერად დამბლადაცემულ შეიხს წავეწყადით, ყბა მოქცეოდა, ტუჩის კუთხე ეგრებოდა, ძლივს მოდიოდა, ტანსაცმელი ჩამოხეოდა...”

შუა საუკუნეთა ლიტურგურულმა კანონმა განაპირობა მაკამებში სტანდარტული დასაწყისი და დაბოლოება, მოქმედების ერთგვაროვანი განვითარება, სიტუაციითაა პირობითობა. მაშინდელ მკითხველს არ იტაცებდა ავტორის ორიგინალური გადახვევები.

როგორც ყველა, ისე „თბილისურ მაკამაშიც“ მთავარი პერსონაჟის გამოჩენას მოსდევს მისი მონოლოგი:

„თქვა: ვფიცავ, ვინც თვითონვეა თავის უფალი, ვინც მოთმინებით აღვსილა და თავს იძიმებს ვალდებულებით, ერთ სიტყვას მაინც მოისმენს ჩემგან. მერე აირჩევს – ხელგაშლილობით იჩინოს თავი თუ გამეცალლოს მყისვე მღუშარი.“

შეიხი დასვეს. იყო ჩუმი, გაუხდრეველი. როცა დარწმუნდა, ყველას სურდა მისი მოსმენა, გარშემო მყოფთაც იდუმალი იგრძნო მან მზერა, დაიწყა:

ო, შორსმჭვრეტელნო, გონიერნო და გამჭრიახნო, ასჯერ გაგონილს განა ერთხელ ნანახი არ სჯობს?! უკვამლოდ ცეცხლი განა არსებობს?! ჭალარა თვალსაჩინოა, უძლურება აშკარა, სწულდება მძიმეა, სიღარიბე ძნელია. არადა, ვიყავ ის, ვინც მართავდა, ჰქონდა სიმდიდრე აღურაცხელი, ეხმარებოდა, ხელს უწვდიდა, თავსაც ესხმოდა; ვის ძლიერებას გავარდნოდა ქვეყნად სახელი. ბედის ბორბალი უკან-უკან დამიტრიალდა, ჩემი სახლ-კარი სულ მთლიანად დაცარიელდა, მთელი ქონება ერთიანად გამინიავდა. აღარა დამრჩა, ერთი ღირჰემიც. ტანთსამოსელი შემომეხია, წუთისოფელი მე გამინარდა. ჩემი შვილები შიშვლისგან მწარედ მოთქვამენ: ლუკმა გვინდაო მხოლოდ ერთი – ძლივს წარმოთქვამენ. ამ სამარცხვინო ადგილას მე არ დავდგებოდი და თქვენგან მცირე შემწეობას არ მოვითხოვდი, მაგრამ ვიტანჯე ძალზე ბევრი, დამბლა დამეცა, გავჭალარავდი, იმდენი რამ გადავიტანე, და სიკვდილს, მხოლოდ სიკვდილს ვნატრობ. კაცი ატირდა. შემდეგ სუსტი ხმით დაუმატა მიკნავებულმა:

ვუჩივი ალაჰს, მის წყალობას, მტრულ ბედისწერის უკულმართობას, უბედურებამ სულ დამინგრია ჩემი დიდების მყიფე შენობა, მისი ტოტები მიმამტვრია და უსინდისოდ ზურგი მაქცია, უნაყოფობით, უმოსავლობით ჩემს სახლში თავიცი აღარ ჭაჭანებს, უმისამართოდ მიტოვებული ვითვლი ღუხჭირი ცხოვრების წამებს და ეს მას შემდეგ, რაც ვიყავი ძალზე მდიდარი.

მადლობელია მათხოვარი სულ მცირედისაც როგორც უმაღლის მიმქრალ შუქსაც ღამის მსტოვარი.

განგება იმათ ეხმარება, ვისზედაც თვალი მიუწვდება სტუმრებს ზურგს აქცევს და ვერ იტანს ძღვენის მთხოვნელებს, განა ამ ჭაბუკს დაამწუხრებს ბედისწერისგან მოტყუებული ვილაც კაცის მწარე გოდება, რომ დაამშვიდოს, მოუშუშოს სულის ჭრილობა?!”

ხალხი იხილვება მისით, შეებრალეობათ და დახმარებასაც გაუწევს: „აიღე ჩვენგან ეს მცირედი შესანიშნავი და ნუ დაგვძრახავ, მადლობასაც კი ნულარ გვეტყვი. და ეს მცირედი სულ არ იყო ძალიან ცოტა. შეიხმა მაინც გადაიხდა დიდი მადლობა და გაათრია საწყალობლად დეფექტიანი, თავისი უშნოდ მოგრეხილი ერთ-ერთი მხარი“.

თითოეულ მაკამაში მთავარი პერსონაჟი, რომელიც ცდილობს, სხვა ადამიანების მოტყუებითა და გაცურებით ირჩინოს თავი, მთხრობელის საყვედურს იმსახურებს. ამასთან, მთხრობელი გამოჩენისთანავე ვერასოდეს ცნობს გმირს, რომელსაც არაერთგზის შეხვედრია:

„ამის მთხრობელმა აქ განაგრძო კიდევ ამბავი: მე მომეჩვენა, რომ სხვაგვარად ეჭირა თავი. მის უჩვეულო სიარულსაც სახე ეცვალა. მე თან გავყვი, მან შემნიშნა, ცერად მომხედა – ფიქრობდა ალბათ, ვინ ოხერი გადაეყარა. ცოტა შეეყოვნდა, ვიდრე გზა არ დაცარიელდა და შემეგება მომღიმარი, გახარებული. მას შემდეგ, რაც მან ლოცვად მდგომნი ტყუილით გაბერა, ხელი მომხვია, მეგობრობას სული შთაბერა. მკითხა, თუ გყავსო შენ ერთგული ვინმე მეგზური, შენთვის გარჯილი, დახარჯული, დაუზარელი. ვუთხარი: არა, ნეტავ მყავდეს... თუ შენ მიმიღებ... მითხრა: იპოვე, გაიხარე, რასაც ეძებდი. შემდეგ კი ბევრი იხარხარა და დამანახა, რომ კაცი იყო ჩვეულებრივი და აბუ ზეიდ სარუჯელიც მაშინ ვიცანი, ავადმყოფობის ნიშან-წყალი სულ რომ გაცლოდა. მინდოდა მეთქვა საყვედური, მე რომ დამცლოდა, მაგრამ დამასწრო...“

მთავარი გმირი შეძლებისდაგვარად გაიმართლებს თავს. შემდეგ კი ამბობს:

„მე ამ მინაზე აღარ დამრჩა მსუყე ადგილი. თუ შენ იქნები მეგობარი ჩემი ნამდვილი, გავუყვით ამ გზას ერთად ნელ-ნელა. ასე ვიარე მასთან ერთად მე ორი წელი, ვიდრე დრომ ისევ არ გავეყარა, დაგვაცალკევა“.

მაკამა ყოველთვის ორი მთავარი გმირის დაშორებით მთავრდება. ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე სიუჟეტის შექმნის ხერხი ძირითადად პერსონაჟის თხრობაა. თითქმის არ გვხვდება სიუჟეტური წარმოსახვის გავრცობა, სტატიკური სიტუაციები, პორტრეტები, პეიზაჟები. ას-სარუჯი უამრავ ქალაქს მოივლის, მაგრამ არც ერთს აღწერს. ამ მხრივ, არც თბილისია გამოწაკლისი. „თბილისურ მაკამაში“ ქალაქის სახელწოდებაც კი მხოლოდ ერთხელაა მოხსენიებული.

გიორგი წერეთელი, იმონებებს რა ბორისოვის ნაშრომს „ალ-ჰარირის მაკამათა ნიგნის მინიატურები“ საგანგებოდ შენიშნავს: „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის მცოდნეობის მუზეუმში მოიპოვება ჰარირის მაკამების XIII საუკუნის ხელნაწერი, რომელშიც „თბილისის მიზგიტის“ სურათიც არის მოთავსებული“.

მაია ჯალიაშვილი

როცა დასასრული დასაწყისია

*

ფიქრები
ნესტან კვინიკაძის
„ისპაჰანის ბულბულაზე“

ღირს კი, რომ დაარღვიო დუმილი და სიტყვებად აქციო განცდილი და გადატანილი? „კალმით ატეხო ქაოსი“, როგორც ნესტან კვინიკაძე წერს რომანში „ისპაჰანის ბულბულაზე“ და ისედაც არეულ სამყაროს შენი ნათქვამ-ნაწერიც შეუყო, რეალურ, ხორციელ ადამიანებს ქაღალდის ვირტუალური მოძმენი შემატო და ფიქრი დაამძიმო.

ბიბლიურ სოლომონს თუ დავუჯერებთ, წმინდა ვერცხლს, ანუ ბრძნად მეტყველებას, დუმილი-რჩეული ოქროუნდა ვარჩიოთ, მაგრამ ამ სიბრძნის ცხოვრებაში გატარება მხოლოდ ერთი-ერთი შედეგს. ცხოვრების უდაბნოში კი ძნელია ამგვარი აღთქმის დადება. თანაც, „გამოთქმა“ ხომ ღვთაებრივი უნარია, რომელიც ადამიანს უზენაესიგან ებოძა ძვირფასი საჩუქარით. თვითონ უპირველესი „სიტყვა“ ხომ გამოითქვა და შეიცვალა სამყარო. ვინ იცის, „კალმით ატეხილი“ რამდენი ქაოსი უნახავს კაცობრიობას. სამყარო კი ისევ მსხნელი „სიტყვის“ მოლოდინშია.

ნესტან კვინიკაძისთვისაც ხსნის გზად გამოთქმული სიტყვა ქცეულა, თუმცა თანმდევი ეჭვი თვისი ნათქვამის ღირებულებისა, როგორც თავმდაბლა და ნიჭიერ მწერალს, არ ასვენებს და რომანში ამას ამგვარად გამოხატავს: „არაფერი გვსმენია იმ მოთმინების უნარზე, რითაც ღმერთმა დააჯილდოვა ჩვენი ავტორები. და ალბათ ამიტომაც გაჟღერებული ერთია განწყობა, თითქოს ღვთის სიტყვას იუნჯებოდნენ – „ეს ჩემგან იყო“. მთელი სხეული კი მანაც ემოციით ლავირებს. ხან ძველირლანდიურ საგას გადასწვდება, ხანაც უცხოურ ლეგენდას აიკვიატებს“.

თვითონ ამის („ჩემგან იყო“) გულუბრყვილო პრეტენზია არ გააჩნია, ამიტომაც არის მისი რომანი გულწრფელი და მიმზიდველი. მისი აზრით ხომ ნებისმიერი დაკვირვება შეიძლება „განივრცოს უფრო დიდი ტკივილისაკენ“, მაგრამ „რა-ტომღაც ჩვენი მწერლები აქ ჩერდებოდნენ და შემდეგ ამ თემის უნარს ლოცავდნენ“. მწერალს უჩნდება ეჭვი, მოახერხებს კი თვითონ სათანადო ადგილას განივრცობას, რათა ტკივილი მკითხველის ნარმოსახვაში განივრცოს? ჩვენი აზრით, ამას ნამდვილად ახერხებს. ნესტან კვინიკაძემ იცის სიტყვის ფასი, იცის, რომ „სიტყვას თავისი ზუსტი დრო აქვს. ადრე თქმული სასწაულმოქმედ ძალას კარგავს. დაგვიანებული სიტყვა კი დაგვიანებული ნერლივით უსუსურია“.

დუმილის დარღვევისთვის კი ორი რამ არის აუცილებელი: სათქმელის ქონა და გამოთქმის ხელოვნება. ნესტან კვინიკაძეს მწერლისთვის აუცილებელი ორივე ღირსება აქვს.

„შემოქმედი მკაცრ არსს ერკინება, უხილავს, აღმატებული მასზე და ყველაზე დიდი გამარჯვებული დამარცხებული გამოდის, რადგანაც ჩვენი ყველაზე დიდი საიდუმლო, ერთადერთი რამ, რომელიც ღირსია ითქვას, უთქმელი რჩება. არასოდეს არ ემორჩილება იგი ხელოვნების მატერიალურ გარემომწერილობას“ – ნიკოს კაზანდაკისის ეს სიტყვები რომანიდან „ალსარება გრეკოსთან“ დასტურია იმ სიძნელისა, რომელსაც მწერლები სიტყვასთან ჭიდილისას აწყდებიან, თუმცა ეს სიძნელე საიდუმლოს გამოთქმისა კი არ აღუშვებს, არამედ უზიგებს მწერალს მისი მოხელეების გზების საძიებლად. ამიტომაც ნამაქეზებლად უღერს ფოლკნერის სიტყვები: „ხელოვნად მიმარჩნია ყველა, ვინც შეეცადა შეექმნა ის, რაც მანამდე არ არსებობდა... ვინც შეეცადა, საბოლოო და ვინწყების კედელზე, რასაც უნდა ჩაუაროს, თუნდაც დაუხვეწავად ამოეტვიფრა: „აქ კილრი იყო“ მარცხიც კი რამედ ღირს და მშვენიერია, თუკი ბრწყინვალე მარცხია, თუკი ბრწყინვალე ოცნებაა, მიუღწეველი და უძვირფასესი, რადგან ეს არის ოცნება სრულყოფილებაზე.... თუკი არსებობს ღმერთი და ჩვენში სურს დაინახოს ის, რაც ჩვენს არსებობას ამტკიცებს, წიგნებსა და ნახატებს ვუწვევებთ“.

ნესტან კვინიკაძემ თავისი რომანით ჩვენს შთაბეჭდილებაში ამოტივრა, რომ „აქ ისპაჰანის ბულბულაზე გადიფრინეს“ და ამგვარად სევედიანი, ადამიანური რალაც მშვენიერისა და ამაღლებულის მოლოდინით დამუხტა.

ამ რომანში (გამომცემლობა „არეტე“, 2004) თანამედროვეობა დახატული, მისი რიტმი და პულსაციაა გადმოცემული. ავტორი რომანში მთხრობელის ნიღაბს გაჟღერებით იცვლის. ხან მესამე პირით, გარედან მაყურებლის პოზიციიდან აღწერს ამბებს, ხან რომელიმე პერსონაჟი გვიყვება საკუთარ თავსა თუ სხვებზე, ხან წერილია ჩართული, ასე რომ, ნაცადი ლიტერატურული ხერხებით მწერალი მკითხველს შთამბეჭდავად წარმოუჩენს იმ სამყაროს, რომელიც ამ რომანის პირობით დრო-სივრცულ ჩარჩოშია მოქცეული. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წიგნში შესულია გაგა ლომიდის შესანიშნავი ესეი ამ რომანზე „როცა გმირები შინ ბრუნდებიან...“

ნესტან კვინიკაძის ერთი შეხედვით სადა რომანში (სისადავეს ქმნის სიუჟეტის გამჭვირვალეობა და უბრალოება, ენის სიახლოვე სასაუბრო მეტყველებასთან, ნაკლები ხატოვანება, ავტორი იშვიათად მიმართავს ტროპულ მეტყველებას) ბევრი მინიშნება და ქვეტექსტია. ეს მინიშნებანი რომანის გმირებსა და მოთხრობილ ამბებს სიმბოლურ მრავალმნიშვნელოვნებას ანიჭებენ და კაცობრიობისა თუ ქართველი ერის კულტურული გამოცდილების კონტექსტში მოაქცევენ. ამას მწერალი ახერხებს ისე, რომ ფაბულას არც „ობობას ქსელივით ხლართავს“ და არც ფსევდოინტელექტუალური მსჯელობებით ტვირთავს.

რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ასტამური, 5 წლისა რომ იყო, სოფელში მიაბარეს ბებიას. ეს სოფელი კი ყველაზე უფროსი მკითხველისთვის გასაგებია ორმაგი კოდირების შიფრი. სოფელი „სავსე იყო მუცუნობელი მოვლენებით, სახლ-მუხუზუმებით“. ყველაფრის სხენებამ მკითხველის ცნობიერებაში გამოიწვია ფიქრების ახალი ნაკადის შემოტანა, გალაკტიონისა თუ ტიცვიან ტაბიძის პოეტური სახეები, არნახსენები, მაგრამ ნაგულისხმევი, ეპიზოდს მეტ სიღრმესა და ემოციას ანიჭებენ. „მუცუნობელი მოვლენა“ კი პოეზიაა, რომელიც ამ მითიურ-მისტიკურად ქცეულ სივრცეში შემოჭრილ თავისებურად დადავას. ამიტომაც უფრო ლამაზად და შთაბეჭდავად გამოიკვეთება ამ ფონზე ისეთი ამაღლებული და პოეტური სურათი, როგორიცაა პატარა ბიჭისა და

რუხი ბატების მეგობრობა. ბატების გაფრენით გამოწვეულმა დარდმა კი ასტამური ავად გახადა და ბატონები შეჰყარა. ბავშვობაში გაუცნობიერებელი ტკივილი სიჭაბუკეში ამგვარ კითხვად გამოიკვეთა: „სად ან რატომ მიფრინავენ ფრინველები?“

ამრიგად, მწერალმა ამ გზით ორმაგი მინიშნება მისცა მკითხველს ასტამურის ბუნებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ. ბიჭი ორნითოლოგი გახდა და ფრენის წყურვილი მოგზაურობებით დაიკმაყოფილა. ამ მოგზაურობებს ჰოლანდიაში და სხვაგან, რა თქმა უნდა, თან ახლავს რელიგიურ-ლიტერატურული პარადიგმები (უძღვები შვილი, ოდისეუსი, დონ კიხოტი...).

ასტამური უძღვები შვილია, როდესაც „ბაბუს სახლის საფასურად მიღებულ მწვანე კუპიურებს ხან პიცერიაში, ხან ჯაზკაფეში, ხანაც ცოფფეისპობ-ში“ ხარჯავს. ვან გოგის მუზეუმის ნახვით გამოწვეული „შეშლილობა“ აღარ აკმაყოფილებს და ნეპალური ჰამი-შით ბრუნდება. მართალია, ასტამურს არც ჰოლანდიაში მოუშლია „ზემოთ ყურება“, მაგრამ იქ არც კაკაჩეხია და არც წითელფეხება შევარდნები. ცივილიზაციამ ბუნებას მხოლოდ დეკორაციული ფუნქცია დაუტოვა. თუმცა „ხელოვნური სამოთხეების“ ნაცვლად ევროპის ჩახუთული სივრცის განზომილებაში შემოიჭრება მოგონება საქართველოს ბუნებრივი სამოთხეებისა. სწო და ხევის პატარძალი – მყინვარი, სტეფანწმინდა.

„არც ევროპა, არც აზია“, პირველყოფილი, შეურყეველი სივრცე, სადაც ლეგენდა სინამდვილედ იქცევა და დასაჯერებელი ხდება „თამარ მეფის გაცოცხლება“.

საზოგადოდ, ამ რომანში რალაცის დაკარგვის, მერე მისი გააზრების, შეფასების, აღიარებისა და შემდეგ მოპოვების (რეალურსა თუ მისტიკურ პლანში) მოტივები ერთმანეთს გადაკვეთენ. ასე წარმოჩნდება მთავარი პერსონაჟების მიერ საკუთარი თავის შეცნობის რთული და წინააღმდეგობრივი გზები.

სხვაგან ნახვლა, „დამალი“ გარემოსგან (90-იანი წლების საქართველო) თავდალწევის წყურვილი, თავისუფლების ძიება რომანის მთავარი მოტივებია. ჰამლეტის პარადიგმაზე მინიშნება მწერალს საშუალება აძლევს რამდენიმე სიტყვაში მოაქციოს და გადმოსცეს ასტამურის შინაგან სამყაროში ატეხილი ქაოსი და ამაზე აღარ დაიხარჯოს. კლასიკური ტექსტები მწერალს ხელს კი არ უშლიან, არამედ ეხმარებიან, ამიტომაც ხან შეფარულად, ხან ციტატებით, ხან მინიშნებით (გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი...) მწერალი ახერხებს საკუთარი სათქმელის ლაკონურად, ზუსტად და ნათლად გამოხატვას და მას აქვს, როგორც თვითონ იტყოდა „წერის ჩინებული მანერა“.

გმირები ევროპიდან შინ ბრუნდებიან. როგორც გალაკტიონი იტყოდა: „ნახე პარიზი და დაგმე“. რომანის გმირებიც ნახავენ და გემოს გაუსინჯავენ ევროპულ სიამეებს, რომელიც სულს მხოლოდ ამძიმებს და ასნეულებს. ამსტერდამში ჩასულ ასტამურსა და ნატამას პირველი, ვინც დაელაპარაკა, იყო „გაურკვეველი ეთნიკური წარმოშობის ახალგაზრდა“. ქართველები ცხოვრობენ ქალაქში, „რომელიც მათ წინაპრებს საერთოდ არ უნახავთ“. დღეს კი ნახვა, სანახაობა ადამიანს თავის უპირველეს საზრუნავად მიუჩნევია. მთელი ყურადღება გარეგან მზერაზეა გადატანილი. თუმცა ამგვარი



ხედვა მათ შინაგან მზერას უზნობობ. „ამსტერდამი... მომაჯადოებელი, მოვლენათა ცენტრი, სადაც ევროპის ყველა კუთხიდან მოდიან და ჩერდებიან“.

მწერლის დამოკიდებულება ევროპელთა მიმართ თანაგრძობით არის გამსჭვალული. ის მათ აღიქვამს, როგორც „მგლოვიარე გედებს“, რომელთაც ნამდვილი სიხარულისა აღარაფერი გაეგებათ, რადგან ყალბ სამყაროში ცხოვრობენ. ევროპული ცხოვრების ღიაობა (უფარდებო სახლები – ასტამური და ნატამა მეზობლის ტელევიზორს საკუთარი ფანჯრებიდან უყურებენ) სულაც არ გულისხმობს ადამიანურ ურთიერთობათა ღიაობასაც. პირიქით, ეს ადამიანები შინაგანად ჩაკეტილნი და მარტოსულები არიან.

მწერლის აზრით, ადამიანისთვის სხვა ადამიანი არასოდეს არ უნდა იქცეს წერტილად, თუ ეს გარდაუვალია, მაშინ ის უნდა იყოს მხოლოდ „ათვის წერტილი“, ე.ი. გაუცხოება და გაუფასურება ადამიანის ღირებულებისა მწერლისთვის მტკივნეულია. ამით ის მინიშნებს იმ მწერლებზე, რომლებიც ადამიანს, როგორც არარაობას, ისე წარმოაჩენენ. „მე-19 საუკუნემ თურმე მშვენივრად უწყოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი, მეოცე მ არ იცოდა. 21-ე საუკუნეში უნდა ყველაზე სასტიკი უნდა ყოფილიყო, რომელსაც არამტყუ გადაფასებული და განადგურებული ჰქონდა ფასეულობები, არამედ უფრო მეტიც, სანაცვლოდ კატეგორიულად ახალ კომპლექსებს და ახალ კომპლიმენტებს მოთხოვდა“.

რომანში რამდენიმე პერსონაჟის ცხოვრება ისე ენაცვლება ერთმანეთს, როგორც კინო კადრები. მწერლისთვის თვითონ ცხოვრება ასეთი მონტაჟური და რომანსაც ამ პრინციპზე აგებს. ასე რომ, რომანში „აქ“ და „იქ“, „მაშინ“ და „ახლა“ ერთმანეთს ენაცვლება, ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, რადგან ადამიანი ხომ ყველაფერი იმის ჯამია, რასაც ხედავს, იხსენებს და რის მოლოდინიც აქვს. თანაც, მოსწონს კადრებად აღქმული ცხოვრებისეული დეტალები და ეპიზოდები. რომანში ამ თვალსაზრისით რამდენიმე ფერწერულად შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი კადრია.

მაგალითად, ეს:

„დღეობული შადრევის ქვეშ ახალ, კომპლექსიან კაბებში სველდებოდნენ და პატარა ბავშვებით კიდნენ ნატამა და ტატა. ასტამურს ხელს უქნევდნენ, იხმობდნენ და ფეხებს ატყაპუნებდნენ წყალში. ოქროსფერ შადრევანში... ნელსაცხებელივით მიჰკრობოდათ კაბები, აშკარა იყო ძელებიც და მკერდები“.

მწერალი რომანში რამდენიმე დამოუკიდებელ სიუჟეტს ერთმანეთში ოსტატურად გადააწნავს და ამ გზავჯარედი-ნებზე იხატება გმირთა ბუნება, მათი ტკივილი და სიხარული. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში უკვე ბევრი ტატა, ნატა, ნიკა თუ ირაკლია დახატული, ნესტან კვინიკაძის გმირები მაინც გამორჩეულად გამახსოვრდება. განსაკუთრებით, ასტამური და ფარვიზი. რა თქმა უნდა, აქ თვითონ ამ იშვიათ სახელებსაც აქვს მნიშვნელობა. ამავე დროს, ეს ერთგვარი მხატვრულ-პოეტური კოდებია, მწერლისეული მსოფლმხედველობის ასახსნელად და გასაზრებლად.

ფარვიზი კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ ერთ-ერთი ნილაბია დიონისოსი, რომელიც ილუპება,

რადგან თანამედროვე ცივილიზაციიდან დიონისური, მისტერიული განდევნილია და მოკვეთილი. დიონისეს „მოსვლას“ გამსახურდია აზიიდან მოელოდა. ამ რომანშიც არის ამის გამოძახილი. „აზიიდან აშკარად იწყება რაღაც“. ჯერ ერთი, საგულისხმოა, რომ ტყუპი ძმებიდან სინამდვილეში ასტამური დაღუპულა ბავშვობაში, ფარვიზი კი გადარჩენილა, ოღონდ ეს არავინ იცის. ამას ტატა გაიგებს, გარდაცვალების შემდეგ. შეიძლება ეს იყოს მწერლის მინიშნება იმაზე, რომ სამყაროში გადარჩენილია დიონისური, საიდუმლო, რომელსაც დანახვა სჭირდება. ამისთვის საჭიროა თვითჩაღრმავება, საკუთარი თავის შეცნობა, გაუცხოების დაძლევა.

ასტამური უნდა მიხედვს, რომ ფარვიზია, მაგრამ როგორ? რომანში ამის პასუხი შინ დაბრუნება, გარეთ მაცქერალი თვალის სულის სიღრმეებისაკენ მიმართვაა. ეს რთული, მტკივნეული და ხანგრძლივი გზაა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაადგეს ადამიანი, თუ გადარჩენა უნდა.

როგორ ნარმოუდგება ავტორს სოდომ-გომორისეული ევროპის მომავალი? ყველა საუკუნის დასაწყისს თავისი ქვეცნობიერი ცენტრი გააჩნია, უწინ ასეთი ადგილი იყო პარიზი. სორბონაში ლექციების მოსმენა ერთგვარ არტთერაპიას უდრიდა. დღეს მცოცავი ცენტრი სულ სხვა მხარეს გამოჩნდა: ეს იყო New York-ი, სადაც ყველანაირი ალბათობა დაშვებულია....

რა იქნება მერე?

იღუმალი სტეპის, ან ნახევარი უდაბნოს შუაგულში ყვითელნარბიანი ქორი დაჯდება. და ასე იქნება იქამდე, სანამ ნამდვილი საიდუმლოს ღირსი არ გახდება საითათოდ ყველა“.

ასე ნარმოუდგება მწერალს ცივილიზებული, ჰაშიშით გაბრუნებული კაცობრიობის მომავალი გაუდაბურება. თუმცა ამგვარი პესიმიზმი ვერ გადასძალავს ხსნის იმ იმედს, რომელიც მტრისაგან აჩეხილი გლეხის საფლავეზე ამოსული ვაზივით ხარობს მაინც. აქაც და იქაც, სააქაომიც და სააქაომიც ერთნაირი გზებით ელიან ისპაჰანის ბულბულების გადაფრენას, ეს სიკვდილ-სიცოცხლის შერიგებაა, რადგან ისინი ხომ ისედაც განუყრელნი არიან ტყუპებით, როგორც რომანშია: ფარვიზი და ასტამური. და არც აქვს მნიშვნელობა, რომელი რომელია, რადგან ერთი მეორეს გულისხმობს და ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

რომანში სიყვარულიც არის, იმედგაცრუებაც, ურწმუნეობაც, მაგრამ სიძულვილი, ძალადობა და ბოროტება არ არის. ეს მეტად საგულისხმოა, მწერალი კი არ თრგუნავს, არამედ მშვენიერების დასანახავად აღვიძებს რეკლამებითა და გარეგანი სანახაობებით გადაღლილსა და გამოფიტულ მკითხველს. ერთ-ერთი მთავარი გმირის, ტატას, სიკვდილიც გულსამაჩუყებელი პათეტიკის გარეშეა დახატული, ისე, რომ მკითხველი სიკვდილს სიცოცხლის ღამაზე გაგრძელებად აღიქვამს. რომანში მოკვდავობის ტკივილი გადაღახულია უკვდავების რწმენის სიხარულით.

რომანშია თემურ ბაბლუანის ფილმი „ბელურების გადაფრენა“ გამახსენა. იქაც გმირი სამშობლოში ბრუნდება, ოღონდ ხელოვანის ნიღბით. იქაც სწრაფვაა – სხვად იქცეს, მაგრამ სამშობლო ნიღაბს ხდის.

მწერალი წუხს, რომ ჩვენს დროში ვერ აღწევს ვერც „ქრისტიანული სიბრძნე და ვერც კარეტების ჭრიალი“. ზედმინევნით პრავაგატული ინტერესები აუხეშებს ადამიანის სულს. თანამედროვე ცივილიზაცია დევნის ოცნებას, რაც მწერალს ადამიანისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ მიაჩნია, ალბათ, ამიტომაც ადარებს თავის გმირებს „მოხეტიალე

მტრედებს“, რომელთა უკანასკნელი ინდივიდი 1914 წელს გადაშენებულია: „მოხეტიალე მტრედების ასეთმა უეცარმა გაქრობამ დაუჯერებელი თეორიები წარმოშვა. ვარაუდობდნენ, რომ თითქოს შევიწროებული მტრედები ავსტრალიისკენ გაფრინდნენ და დიდ მანძილზე ფრენას მიუჩვენებენ, ატლანტიკის წყლებში დაიღუპნენ. ისიც იფიქრეს, ჩრდილო პოლუსისკენ გაფრინდნენ და გაიყინნენ“.

ადამიანის ხსნა არ არის არც სამხრეთში და არც ჩრდილოეთში, არამედ იმ ქვეყანაში, სადაც მისი ფეხვებია.

მწერალს სჯერა, რომ სამყაროს და ჩვეულებრივ ადამიანსაც პოეზია, მშვენიერება გადაარჩენს. ამაზე მეტყველებს რომანში ჩართული ლირიკული გადახვევა სიყვარულზე. „მერე მიიწურება ივინისი, ცოტა ხნით მიიმალება, მაგრამ ველარ გაძლებს მარტო, უჩემოდ, ასე რომ არ იყოს... ასე რომ არ იყოს!!!“

რომანს პოეტურობას ჰმატებს უცებ გამკრთალი ულამაზესი ფერწერული სურათები, მაგალითად, ალაზნის ველი ასეა დახატული: „კავკასიონი, ალაზნის ველი და წნორი, თივაში განაღობილი ქალიშვილივით“

რომანის გმირები რომანტიკოსები არიან, უყვართ ხელოვნება და ლიტერატურა, კითხულობენ „პატარა უფლისწულს“, ნიციშეს, შექსპირს, კორტასარს, ბეკეტს, დოსტოვესკის, კობო აბეს... ერთი სიტყვით, ნამდვილი თავისუფლების ფასი იციან. ესმით ზე-კაცობის არსი და ცდილობენ საკუთარი სულის სიღრმეებში ჩანვდომას. აღშფოთება იპყრობთ, როდესაც ეკლესიაში გამართულ დისკოთეკას ნახავენ. უტიკივოლო კომფორტს „არტისტული ნევროზით“ შეპყრობილ ჰოლანდიაში ისევე ტკივილი ურჩევნიათ, ამიტომაც თამაშობენ ოთახში უცნაურ თამაშს – თოკზე ჩამოკიდულ ქოთანს ატრიალებენ, თანაც ისე, რომ საფრთხეს იქმნიან, ე.ი. ტკივილს ეთანამშებენ, რადგან სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შენუხებუი“ (ვაჟა).

და ისევე მეორდება პარადიგმა: სხვაგან წასვლა გახდა საჭირო, რომ შეეგრძნოთ „მათი ერთი ბენო კულტურის“ ფასი და მნიშვნელობა.

„კავკასიელმა ალქიმიკოსებმა“ იცოდნენ სიცოცხლის საიდუმლო, ქვეშეცნულად ასტამურიც გრძნობს იმ შორეულ წინაპრებთან ნათესაობას, ამიტომაც დაეძებს კავშირს არამინიერთან. სიმბოლურად ამაზე მეტყველებს მისი გამოდმებული „ზეცაში ყურება“. მან სწორედ იმიტომაც არ შეირთო ტატა, რომ შეეშინდა „საიდუმლის ამონურვისა“.

ასტამურის სამშობლოში დაბრუნება განახლებას ედარება. ევროპაში მოგზაურობა იყო ერთგვარი გამოცდა, „ორმოში დაფლვა“, რათა იქიდან ამოსულს, მზერაგანწმენდილს უკეთ შეძლებოდა „ახალი ცხოვრების“ დაწყება. ეს არის სიმბოლური სიკვდილი და გამოღვიძება. რომანის ბოლოს შელოცვაც ამის დასტურია. იგი საბოლოოდ იწმინდება იმ სენისაგან, რასაც სხვაგან ხსნის ძიება ჰქვია. ამაზე მეტყველებს სიზმარი თუ ხილვა, სადაც ის თავის „წინაპრებს“ ხვდება: „მე ვარ, მე, ვერ მცნობ – კავკასიელი ალქიმიკოსების შთამომავალი!.. ჩამო... ჩამოდი... ლობტებით მოწუნულ მინაზე!“

ასტამურს ეყო ვაჟკაცობა „სხვა ენაზე ცხოვრებისთვის“ უარი ეთქვა, გაეძლო, რადგან მიხვდა: „ყოველი დღე ისეთი რომ ყოფილიყო, როგორიც მე მსურდა, რა აზრი ექნებოდა ცხოვრებას. არ იქნებოდა ბრძოლა“.

„ფუძის ანგელოზი“ თავზე კოცნის ასტამურს და გზას უღოცავს, რათა მან ისევ შეძლოს ოცნება ისპაჰანის ბულბულების გადაფრენაზე.

ჯონ სტაინბეკი

ხალხის ლიდერი

შაბათ ნაშუადღევს ბილი ბაკმა, რანჩოს მუშამ, ერთად შეაგროვა წინა წლის თივის ზვინი და პატარა ფინლებით გადაუგდო მათეულის ლობის იქით მდგარ საქონელს. მაღლა ჰაერში პატარა ღრუბლები მარტის ქარმა აღმოსავლეთისკენ გარეკა. ქარის სისინი ისმოდა ჯაგნარში, მთის თხემზე, მაგრამ უბრალო ფაჩუნიც კი არ აღწევდა შიგ რანჩოში.

პატარა ბიჭი, ჯოდი, შინიდან გამოვიდა, თან სქელ ნაჭერ კარაქთან პურს მიირთმევდა. მან დაინახა თივის ზვინთან მომუშავე ბილი. ბიჭუნა მძიმე ნაბიჯებით მოდიოდა, საშინაო ფეხსაცმელებს მოაფრატუნებდა. თეთრი მტრედების გუნდი აფრინდა შავი კვიპაროსის ხიდან, ჯოდის ჩაუქროლა, ხეს გარსემოერტყა წრიულად და ისევ ხეზე დაფრინდა. შავყვითელა კატა გადმოხტა მუშათა ბარაკის პარმალიდან, ოთხით დაიწყო სვლა, თან ტრიალებდა, ნავარდობდა. ჯოდემ ქვას მოკიდა ხელი, კატას თამაშში რომ აჰყოლოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, კატამ მოასწრო პარმალის ქვეშ შეძრომა მანამ, სანამ ჯოდი ქვას გაისროდა. გასროლილი ქვა კვიპაროსის ხეს მოხვდა და თეთრი მტრედები სხვა მხარეს გარეკა.

ამასობაში ბიჭი თივის ზვინს მიუახლოვდა, ეკლიანი მათეულის ლობეს მიეყრდნო და ბილის ჰკითხა:

– როგორ ფიქრობ, ეს საკმარისია?

შუახნის მუშამ შეწყვიტა მუშაობა და ორკაპი მინაში ჩაარქო. შავი ქუდი მოიხადა და თემბალი გაისწორა.

– ყველაფერი მინამ დასველა – თქვა. თან ქუდი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა და ტყავადქცეული ხელები მოიფშენიტა.

– ალბათ უამრავი თავგია – თქვა ჯოდემ.

– და თანაც ტილიანი – დასძინა ბილი – თავგებზე რომ დაცოცავს.

– კარგი, როცა ყველაფერს მორჩები, ძალღებს დაუძახებ და თავგებს დაიჭერენ.

– რა თქმა უნდა შეგიძლია ეს – თქვა ბილი ბაკმა. ორკაპით აიღო ნესტიანი, მინიანი კონა და ჰაერში ისროლა. ამ დროს თივიდან სამი თავგი ამოხტა და გაშმაგებული ისევ თივაში დაიშალა.

ჯოდემ კმაყოფილებისაგან ამოიოხრა. ეს მსუქანი, განებივრებული, გაბლენძილი თავგები განწირულები არიან. რვა თვე ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ თივის ზვინში. თავს იცავდნენ კატებისგან, ხაფანგისგან, შხამისგან და, ამასთან, ჯოდისგანაც. მაგრამ ახლა მოვიდა ჟამი მათი აღსასრულისა. ამჯერად ველარ გადარჩებიან.

ბილიმ გორაკებს შეხედა, რომლითაც რანჩო იყო გარშემორტყმული.

– მგონი აჯობებს მამას დაეკითხო, რასაც აპირებ – ურჩია ბილიმ ჯოდის.

– ჰო, მაგრამ სად არის? ახლავე შევეკითხები.

– ნასადილევს ცხენით მეზობელ რანჩოში წავიდა. მალე დაბრუნდება.

– არა მგონია, ეს ანალღებდეს.

– მაგრამ სჯობს როგორმე დაეკითხო, ხომ იცი, როგორია – ავისმომასწავებლად თქვა ბილიმ, თან სამუშაოს დაუბრუნდა.

რა თქმა უნდა ჯოდემ იცოდა. მამამისი, კარლ ტიფლინი, დაჟინებით ითხოვდა, ყველაფრის ნება თვითონ დაერთო, იყო მნიშვნელოვანი თუ არა.

ჯოდემ გახედა ქარისაგან გარეკილ პატარა ღრუბელს და იკითხა:

– წვიმას ხომ არ აპირებს, ბილი?

– შესაძლოა. ამისათვის ქარი კარგია, თუმცა არც ისე ძლიერია.

– კარგი, იმედია მანამ არ მოწვიმს, სანამ ამ წყეულ თავგებს არ დაეზოცავ.

ბილის არაფერი უპასუხნია. მუშაობა გააგრძელა.

ჯოდი მოტრიალდა და შეხედა მთის ფერდობს, საიდანაც გზა ჩამოდიოდა. გორაკი გახვეული იყო მარტის ნაზი მზის შუქში. ვერცხლისფერი ბრტყელეკალები, ლურჯი ლუპინები და რამდენიმე ყაყაჩო ყვავოდა ბებერ ბუჩქებს შორის. გორაკის ცოტა მაღლა ჯოდის შეეძლო დაენახა შავი ძალი, რომელიც ციყვის სოროში იქექებოდა.

უცებ ცხოველი გაშეშდა, სოროს მოცილდა და გორაკის იმ ადგილს გახედა, საიდანაც გზა ჩამოდიოდა. ჯოდამაც თვალი გააყოლა ძალის მზერას და მამა დაინახა. კარლ ტიფლინი ცხენზე ამხედრებული იდგა მკრთალი ცის ფონზე, შემდეგ შინისაკენ მიმავალ გზას გაუდგა. ხელში რალაც თეთრი ეჭირა.

– ნერილი მოაქვს – ჯოდემ დაიყვირა. იგი სასწრაფოდ გაემშურა რანჩოსაკენ, რადგანაც შესაძლებელი იყო ნერილი ხმამაღლა წაეკითხათ და უნდოდა იმ დროს იქ ყოფილიყო. მამას შინ მისვლა მიასწრო. ბიჭმა გარკვევით გაიგონა, როგორ ჩამოხტა კარლი ქრაჭუნა უნაგირიდან, ცხენს გვერდიდან გაუტყლაშუნა, რათა თავლაში გაეგზავნა, სადაც ბილი ცხოველს უნაგირს მოხსნიდა და უკანვე გამოუშვებდა.

ჯოდი სამზარეულოში შევარდა.

– ნერილი მივიღეთ! – იყვირა მან.

დედამ ლობიოს ქვაბიდან ახედა შვილს და იკითხა:

– ვინ მიიღო?

– მამამ. დავინახე, ხელში ეჭირა.

კარლმა შეალაჯა სამზარეულოში და ჯოდის დედამაც არ დააყოვნა, ქმარს ჰკითხა:

– ნერილი ვისგანაა, კარლ?

კარლი მოიღუშა.

– საიდან იცი, რომ ნერილი მივიღე?

ქალმა შვილისაკენ გაიხედა და თქვა:

– ამ გაქნილმა ჯოდემ მითხრა.

ბიჭი შეიმშუშნა.

მამამ ბიჭს დამცინავად შეხედა და თქვა:

– სულ უფრო გაიძვერა ხდება. ყველას საქმე ანტერეებს, გარდა თავისა. ყველას საქმეში ცხვირსა ჰყოფს.

– საქმე არა აქვს, რას იზამ. ვისგანაა ნერილი?

კარლმა ისევ მეუბლიერა ჯოდის.

– მე დავაყენებ საქმეზე, თუ ჭკვიანად არ იქნება.

შემდეგ ცოლს ბეჭდიანი ნერილი გაუწოდა და თქვა:

– მე მგონი, მამაშენისგანაა.



მისის ტიფლინმა თმოდან სარჭი გამოიძრო და წერილი გახსნა. ქალს ტუჩები მაგრად მოეკუმა. ჯოდი ხედავდა, მისი თვალები როგორ დარბოდნენ ხაზების ზემოთ და ქვემოთ.

– ინერება, ვაპირებ შაბათს ჩამოვიდე და ცოტა ხნით თქვენთან დავრჩეო. მაგრამ დღეს ხომ შაბათია. წერილს დაავკიანდა. – ქალმა საფოსტო შტემპელს დახედა. – წერილი გუშინინაა გამოგზავნილი. გუშინ უკვე აქ უნდა ყოფილიყო.

ქალმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ქმარს, მაგრამ შემდეგ სიბრაზისაგან სახე გაულურჯდა.

– რატომ მიყურებ ასე? მამაჩემი ხომ ხშირად არ მოდის ჩვენთან.

კარლმა თვალი მოარიდა ცოლის გაბრაზებულ სახეს. ხშირად სასტიკი იყო ქალთან, მაგრამ ხანდახან, როცა მისის ტიფლინი გადააჭარბებდა, არ შეეძლო მასთან შებრძოლება.

– რა ჯანდაბა დაგემართა, ჰა? – დაჟინებით იმეორებდა ქალი.

კარლის ახსნა-განმარტებაში იყო მობოდიშების ტონი, აი, ისეთი, ჯოდი რომ იყენებდა ხოლმე.

– მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს – თქვა კარლმა ბორძიკით. – მხოლოდ ამაზე.

– რა, რა მერე? შენ შენს თავზე ლაპარაკობ.

– დიახ, ასეა. მაგრამ მამაშენი მხოლოდ ერთ რამეზე ლაპარაკობს.

– ინდიელებზე! – ჯოდი ჩაერთო აღელვებული – ინდიელებსა და ველების გადაკვეთაზე.

კარლი განრისხებული მიუბრუნდა და უთხრა:

– ნაეთრიე აქედან, შე გაიძვერა! წადი ახლავე აქედან!

ჯოდი საცოდავად გამოიძურნა უკანა კარიდან და შირმიანი კარი შესაშური სიწყნარით დაკეტა. გარეთ, სამზარეულოს ფანჯრის ქვეშ უცნაური ფორმის ქვას მიაშტერდა, რომელიც ისეთი ლამაზი იყო, ჯოდი ჩაიცუცქა, აიღო და ხელში შეატრიალა.

ხმები გარკვევით ისმოდა სამზარეულოს გაღებული ფანჯრიდან.

– ჯოდი ნამდვილი ეშმაკია – გაიგონა მამის ხმა. – მხოლოდ ინდიელებსა და ველების გადაკვეთაზე ფიქრობს. მე მომისმენია მამაშენის მონაცოლი, თუ როგორ გადაჰყავდათ ცხენები ათასჯერ და კიდევ ათასჯერ. ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ერთ სიტყვასაც არ შეცვლის მონაცოლში.

როდესაც მისის ტიფლინმა ქმარს უპასუხა, მისი ხმის კილო ისე შეიცვალა, ჯოდიმ გარედა, თავისი ქვიდან ახედა დედას. მისი ხმა გახდა ნაზი, რბილი და დამრიგებლური. ჯოდიმ იცოდა, როგორ ეცვლებოდა დედას სახე ხმის კილოსთან ერთად. ქალმა წყნარად თქვა:

– მოდი, ამ საკითხს ასე შევხედოთ, კარლ. ეს იყო ყველაზე დიადი მამაჩემის ცხოვრებაში. მატარებლის ვაგონი ველების გავლით მიჰყავდა სანაპიროზე და როცა ეს დამთავრდა, მისი ცხოვრებაც დასრულდა. ეს იყო დიდი საქმე, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა.

– იცი რა – გააგრძელა ქალმა, – თითქოს იმისთვის დაიბადა, რომ ეს საქმე აკეთოს, როცა ეს დაასრულა, არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეფიქრა და ელაპარაკა ამაზე. კიდევ რომ იყოს წასასვლელი დასავლეთით, აუცილებლად წავიდოდა. ეს თვითონვე მითხრა. მაგრამ ბოლოს იყო ოკეანე. იგი ზუსტად ოკეანესთან ცხოვრობს, სადაც უნდა გაჩერებულიყო.

ქალმა დააბა ქმარი, დააბა თავისი ნაზი ხმით.

– მე ვნახე იგი – კაცი წყნარად დაეთანხმა. – დადის და დასავლეთით იყურება ოკეანის გაღმა. – ხმა ცოტათი გაუმკაცრდა კარლს. – შემდეგ მიდის კლუბში და ადამიანებს უამბობს, თუ როგორ დაჰყავთ ინდიელებს ცხენები.

ქალმა ისევ სცადა ქმრის დაბმა.

– კარგი, უნდა ეცადო მომთმენი იყო და თავი მოიკატუნო, ვითომ უსმენ.

კარლი უცებ მიბრუნდა და გაღიზიანებით თქვა: – როცა საქმე ძალიან ცუდადაა, შემიძლია წავიდე ბარაკში და ბილთან ერთად დავვადე. – შემდეგ გაიარა მთელი სახლი და კარი გაიფახუნა.

ჯოდი თავის საქმეზე გაიქცა. მარცვალის დაუყარა ქათმებს, ისე, რომ არცერთს არ გამოდევნებია. შემდეგ საბუდრებიდან კვერცხები მოაგროვა. ყოველივე ამის მერე შინ შევიდა, თან შეშა შეიტანა. შეშა ფრთხილად ჩააწყო ყუთში.

დედამ დაასრულა ლობიოს შეკმაზვა, ცეცხლს შეუკეტა და ლუმელის ზედაპირი ინდაურის ბუმბულით გაასუფთავა. ჯოდი მალულად ადევნებდა თვალს დედას და ცდილობდა გამოეცნო, კვლავ იყო გაბრაზებული მამაზე თუ არა.

– დღეს მოდის? – შეეკითხა ჯოდი.
– წერილში ასეა.
– ხომ არ სჯობს წავიდე და გზაში შევხვდე.
– მშვენიერი იქნება – თქვა ქალმა. – უყვარს, როცა ხვდებიან.

ჯოდი გარეთ გავიდა და ძაღლებს დაუსტივინა: – აბა, გორაკზე ამოდით – უბრძანა ცხოველებს. ორი ძაღლი კუდის ქიციანით წინ გაეარდა. გზის გაყოლებაზე სალბის ნაზი წვეროები ჩანდა. ჯოდიმ რამდენიმე მოგლიჯა და ხელზე მოისრისა. ჰაერში სალბის მძაფრი სუნის დატრიალდა. ძაღლები გზიდან გადახტნენ და წაკვნიკავით კურდღელს გაეკიდნენ, მაგრამ ამოდ, ვერ დაიჭირეს და უკან დაბრუნდნენ.

ჯოდი ფეხების თრევით ავიდა გორაკზე. როდესაც პატარა ხეობას მიაღწია, სადაც გზა თავდებოდა, ნაშუადღევის ქარმა ჩამოუქროლა, თმები აუწენა და პერანგი აუფრიალა. იგი დაჰყურებდა პატარა გორაკებსა და ქედებს და უზარმაზარ მწვანე სალინას ხეობას. ხედავდა სალინას თეთრ ქალაქსაც. პირდაპირ მის ქვემოთ, მუხის ხეში, ყვავებს თავყრილობა გაემართათ. ხე სავსე იყო შავი ყვავებით, რომლებიც ერთდროულად ჩხაოდნენ.

შემდეგ ჯოდიმ თვალი გადადევნა ფურგონს ქედიდან, სადაც ის იდგა, დაკარგა მხედველობიდან და შემდეგ ისევ თვალი მოჰკრა, ოღონდ სხვა მხრიდან. შორს დაინახა საზიდარი, რომელშიც შემბული იყო ნაბლა ცხენი. ის გორაკის უკან გაუჩინარდა. ჯოდი დაჯდა მიწაზე და თვალყურს ადევნებდა იმ ადგილს, სადაც საზიდარი კვლავ გამოჩნდებოდა. ქარი მღერადოდა გორაკის თავზე და ფუმფულა ღრუბლებს აღმოსავლეთით ერეკებოდა.

როგორც იქნა საზიდარი გამოჩნდა და გაჩერდა. შავებში ჩაცმული კაცი საზიდრიდან ჩამოხტა და ცხენის თავს მიუახლოვდა. თუმცა საკმაოდ შორს იყო, ჯოდი მიხვდა, კაცმა ცხენს ლაგამი მოხსნა. ცხენი ამოდრავდა და კაციც წელა მიჰყვა უკან. ჯოდიმ სიხარულისგან შეჰყვირა და მათთან შესახვედრად გაიქცა.

ჯოდი ყოველ ნაბიჯზე ხტებოდა. ცოტა მანძილი რომ გაირბინა, დაინახა პაპა და საზიდარი. ბიჭმა სირბილს მოუკლო და ღრესული ნაბიჯებით მიუახლოვდა.

ცხენი ჩორთით ადიოდა გორაკზე და მოხუციც გვერდით მიჰყვებოდა. პაპას ტანს შავი, განიერი კოსტუმი ემოსა, ფეხზე მალაღყელიანი ფეხსაცმელები ეცვა, ყელზე კი შავი ყელსახვევი ეკეთა. ხელში შავი ფარფლებიანი ქუდი ეჭირა. თეთრი წვერი მოკლედ შეეკრიჭა, ხოლო თეთრი ნარბები უღვამე-ბივით გადმოშვებოდა თვალებზე, ლურჯი თვალები მხიარულებისგან უელავდა. მთელს სახესა და სხეულზე გამოხატვოდა უზარმაზარი ღირობა, ისე, რომ მისი ყოველი მოძრაობა რაღაც შეუძლებელი ჩანდა. ნამით როცა შეისვენა, გვეგონე-

ბოდა გაქვავდა და მეტად ვერც გაინძრეოდაო. მისი ნაბიჯები ნელი იყო და მოზომილი.

როდესაც ჯოდი მოსახვევში გამოჩნდა, პაპამ მისალმების ნიშნად ქუდი დაუქნია და შესძახა:

– აქამდე სად იყავი? რატომ არ შემხვდი, ჯოდი?

ჯოდი გვერდით მიჰყვებოდა და ცდილობდა მისი ნაბიჯებისთვის ფეხი აეყოლებინა. სხეული გაუშეშდა, ფეხებსაც ძლივს მიათრევდა. შეკითხვაზე ჩაილულულა:

– შენი წერილი მხოლოდ დღეს მივიღეთ.

– გუშინ უნდა მიგელოთ – თქვა პაპამ – როგორ არიან თქვენები?

– კარგად, სერ, – მიუგო ჯოდიმ, თან ყოყმანობდა, ეთქვა თუ არა, ბოლოს მორცხვად შეჰბედა:

– ხომ არ გინდა ხვალ თავგებზე სანადიროდ წამოხვიდე?

– თავგებზე სანადიროდ, ჯოდი? – ჩაიხითხითა პაპამ – განა თქვენი თაობის ადამიანები თავგებზე სანადიროდ დადიან?

ისინი ხომ ძლიერები არ არიან. ეჭვი მეპარება, თავგები გასართობი იყოს მათთვის.

– არა, სერ. ეს მხოლოდ თამაშია. თივის ზვინი დაშალეს. ვაპირებ ეს თავგები ძაღლებს მივუგდო. შენ სეირს უყურე, ან, თუ გინდა, თივის კონით სცემე.

მხიარული, მაგრამ მკაცრი თვალები ჯოდის ჩაამტერდა.

– იმედია, შემდეგ არ შეჭამ, ჯერ მანდამდე არ მისულხარ.

ჯოდიმ აუხსნა:

– ძაღლები ჭამენ, სერ.

იმაზე მეტი მაინც არ იქნება, რაც ინდიელებზე ნადირობაა.

– არა, არ არის, მაგრამ მაშინ, როცა ჯარები ნადირობდნენ ინდიელებზე, ესროდნენ მათ ბავშვებს და ქოხებს უწვავდნენ, დიდი განსხვავება არ ყოფილა შენი თავგებზე ნადირობისაგან.

მათ ასასვლელი აიარეს და რანჩოსკენ დაეშენენ, მზე მათ მხრებს მიეფარა.

– გაზრდილხარ – თქვა პაპამ – მე ვიტყვოდი, თითქმის მთელი დიუმით.

– მეტით – ნაიტრაბახა ჯოდიმ – როცა ჩვენებმა კარზე ჩემი სიმაღლე მონიშნეს, დიუმზე მეტით ვიყავი გაზრდილი.

– შეიძლება უფრო მეტ სითხეს შთანთქავ და ეს ყველაფერი ღეროს გაზრდას ხმარდება. დავიცადოთ, სანამ აყვავდები, და მერე ვნახოთ – მიმართა პაპამ ჯოდის, თითქოს ბიჭი მცენარე ყოფილიყო.

ჯოდიმ სწრაფად შეხედა, უნდოდა გამოეცნო, მოხუცი ხომ არ დასცინოდა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა, არანაირი სურვილი, რომ ჯოდისათვის ეწყენინებინა.

– შეგვიძლია ღორი დავკლათ – თქვა უცებ ჯოდიმ.

– ო, არა! მე არ მოგცემ ნებას. ალბათ მეხუმრები. ახლა ამის დრო არ არის და შენ ეს იცი.

– ალბათ გახსოვს რილი – გარეული ტახი.

– კი, რილი კარგად მახსოვს.

– ჰოდა, რილი იმავე თივის ზვინში იქექებოდა. ერთხელაც ეს ზვინი ზემოდან დაეცა და დაახრჩო.

– ღორებს ასე მოსდით – თქვა პაპამ.

– რილი ტახის კვალობაზე მართლაც რომ შესანიშნავი ღორი იყო. ხანდახან გამყავდა სასეირნოდ და არც კი მეურჩებოდა.

სახლის კარი გაჯახუნდა და მათ დაინახეს ჯოდის დედა, რომელიც პარმალზე იდგა და მისალმების ნიშნად წინსაფარს აქნევდა. ამასთან, დაინახეს კარლ ტიფლინი, რომელიც ბელელიდან გამოდიოდა, რათა შინ მათთვის მიესწრო.

მზე გორაკებს მიეფარა. სახლის საკვამურიდან ამოსული ლურჯი კვამლი მთელ რანჩოს მოსდებოდა.

ბილი ბაკი მუშათა ბარაკიდან გამოვიდა და საპნიანი ნყლით სავსე ტაშტი მიწაზე დააქცია. ის იპარსავდა ხოლმე შუა კვირაში. ბილი პაპას პატივისცემით მიესალმა. მოხუცმა თქვა, ბილი ახალი თაობის ერთ-ერთი იმ უმცირესთაგანია, ვინც ჯერ კიდევ ჯანმრთელადააო. თუმცა ბილი შუახნის კაცი იყო, პაპა მას ბიჭად თვლიდა. და ახლა ბილიც შინისაკენ მიიჩქაროდა.

როდესაც ჯოდი და პაპა სახლს მიუახლოვდნენ, სამივე მათ ეზოს წინ, ალაყაფთან ელოდებოდა.

– გამარჯობათ, სერ, გელოდებოდით – თქვა კარლმა.

მისის ტიფლინმა მამას წვერზე აკოცა და წყნარად

იდგა მანამ, სანამ მოხუცი ქალიშვილს მხრებზე თავის დიდრონ ხელს მოუთათუნებდა. ბილიმ პაპას საზეიმოდ ჩამოართვა ხელი, თან თავის ჩალისებურ უღვაშებში ჩაიცინა.

– ნავალ, თქვენს ცხენს მოვამზადებ – თქვა ბილიმ და აღჭურვილობა წაიღო.

პაპამ დააცადა ბილის ნასვლა, შემდეგ თავისიანებს მიუბრუნდა და ადრე მრავალჯერ ნათქვამი გაიმეორა:

– კარგი ბიჭია. მე ვიცნობდი მამამისს – ბებერ ჯორ-კუდა ბაკს. არ ვიცი, რატომ ეძახდნენ ჯორ-კუდას, ალბათ იმიტომ, რომ ჯორებს კახმავდა.

მისის ტიფლინი მობრუნდა და მამას შინისკენ გაუძღვა.

– რამდენ ხანს აპირებ დარჩენას, მამა? წერილში არაფერი იყო ნათქვამი.

– არ ვიცი, ვფიქრობ ორი კვირა დავრჩები. არასოდეს ვრჩები იმაზე დიდხანს, ვიდრე ვაპირებ, რომ დავრჩე.

ცოტა ხანში ყველანი მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან ისხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ. მაგიდის თავზე მცირე რეფლექტორიანი ლამპა ეკიდა. სასადილო ოთახის გარეთ დიდი ფარვანები ნაზად ეხეთქებოდნენ ფანჯრის მინას.

პაპამ ხორცი მცირე ნაჭრებად დაჭრა და ნელა დაიწყო ღეჭვა.



მხატვარი ნინო ზალიშვილი

- მომშვიდა - თქვა. - ვიდრე აქ მოვდიოდი, მადა გამელვი-
და. ასე იყო, როცა გზაში ვიყავით. ისე გვპივდებოდა ყოველ
ლამით, ხორცის დამზადებას არც ვუცდიდით. ყოველ ლამე
ხუთ გირვანქა კამეჩის ხორცს ვჭამდი.

- მოძრაობამ იცის ასე - თქვა ბილიმ - მამაჩემი მთავრო-
ბის მომხრე იყო. მე ვეხმარებოდი, როცა ბავშვი ვიყავი. მხო-
ლოდ ჩვენ ორს შეგვეძლო შეგვესანსლა თითქმის მთელი ირ-
მის ბარკალი.

- მამაშენს ვიცნობდი, ბილი - თქვა პაპამ - კარგი კაცი
იყო. რატომღაც ყველანი ჯორ-კუდა ბაკს ეძახდნენ, ალბათ
იმიტომ, რომ ჯორებს კაზმავდა.

- ასე იყო - დაეთანხმა ბილი - ჯორებს კაზმავდა.

პაპამ დანა-ჩანგალი თეფშზე დადო და მაგიდას თვალი
მოაკვლო.

- მახსოვს ერთხელ ხორცი გაგვითავდა - მისი ხმა უცნა-
ურ სიმღერაში გადაიზარდა, რომელიც გარკვეულ ტონალო-
ბას ანიჭებდა თხრობას.

- არ იყო არც კამეჩი, არც ანტილოპა, კურდღლებიც კი არ
იყო. მონადირეებმა ვერ შეძლეს კოიოტის მოკვლაც კი. ლიდერი-
სათვის დრო იყო, სულ ფხიზლად ყოფილიყო. მე ლიდერი ვიყავი
და თვალი ფხიზლად მეჭირა და იცით რატომ? ხალხს თუ მოშივ-
დებოდა, შეეძლოთ ხარების ხოცვა-ჟლეტა მოეწყოთ. შეგიძლიათ
ამის დაჯერება? მსმენია ადამიანთა ჯგუფებზე, რომლებიც თა-
ვიანთ პირუტყვს ხოცავდნენ და ჭამდნენ. ბოლოს შეჭამდნენ
მთავარ წყვილს და ცხენებსაც ზედ მიაყოლებდნენ. ჯგუფის ლი-
დერი იმისთვისაა, რომ შეაჩეროს ასეთი საქციელისაგან.

ამ დროს დიდი ფარვანა შემოძვრა ოთახში, ჩამოკიდებულ
ნავთის ლამპას გარს შემოეხვია. ბილი ადგა და ეცადა ხელებს
შორის გაეტყუებინა მწერი. კარლმა დაასწრო, ფარვანა გაშლილი
ხელისგულით დაიჭირა და მოკლა. შემდეგ მივიდა ფანჯარას-
თან და გადააგდო.

- ჰო, რას ვამბობდი? - დაიწყო კვლავ პაპამ, მაგრამ კარ-
ლმა შეანწყვეტინა.

- სჯობს კიდევ შეჭამო ხორცი, შემდეგ ყველას პუდინგი
გველოდება.

ჯოდიმ სიბრაზის ნაპერწკალი დაინახა დედის თვალებში.
პაპამ მისი დანა-ჩანგალი აიღო.

- მართლაც ძალიან მშაა - თქვა მან - დანარჩენს მერე მო-
ციყვებით.

ნავახშმევს მთელი ოჯახი და ბილი ბაკი ბუხრის წინ დას-
ხდნენ მეორე ოთახში. ჯოდი დაჟინებით ადევნებდა თვალს
პაპას. მან ისეთი რამ დაინახა, რაც მისთვის ნაცნობი იყო. პა-
პა თავისი დიდი წვერით წინ გადაიხარა; თვალებმა დაკარგეს
სისასტიკე და გაოცებული იყურებოდნენ ცეცხლში. დიდი
გამხდარი თითები მუხლებზე შემოეჭდა.

- არ ვიცი, გითხარით თუ არა - დაიწყო მან - ერთხელ იმ
ქურდმა პაიუტებმა, როგორ წაიყვანეს ჩვენი 35 ცხენი.

- ვფიქრობ, გვითხარი. ეს მანამდე ხომ არ იყო, როცა ტა-
პოის სოფელში შეხვედი - შეანწყვეტინა კარლმა მოხუცს.

პაპა სწრაფად მიბრუნდა სიძისაკენ.

- ჰო, მართალი ხარ, როგორც ჩანს, უკვე მოგიყვით.

- თანაც ბევრჯერ - თქვა კარლმა უხეშად და თან ცდი-
ლობდა ცოლის გაბრაზებულ თვალებს მორიდებოდა. იცოდა,
ეს თვალები მისკენ რომ იყო მიმართული და ამიტომაც მის სა-
ამებლად თქვა:

- მსურს კიდევ ერთხელ მოვისმინო ეს ამბავი.

პაპა ისევ ცეცხლს ჩაამტვრდა. თითებს ხან გახსნიდა, ხან
მომუშტავდა. ჯოდიმ იცოდა, რას გრძობდა პაპა ახლა, რო-
გორი ცარცილი და ძალაგამოლეული იყო შიგნიდან. განა იმ
დილით ჯოდის გაიძვერა არ უნდა? ის გმირობამდე ამაღ-
ლდა და კვლავ მოუნდა მისთვის ეს სახელი დაეძახათ.

- მოყვეი ინდიელებზე - თქვა ჯოდიმ ჩუმად.

პაპას თვალები ისევ გაუმკაცრდა.

- ბიჭებს ყოველთვის ყველაფერი უნდათ გაიგონ ინდიე-
ლებზე. ეს კაცების საქმეა, მაგრამ ბიჭებს მაინც უნდათ ყვე-
ლაფრის გაგება. კარგი, რა გაეწყობა. ოდესმე მომიყოლია
თქვენთვის, როგორ მინდოდა თითოეული ვაგონით წამელო
გრძელი რკინის ფირფიტა?

ჯოდის გარდა ყველა წყნარად იყო.

- არა, არ მოგიყოლია - თქვა ჯოდიმ.

- კარგი, როდესაც ინდიელები შეტევაზე გადმოდიოდნენ,
ჩვენ ვაგონებებს წრიულად შემოვირკალავდით და ბორ-
ბლებს შუა ვებრძოდით. ვფიქრობდი, თუ თითოეული ვაგონე-
ტი წაიღებდა შაშხანებით სავსე გრძელ ფირფიტას, კაცებს
შეეძლოთ მოეთავსებინათ რკინის ფირფიტები ბორბლებს გა-
რეთ, მაშინ, როცა ვაგონებები წრეში მოექცეოდა და ყველა
დაცული იქნებოდა. ამით სიცოცხლესაც გადაარჩენდნენ და
რკინის დამატებითი წონაც შეიქმნებოდა. მაგრამ რა თქმა უნ-
და პარტია ამას არ იზამდა. არცერთ პარტიას არ ჩაუდენია ეს
წინასწარ და ვერ წარმოედგინათ, რატომ უნდა გაერისკათ სი-
ცოცხლის ფასად, თუმცა შემდეგ ნანობდნენ.

ჯოდიმ დედას შეხედა და მისი გამომეტყველებიდან დაას-
კვნა, რომ სულაც არ უსმენდა პაპას. კარლმა ცერა თითიდან
კოჭრი ამოიღო და ამით იყო გართული. ბილი ბაკი კი ობობას
შეჰყურებდა, კედელზე რომ მიცოცავდა.

პაპამ ჩვეულებრივად გააგრძელა თხრობა. ჯოდიმ წინას-
წარ ზუსტად იცოდა, რა სიტყვებს იტყოდა მოხუცი. წყნარად
იჯდა, თან პაპას უყურებდა. მკაცრი, ლურჯი თვალები რალაც
უაზროდ გამოიყურებოდა, თითქოს მოხუცს თვითონ სულაც
არ აინტერესებდა თავისივე მონათხრობი.

როცა თხრობა დაასრულა, ბილი ბაკი წამოდგა, შარვალი
გაისწორა, შემდეგ მოხუცს სახეში შეხედა და უთხრა:

- მე მაქვს ძველი თოფის წამალი და პისტოლეტი იქ, ჩემ-
თან, ბარაკში. ოდესმე მიჩვენებია თქვენთვის?

პაპამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ვფიქრობ, კი, ბილი. იმ პისტოლეტს მახსენებს, მე რომ
მქონდა მაშინ, როცა ხალხი გადაწყავდა.

ბილი ზრდილობიანად უსმენდა, ვიდრე ბაბუა თავის სათ-
ქმელს დაასრულებდა. შემდეგ ყველას ლამე მშვიდობისა
უსურვა და სახლიდან გავიდა.

კარლ ტიფლინი შეეცადა საუბრის თემა შეეცვალა.

- როგორი ამინდებია იმ სოფელში, ჩვენსა და მონტერეის
შორის რომ მდებარეობს? გამიგია, იქ საკმაოდ ცხელია.

- ჰო, ცხელია - თქვა პაპამ - ერთი წვეთი წვიმა არ მოსულა
ლაგუნა სექაში. მაგრამ 1887 წელს უარესი იყო. მთელი სოფე-
ლი სულ ცხელი ქვიშით გაივსო. ხოლო 1861 წელს ყველა კოი-
ოტი შიმშილით მოკვდა. ჩვენთან საკმაოდ წვიმადა.

- ჰო, მაგრამ ეს ხომ ადრე იყო. ახლა წვიმა არ გვანყენდა
- თქვა კარლმა და შემდეგ ჯოდის მიაშტავდა:

- დრო არ არის, რომ დასაძინებლად წახვიდე?

ჯოდი მორჩილად ადგა და მამას ჰკითხა:

- შეიძლება მოვკლა თავგები, იმ ძველ თოფის ზვინში რომ
არაინ?

- თავგები? ოო, რა თქმა უნდა, ყველა მოკალი. ბილიმ
თქვა, ერთი საღი თივა არ დარჩა, სულ დაღრღნეს თავგებმაო.

ჯოდიმ კმაყოფილი მზერით გაუზიარა პაპას თავისი საი-
ღუმლო.

- ხვალ ყველა თავგს დავხოცავ - დაპირდა ბიჭი მოხუცს.

ჯოდი ინვა საწოლში და ფიქრობდა ინდიელებსა და კამე-
ჩებზე, მათ წარმოუდგენელ სამყაროზე, რომელიც სამუდამო
დასრულდა. მას სურდა ეცხოვრა გმირულ ეპოქაში, მაგ-
რამ იცოდა, რომ იგი გმირი არ იქნებოდა. ჯოდი ფიქრობდა

განიერ ველებსა და ვაგონებზე, რომლებიც ამ ველებზე მრავალფეხებასავით გადადიოდნენ. ფიქრობდა პაპაზე, რომელიც თავის თეთრ რაშზე ამხედრებული ხალხს მიუძღოდა. გონებაში გაუელვა დიდმა აჩრდილებმა, რომელთაც დედამინა დატოვეს და გაუჩინარდნენ.

ნამით რანჩოში დაბრუნდა. გაიგონა მომბაზერებელი ხმა, რომელსაც ჰაერი და სიჩუმე ერთდროულად ქმნიდა. გაიგონა ძაღლის ხმა, რომელიც საძაღლედან გამოსულიყო, როგორ იგერიებდა რწყილს და როგორ ტკიოდა ფეხი მიწაზე ყოველი დარტყმისას. შემდეგ კვლავ ქარი ამოვარდა და შავი კვიპაროსი როგორ აკვნესდა და ამ ხმაურში ჯოდის ჩაქვინა.

უკვე ფეხზე იდგა, ვიდრე სასაუზმოდ მოუხმობდნენ. დედა ქურას უჩხიკინებდა ასანთებად, როცა ჯოდი სამზარეულოში შევიდა:

- ადრე ამდგარხარ, სად მიდიხარ? - ჰკითხა ჯოდის.
- გარეთ, კარგი ჯოხი რომ ვიშოვნო. ჩვენ დღეს თავგების დახოცვას ვაპირებთ.
- ვინ თქვენ?
- პაპა და მე.
- გინდა პაპაც ჩაითრიო. შენ ყოველთვის ითრევ ვინმეს, რათა დანაშაული ორივეს დაგბრალდეთ.
- მე მართალი ვიქნები, აი, ნახავ, თუ არა - თქვა ჯოდამ - მხოლოდ მინდა, კარგი ჯოხი ვიშოვო.

კარი გაიხურა და გრილ, ლურჯ დილაში გავიდა. ჩიტები ხმაურობდნენ, რანჩოს კატები კი ისე მოგორავდნენ გორაკიდან, თითქოს დაჩლუნგებული გველები ყოფილიყვნენ. ისინი მთელი ღამე ვირთხებზე ნადირობდნენ, და თუმცა მუცელი გამოეტენათ ხორციით, სახლსუკან კართან წრიულად დასხდნენ და საცოდავად კნაოდნენ რძისათვის. მათი და სმეპერი ბუჩქნარის გასწვრივ ქმნიდა დარბოდნენ და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, მაგრამ როცა ჯოდამ დაუსტვინა, თავი წამოყვეს და კული გააქიცინეს. ისინი ჯოდის მიეახლნენ - ბალანაბურძენი და პირდაღებულნი. ჯოდამ ძაღლებს მიუაღერა და ძველი ნარჩენებისაკენ გაემართა. იქ შეარჩია ძველი ცოცხის ტარი და ხის პატარა ნაჭერი, ჯობიდან ამოიღო ფეხსაცმლის თასმა და ჯოხებს ბოლოები ამ თასშით გადააბა, რათა კეტი მიეღო. ახალი იარაღი ჰაერში სტვენით შეათამაშა და საცდელად მინას დაანარცხა. ამასობაში ძაღლები გვერდზე გახტნენ და ავის მოლოდინში აყმუვლდნენ.

ჯოდი მოტრიალდა, სახლს ჩაუარა და თავის ზვინისაკენ გაემართა, რათა ხოცვა-ჟღელისათვის ეყურებინა, მაგრამ ბილი ბაკმა, რომელიც მოთმინებით ჩაცუცქულიყო უკანა ფეხებზე, დაუძახა:

- უმჯობესია მობრუნდე. საუზმემდე ორი წუთი დარჩა.
- ჯოდამ მიმართულება შეცვალა და შინისაკენ გაემართა. კეტი მოლუნა და თქვა:
- ეს თავგების დასახოცად გამომადგება. ისეთი მსუქნები არიან, დაგენიძლავეები, არც კი იციან, დღეს რა მოელით.
- არა, არც შენ, არც მე და არც ვინმე სხვამ - შენიშნა ბილიმ ფილოსოფიურად.

ჯოდი ამან ცოტა შეაყვამნა. იცოდა, რომ ბილი ბაკი სიმართლეს ამბობდა. თავგებზე ნადირობა მხოლოდ მისი წარმოსახვა იყო. ამასობაში დედამისი გამოჩნდა, ჩამოჰკრა გამაფრთხილებელ სამკუთხედს, რომელიც ოჯახის წევრებს საუზმისაკენ მოუხმობდა და ჯოდის ყველა ფიქრი ერთმანეთში აირია.

პაპა სუფრასთან არ გამოჩნდა, როცა ყველანი დასხდნენ. ბილიმ მოხუცის ცარიელ სკამზე მიუთითა და იკითხა:

- კარგად არის? ავად ხომ არაა?
- ჩაცმას დიდხანს უნდება - თქვა მისის ტიფლინმა, - ივარცხნის ბაკენბარდებს, ინმენდს ფეხსაცმელებსა და ტანისამოსს.

კარლმა ფაფაში შაქარი ჩაიყარა.

- კაცი, ვისაც მატარებლის ვაგონეტი ველებზე დაჰყავდა, ჩაცმას უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს.

მისის ტიფლინი ქმარს მიუბრუნდა:

- ნუ ხარ ასეთი, კარლ! გთხოვ, ნუ ხარ!

ქალის ხმაში მუქარა უფრო ისმოდა, ვიდრე თხოვნა, და ამ მუქარამ კარლი გააბრაზა.

- კარგი, მაგრამ რამდენჯერ უნდა ვისმინო რკინის ფირფიტებისა და ოცდათხუთმეტი ცხენის შესახებ. ის დრო წავიდა. რატომ არ ავიწყდება, რომ ის დრო უკვე წავიდა.

კარლი სულ უფრო და უფრო ბრაზდებოდა და ხმასაც თანდათან უწევდა.

- რატომ უნდა ჰყვებოდეს ამ ამბებს დაუსრულებლად. ის დაბლობებზე დადიოდა. ძალიან კარგი, მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა. არავის უნდა ამის მოსმენა გაუთავებლად.

სამზარეულოს კარი ჩუმად დაიხურა. ოთხნი მაგიდასთან ადგილზე გაიყინნენ. კარლმა ფაფიანი კოვზი მაგიდაზე დადო და ნიკაპს თითებით შეეხო.

შემდეგ სამზარეულოს კარი გაიღო და პაპა შემოვიდა. მოხუცი ოდნავ ილიმოდა და თვალებიდან ალმაცერად იცქირებოდა.

- დილა მშვიდობისა - თქვა, დაჯდა და თავის ფაფიან თეფშს დახედა.

კარლს უკვე არ შეეძლო იქ დარჩენა.

- გაიგონეთ, რაც ვთქვი? - ჰკითხა მან მოხუცს.

პაპამ თავი უხეშად დააქნია.

- არ ვიცი, რა ბზიკმა მიკბინა, ბატონო, ცუდი არაფერი მიგულისხმია. მხოლოდ ვიხუმრე.

ჯოდამ მალულად, დარცხვენილმა შეხედა დედას და დაინახა, რომ ქალი ქმარს უყურებდა და არ სუნთქავდა. საშინელება იყო, რაც კარლმა გააკეთა. საშინელება იყო სიტყვის უკან წაღება, ხოლო დარცხვენა ხომ სულ მთლად უარესი.

პაპა გვერდზე იყურებოდა:

- ვცდილობ სწორი პოზიცია ავირჩიო. - თქვა მშვიდად. - მე გიყვარა ვარ. არ ვეთანხმები, რაც თქვი, მაგრამ ეს შესაძლოა სიმართლე იყო და ამას ვაცნობიერებ.

- ეს არ არის სიმართლე - თქვა კარლმა. - რაღაც კარგად არა ვგრძნობ თავს ამ დილას. ვწუხვარ, რომ ეს ვთქვი.

- ნუ წუხარ, კარლ. ხანდახან მოხუცები ვერ აფასებენ მოვლენებს. შესაძლოა შენ სწორი ხარ. გადასვლა დასრულებულია. იქნებ ეს უნდა დავიგვიწყო და ახლა უკვე ასეცაა.

კარლი მაგიდიდან ადგა.

- საკმარისად ვჭამე. უნდა ვიმუშაო, დაუჩქარე, ბილი!

იგი სწრაფად გავიდა სასადილო ოთახიდან. ბილიმ დარჩენილი ბოლო ლუკმა გადაყლაპა და პატრონს უკან გაჰყვა. მხოლოდ ჯოდი ვერ ტოვებდა თავის ადგილს.

- მეტს აღარ მომიყვები ამბებს? - ჰკითხა პაპას.

- რა თქმა უნდა მოგიყვები, მხოლოდ მაშინ, როცა ხალხს ენდომება ამის მოსმენა.

- ჰო, მაგრამ მე მსურს მოსმენა, სერ.

- რა თქმა უნდა, შენ გსურს, მაგრამ შენ პატარა ბიჭი ხარ. ეს მხოლოდ დიდებისთვისაა, მაგრამ მარტო პატარა ბიჭებს სურთ ამის მოსმენა.

ჯოდი სკამიდან ადგა.

- გარეთ დაგელოდებით, ბატონო. კარგი ჯოხი მაქვს იმ წყეული თავგებისათვის.

ბიჭი შესასვლელთან იდგა, ვიდრე მოხუცი სახლის პარმალზე გამოვიდოდა.

- წავიდეთ და თავგები დავხოცოთ - დაუძახა ჯოდამ.

- ცოტა ხანს მზეზე დავვადები, ჯოდი, შენ წადი და დახოცე, თუ ასე გსურს!

- შეგიძლია ჩემი ჯოხი გამოიყენო.
- არა, ცოტა ხნით აქ დავჯდები.

ჯოდი უიმედოდ მობრუნდა და თივის ზვინისაკენ გაემართა. მსუქან თავებზე ფიქრებთან ერთად ცდილობდა ერთ-ზიაზმიც გაეღვივებინა. მან გამეტებით დასცხო მინას კეტი. ძალღებს უნდოდათ დაეყოლიებინათ პატრონი, რათა თავგების დასახოცად წასულიყვნენ და ანკუტუნდნენ, მაგრამ ჯოდიმ ვერ შეძლო წასვლა. უკან, სახლთან ხედავდა პაპას, რომელიც პარმალზე იჯდა და გამოიყურებოდა როგორც პატარა, გამხდარი და შავი.

ჯოდიმ გადაიფიქრა თავისი საქმე და პაპას ფეხებთან დაჯდომა გადაწყვიტა.

- დაბრუნდი უკვე? დახოცე შენი თავგები?
- არა, ბატონო. როდესმე სხვა დროს.

იმ დილით ბუზები მინასთან ახლოს ბზუოდნენ, ჭიანჭველები კი ზედ ადამიანების ფეხებთან გადადიოდნენ იერიშზე. სალბის მძაფრი სუნი აღწევდა გორაკიდან. პარმალი გათბა მზის შუქზე.

ჯოდიმ არ იცოდა, პაპა როდის დაინწყებდა საუბარს.

- მე აქ ვერ დავრჩები ასე, რასაც ვგრძნობ - დაიწყო პაპამ, თან თავისი ძლიერი, ბებერი ხელები შეათვალაიერა.

- ვფიქრობ, რომ გადასვლა არც ღირდა.

მისი თვალები მთის ფერდობს მიჰყვებოდნენ და შერჩედნენ უმოძრაოდ გაჩერებულ ქორზე, რომელიც ხის ტოტზე იჯდა.

- მე ვყვები იმ ძველ ამბებს, მაგრამ ეს მაინც არ არის ის, რისი მოყოლაც მინდა. მხოლოდ ის ვიცი, რა მინდა ადამიანებმა იგრძნონ, როცა მათ მოვუყვები.

- ეს არ ყოფილა ინდიელები, მნიშვნელოვანი რაც იყო, არც თავგადასავლები, არც აქ მოღწევა. ეს გახლდა ერთმუშტად შეკრული ხალხი, რომელიც ერთ დიდ მხეცად გადაიქცა. და მე ვიყავი მათი თავი. სულ დასავლეთით და დასავლეთით მივიდიოდი. თითოეულ ადამიანს უნდოდა რაღაც თავისთვის, მაგრამ იმ დიდ მხეცს, რომელიც ყველას ერთობლივად წარმოადგენდა, უნდოდა მხოლოდ დასავლეთისკენ სვლა. ლიდერი მე ვიყავი, მე რომ არა, სხვა იქნებოდა ჩემს მაგივრად. მთავარი ლიდერის არსებობა იყო.

- პატარა ბურქებს ქვეშ გამოდიოდა მათი მუქი ჩრდილი თეთრი შუადლის ფონზე. როდესაც მთები დავინახეთ, ყველამ ერთად ვიყვირეთ. მაგრამ საქმე აქ მოსვლაში არ ყოფილა. საქმე მოძრაობაში და დასავლეთისაკენ სვლაში იყო.

- აქეთ ჩვენი სიცოცხლე მოგვექონდა ისე, როგორც, აი, ამ ჭიანჭველებს დააქვთ კვერცხები. და მე ვიყავი ლიდერი. დასავლეთისაკენ სვლა იყო ისეთი დიდი საქმე, როგორც ღმერთთა და ნელი ნაბიჯებით, რომელმაც ეს მოძრაობა მიიყვანა იქამდე, ვიდრე კონტინენტს გადავლახავდით.

- შემდეგ ზღვას მივაღებთ და იქ გავჩერდით. - მოხუცი შეყვონდა და თვალები მოისრისა, ვიდრე გუგები გაუნითლდებოდა.

- აი, რა უნდა მომეყოლა ამბების ნაცვლად.
- შესაძლოა ოდესმე მეც წავუძღვე ხალხს - თქვა ჯოდიმ. მოხუცმა გაიღიმა.
- არსადაა წასასვლელი. ოკეანე შეგაჩერებს. სანაპიროზე უამრავი მოხუცია, რომელთაც სძულთ ოკეანე, რადგან ოკეანემ შეაჩერა ისინი.

- ნავებით შევძლებ.
- არსადაა წასასვლელი, ჯოდი. ყველა ადგილი დაკავებულია. მაგრამ ეს არ არის უარესი - არა, არ არის უარესი. დასავლეთისაკენ სვლა ხალხთან ერთად დასამარდა. დასავლეთისაკენ სვლა წყურვილი აღარ არის. ყველაფერი უკვე მოთავებულია. მამაშენი მართალია. ყველაფერი დამთავრდა. მოხუცმა ხელები მუხლებზე შემოიჭდო და დააშტერდა.

- ჯოდი დანაღვლიანდა.
- თუ გინდა ერთ ჭიქა ლიმონათს მოგიტან.

პაპა უარის თქმას აპირებდა, მაგრამ როცა ჯოდის სახეს შეხედა, თქვა:

- შესანიშნავი იქნებოდა, დიახ, შესანიშნავი იქნებოდა ლიმონათის დაღვევა.
- ჯოდი სამზარეულოში შევარდა, სადაც დედა ჭურჭელს ამშრალედა.
- შეიძლება ლიმონი ავიღო და პაპას ლიმონათი გავუმზადო?

- დედა დაეთანხმა.
- და კიდევ ერთი ლიმონიც წაიღე და შენთვისაც გაიმზადე ლიმონათი.
- მე არ მინდა, დედა.
- ჯოდი! შენ სუსტად ხარ! - შემდეგ უეცრად გაჩერდა.
- ლიმონი მაცივრიდან გამოიღე, მე კი წვეწანურს მოგანვი - თქვა ქალმა ჩუმად.

**ინგლისურიდან თარგმანა
ნინო ლორთქიფანიძე**

ჯონ ერნსტ სტაინბეკის (1902-1968) პირველი რომანი, „ოქროს თასი“, 1929 წელს გამოქვეყნდა, სამი წლის შემდეგ მოჰყვა „ზეციური საძოვრები“ და 1933 წელს - „უცნობ ღმერთს“. პირველი წარმატება „ტორტილა ფლეტთან“ ერთად მოვიდა 1935 წელს. ეს იყო მექსიკურ-ამერიკული მგრძნობიარე და თბილი იუმორით გაჟღენთილი ამბავი. თუმცა მისი მომდევნო რომანი, „საეჭვო ბრძოლა“ (1936), პირქუში სერიოზულობითაა გამსჭვალული. მაგრამ უფრო მეტი წარმატება მოუტანა ნოველამ „თავგებასაც და კაცებსაც“ (1937), ორი მოხეტიალე მუშის ტრაგიკულმა თავგადასავალმა. მისი შემოქმედების გვირგვინია „მრისხანების მტევნები“, რამაც ეროვნული ჯილდო, პულიცერის პრემია მოუტანა. ამ რომანის მიხედვით ჯონ ფორდმა გადაიღო კლასიკად ქცეული ფილმი, რომელიც ამერიკის კინოს ინსტიტუტმა ას საუკეთესო ფილმს შორის დაასახელა. რომანში აღწერილია მახინჯი აგრარული პოლიტიკის შედეგად ოკლა-

რედაქციის მინაწერი:

ჰომას მტვრიანი სივრცებიდან აყრილი და კალიფორნიაში გადასახლებული ოჯახის ტრაგიკული ამბავი.

სტაინბეკის სიკვდილის შემდეგ ნიუ იორკ სიტის მიმომხილველი ჩარლზ ფური წერდა ნიუ იორკ ტაიმსში: „ჯონ სტაინბეკის პირველი დიდი წიგნი იმავდროულად მისი უკანასკნელი დიდი წიგნიც გახლდათ, მაგრამ, ღმერთო, რამხელა წიგნი იყო და არის „მრისხანების მტევნები“. ფური მიუთითებდა გავლენებზე სტაინბეკის თხზულებებში, „თითქოსდა ლიტერატურული მემკვიდრეობის ნახევარ მარკ ტვენისაგან მიუღია და ნახევარიც ქოტონ მეზერისგანო“. მაგრამ იქვე აღნიშნავდა, „სტაინბეკს არ სჭირდებოდა ნობელის პრემია - ნობელის პრემიის მიმნიჭებლებს სჭირდებოდათ სტაინბეკი“, და დაასკვნია, „მისი ადგილი ამერიკულ ლიტერატურაში მყარია და იგი ცოცხლობს უთვალავი მწერლის თხზულებებში, ვინც მისგან ისწავლეს, თუ როგორ უნდა მიანიჭონ დავიწყებულ ადამიანებს უკვდავება“.

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას ხასიათის ის თვისება, უფრო კი დიპლომატიური ხერხი ჯერ თავის გადასარჩენად, შემდეგ კი სახელმწიფო აღიარების მოსაპოვებლად, ცნობილია და არც სოსო სიგუა მორიდებია ამის აღნიშვნას ბიოგრაფიულ რომანში „კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა“:

„ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ქვეყნის პირველ პირთან, ხშირად იხსენიებდა და აქებდა (სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი, ლავრენტი ბერია, კანდიდ ჩარკვიანი, ნიკიტა ხრუშჩოვი, ვასილ მჟავანაძე, ედუარდ შევარდნაძე).

სხვებს ანგარიშს არ უწევდა, აკრიტიკებდა და აქილიკებდა კიდეც. მაგრამ პირველი პირი რომ მიიცვლებოდა, მას მყისვე ივიწყებდა“.

პირველი პირი პირველ პირად, მაგრამ ამა თუ იმ თანამდებობის მქონეთაც ყოველთვის უწევდა ანგარიშს და არასოდეს ამწვავებდა მათთან პირად ურთიერთობას.

მორიდებაც რომ არ იცოდა და თავზეხელაღებული გამოსვლებიც სჩვეოდა, ის კიდეც უფრო ცნობილია და ამ მხრივაც დიდი ღვაწლი დასდო საზოგადოებრივი ცნობიერების გამოფხიზლებასა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, მაგრამ ამჯერად მისი აპოლოგეტის ციტატი იმიტომ დავისაჭიროვე, გარკვეულ ფონად რომ გამოდგება იმ ფრაზისათვის, პავლე ინგოროყვას რომ ეტყოდა სხვათა თანდასწრებითაც, მიაჩნდა, რომ საჩუმათო არც არაფერი იყო, ეგაა, მეგობრულად გააფრთხილებდა, „რუსთველიანას“ შემქმნელი ძლიერთა ამა ქვეყნისათა მფარველობას რომ არ ეძიებდა, ის კი არა, პირადი ურთიერთობის გართულება-გამწვავებასაც არ ერიდებოდა:

– ყველა ხის ძირი თუ გადახანი, სად გინდა ჩამოგდე მოსაჩრდილებლად!..



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

იმ დღესაც შესწრებოდა პავლე ინგოროყვას კიდეც ერთ ურჩ საქციელს და, აქამდე თუ მოერიდებოდა რჩევის მიცემას, ახლა შეწუხდებოდა, მგონი კიდეც დავაგვიანო. პავლეს რა გამოცვლიდა და არც კონსტანტინე მოინდომებდა ზედმეტს, მხოლოდ ამის ჩაგონებას შეეცდებოდა: ყველა ხე არააო.

ბოლოსდაბოლოს ერთი მაინც დაეტოვებინა.

ერთს მაინც არ მისდგომოდა გუთნით, აქ კვალის გატანა ემჯობინებო, ზემოთ აეხედა, იქნებ ფოთლები ისე ჩამოზურულიყო და ისე შრიალებდა, ძალაუნებურად გინვეცდა თავის შესაფარებლად.

– ხალხური გამოთქმაა თუ შენიაო? – დაინტერესდებოდა პავლე ინგოროყვა.

რჩევას კი არ ჩაუკვირდებოდა.

– მგონი სადღაც გამიგია და მგონი ჩემიც უნდა იყოსო, – ფიქრი გადაუვლიდა კონსტანტინე გამსახურდიას.

– ნუ მოვიჩრდილავთ, მზეს ვუყუროთ, მის მხურვალე-ბაში გამოვიწვათ, მაინც მზის შვილები ვართო, – პავლემ.

მზერა გაცდებოდა ორ ზღვას შუა მოქცეულ სივრცეს და ქართული მოდემის უშორეს დრო-ჟამს გადაწვდებოდა გრიგოლ რობაქიძისებური განცდით, ირანის ზეგანზე მდგარს რომ შეეგრძნო ქართული სამყაროს ფესვებიც და საკუთარი რაობაც.

– მზის შვილები ნამდვილად ვართო, – კონსტანტინემ, მასში რა, განა ნაკლებად ჟოლავდა შეგრძნება ქალდეური ხსოვნა-მონატრებისა.

რა სჯობდა მარადისობის წამიერ განცდას, მაგრამ ეს ყოფითობაც რომ არ გეშვებოდა თავისი დაუნდობელი სიმკაცრით?

ყველა ხის ძირი მაინც არ გინდაო...

ერთი, ერთი მაინც დაეტოვებინა.

* * *

– თქვენ არ იცით, რა კაცი იყო გრიგოლ წერეთელი.

კორნელი კეკელიძე ასპირანტებს ესაუბრება და თან აქეთ-იქით იხედება:

– ნეტა მოსწრებოდით... ეჰ, წაიყვანეს პროფკავშირში და აღარც დაბრუნებულა.

პროფკავშირი და შინსახკომი ერთმანეთში ერეოდა.

ივანე ბერიტაშვილი კი ვერა და ვერ დამახსოვრებდა კომუნისტური პარტიის



მხატვარი უჩა ჯავახიძე

ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დანიშნულებას.

ერთხელ ვასილ მჟავანაძის სახელს უხსენებდნენ.

– ეგ რომელი, საქართველოს დირექტორი რომ არის?

... რა გვიყო ამ პროფკავშირმა, რა ხალხი გაგვიჟუჟაო, – სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოენელებინა კორნელი კეკელიძეს.

* * *

უნებლიე დამთხვევებიც ხდება, ცხადია. არც ნასესხობის კვალის მიგნებაა ძნელი, არც გაუცნობიერებელი განმეორებისა და არც იმ უნებლიე დამთხვევებისა, რის ნიმუშადაც გამოდგება თუნდაც ეს პასაჟები ნოდარ დუმბაძისა და მიგელ დე უნამუნოს თხზულებებიდან.

დუმბაძის ნოველაში „დედა“ ლოთს ერთ-ერთ სუფრაზე არყიან ჭიქას რომ მიანვლიან და ის პირთან მიიტანს, ეტყვიან:

- თქვი რამე!
- და ლოთი პასუხად:
- რამე!“

და სახეს რალაც ღიმილის მაგვარი მოუბრუნებს.

- ანგლობ კიდევაც?! - გაუკვირდებათ.

უნამუნოს რომანში „სიყვარული და პედაგოგია“ ფილოსოფოსის წინაშე წარმდგარი აპოლოდორო ისე ღელავს, სული ვერ მოუბრუნებია.

- თქვი რამე, ყმანვილო! - ეტყვის მაცეტრო.



მეგობრული შარყი
გიგლა ფირცხალავასი

და აპოლოდორო ექოსავით იმეორებს:
- რამე!

ფილოსოფოსი გაიღიმებს:
- დალახვროს ეშმაკმა, გონებამახვილობა არ გაკლია!

ამ სახუმარო პასაჟების პირველწყარო ყოფითობაა, ის ზოგადადამიანური იუმორი, რაც საერთოა ესპანელებისა და ქართველებისთვისაც. ამიტომაც არ არის აუცილებელი, წაკითხული გქონდეს უნამუნოს ეს რომანი ანდა მორაულ ანეკდოტს ეყრდნობოდე. შენითაც შეიძლება მოგაფიქრდეს ან შემსწრე გახდე რომელიმე სუფრაზე. მითუმეტეს, ნოდარ დუმბაძის იუმორი ხალასია, ბუნებრივი, წიგნისმიერ ზეგავლენას სრულიად განრიდებად.

... და მაინც, ქართველ პერსონაჟზე რამდენიმე ათწლეულით ადრე ესპანელი პერსონაჟი ხუმრობს.

ეს ისე, სხვათა შორის, თორემ როდესაც აშკარა გავლენისა თუ ნასესხობის თაობაზე მიხდება მსჯელობა, ვის ან რატომ მოვერიდება.

* * *

1971 წელს მარკ ტაიმანოვი სასტიკად დამარცხდა რობერტ ფიშერთან პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში (6:0). ვანკუვერიდან (კანადა) შინმობრუნებული ტაიმანოვი მკაცრად გაჩხრიკეს საბაჟოზე და უპოვნეს ალექსანდრ სოლჟენიცინის აკრძალული წიგნი.

მოჭადრაკისათვის ამ სამწუხარო ეპიზოდმა საჭადრაკო ხუმრობა დაბადა:

- გაიგე, სოლჟენიცინს დიდი უსიამოვნებები აქვს.

- რას ამბობ? ასეთი რა მოხდა?

- როგორ, არ იცით? ამერიკულ საბაჟოზე გაჩხრეკისას მისთვის ტაიმანოვის წიგნი უპოვნიათ - „ნიმცოვიჩის დაცვა“.

ეს ანეკდოტით ამბავი არაერთ იუმორისტულ გაცემაში მოხვდება, და თუ აქ გავიხსენებ, მხოლოდ იმიტომ, რომ მის ექსპოზიციურ ნაწილს ჩავკვირვებოდით. მას ხუმრობა ფარავს, არადა, საბჭოური ეპოქა გამოხატული იმ ერთადერთი დეტალით, რომ დამარცხებულ მოჭადრაკეს ისე ჩხრეკენ, როგორც არასოდეს გაუჩხრეკავთ. ტაიმანოვი დაიმედებული რომ არ ყოფილიყო, ბარგს ფორმა-



მხატვარი
ბეჟან შველიძე

ლურად შემომონმებენო, ცხადია, მოერიდებოდა სკანდალში გახვევას.

რა გულუბრყვილობაა!..

დამარცხებას ასე იოლად ვინ აპატიებდა, ის მატჩი ხომ იდეოლოგიურ რანგში აყვავანა საბჭოთა სახელმწიფოს, საერთოდ, რობერტ ფიშერის ჩამოცილება საჭადრაკო გვირგვინისაგან და ამერიკელი მოჭადრაკის მიერ განზილებული ტაიმანოვი თავისთავად შეირაცხებოდა ხალხის მტრად და საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ ძირისგამომთხრელად.

ბედი არ გინდა?

რალა მაინცდამაინც მაშინ მოინდომა სოლჟენიცინის წაკითხვა?

ტაიმანოვის მარცხი ალბათ მას გადააბრალეს, სოლჟენიცინის წიგნს. კაცს თუ იდეური სიფხიზლე მოუდუნდება, მისგან, აბა, რა შემართებას უნდა მოელოდე?

არაფრისდიდებათ არ უნდოდათ იმის გაგება, რომ ტაიმანოვს ფიშერთან მატჩის წინ სულ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები რომ გადაებულბულებინა, მარცხს, თანაც ასეთ ულმოხელს, მაინც ვერ გადაურჩებოდა.

მოდი და შეაჩერე აგორებული ზვავი.

ოქროს გოლი

ამბობენ, რომ ბორის პაიქაძეს თავის სიცოცხლეში ერთადერთი გოლი გაუტანია თავური დარტყმით – ისიც საფეხბურთო კარიერის მიწურულში, როდესაც სეროიზული ტრავმით გამოწვეული შესვენების შემდეგ ისევ დაუბრუნდა „დინამოს“ რიგებს, მაგრამ ძველებური ბრწყინვალეობით ვეღარ თამაშობდაო (ხუმრობა საქმეა, თითქმის სამი სეზონი გამოტოვა).

არგენტინელი ფეხბურთელი, გვარად ლუსტო, ნაკლებად არის ცნობილი ჩვენში, მაგრამ ნახევარი საუკუნის წინათ თავისი პოპულარობით დიდად არ ჩამოუვარდებოდა, ვთქვათ, მარადონას.

თავური დარტყმები, თურმე, არც ლუსტოს ეხერხებოდა და მაინც, ერთ მშვენიერ დღეს მეტოქის კარში სწორედ თავით გაუტანია ბურთი, რომელსაც შემდგომში იხსენებდა, როგორც „ოქროს გოლს“.

... ბუენოს-აირესის საღამოს გაზეთები ვეება სათაურებით იუნჯებოდნენ, წიგნის მალაზიის მეპატრონის მკვლეელი დაკავებულიაო. დაბეჭდილი იყო მისი ფოტოსურათიც. ოციოდე წლის სიმპათიური ახალგაზრდა იოტისოდენადაც არა ჰგავდა მკვლელს. მაგრამ ირიბი სამხილები სწორედ მას ანიჭებდნენ პირველობას დანარჩენ ეჭვმიტანილთა შორის.

ხუან მონტერო სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე და მოკლული მუდმივი კლიენტი იყო. ხშირად ნისიადაც მიჰქონდა წიგნები, ვინაიდან ფული მაინცდამაინც არ უწყაოდა ჯიბეში.

და აი, მკვლელობის დღიდან ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული, ავტომანქანა რომ შეიძინა!

საიდან, როგორაო, – დაჟინებით ეკითხებოდნენ პოლიციაში. მამაჩემის მეგობარს ფული ვესესხეო, – პასუხობდა მონტერო. მამაშენმა ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდაო. არაო, ამის ნებას როგორ მომცემდაო!

მონტეროს ზემოხსენებული მტკიცება რატომღაც არ შემოწმებიათ.

პოლიციის ინსპექტორმა დაწვრილებით აუხსნა ეჭვმიტანილ ახალგაზრდას, თუ სად მოიხვეჭა მან მანქანის საყიდელი თანხა. შაბათს, საღამოს შვიდ საათსა და ოცდაათ წუთზე, როდესაც წიგნის მალაზია ის-ის იყო დაიკეტა, სალაროდან ანაპნე ფულიო. მალაზიის მეპატრონემ ჩაგავლო და შიშისაგან თავგზაბუნულმა მთელი ძალითა და ღონით თავში რაღაც რკინის ნივთი ჩაარტყიო.

მონტერო უარყოფდა ბრალდებას. პოლიციის ინსპექტორმა დასძინა, როდესაც გამორბოდი მალაზიიდან, მოწმეებმა დაგინახესო.

მონტერო აქვითინდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს საკამში გამოკეტულს და გარიჟრაჟზე უეცრად ამოუტივტივდა მესხიერებაში თავისი ალიბი.

დილის ათ საათზე ეღირსა ინსპექტორის ხილვა და აი, რა მოახსენა:

– შაბათს, ამ თვის თორმეტ რიცხვში, სწორედ საღამოს შვიდ საათზე მე ვიმყოფებოდი სტადიონზე, სადაც თამაშობდნენ „რივერ პლეიტის“ და „ბოკა ხუნიოსის“.

როგორ დაამტკიცებ, მოწმე გყავსო? მოწმე არა ჰყავდა. გაიხსენა: „რივერ პლეიტმა“ სამით ერთი მოიგოო. უპასუხეს: ამას ხომ გაზეთებში წაიკითხავდიო. სამივე გოლი ლუსტომ გაიტანაო, დააზუსტა მონტერომ. უმაღლე დასცინეს: გაზეთებში ეგეც ეწერაო.

მესამე გოლი თავით გაიტანაო, – ხავსს ჩაებლაუჭა წყალნაღებულს.

მკვლელობაში ეჭვმიტანილ მონტეროს ისიც გაახსენდა, რომ სახელგანთქმულ ფეხბურთელს გამოელაპარაკა კიდეც, როცა იგი გასახდელიდან გამოდიოდა; თავისი აღტაცება გაუზიარა, ეს მესამე გოლი რა საოცარი რამ იყო!

ლუსტომ უპასუხა: ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიტანე გოლი თავურით და აზრზეც არა ვარ, ეს როგორ მოხდაო.

პოლიციის ინსპექტორმა ამჯერად გადაწყვიტა შეემომნებინა ეჭვმიტანილის მტკიცება.

სახელგანთქმული ფეხბურთელი სასწრაფოდ მოინვიეს პოლიციაში.

ინსპექტორი, როგორც ჭეშმარიტ არგენტინელს ეკადრება, საკმაოდ გათვითცნობიერებული იყო ფეხბურთში. გულთბილი საუბარი გაუბა ლუსტოს. მერე იხმო ეჭვმიტანილი მონტერო და ჰკითხა ფეხბურთელს, ამ ახალგაზრდას თუ იცნობო. ლუსტომ მხრები აიჩჩია, რაღაც არ მეცნობაო.

კარგად დააკვირდით, სთხოვა ინსპექტორმა.

რა ვქნა, იმდენი ხალხი მხვდება და მელაპარაკება, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვიო, – თავს იმართლებდა ფეხბურთელი. მონტერო მიუახლოვდა მას და ასე მიმართა:

– სენიორ ლუსტო, ჩემი ბედი თქვენს ხელთაა. გევედრებით, გაიხსენოთ იმდღევანდელი! ეს იყო შაბათს, „ბოკასთან“ მატჩის შემდეგ. გილოცავდნენ გამარჯვებას, მეც გავერიე მარაქაში და გითხარიო: ეს მესამე გოლი რა საოცარი რამ იყო-მეთქი. თქვენ გამოიღმეთ და ბრძანეთ: ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიტანე გოლი თავურით და აზრზეც არა ვარ, ეს როგორ მოხდაო.

ლუსტო ჩაფიქრდა და ცოტა ხნის მერე დაადასტურა: დიახ, მართლაც ასე ვუთხარი ერთ ახალგაზრდას, რომელსაც თავზე ეხურა...

მწვანე ბერეტიო, შეეშველა მონტერო.

ლუსტომ ესეც დაადასტურა, ხოლო ინსპექტორმა შენიშნა, „რივერ პლეიტის“ გულშემატკივარი მართლაც მწვანე ბერეტებით დადიანო.

მაგრამ ჯერ სადა ხართ!

ლუსტომ ისიც გაიხსენა, რომ გასახდელიდან გამოსვლისას ფოტოსურათებს უღებდნენ და, ვინ იცის, ეგებ რომელიმე სურათზე ეს ახალგაზრდაც მოხვდაო. პოლიციიდან შიკრიკი გაგზავნეს ლუსტოს სახლში და ფოტოსურათები მოართვეს ინსპექტორს.

– აი, შეხედეთ! ეს მე ვარ! – აღტაცებით შესძახა ეჭვმიტანილმა მონტერომ. – სენიორ ლუსტოს გვერდით ვდგავარ!

ინსპექტორი ლუპით აკვირდებოდა ფოტოსურათს, მერე მონტეროს მიაჩერდა და ბოლოს წარმოთქვა:

– მონტერო, თქვენ მართალი ბრძანდებით! სენიორ ლუსტოს მონშობა თავისთავად სარწმუნო იყო, მაგრამ ეს ფოტო ეჭვმიუტანელი ალიბი გახლავთ. ბოდიშს გიხდით და თავისუფალი ბრძანდებით!

მონტერო ეცა ლუსტოს, გადაეხვია და სიხარულისგან ატირდა. ლულულულებდა: თქვენი მესამე გოლი რომ არა, ჩემს უდანაშაულობას როგორ დავამტკიცებდიო?!

ათას მაღლობას უხდიდა სახელგანთქმულ ფეხბურთელს. ცნობილი ფრანგი ჟურნალისტის მკეს იურბინის სიტყვით, როდესაც ლუსტოს ეკითხებოდნენ, რომელია თქვენი საუკეთესო გოლიო, დაუყოვნებლივ პასუხობდა:

– გოლი, რომელიც „ბოკას“ კარში გავიტანე თავური დარტყმით და აზრზეც არა ვარ, ეს როგორ მოხდაო.

ხუან მონტეროსათვის კი ამ გოლს მართლაც ოქროს ფასი ჰქონდა – სამუდამო პატიმრობას თუ სასიკვდილო განაჩენს გადაარჩინა!

**ერთი-ორი,
ერთი-ორი...**

თბილისის მე-19 ვაჟთა სკოლა – ოდესღაც ასე ერქვა ამ სკოლას, კიევის ქუჩაზე რომ მდებარეობს და ამჟამად 30-ე სამუშაო სკოლა ჰქვია. სამსართულიანი შენობაა და კოხტა ეზო ამშვენებს.

ამ სკოლის დირექტორი ოდესღაც გახლდათ მთელ თბილისში სახელგანთქმული ლავროსი კოტრიკაძე, სანიმუშო ხელმძღვანელი და ჩინებული პედაგოგი.

ლავროსი კოტრიკაძე სკოლის ტალანებს რომ ჩამოუვლიდა, შესვენებაზე გამოსული მონაფენი კედელს აეკვრებოდნენ ხოლმე. მეოთხე თუ მეხუთე კლასელთა გვარებიც კი ზეპირად იცოდა, თუმცა, როგორც პედაგოგი, მე-7 კლასიდან ეცნობოდა თავისი სკოლის ყმანვილებს („ყმანვილო“ – ეს გამოთქმა უყვარდა).

ამ სკოლაში აღზრდილ სახელმომხვეჭილ პიროვნებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საკმარისია ვახსენოთ ორი მათგანი, ორი მშვენება და სიამაყე ქართული კულტურისა: კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე და უდროოდ დაღუპული მწერალი გურამ რჩეულიშვილი.

ამავე სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა არანაკლებ სახელგანთქმული გოგი ნერსესოვი. მარტოხელა კაცი იყო, თამბაქოს არ ეწეოდა, ალკოჰოლს არ ეტანებოდა, ურიგო ხელფასი არა ჰქონდა და არ გასჭირვებია ეყიდა ავტომანქანა „პობედა“, როგორც დამსახურებულ პედაგოგს რომ გამოუყვეს (გასული საუკუნის ორმოციან წლებში საკუთარი ავტომანქანა უცხო ხილი იყო ჩვენში). ხშირად მონაფეებსაც ასეირნებდა ხოლმე თავისი მანქანით.

ფიზიკის კაბინეტში პირმოღუშული შემოაბიჯებდა. იფიქრებდი, რომ მთელი მსოფლიოს საავდრო ღრუბლებს მის შუბლზე მოეყარათ თავი. დაჯდებოდა, უბის წიგნაკს ამოიღებდა უბიდან, გადაფურცლავდა, მერე თვალს გადაავლებდა გასუსულ მონაფეებს და საქმიანი კილოთი დასვამდა შეკითხვას: ვის უნდა გამოსვლაო? „ეშაფოტზე ასვლა“, ცხადია, არავის ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ბიჭი იყავი და ხელი არ აგენია. სწორედ შენ გაგიძახებდა. ასე რომ, მთელი კლასი თვალის დახამხამებაში ხელის აწევით ამცნობდა მასწავლებელს: გამოსვლა გვწყურიაო.

ნერსესოვი თავის უბის წიგნაკში ჩაიხედავდა და ოთხ მონაფეს გაიძახებდა. განწირული ოთხეული დაფასთან გამწკრივდებოდა და ყოველი მათგანი სათითაოდ იღებდა დავალებას. მაგრამ დანარჩენებიც ვერ მიეცემოდნენ განცხრომას, რადგან პირველი შეკითხვისთანავე ის ოთხეული შეიძლება დაშლილიყო, ერთი ან ორი მონაფე გამოაკლდებოდა და გოგი ნერსესოვი თავისი უბის წიგნაკიდან ახალ „მსხვერპლს“ ამოარჩევდა.

ერთხელაც, ერთმა ყმანვილმა „დილატომეტრის“ მაგივრად წარმოთქვა „დილომეტრი“. გოგი ნერსესოვმა დაუღრიალა: დილომეტრი არა, სპილომეტრიო! და იმ ბიჭს მეტსახელად „დილო“ შეერქვა.

უბის წიგნაკის თვალჩერებისას ერთ გონებაჩლუნგ მონაფეს ასე მიმართა: ერთი-ორი, ერთი-ორი, მარშიროვკაზე ხარ შე ოჯახაშენებულო თუ ფიზიკას სწავლობ?! (გამოუსწორებელ ოროსნებს ერთიანითაც აჯილდოებდა ხოლმე. ემარჯვებოდა იუმორი).

ერთ მშვენიერ დღეს მთელმა კლასმა ნერსესოვის გაკვეთილის გაცდენა გადაწყვიტა. რომელიღაც ფრთხილზე

ფრთხილმა მონაფემ სასონარკვეთილი ხმით შესძახა ბიჭებს: ისედაც გაჯავრებულია და ნავთზე ცეცხლს ასხამთო? (აღელვებულს სიტყვები აერიო). მაინც ნავიდნენ „შატალოზე“ – ერთსულოვნად, ერთხმად. მეორე დღეს გულის კანკალით გამოცხადდნენ ფიზიკის კაბინეტში.

გოგი ნერსესოვი ღინჯად შემოვიდა. ჩვეულებისამებრ

გასუსულ მონაფეებს მშვიდად გადაავლო თვალი და სავსებით სერიოზულად წარმოთქვა:

– ბოდიშს გიხდით, რომ გუშინ გაკვეთილი გააცივდინეთ.

ამას კი არავინ ელოდა. სირცხვილისაგან ყველას ენა ჩაუვარდა მუცელში.

ხანდახან, კარგ გუნებაზე რომ მოეყვანათ ფიზიკის მასწავლებელი, ბიჭები ნოდარ ფირანიშვილს (შემდგომში ცნობილი მსახიობი რომ გახდა), მხიარული ამბების თხრობის ოსტატსა და ენაკვიმატს, შეეხვეწებოდნენ, აბა, შენ იცი, იქნებ გვიშველოო.

ნოდარი პირველ მერხზე იჯდა და ხან რას მოიგონებდა, ხანაც რას, ოღონდ კი ღიმილი აეთამაშებინა გოგი ნერსესოვის მოქუფრულ პირისახეზე. ერთი სიტყვით, მეფის მასხარის როლს ასრულებდა.

ერთხელაც კახური ანეკდოტი უამბო ფიზიკის მასწავლებელს (ამ ანეკდოტს წვერი ჯერ არ ამოსვლოდა).

მასწავლებელმა მონაფის მშობელი დაიბარა სკოლაში და უსაყვედურა: შენი შვილი არც გაკვეთილებს სწავლობს და არც ყოფაქცევა უვარგაო. მონაფის მამამ გულისყურით უსმინა მასწავლებელს და მერე შეჰპირდა: დედას ვუტირებ, ისეთ დღეს დავაყენებ, ძვლები ასაკრეფი გაუხდებოო.

მასწავლებელმა ახლა მშობელი დატუქსა: ეგრე როგორ შეიძლება, ტკბილი სიტყვითა და დარიგებით უნდა მოარჯულოთო; ცემა-ტყეპა რა საკადრისია, არაპედაგოგიური არისო.

მშობელმა თავი დაუქნია, კეთილი და პატიოსანიო. მამა-შვილი დაემშვიდობნენ მასწავლებელს და გარეთ გავიდნენ. ქუჩაში თვალი მოჰკრეს მომხიბლავ გოგონას, ამ ბიჭის ტოლი რომ იქნებოდა. შვილმა ალტაცებით შესძახა: მამი, მამი, შეხედე ერთი, რა კაი გოგო მოდისო. მამამ შვილს თვალები დაუბრიალა და „პედაგოგიურად“ მიმართა: შე ყურუმსალო, ეგეთ გოგოებს ფრიადოსნები ხმარობენო.

გოგი ნერსესოვს, ბუნებრივია, სიცილი აუტყდა, მაგრამ არც თავისი უბის წიგნაკი დავიწყებია და არც – მორიგი ოთხეულის გაძახება.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე მე-19 ვაჟთა სკოლელებმა ფიზიკაში სულ ოთხიანები და ხუთიანები დაიმსახურეს. გოგი ნერსესოვი არ გაუნბილებიათ.

მაგრამ მათემატიკაში ბედმა ბევრს უმტყუნა. რამდენიმე აბიტურიენტი ჩაიჭრა კიდეც და სხვებმა „სამაინს“ ვერ გადააბიჯეს.

მათემატიკის მასწავლებელი უსათნოესი ქალბატონი გახლდათ და თავისი საგნის შესანიშნავი სპეციალისტი, მაგრამ რათ გინდა! თუნდაც დახვრეტით დამუქრებოდი, მონაფეებთან სიმკაცრეს ვერაფრით გამოიჩინდა.

ჰოდა, საკითხავიც სწორედ ეს არის – მონაფეს უნდა ეშინოდეს მასწავლებლისა თუ არ უნდა ეშინოდეს?

პასუხი: უნდა ეშინოდეს, უნდა ეშინოდეს! შიში შეიქმს სიყვარულსაო, ასე ბრძანებდა შოთა რუსთველი.

მონატრა

კ. ტიმოშენკოს მეგობრის -
ი. მშვენიერაძის ნაამბობი

პირისახეს სარკეში დააკვირ-
და – სანამ კუნცევოში მივალ,
ალბათ, ესეც გამივილისო და
მყისვე გაეშურა დანიშნულე-
ბის ადგილისაკენ.

კოსტია ტიმოშენკო მოთ-
მინებით ელოდა თავის სიძეს
და დროის მოსაკლავად არაყს წრუპავდა.

ორი საათი იქნებოდა გასული, ვასილი შინ რომ დაბრუნ-
და. მაგიდას მიუჯდა, სული მოითქვა, ერთი ჭიქა არაყი გა-
დაკრა, განერვიულებულმა და დასიცხულმა გულ-მკერდი
გაიღელა და კოსტიას მოახსენა:

– ჩემი მამილო რა მაგარი ხუმარა ყოფილა! როცა ვეახლე,
სიყვარულით მითხრა: ძალიან მომენატრე და იმიტომ გიხმეო...

ვასილი სტალინი და კოს-
ტია ტიმოშენკო (მარშალ ს.
ტიმოშენკოს ვაჟიშვილი და
ვასილის ცოლისძმა) მწარე
არაყსა სვამდნენ და ტკბილად
მასლაათობდნენ.

უკვე გვარიანად იყვნენ
შექეიფიანებულინი, როცა აქოშინებულმა შიკრიკმა მათი
მყუდროება დაარღვია და ავიაციის გენერალს მოკრძალებით
მოახსენა: ამხანაგი სტალინი სასწრაფოდ გიბარებთო.

ადვილი წარმოსადგენია თანამეინახეთა აფორიაქება. ვა-
სიამ დაუყოვნებლივ მიიღო ცივი შხაპი, მერე ყავა მოიდულა
და სამი ფინჯანი სულმოუთქმელად გამოცალა. მუნდირი
ყველა ღილზე გულდასმით შეიკრა, თავის წამონითლებულ

მეგობრები

მიიტანა რამდენიმე ლექსის
თარგმანი (რამდენიმე ენი-
დან). კაცმა არ იცის, სიტაბუ-
კეში ჰქონდა თარგმნილი თუ
მარცხენა ხელით შეესრულე-
ბინა უგუნებობის ჟამს, მაგ-
რამ ფაქტი ის იყო, რომ თარ-

გმანის დონე არ შეეფერებოდა მის პრესტიჟს და, ერთგვა-
რად, იმ არაქართველი პოეტების აბუჩად აგდებასაც ნაა-
გავდა.

რედაქციის ახალგაზრდა თანამშრომელი ერთობ შეც-
ბუნდა, როდესაც ეს თარგმანები წაიკითხა. მოკრძალებით
მოახსენა რედაქტორს თავისი აზრი: ცოტა არ იყოს, სუსტია,
ცოტათი მოიკოჭლებსო; თავს შევირცხვენთ, თუკი დავებჭ-
დავთ და ამ ბრწყინვალე შემოქმედსაც შევარცხვენთო.

რედაქტორმა თვალი გადაავლო ხსენებულ მასალას და
იოლად მიხვდა მისახვედრს.

– მაშ, შენ ამბობ, არაფრად არ ვარგაო? მაგას რა სჯობია,
დაუყოვნებლივ გავგზავნოთ სტამბაში!

გამოჩენილი ქართველი
პოეტი და გამოჩენილი ქარ-
თველი პროზაიკოსი განუყ-
რელი მეგობრები იყვნენ. ანკი
რატომ არ იქნებოდნენ, რა
ჰქონდათ გასაყოფი? პოეზიი-
სა და პროზის ბილიკები ერ-
თმანეთს არასოდეს გადაკვეთდნენ და საიდან გაჩნდებოდა
მათ შორის შური, შავი იქნებოდა თუ თუნდაც თეთრი?

გამოჩენილი პოეტი თავისი მატერიალური კეთილდღეო-
ბის ასამაღლებლად, დროდადრო, ლექსებსაც თარგმნიდა.
არადა, სათარგმნელი მასალა ზღვასავით იყო. რამდენი მო-
კავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა არსებობდა უზარმა-
ზარ საბჭოთა იმპერიაში, ვინ ჩამოთვლის? ჰოდა, გამოჩენი-
ლი ქართველი პოეტი ბეჯითად თარგმნიდა მოლდაველ, ეს-
ტონელ, ყირგიზ, ბურიატ და ა.შ. პოეტებს (ცხადია, რუსი პო-
ეტების თამადაობით!)

ერთხელაც იმ ჟურნალში, რომელსაც მისი უახლოესი
მეგობარი ანუ გამოჩენილი პროზაიკოსი რედაქტორობდა,

ქრონიკის მავიერ

როდესაც ქვეყანა დიდინპატარიანად
და დიდი ენთუზიაზმით აღნიშნავს
ორ შობასა და ორ ახალწელინადს,

მაინცდამაინც იოლად ველარ მოიხელთებ
მნიშვნელოვან სიახლეებს კულტურულ ცხოვრებაში.

ეს დღეებიც ჩაივლის და სიახლეები თავს არ მოგვანატრებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ნამდვილი დღესასწაული
მთელს ქართულ კულტურასაც დაუდგება.